


N6 2016



პოლიტიკური მეცნიერებები // ეკონომიკური მეცნიერებები // სამსახური // სამსახური // სამსახური



2016/6

ყოველთვიური ლიცეიაცენტოს –
სამართლის ქურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან ბოგართელი

მთ. რედაქტორის მოადგილები
ბალათერ არაბული
სოსო გოლიძე

რედაქტორთა ჯგუფი
ანდრო ბუაჩიძე
თამარ გელიტაშვილი
ელია მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
ქეთევან მერკვილაძე
თამარ გელიტაშვილი

გარეკანის პირველ და მეოთხე
გვერდებზე – ფოტოსურათები
გამოფენიდან
„მე ვხედავ თითებით“

სარედაქციო საბჭო

ანდრო ბედუკაძე
თავმჯდომარე

ვანო ამირხანაშვილი
ნაირა ბეპიევი
ლევან ბრეგაძე
დავით თელორაძე
ზვიად კვარაცხელია
ესმა კოკოსკერია
გიორგი ლობჟანიძე
ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ნინო სადლობელაშვილი
თამაზ ტყემალაძე
თემურ ჭკუასელი
ბესიკ ხარანაული

ქურნალი გამოდის
თმილისის მუნიციპალიტეტის
ფინანსური მხარდაჭერით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევი

რევაზ თვარაძე უმოძღვროდ	3	მამუკა ცეცხლაძე ჰარიონა, ანუ ყოველი საი- დუმლო	49
პოლიტიკური მეშვეობის სოსო მეშვეობის დამართვის ლექსები	7	ვალტერ ბენიამინი პოლ ვალერი (თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ)	65
პოლიტიკური მეშვეობის სოსო მეშვეობის დამართვის ლექსები	12	ახალი წიგნები ამირან გომართელი ...ზუსტად ისე, როგორც სიმღერაში ივანე ამირხანაშვილი დაივიწყე, რათა გაიხსენო	69
პოლიტიკური მეშვეობის სოსო მეშვეობის დამართვის ლექსები	20	ახალი ისტორიის ფულცლები	73
თეიმურაზ ლანჩავა ლექსები	25	ნაირა ბეპიევი ძმობის ჩილადები (ქართულ და ოსურ ენებზე)	76. 86
პოლიტიკური მეშვეობის სოსო მეშვეობის დამართვის ლექსები	29	ახალი თარგმანები იუსიფ სამედოლლუ	94
არდაშელ თაქთირიძე სიმდიდრე	32	მივიწყებული სიტყვები (აზერბაიჯანულიდან თარგმ- ნა ოქტაი ქაზუმოვმა)	
კოლექტიური გონი	34	ედუარდ მელიტონიანი ლექსები (თარგმნა ბალათერ არაბულ- მა)	100
პოლიტიკური მეშვეობის სოსო მეშვეობის დამართვის ლექსები	36	თეატრი გუბაზ მეგრელიძე ტრადიცია და ნოვატორობა	103
„ცისკარი“ ბავშვებს აზა ბასლანიძე ლექსები	39	არტონევი	
ესეისტის ალექსანდრ ფილონი ჯულიან ბარნის მიშელ უელბეკის შესახებ (ინგლისურიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა)	42	ალინა ქადაგიშვილი მე ვხედავ თითებით	114


რევაზ თვარაძე

უმოძღვროდ

რევოლუციამდე, უკეთ თუ ვიტყვით, გასაბჭოებამდე, კიდევ უფრო ზუსტად – ოცდაათიან წლებამდე საქართველოს ინტელიგენცია რომ ჰყავდა, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას დაამშვენებდა. ეს არ არის გადაჭარბება, არც გარდასული დროის გაიდეალება ანტყოს საპირისპიროდ. უტყუარი რეალობაა ეს, რომლის მომსწრე ჩემი თაობაც იყო. იმ ინტელიგენციის მიერ მემკვიდრეობით დატოვებული ინერციით სულდგმულობდა საქართველო მომდევნო ხანებში – ორმოცდაათიანი წლებიდან ოთხმოციანის მიწურულამდე, როდესაც ავანსცენაზე ახალი შემართებით გამოიჭრა ბნელი და უნაპირო სტიქიონი – პლებსი.

ეს პლებსი ადრე, საუკუნის დამდეგი ხანიდანვე ააზვირთეს ორივე ფრთის სოციალ-დემოკრატებმა, ხოლო ოციანი წლებიდან კომუნისტებმა მათთვის ჩვეული ცინიკური პირდაპირობით მთელი პროგრამა დასახეს „თავადაზნაურული ინტელიგენციის“ განადგურებისა. ამ პროგრამის პირველი ეტაპი მათ მარჯვედ დაუკავშირეს ოცდაოთხი წლის აჯანყებას, როდესაც ერთი მხრივ სოციალური სიდუხჭირით და მეორე მხრივ მარქსისტული ლოზუნებით გონიერამ-ღვრულ დაბალ ფენებს ანიოკებინეს და აულეტინეს ელიტარული საზოგადოება.

მეორე ეტაპი შეუდარებლად უფრო მასშტაბური იყო – 1937.



აქ თავს ნებას მივცემ ერთი მოგონება მოვიშველიო:

ოცდაჩვიდმეტ წელს გადასახლებული მამაჩემი ათი წლის შემდეგ ჩამობრუნდა. რაც იმან მომითხრო ციმბირის ბანაკების ამბები, იმასთან შედარებით სოლუტიუნის ოპუსები ყმაწვილთათვის განკუთვნილ თავშესაქცევ ლიტერატურად შეიძლება მოგეჩვენოთ. ამის თაობაზე საუბარს ამჯერად არ ვაპირებ, სხვა რამეს მინდა მივაპყრო ყურადღება.

ოცდაჩვიდმეტ-ოცდათვრამეტ წლებში საქართველოში სამასი ათასი კაცი იყო რეპრესირებულიონ, – მითხრა მამამ.

სამასი ათასიო!

აქ იმას ჩავურთავ, რომ ციხეებსა და

ბანაკებში მყოფნი გარეთ დარჩენილებზე გაცილებით უკეთ იყვნენ ინფორმირებულნი, თუ რა ხდებოდა იმ საზარელ ხანაში: სხვას რომ დავეხსნათ, უშუალო შემსრულებელნი მასობრივ დაპატიმრებათა გეგმისა (ყოველ ქალაქსა და რაიონს ჰქონდა ამგვარი გეგმა), რაიკომის მდივნების, სახალხო კომისრების თუ ჩეკას უფროსების სახით, ბოლოს თვითონაც საპურობილები ხელებოდნენ მეტწილად და მათს ხელთ არსებული დიდძალი ინფორმაცია ფრთხილად, მაგრამ მაინც გაიუონებოდა დანარჩენ პატიმართა შორის.

მაგრამ სამასი ათასი რეპრესირებული მაინც ერთობ გაზვიადებულ ციფრად მეჩვენებოდა საქართველოსთვის.

ვიდრე 1956 წელს რესპუბლიკის პროკურორთან არ შევყევი მამაჩემს რეაბილიტაციის ქაღალდის ასაღებად.

რესპუბლიკის პროკურორი თავაზიანად შეგვეგბა. უკეთ რომ ვთქვათ, მე შემეგბა თავაზიანად, რადგანაც იმხანად ერთი საწყალობელი გაზითის რედაქტორის მოადგილე ვიყავი. მამას ზედაც არ შეხედა, მთელი აუდიენციის განმავლობაში ერთხელაც არ მიუპყრია თვალი.

საქმე რომ გადაშალა, რესპუბლიკის პროკურორმა ოდნავ გაიღიმა და მე გადმომანოდა ოცდაწვიდმეტ წელს გამოტანილი საბრალდებო დასკვნის გასაცნობად.

„Ярый враг Советской власти“, – аმოვიკითხე. არავითარი კონკრეტული ბრალდება აյ არ ეწერა, ცხადია.

– იმ სამასი ათასი კაციდან სამოცია ათასი ამგვარი ბრალდებით იყო გადასახლებული, – ბრძანა პროკურორმა.

არ მომყურებია, ზუსტად ასე თქვა: იმ სამასი ათასიდან.

ასე დამიდასტურდა მამას მიერ ციხიდან ჩამოტანილი ინფორმაცია. ოფიციალურ დონეზე დამიდასტურდა.

ეხლა პირველსავე სიტყვას მოვიდეთ და ჩვენს საფიქრალს მიყვეთ.

ის სამასი ათასი კაცი, ქალაქად თუ

სოფლად, სულიერ პლანზე ერის გონება, სინდისი და მოძღვარი გახლდათ, ფიზიკურ პლანზე – რასობრივად რჩეული ნაწილი ერისა. საუკუნეთა განმავლობაში ბიოლოგიურად დაწმენდილი ჯიშის წარმომადგენლები. ხოლო სულიერსა და ფიზიკურ პლანზე თუ გავთიშავთ და უფრო მარტივად ვიტყვით, ეს იყო ერის ელიტა, სულით ხორცამდე დახვეწილი და აღმატებული.

ამ მოსაზრების დამადასტურებელ საბუთებს შორს ნურსად დავუწყებთ ძებნას, გადავუფრცლოთ ალბათ ყოველ ოჯახში არსებული ალბომები ძველი ფოტოსურათებისა: რა ჯიში შემოგვცექერის იმ ფოტოსურათებიდან, სულიერების რა მაღალი დონე და რა აუმღვრეველი ფსიქიკა, რა თვალები („და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა, სავსე ქართული პატიოსნებით“).

შევუდაროთ ამას მერმინდელი ფოტოები, ტელევიზორის ეკრანებზე გამკრთალი სახეები, გაზეთის ფურცლებიდან გამომზირალი საშიში თვალები („სახეზე ეწერა, რომ ურყევად იყო გულდაჯერებული: კაცთა მთელი მოდგმა, ჩემი არ იყოს, ბუნებით ნამუსგარეცხილი არისო“, – უილიამ ფოლკნერი).

ერის ელიტარული ნაწილის ხელი-ერთპირად მოსპობის შედეგია ეს. ამ საქმეში ორმაგი ფაქტორი მოქმედებდა: ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთი საკუთარ ელიტარულ საზოგადოებასაც არ ზოგავდა, მეორე მხრივ, იმპერიის ცენტრი ვერასგზით ვერ შეიწყნარებდა, რომ სადღაც შორს, კავკასიონის ქედის გადაღმა, ერთ მუჭა ხალხს ჰყოლოდა ესოდენ ნაქები და რჩეული, არისტოკრატული ელიტა, რომელიც დაბალი ფენებისთვის მუდმივი ეტალონი იყო და რომლის ნიმუშისამებრ ცდილობდა გონიერი ქართველი კაცი თვისითა ნაშიერთა აღზრდას.

საერთოდ, ერის ელიტარული ფენის ფიზიკურად მოსპობა კომუნისტური რეზიმის მიერ გულმოდგინედ გათვლილი

სამოქმედო პროგრამის ნაწილი იყო. ამ ელიტარულ ნაწილს, კვლავაც ვიტყვი – ქალაქად თუ სოფლად, ღირსების გაფაქიზებული გრძნობა ჰქონდა. ხოლო ღირსების მქონე კაცის დამონება და ვე-ება სახელმწიფო მექანიზმის უბრალო ჭანჭიკად ქცევა შეუძლებელი თუ არა, ერთობ ძნელი მაინც არის. გარდა ამისა, ერის ელიტარულ ნაწილში ყველაზე ცხოვლად იყო შემორჩენილი ოჯახური ტრადიციები, ოჯახიშვილობით და გვარიშვილობით, ჩამომავლობით სიამაყის ბუნებრივი გრძნობა. ხოლო ოჯახიშვილობით, გვარიშვილობით, ჩამომავლობით გულმოცემული კაცის დამონებაც არ არის ადვილი საქმე.

არადა, საბჭოთა სახელმწიფოს მონები ესაჭიროებოდნენ, მილიონობით, ათეული მილიონობით დამონებული მასები. და ამ საქმეს ელიტარული ფენები აშკარად უშლიდნენ ხელს. ეს ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში ასე იყო, ოღონდ საქართველოს ერთი სპეციფიკური მახასიათებელი ჰქონდა კიდევ.

ღირსებას, ღირსების მქონე კაცს საქართველოში ოდითგანვე გამორჩეულად დიდი ფასი ედო. ამგვარ ადამიანებს განსხვავებული პატივითა და კრძალვით ეპყრობოდნენ, რაინდობის, კაცობის ეტალონად, მიბაძვის ნიმუშად სახავდნენ. ამიტომაც იყო, რომ ამ ღირსებას თვალისწინებით უფრთხილდებოდნენ ქართველი საუკუნეთა მანძილზე. არ თმობდნენ ეროვნებას, ენას, სარწმუნოებას და მათთან ერთად – ღირსებასაც.

ამიტომაც იყო, რომ გლეხკაცი ცდილობდა აზნაურიშვილისთვის მიებაძა, აზნაური – თავადიშვილისთვის, თავადი – დიდებულისთვის, დიდებული – იერარქიის მწვერვალზე მყოფი ხელმწიფისთვის (ამ ასპექტით პატრონუმობის ქართული ინსტიტუტი, სოციალურ რეალობათა გამომხატველი, ზედმინევნით მიესადაგებოდა ერის ფსიქოკურ წყობას). მეცხრამეტე საუკუნეში აზნაურობის მაძიებლებით რომ გა-

ივსო ქვეყანა, წოდებრივ საფეხურზე ამაღლების ეს მცდელობა მარტოოდენ სოციალური დაწინაურებისა და ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მოტივით არ ყოფილა განპირობებული. გლეხკაცი გააზნაურებას იმიტომ (შესაძლოა – უფრო იმიტომ) ესწრაფოდა, რომ ღირსეულთა შორის დაემკვიდრებინა ადგილი და ამით თავადაც შეეძინა ღირსება. აბა უამისოდ უკვე გაძვალტყავებულ აზნაურთა წრეში მოხვედრა რა ისეთი პრივილეგია იყო.

ამიტომაც ეკვეთნენ კომუნისტები თავგადაკლული პათოსით ელიტარულ ფენებს – ღირსების გრძნობა უნდა ამოძირკულიყო როგორმე საქართველოში. მთლიანად ვერა, მაგრამ დიდწილად აღსრულდა კიდეც მათი სანუკვარი იცნება: ჭეშმარიტ ინტელიგენციას სულ მოკლე ხანში „მუშურ-გლეხური ინტელიგენცია“ ჩაენაცვლა და, ბუნებრივია, ამას საბედისნერო შედეგები მოჰყვა – ღირსების გრძნობის კატასტროფული დევალვაცია და კულტურის უზარმაზარი დეფიციტი.

დღესდღეობით კულტურის ეს დეფიციტი ყველგან იგრძნობა – ოჯახში, ეზოში, ქუჩაში, სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, დაწესებულებაში, მაღაზიაში, კაფეში, თეატრში, საკონცერტო დარბაზში, პარლამენტში, მთავრობაში, სასამართლოში, პრესაში. დეფიციტი, უწინარეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ ჩვენს ირგვლივ მუდამ არიან ცუდად აღზრდილი ადამიანები, მეტყველების, ქცევის, თავის დაჭერის ელემენტარულ ნორმებსაც რომ არ იცნობენ, ანდა არ იცავენ, არ სცნობენ ამ ნორმებს.


ღირსების გრძნობას რაც შეეხება, კიდევ უფრო უარესად არის საქმე. სოფლად დარბაისელი, ღირსეული გლეხკაცის ადგილი ბაცაცობაზე განუწნევა, ხშირად – გასპექულანტებულმა კოლმეურნემ დაკავა, გლეხობის ერთერთი მოძღვარის, მასწავლებლის ადგილი – წერა-კითხვის მცირედ მცოდნე

საბჭოთა პედაგოგმა. ქალაქი ფსევდო-ინტელიგენტებით, ფსევდომეცნიერებით, ფსევდოლექტორებით, ფსევდოსპეციალისტებით, ფსევდომოღვაწეებით, ფსევდოურნალისტებით გაივსო. ელიტარული წრეებისადმი, ჭეშმარიტი ინტელიგენციისადმი (სოფლად თუ ქალაქად) მიბაძვის წადილი შეცვალა მხეცური ინსტინქტებით მოსულდგმულე, მეთავისე და მედროვე ნუვორიშები-სადმი მასობრივმა მიბაძვამ.

საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ხალხი უმოძღვროდ დარჩა. თანდათანობით გაიშვიათდნენ იმგვარი პიროვ-

ნებანი, მისაბად ნიმუშად, ეტალონად რომ ესახებოდათ დაბალ ფენებს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ინტელიგენცია იმ გაგებით, როგორ-საც შეჩვეულნი ვიყავით ოთხმოციანი წლების მიწურულამდე, დღესდღეობით აღარც არსებობს. შემორჩენ ცალკეული, გათითოვაცებული ინტელიგენტები, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე შესამჩნევ გავლენას ვერ ახდენენ.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, საკუთრივ საზოგადოებრივი აზრიც აღარ არსებობს დღეს.



სოსო მეშველიანი

ქუჩა „სან-ზრანცისკო“

აწვიმდა ქალაქს, სასაფლაოს, საფლავის კოპიტს,
“a line-storm song”, – მოხდენილად იტყოდა ფროსტი.
მაროკოელი, თავზე ჩალმით, შუბლზე კი კოპით
ძველ საშაურმეს გაჰყურებდა სარკმლიდან ფოსტის.

მოულოდნელად წააწყდები სულის დამდალავ
სინამდვილეს და ეს ტკივილი არც გაყუჩდება.
არის ქუჩები, სადაც დგომა, ისე, ხანდახან
იაფთასიან მეძავებსაც ძვირად უჯდებათ.

აქ გაფრთხილებენ შემოსვლის წინ, დარიგებითაც
დაგარიგებენ, თუ სურვილი გექნება ამის.
დაძრნიან ყველგან რუმინელი ბარიგები და
არალეგალი „რჩეულები“ ზონზროხა „დამის“.

აქ სადმე იაფთასიანი ძველი ბისტრო ან
კაფე იქნება, სადაც შეძლებ, მშვიდად ჩამოჯდე.
მაგრამ, რომ უნდა დაახვიო, ახლა ის დროა,
ნახვალ და მაინც დღე არ გავა, აქ არ გამოჩნდე.

ჯობს, გაეცალო ამდენ ხეპრეს, აფერისტს, მლიქვნელს,
აზრის ან ფიქრის შესაცვლელად წახვიდე, სადაც
სკვერია ერთი, ბაროხა დგას ხელჯოხით, იქვე
სველ ჩაპელათი, ერთი სიტყვით, ჩაცმული სადად.

დგას სადაც ციხის ნანგრევებთან ჭიშკარი თუჯის,
გადმოუყვია გალავანზე ტოტი მუშმალას.
უკრავს ხიდებთან მუსიკოსი, ჰაიდნი ქუჩის,
გულში რომ სევდას, უბეში კი თუთიყუშს მალავს.

მწვანე მდინარის ზედაპირზე მზის სხივის ლივლივს
დააშტერდები, გეგონება, ლექსით მაღლდები.
სულ ასე ფიქრებაბურდული ივლი და ივლი,
საბოლოოდ რომ ღმერთმა უწყის, სად ჩაძალლდები.

წერტილის დასმა

*B век распевай, как хочется
Нам – либо упраздним,
В век скопищ – одиночество
– «Хочу лежать один» –
Вздох...
მარინა ცვეტაევა*

ქუჩები – მეტად ულიმლამო. ეს ის ხედია,
ნვიმით დაორთქლილ სარკმლიდან რომ ჩანს!
აქ საკუთარი თავიც ბევრჯერ შემზიზლებია,
რატომ? არ ვიცი! მძულდა და მორჩა.

თუნდაც დასასრულ... ამ გზის ბოლოში,
ვის ვეტყვი: „ანი რა ფეხებს მომჭამ“.
მეც ისე მინდა, როგორც ვოლოშინს,
ვიწვე სულ მარტო, ვიწვე და მორჩა.

რომ უპატრონო სასაფლაოდან
თან გაჰყვეს სევდა დარსა თუ ავდარს,
თქვან: იქ ველური კამა ყვაოდა
და დასასრულიც დასაწყისს ჰგავდა.

ველური სოფლის პეიზაჟი

გამხმარ ფუნიდან ამოქექა ჩიტმა მატლი და
მშიერ ბარტყებთან გააქანა, თავის ბუდისკენ.
მზის ამოსვლისას ჩამოფერთხა ნამი ზლმარტლიდან
ქარმა. გუბეებს დააფინა ჩრდილი თუთის ხემ.

მზე დაუჩრდილა ბაყაყების მომწვანო ქვირითს
(ნადირის ბეწვი შერჩენია ჩირგვნარს, ეკლიანს).
დგას წისქვილის წინ ბერიკაცი, დათხვრილი ფქვილით,
და თვალებს მკაცრი სიმარტოვე აურეკლიათ.

სულო ძლიერო, შენ გადაუხადე
სამაგიერო კბილის ტკივილით.
რ. ბერნსი

მეც ბედს მივენდე, ამაზე მეტს რას გავრისკავდი,
გადამიშალა ბედისწერამ თვალწინ ის კარტი.
ვყმუოდი ღამე ნადირივით, გამთენისას
ვიგრძენი ჩხვლეტა სიგრილის და მამლის ნისკარტის.

აქ, ამ პალმებთან, ყველას ახსოვს ხოსეს პაპიდა,
ლრმა სიბერემდე რომ ელოდა თავის კაპიტანს,
შებინდებამდე გაჰყურებდა კადიზის სრუტეს
მაცნედ ნუბერუს თუ უხმობდა ზღვის სქელ ქაფიდან.

სიზმარი ვნახე, ლამანჩელო, არც ისე ტკბილი,
მშვიდად! არ გაგცემ, საიმედოდ დაგმუწე პირი,
ყველას ლიმილს ჰეგური, მე კი ვკვნესი, შენ რომ პოლედოს
ციხის ნაშალთან ჩამომჯდარი ბავშვივით ტირი.

როგაი მამას

შეირხნენ, იგრძნეს მთის ნიავი ეზოს კაკლებმა,
იწვიმებს, მალე ცაზე ელვაც დაიკლაკნება,
კაკლის ხეები დასტურია – ვინც დარგო, იმას
სიცოცხლის წამდა ბარე ორზე არანაკლებად.

●
ხე დამყურებდა ხის მჭრელს, როგორც თვითმკვლელ
გარეწარს,
შექანდა მძიმედ, სხვა ხეებსაც ჩამოალენა
ტოტები მუხამ, ძირს დაეცა, უკეთ გამოჩნდა
სიცარიელე, ვარსკვლავები და მდუმარე ცა.

●
სტრაბონის რუკა, ქანაანი და ასურეთი,
შორს გულანშარო, საქაჯეთი, საავსულეთი,
დამტვერილ ქვაზე მისრესილი სახე მარდუქის,
რა გწამთ, რა არ გწამთ, ეს არ არის ჩემთვის სულერთი.

ველური სოფლის პეიზაჟი – ნეზვები მაკე,
ტალახიანი. სველი ანწლი. იქვე ბოსელთან,
სადაც ფინია გამვლელებს უყეფს,
ეზოს ქათმები ქექავენ ნაკელს.
განცდა: „ყოველი წარმავალი არს!..“
ვატყობ, რომ სევდაც
ისეთივეა – ჰაერივით მძაფრი და მსუყე.

და მე ვიგონებ გვადალკვივირს –
სოფელს ბოშების.
გამხმარ კანაფებს, გამხმარ თევზებს,
ბალახებს გამხმარს.
ვიგონებ მსუქან ბოშა ქალებს, ვაკეროსს, ლორკას
და მე ვიგონებ გვადალკვივირს,
მდინარის გაღმა
სეკვოიას და თივის ზვინში ჩასობილ ორკაპს.

დრო და სივრცე

დასაწყისი არ არსებობს, არის მხოლოდ გაგრძელება.
უნამუნო

ირლვევა.
წერილი კენჭებივით ცვივა უფსკრულში,
მზეც დაიტანჯა საკუთარი უნიათობით.
კვლავ ჩაანაცვლა ოქროსფერი
ლამემ მუქლურჯით
და მოქცეულა სოფლის სივრცე,
სოფლის ფართობი
ძალლის ყეფაში.
ლრმად ჩამხმარა ფრჩხილებში მიწა,
თვალებში – ლამე.
გრილ მიწიდან ვთხრიდით კარტოფილს.

ჯერ მთვარე იყოს,
გაჩნდებიან ჩრდილები მერეც,
ცას ვუმზერ და ვგრძნობ ამბროზიას,
რომელიც არ ჩანს.
ჯანდაბას ის, რაც თხუნელებმა ჩაზიდეს ბნელეთს,
მაინც კარგია, სულ ამაოდ არ შემრჩა გარჯა.
მწიფე მსხლის წვენით დათხუპნილი ბავშვობის ჩათვლით
დასევდიანდა ყველაფერი, რაც უკან დარჩა.

ბავშვობაში ჩატიქრებული ლექსი

ჭრაქი უღელს მიამაგრა –
ვერ ყოფნით ხარებს მიღეული მთვარის სინათლე,
სამარხილე გზა მთისკენ ტყე-ტყე მიკლაკნება,
ძიღვატეხილი აღმართებზე თავს ძლივს მივათრევ,
ხვალ რა იქნება, მზე თუ წვიმა, ახლა ნაკლებად

ვფიქრობ ამაზე, ასე უხმოდ უკან მივყვები,
უხასიათოდ, ტაფობს იქით, დაბალ არყებთან,
მოულოდნელად აფუსფუსდნენ ხეზე ციყვები,
დაფრთხენ ხარები, მეც დავფრთხი და ძალლიც აყეფდა.

ზოგმა გაგვასწრო, ზოგიც კიდევ უკან მოგვყვება,
არ ჩანან, მხოლოდ მოციმციმე წერტილებს ვითვლი
(საცაა გავქრეთ, ლანდებივით, ლამის სრულებით),
დიდ პანტა მსხლებზე ბნელ და უხეშ ფოთლებში ფითრის,
დღემდე მჯერა, რომ ბინადრობენ ლამის სულები.

დებიუტი

თამთა მოწონელიძე

მე – ებრაელი

სავარაუდო სინამდვილე

სამი ასაკი მაქვს: 24, როგორც ცოცხალი; 85, როგორც მოკლული ცოცხალი; 97, როგორც ცხონებული ცოცხალი. მესამე პირველ ორს მოიცავს და თხრობასაც მესამე ასაკიდან დავიწყებ.

1938 წლის „ბროლის ღამეს“ ტყვევდ ჩავიარდი. დახაუში გადამგზავნეს. იქიდან ბელორუსიაში. 1942 წელს გაზის კამერაში მომწამლეს.

იმ დილით შუშებიან ოთახში შეგვყარეს. ჭერში ამოჭრილი ხვრელიდან წყალი ჩამოუშვეს, იბანავეთო. ბანაობაც იყო და დარწყულებაც. კინალამ იმედი არ ჩაგვესახა!

ნაზარი მოთქვამდა.

ნუ ტირი-მეთქი,

არ მინდა სიკვდილი,

თორემ, ჩვენ ხომ ერთისული გვაქვს- მეთქი,

არა, სხვანაირადაა ამბავი, შვილი მყავს და ფეხმძიმე ცოლი, ჩემს თავს იმათ სიცოცხლეს მაინც ვწირავდე, იქნებ, როგორ ვჭირდები ახლა სამივესო,

უკვე ორივე მოგიკითხავდა-მეთქი წინაპრებს,

შენი წინაპრებისაცო, – რაც შეეძლო ამოღვარძლა,

რატომ უნდა იყვნენ ცოცხლები მაინც და მაინც ისინი, მე თუ აქ ვარ და სალამომდე ვერც მივატან, რით არიან ჩემზე უკეთესები, რომ გადარჩენილიყვნენ-მეთქი, – ვიღაცის სიცოცხლე მშურდა... არ ვიცი, რატომ გავაკეთე ეს.

ნაზარი მთლად ჩამუქდა. არაფერს გამოხატავდა მისი სახე იმაზე მეტს, ვიდრე სამი დღის მიცვალებულისა. ნუ ლაპარაკობო, იჩურჩულა და გაჩუმდა, თვალდაუხამხამებლად მიწვა, მიიკუჭა. არ მომიბოდიშებია, არც არავის გაუმნევებია. აუტანლად მარტო იყო. სინდისი მქენჯნიდა და ვიმედოვნებდი, გამივლიდა.

დღის განმავლობაში ყრუდ გვესმოდა საკნების დაცლის ხმა, თანდათან მოახლოებული შეძახილები ჩვენც გვამზადებდა, ჩვენს ფსიქოგანწყობას კვებავდა უკანასკნელი დასასრულისთვის. რიხით გაიღოკარი. ნახირივით გაგვყარეს წინ. რაც მხვდებოდა, გერმანელების ზედმეტად გამართული მხრები იყო ჩვენი დაღვენთილობის წილ. ზურგს ვინც გვიმაგრებდა, იმათ შორის თვალშისაცემი ორი გერმანელის უჩვეულო და ამაყი იერი იყო. ერთს ფრიდრიხი შესძახეს, მეორეს – თომასი, ირიბი თვალებით დავიმახსოვრე. ფრიდრიხის საყელო მკერდამდე ჩაელება და რაღაც უჩანდა, სვირინგივით, მაგრამ წითლად დალაქული და ვერაფრით გავარჩიე, რა ეხატა. მსხვილი, წითელი, ჩირქოვანი, მძივებივით ასხმული მუწუკები არაფრით გასცემდნენ საიდუმლო ნახატს. ზიზლი ვიგრძენი. „მუწუკანი სვირინგი დიდი ვერაფერი თავმოსაწონია“. ეს ფიქრი მაქვს და მოულოდნელად თორმეტიოდე წლის გოგონა მათ ფეხებთან დავარდა. შიშმა, შიმშილმა და დასასრულის უეჭველმა ცოდნამ თავისი ქნა.

მოწყვეტით შეჩერდნენ. თომასმა წიხლის კვრა დაუწყო. გოგონამ ვერადა ვერ წამონია ტანი. „მოკვდა“. მერელა შევამჩნიე, სიცოცხლე ტუჩების ოდნავ მოძრაობაზე რომ ეტყობოდა.

— რა საროსკიპოს მექავივით წამომიწექი! მაპატიე, ვერ გიხმარ, — მოძმეთა გაცინების იმედად სცადა ხუმრობა, მაგრამ ცდა გაუცუდდა — არ გაუცინეს.

— ადექი!

კრინტი არ არის. არც მოძრაობა.

— ჩვევას არ უღალატე, ხომ?! ჩვევას არ უღალატე, ხომომ?!!

გოგონა პასუხობს, მაგრამ ხმა არ ამოსდის. თომასის უკვე მესამედ დაღრიალებულზე რაღაცა მოიხავლა, აღბათ, მანაც იკითხა, რასო, რადგან გერ-

რებული აღმოეჩინოთ ამგვარ ტლანქ თქმაში, ერთთავად რომ ასოცირდება ხუმრობასთან. და მობრუნდნენ თვალები — თაყვანისმცემელი ნაცისტი მზერები სათქმელით: „ვემორჩილებით შენს თამამ იუმორს, ხალასს“. თომასი კიდევ უფრო გაიჯგიმა, არ ელოდა ამ აღიარებას. ის არავინ იყო. ურწმუნოც კი არ იყო. არამედ გულგრილობის უმაღლესი ინსტანცია. თანამგზავრი მომიტრიალდა:

— რა ჰქვია ელამს?

ვერ მივხვდი, რატომ აინტერესებდა იმისი სახელი, ვინც რამდენიმე წუთში მოსრავდა და ვისი სახელის ცოდნასაც არანაირი აზრი არ ექნებოდა, თუმცა სურვილი ავუსრულე.



მანელის პასუხი იყო: „რას და მამაჩემს!“ ამის თქმა იყო და ხარხარი ატყდა — ლენგასავით, ყელისმიერი მსუყე, მოჭიხვინე დამდუღრულივით. ხორხოცი დადგა. ისინი მონები იყვნენ. ისე ხარხარებდნენ, თითქოს რაღაც განსაკუთ-

— არც ერთს არ ჰქვია სახელი. ერთს ფრიდრიხს ეძახიან, მეორეს — თომასს. ეგაა ირიბი.

მიყურა და მხრები აიჩეჩა. ნელი სვლით წავიდა. ალბათ, ვერ მიმიხვდა. მე კი ზუსტად ვიცოდი, რაც მან ბოლოს

გაიგო, ყველაზე დიდი სიმართლე იყო.

ვუყურებდი, როგორ შედიოდნენ სარკოფაგში და როგორ შევდიოდი მეც. გაზს მაშინვე არ გაუუონავს. მე, უფრო ახალგაზრდამ და უფრო ჯანმრთელმა, ცოტაც გავუძელი და სხვათა ცვენას ვუყურე, ნელ ვარდნას.

მთელი 24 დატრიალდა. წინადაც-ვეთა რა გასახსენებელი იყო, არ მეს-მის. როცა ნირიმმი ვაჭუმრობდი მო-ხუც ბებიას და ჩემი მისვლისთანავე იწყებდა უგერმიელესი ბორეკასების კეთებას, ცხადია, მათ გამოცხობემდე მშვიდად ვერ ვიქნებოდი. ყველაზე მწარედ ის წელი მახსოვს, როცა ბადისებრ ხილაბანდში კენჭები გამოვკარი და ჰა-ერში დავუწყე ბზრიალი. თავშალი გა-მოირღვა და კენჭები სულ აქეთ-იქით მიმოიფანტა. რამდენიმე ეზოში გამო-სულ ბებიას მოხვდა და მწარედ ატირა. მერჩი ყველა ერთად ჩემს თავზე მენა-ხა, ოლონდაც მას არ ეტირა, არ ტკენო-და. მანეფა იყო პირველი, რომელსაც ხელისგულზე ვაკოცე, მაგრამ ის არ გაქცეულა, როგორც მაშინებდნენ. ბევ-რი იცინა. მძინარე დედაჩემი სახატავი ფურცელი ხშირად გამხდარა ჩემთვის – ხან თევზებს ვახატავდი, ხანაც ვარ-სკვლავებს. გაღვიძებული კი მომდევ-და, მაგრამ არასდროს მსჯიდა, ამიტო-მაც სულ სიცილით გავრბოდი ხოლმე და ასევე ვასრულებდით თამაშს. არც მაშინ ვუცემივარ, როცა მიწიდან ამო-ლებული მატლის ხახუნით გავაღვიძე. მამა კი მხოლოდ მაშინ მეფერებოდა, როცა ვიწევი და თავს განგებ ვიმძი-ნარებდი, ყველა მისი სიტყვა რომ გა-მეგო და დამემარხა. ორო, დეიზი რამ გამახსენა, დეიზი და მისი საცვლები. ჩემი შოკოლადისფერი მეზობელი. მო-აჯირებზე სულ ეფინა მისი ტორტებით დაჩითული, ფერად- ფერადი ტრუსები. სკოლაში „გენიოსს“ მეძახდნენ სახე-ლის ნაცვლად. „სასწაული“ გამოხვა-ლო. რა დამავიწყებს ნორჩ მათემატი-კოსთა კონკურსის პირველ ადგილს.

მაშინ თოთხმეტის ვიყავი. ჩემი პირ-ველი ბიზნესი 15 წლიდან წამოვიწყე და როცა სტუდენტი გავხდი, საკმაოდ მდიდარი მეწარმე გახლდით. ეთელი ორი წლის მერე გავიცანი. დახრილი წარბები ჰქონდა, დიდი, მომწვანო თვა-ლები, ძალიან ლამაზი. თუმცა ყველა-ზე მიმზიდველი მაინც მისი საოცრად წვრილი წელი და ფართო თეძო იყო. მაშინ წავიდა, როცა მიყვარდებოდა და კარგა ხანს სევდას მგვრიდა მისი გახსენება. ზაზასთან ერთად წამოვიწ-ყე ჩემი მცირე ბიზნესი. ძალიან დავ-მეგობრდით, ჩემი უახლოესი მეგობარი გახდა. ყველაგა ერთად ვიყავით. „ბრო-ლის ღამესაც“, როცა ჩვენი მაღაზია ნამსხვრევებად იქცა. „შენ მსოფლიოს შეცვლი, უკეთესს გახდი, ბრწყინვალე იდეები გაქვს. უნდა განახორციელო, ჩვენ ყველანი შეგიწყობთ ხელს“. ვერ მოგართვით, პროფესორო იოლ, ვერა-ფერსაცვერვცვლი. არისრაღაც, რაც-დაუვიწყებლადაცმახსოვს, მაგრამ ასე ხმამაღლა ეს წუთიც ვერ გამახსენები-ნებს იმ დღეს...

ზაზარი შევნიშნე. ინერტულად ხო-ხავდა. ჩემი ფეხები იყო მისი სიცოც-ხლის ბოლო პუნქტი. ტოკავდა და როცა დავაშტერდი, მივხვდი, რისი ამოთქმაც მინდოდა იმ წუთს ყველაზე მეტად. მა-პატიე-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ არ ვიცი, გაიგო თუ არა. დამეწყო რაღაც გატყა-ვების მსგავსი და როცა ხუთვა მკერ-დამდე ამომაცოცდა, ვიგრძენი, როგორ დამისველდა შარვალი, ფეხები. ეს იყო უკანასკნელი ქმედება, რაც ჩავიდინე და კიდევ იმის შეგრძნება, რომ სუფთა ვიყავი იმ ბოლო სიტყვის წყალობით, რომელიც აღსარებას უფრო ჰგავდა და რომლის დაგვიანებასაც ვერასდროს შე-ვუნდობდი საკუთარ თავს. აღსარება ხომ მხოლოდ შენდობისთვის არ ხდება, იმა-ზე მეტია, ვიდრე მონანიება. ჰო, სუფთა ვიყავი-მეთქი, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე ამ დილით, „ბანაობის“ შემდეგ – მაში-ნაც, როცა საკუთარ შარდში ჩავესვენე.

ფოტოებიდან ამოგლეჯილ ხეებს ჰგავდნენ. დიდხანს ვიწექით. მერე მოვიდნენ და გაგვასწორეს, დაგვთვალეს ჩვენ, ჩამწკრივებული ტრაგედიები. საკუთარი განწყობა მემოსა – ყველაფრისადმი მკვდარი სურვილი. ირიბი თვალები ჰქონდა იმ გერმანელს, მაგრამ მისი ხელები ზუსტად აგნებდნენ ყბებს და შიგ შერჩენილ უკანასკნელ ძვლებსაც არჩევდნენ სიჯანსაღისძა მიხედვით. იმდენი მეწვალა იმ ერთადერთი კბილისთვის, რომელიც იოსიამ მეტისმეტად ხარისხიანად ჩამისვა, რომ მკვდარიც კი მოვწყდი. ასე მე ვერ დავღალე საკუთარი ახალგაზრდობა. დაღლა საერთოდ ვერ მოვასწარი. გაჯიჯვნილი თავ-ყბით ვეყარეთ. არა და არ წყდებოდა ჩვენი „დაბინავების“ საკითხი.

დაიწყეს ყველას გათრევა სათითაოდ. საერთო სამარხის იმედიდა მქონდა. თურმე რა გგონია, თურმე რამხელა გზა დევს წინ. ვინ იფიქრებდა, ამდენ სიარულს ამდენ ხანს, ასე მტანჯველად. დაკლული საქონლის მსგავსად თავდაყირა დაგვკიდეს. ყელთან ყველას სათითაოდ ჩაგვიჭრეს და გველოდნენ ბოლო წვეთის გამოწურვამდე. სისხლს ვეღარ ვგრძნობდი. „ეს გაზიანი მაინც რაღად უნდათ“. წაიღეს ჩვენი თხევადი სულებიც. მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ჩვენი დაწურული ჭურჭლებისთვის მოიცლიდნენ, შვიდგზის ჟამი რომ მოაღწევდა, მშვიდად ვიყავი – მე ხომ შვიდი უამრავჯერ ვამრავლე შვიდზე დ ამეგონა, რომ ყოველი მწყობრად ჩამოკრული საათი გავსებულიყო ჩემი დახრილი, სავედრებელი ლოცვების სიტყვით. დაცლილი ვიყავი, მაგრამ ჩემი სხეული სავსე იყო ფსალმუნთა სისხლით. მაგრამ ეს კია, ვგავდით წაწყმედილ, შვიდგზისვე უღმრთოდ დარჩენილ ლოცვას. არ არსებობს ერთნაირი სინამდვილეები, მაგრამ აქაური კი იყო. ყველას ერთი ამბავი გვედო დასასრულად – „სიკვდილის ბანაკი“.

II

დავითანტეთ მე და ჩემი ძვლები. შემახვიდეს, მომათავსეს ყუთში და გაურკვეველი მიმართულებით გამამგზავრეს სხვა დანარჩენთან ერთად. სოფელი, რომელშიც მე აღმოვჩნდი, ქართული იყო. საქართველო მაშინ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა. ჩემი მსგავსი, დაახლოებით, ექვსი იქნებოდა. ანატომიის გაკვეთილს ვამშვენებდით ჩვენ, დაუმარხავი ძვლები. „ამ გაკვეთილებისთვის გვხოცეთ?!“ ზოგი, უფრო „იღბლიანი“, თავისივე „სხეულით“ გამოდიოდა.

იმ დღესაც, ჩვეულებრივ, ამხსნეს და გაკვეთილის დასასრულს დაბალ თაროზე ჩამომდეს, დაფხვნილი ცარცისა და მშრალი ცოცხისგან დადენილ მტვერში. მასწავლებელი ჯერ არ გასულიყო, ის და ადამლაგებელი თანაბრად მუშაობდნენ. ვიღაცამ დააკაკუნა. ზაზა იყო. მასწავლებელთან მივიდა და მითხვა. არა, კი არ მითხვა, წავიღებ, გამატანეთ საერთოდ, აქ ხომ ისედაც ექვსია მაგი სგარდა, თან ყველა სრულყოფილიო. სრულყოფილიო... რად გინდაო, რომ ჰკითხა, თავიდან გაუჭირდა გამხელა, ყოყმანობდა, ეტყობა, საკმარის მიზეზად არ მოეჩვენა, მაგრამ, რახან სხვა მიზეზი არც ჰქონია, მორიდებით ამოთქვა, და მყავს, სამხატვროსთვის ემზადება და ვერსად ვიშოვეთ მისთვის, არადა, სჭირდება, რომ შეისწავლოსო. დამთმეს, სულ ადვილად.

ზაზამ მარჯვენა მცლავი მტრედივით აწია და ისეთი რაკურსით მომიმარჯვა, მაშინვე მივხვდი, საითაც გამაქანებდა. „ოღონდაც იღლია არა“, – სასონარკვეთაც მოვასწარი იმავ წამს. იქიდან დადენილმა ობშივარმა კი ფიქრიც მომაკეტინა. ისე მირბოდა, მხოლოდ დიდ სიხარულს რომ შეუძლია გამოიწვიოს – ამ ხტუნვა-ფრენის ყოველი ბიძგი და ქვეშიდან მტკიცედ ამოკრული ხელი უფრო და უფრო მაახლოებდა მკლავქვემა ბასრსუნიანი

ღრმულისკენ. „რა გაგიხარდი, ბიჭო, ასეთი“. სუნთქვასაც კი ვითმენ. ცახივით მოგვდევს სირბილში დადენილი მტკრისა და მზის დაბურული, თბილი, უწყვეტი ზოლი.

სარტყელივით შემორტყმული ღობის იქით გველოდნენ. ჩვენს „დელეგაციას“ დაუხვდნენ. გოგონები, სამნი. გაურკვეველი სიახლის მოლოდინის-თვის შესაფერი სახეებით.

საცირკო ცხოველივით „ვდგავარ“ მათ წინაშე. ამ „საზიზიზლობას“ და „როგორ მეშინიას“ იმ უგრძნობლობით ვისმენ, შეჩვევამ რომ იცის. ვინც და-მაკვირდა, მას ეს არ უთქვამს.

ოთახში რომ შევედით, ბეჭდებოდა. ის დრო იყო, მენამული – მზის გასვლის. ჩამავალი მზის ფერი გადას-დიოდათ თმებზე – რაღაც ძველის და მარად ცოცხალის გახსენებას ჰგავდა. მაინც გაშალა მოლბერტი. მოპირდაპირედ ვისხედით ორნი – მე და ზაზას ხელისგული.

„– ასეთი ვიქნები მეეც?“ – ჩაიცინეს „უკეთესი, ხმ იცი“. ვინც არ იცინოდა, მხატავდა. მერე კი ვფიქრობ, „თქვენ საერთოდ არ უნდა გნახონ. ღმერთმაც გიხსნათ, ვინმეგ გნახოთ. ღმერთმა ყველა უნდა იხსნას“. დღე გაილალა ლიდიას ორ მეგობართან ერთად. თვითონ კი მიყურებს და არაფერს ამბობს. მგონი, არც ფიქრობს. თვალებიც კი არ აქვს სევდიანი. იმ ღამეს „ფარდების ღამე“ ერქვა. სარკე, წიგნები, პიანინო, კარადა – ყველა-ფერს ჩამოაფარა, რასაც მისი ძილის-თვის შეეძლო ეყურებინა. ყველაფერს, ჩემ გარდა...

დილაობით აღებდა ფანჯარას. ვნიავდებოდით მე, ლიდია და ოთახი. ჰაერს მოჰყვებოდა სუნი, ხმა, ფერი, გემო, ფორმა. შემოდიოდა საძოვარზე გასადენი საქონლის, გამხმარი თივის, ცხელ-ცხელი პატივის, ნედლი სიმინდის, სანვავის, ახალგაფენილი სარეცხის, მოთუხთუხე საარაყე ქვაბის მოტ-

კბო სუნი; მწარე გემო რუხი კვამლის, ფთილები დამწვარ-დანახშირებული ფოთლების, კუნტრუშის ხმა ეზოში საბალახოდ გაშვებული ხბორების, ჭადრის მფრინავი ბაბუანვერები.

ეს ჰაერის გაცვლა უფრო იყო, ვიდრე განიავება. ჩვენი ოთახიდან პირველი ახალგალვიძებული ლიდიას სუნი გადიოდა, მიჰყვებოდა წიგნების, კედლის ფარდაგის, ხის იატაკის, ანტიკვარული კარადის, დალაქული ჩაი სტილოს, ლეღვის-მურაბიანი სუფრის, გადმობრუნებული ყავის ჭიქის, გასარეცხი ცხვირსახოცისა და წინდის, საფერფლეში ჩარჩენილი დანიტული ნამწვების, გაზეთების, პიტნის არომატიანი აეროზოლის, სოდის, ქვეშაგების, საღებავების, ფანჯრის რაფაზე კოლოების დასაფრთხობად თავმოხდილი ძმრიანი ქილის, «Быть Может»-ის თავდია ფლაკონის, ჩაიგადაღვრილი სავარძლის, ჯერაც სველი, ზეთით შესრულებული ტილოს სუნი და სინოტივე. ჩვენ სუნს ვგზავნიდით და ფანჯრის იქიდან გულუხვად ვსაჩუქრდებოდით. გადიოდნენ სუნამოები და შემოდიოდნენ ახალი სუნამოები, მძიმედ და მსუბუქად, არა-თანაბრად.

შემოდიოდა წივნივი, კრიახი, ჭყვიტინი, ღრუტუნი, ბლავილი, ფრუტუნი, სისინი, კნავილი, ჟღურტული, ჭიკჭიკი, ყროყინი, ყეფა, გინება ფეხებში გაბლანდული ძაღლის მისამართით, წკეპლის ხმა საპალნედ ატენილი ვირის გადაუდგმელი ნაბიჯისთვის, ქათმის გაბმული კაკანი, რომელიც თავისი სიმსუქნის გამო ვერა და ვერ ახერხებდა ახორხლილი აგურების გროვიდან გადმოხტომას და ყოველ დილით ელოდა ლიდიას მამას, რომელიც ჩამოსვამდა; ისმოდა მამლების მიერ დამორჩილებული ქათმების მოწყვეტით ჩაჩუმათება, ცხენის ფლოქვების მწყობრი თქარუნი ღობემდე ბილიკად წაყრილ კენჭებზე.

მდიდარი დღეები იყო, სავსე ფუს-ფუსით და განათებული დილის ცის-ფერი შუქით. იყო რაღაც დიდებული

ამ ყოფაში, ამ დღეების ყრუ შუადღედ დამწიფებაში. ლიდიას მშობლები და ორი პატარა ძმა იპყრობდა გატრუნულ დილას. იყო კიდევ ვიღაც მეხუთე მათთან. სახელი ახლაც არ ვიცი. ოჯახს ეხმარებოდა დილაობით. „ნადი წადი წადი“ „მოკვდი მოკვდი მოკვდის“ უფრო ჰგავდა. დაიჭყივლებდა და ზედიზედ სამჯერ გადააყოლებდა სახრეს ზანტად მიმავალ კამეჩებს. მათი კანი კი, სავარაუდოდ, იმდენს არაფერს ატარებდა ტყავქვეშ, ცოხნა რომ შეეწყვეტინებინა მათვის. დუშმორეული პირუტყვის ზოზინისა და სიბრაზისაგან არ იშურებდა დიალექტზე მოქცეულ მჭახე მოსართავებს და მთელ თავის უგვან ცოდნას დებდა ყოველ მომდევნო დაჭყივლებაში. ღმერთმა შემინდოს დავფიქრობდი, როგორ შეიძლებოდა ასეთ ხმიანი კაციპატიოსანი ყოფილები. მისდევდა საქონელს და წაბლისფერი თმა არასდროს უტოკავდა, თავზევე დაწებებოდა და ზეთდაღვრილივით ულაპლაპებდა მზეზე წითლად. კვამლავარდნილ ხმაურიან ბურუსში გაეხვეოდა და კიდევ დიდხანს, ექოდ ისმოდა მისი სირენა.

ერთი მისი მეგობარი დიდად არ მომწონდა. ქერა იყო, წლის განმავლობაში დღეში, სულ მცირე, ორჯერ ნახმარი ცოცხივით. ისეთი შიშველი, მასზე ერთი თვალის შევლებაც კი ერთიანად წარხოცავდა ყველაფრის სურვილს. დიიდი იყო და მოხდილ თეძო-მკერდზე შესანიშნავად ეტყობოდა თავისი ავლა-დიდების მეტისმეტად ვულგარული ცოდნა.

ან კაცებზე საუბრობდა, ან ხელოვნების გავლენების შესახებ საზოგადოებაზე, მაგრამ, რატომდაც და საბოლოოდ, საზოგადოების მთავარ წევრებად მხოლოდ მამაკაცები გამოჰყავდა და პარალელები იმდენად ლოკალური ხდებოდა, რო მახმახი, თევზის, ნივრის და კიდევ ვინ იცის, რით გაუღენ-თილი მეჯოგე დოროთეს სუნი ოთახ-

შივე მცემდა. საუბრობდა კაცებზე და ამ დროს ყოველთვის იმდენს ეწეოდა, ოთახში სქელი ნისლივით წვებოდა კვამლი. „სრული ვაკუუმია ასეთ ადამიანთან ურთიერთობა“, გავიფიქრე და მისი სტუმრობის პირველივე წუთიდან სამწევრიანი ოთახი უადამიანო სივრცე ხდებოდა ჩემთვის, ჩუმი და დახშული. მიკვირდა ლიდიასი.

ჩემს ხატვაში გაიწაფა, ტექნიკა დახვეწა. ადრე თუ საათებს ანდომებდა დეტალების გამოყვანას, ახლა კუნთების მახსოვრობაში გადაეზარდა. ვაკვირდებოდი და რაც ამ ხნის განმავლობაში აღმოვაჩინ ის იყო, რომ კარგად შესწავლილ ნივთებს – პირჩამომტკრეულ დოქებს, თიხის დაბზარულ ჯამებს, გასაფორმებელ ჭრელ ქსოვილებს და სხვა მრავალთ, „თავის“ ადგილს უჩენდა. ჩემი დროც დადგა და გადამასახლეს კიდეც. ოლონდაც სხვა ნივთებივით არ გავმქრალვარ ოთახიდან – კარადაში განვაგრძე ცხოვრება, კეფით კარისკენ. ბოლოს კი მამამისის „ციმბირულით“ დამხურა. ჩემს სიმუნჯეს სიყრუე-სიბრმავეც შეემატა. თავს იმით ვინუგეშებდი, რომ მისმა თითებმა და-მიმახსოვრეს და იქ განვაგრძობდი არ-სებობას.

ველოდი და ველოდი და ყველა ღამე მახსენდებოდა. ის ღამე, როცა ბრის პატარა თაროზე უხერხულად დადებული პირდაპირ მის საწოლში ჩავგორდი, საბის პირს კი მისი მოტკბო სუნია სდიოდა. მისი ყელის ცხელსა და რბილ კანს მივეყუდე; მახსენდებოდა სავსე სხეულის გასაგიუებელი რძისფერი, შემცივნებული მკლავების აბურძეგლული ბუსუსები, მრგვალი მხრები, მკერდზე დაღვრილი თმა, ვარსკვლავებივით დაყრილი ღია ყავისფერი ხალები და კიდევ რამდენი, რასაც ვერასდროგავ-ცემ... მეგონა, თუკი იმ პირვანდელი ფორიაქით გავისენებდი, იგრძნობდა და მობრუნდებოდა. თუ არ დამხატავდა, სუვენირივით მაინც მომიჩენდა ად-

გილს რომელიმე კარადის თავზე. არ მოდიოდა და თანდათან ვრწმუნდებოდი, დავავიწყდი. „ეს უკვე მეტის მეტია. ასეთი წყველაც არ არსებობს!“

რა უნდა იყოს იმაზე შემზარავი, ვიდრე იმის აღმოჩენა, რომ ვერაფერს მიიღებ, ვერც ითხოვ, აღარც გაგიხსენებენ და ერთადერთი დაჩიქილი ნატვრაც ფუჭდება – შეგეჩვიონ მაინც, იმ იმედით, რომ ჩვევის უარყოფა თითქმის არ ხდება. ეს ბოლო ბუუტვაც რომ მიიღია, მაშინ ერთ რამეს მივხვდი და გადავწყვიტე კიდეც – დროა, შეამჩნიოს ჩემი ტკივილი! „დროა, დაისვენო“. ის გადავწყვიტე, რაც შემფეროდა, რაც ღირსეულ დასასრულს შეჰქონის.

ცუდი არა ვარ, ღმერთმანი.
უბრალოდ, მიმატოვა და დამივიწყა.

IV

ყოველი სეზონის მოსვლას ვგრძნობდი. მდუღარე შუადღე იცოდა ზაფხულში სოფელმა და იმ დღესაც მეთოთხმეტე მარტოსული ზაფხული იდგა. მინდოდა, ეს უშველებელი ქუდი ვინმეს მოეხადა. სუნთქვა მჭირდებოდა. ფიქრში ვარ და ვიღაცამ კარადის კარი კი არ გამოაღო, გამოგლიჯა. კისკისი შემომესმა.

„ – ბავშვებო, ნახეთ, რამხელა ქუდია. ბაბუასია. მოიცა, აქ სხვა რამეებიც ექნება ბებოს დამალული“, – ტკბილეულებს ეძებდნენ, ალბათ. მოხადა და ჰით, მისი რეაქცია... რა დამაგიწყებს ამ ამოხავლებას. ბავშვში უფრო ცნობისმოყვარეობა ძლევს ხოლმე შიშს და ამანაც, ქუდზე რომ არ გაუშვია ხელი, ისე დამადო და შემომატრიალა. ატყდა წივილ-კივილი. „დედა დედას“ ძახილით გაცვივდნენ ოთახიდან. გამატარა ყვითელმა სითბომ. და ისიც ამოვიდა, ლიდია. ვიცანი, საკმაოდ შეცვლილიყო, თუმცა ძველი მიზიდველობა კი შემორჩენოდა. როგორ გამიხარდა მისი დანახვა! შემძლებოდა ტირილი. ეს იყო ცრემლი, რომელიც ვერ ვიტირე. არ მი-

ფიქრია, რომ ჩემსავით გაუხარდებოდა მასაც ამ წლების მერე, მაგრამ ასეთ გადაფითრებასაც არ ველოდი. თვალ-გაფართოებული, ტუჩდანვრილებული, ნესტოებდაბერილი. უცხოსავით მიყურა ერთხანს. შიგ „თვალებში“ გამიყარა თითები, ხელისგული შუბლსა და თხემზე გადამაჭდო და ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. ისე მიჭერდა, კინალამ ამომამტვრია. დედამისთან მიიჭრა „ჩქარა პარკის“ ძახილით. ვერაფერი იპოვეს. სულ ჩვეულებრივიც კი. ვერაფრით მიუხვდა დედამისი, რა აღელვებდა, ასე ძალიან. „აი, დედა!“ – მიუგო და დამატრიალა. მოხუცმა, აქამდე არ იცოდი, ეს აქ რომ იყო, რამ გაგაოცა და შეგაშინა ახლაო. ლიდიამ ამოთქვა ყველაფერი, ყველა სიზმარი ჩემი მონაწილეობით. უთხრა, როგორ ესიზმრებოდა ჩინჩხისი, რომელიც დამარხვას ევედრებოდა; უთხრა, რომ ათასჯერ მაინც მივიდა მოძლვართან, ვის კითხვაზეც, რამე სხვისი ან საკუთარი საგვარეულო ნივთი ხომ არა გაქვთ საეჭვო ისტორიის მქონეო, ვერაფრით სცემდა პასუხს, საერთოდ ვერ მიხსენებდა თურმე. წირავდა. მოძლვის სახეც ისეთივე იყო ჩვენს დანახვაზე, როგორც გზად შემხვედრი თითოეული ადამიანის. ანიშნა, რამდენიმე წუთში მოვრჩებიო. აღასრულა დ აესაუბრა. ლიდია მიხსენებდა ყველა სიზმრიდან. მოძლვარმა ჩემზე მიუთითა – ეს იმას ნიშნავს, დაუმარხავი მიცვალებული გესვენოს სახლში და ასე ანამებდეო. დღესვე გადავგზავნი თბილისში, რომ დაადგინონ, ვისია, რა დაემართაო. „დაბრუნებულზე“ კი ჩემი დაკრძალვა გადაწყდა.

გადამგზავნეს, „დამადგინეს“, გადმომგზავნეს – ბევრი ვერაფერი. დილის ექვსზე გადაწყდა წესის აგება, „ლამეა მაგ დროსაც“, მაგრამ ვინ გისმენს. ალბათ, მათ უკეთ იციან. ილოცეს. „მოვედით, უკანასკნელად ამბორ-ვყოთ მიცვალებულს, ვმაღლობდეთ ღმერთსა“ –

ამ ხმაზე პირველად და უკანასკნელად მაკოცა... რა თქმა უნდა, აგონია მეორედ არ მქონია, არც ერთ სიზმარში არ ჩავრცელვარ მას მერე. მისი თვალები, მისი სველი თვალები. მადლიერი ვიყავი. ჩავიტანე ბოლო ზაფხული. დავისვენე. დაისვენა ჩემმა სულმა.

ჩემი დღეები იყოფოდა დამეებად, რომელთაც დაბნელების მერე ვთხობდი. მაგრამ იმ დღეს არ დაღამებულა. ვერც დაღამდებოდა. წესს ღამის ექვსის მერე არ უგებენ მიცვალებულებსო. ექვსის მერე ხომ ყველა ჩემნაირი ცოცხალი კადავერინია. ბიძაჩემის საფლავზე დედაჩემი ექვსის მერე არ მიშვებდა. თურმე, სამ მეტრს აქეთ უნდა ამოეღნია ხრნის მოთბო ჰაერს, რომელიც ვერ იქნებოდა სასიკეთო ჩემი სათუთი ორგანიზმისთვის. ამ სიღრმიდან რა გამოაღწევინებს - მეთქი, მაგრამ

დედის ჭეშმარიტება მაშინ ვირწმუნე, როცა გამქრალმა სახეებმა ცოცხლებივით დაიწყეს სიარული ჩემ წინ. მე კი, რა უნდა ვთქვა ჯერ არც მიწა მფარავდა და არც სამი მეტრის სიღრმე.

სახელი მხოლოდ იმ ხმოვნებისა თუ თანხმოვნების კომბინაცია არ არის, რასაც გარქმევენ. უფრო მეტია, ვიდრე ასოების გვერდიგვერდ დგომა. უფრო ადამიანის მეტაფიზიკური შინაარსია. ის შეიძლება იყო ან არც იყო, როგორც მე, ვინც, ბევრის მსგავსად, საოცრად ლაკონური აღნერილობა და საერთო ისტორიის ერთი გაბმული აღმოხდომა დავრჩი:

„ეროვნება – ებრაელი;
სეესი – მამრობითი;
სიმაღლე – 175-178 სმ.
40-იან წლებში მოკლეს გაზით“.
ლიდიას ხმაზე თენდება ღამე.



ლებიუტი

კიტა ცხომარია

●

მატარებელმა ჩემი სოფლის ძველ,
მიგდებულ სადგურში დამტოვა
და ღამედ გადაიქცა.
სადგურში ბებია დამხვდა.
შავები ეცვა, ამიტომ მხოლოდ
სახე და თითები მოუჩანდა სიბნელეში.
რთული სათქმელია, რომელი უფრო
ძველი, უფრო მიტოვებული იყო –
ბებია თუ სადგური.
ლმერთო, ნეტა, ბოლოს როდის დავურეკე?
რელსებს გავუყევით.
ბებია მეუბნებოდა: ყველა ადამიანი
მატარებელს ჰერს, რადგან ჩვენც
მიუუყვებით ჩვენს ცხოვრების რელსებს
და მატარებელივით გადახვევა არც ჩვენ შეგვიძლია,
ეს ბედისწერაა.

შემდეგ ჩვენმა ცხოვრების რელსებმა სახლამდე მიგვიყვანა.
გზა გრძელი იყო,
მისი ნაფეხის დათვლით ვირთობდი თავს.
მახსოვს, ბებიამ მასწავლა
გადაჭრილი ხის ასაკის დადგენა:
მითხრა მასზე რგოლები უნდა დათვალიო.
ახლა კი თვითონ ბებიას ვუთვლიდი რგოლებს სახეზე.
ოთხმოცდასამი წლის აღმოჩნდა.
მეორე დღეს სასაფლაოზე წამიყვანა.
ვის საფლავზე მივდივართ-მეთქი,
არ მიპასუხა.
უბრალოდ, ბალახის მოგლეჯას შეუდგა საფლავზე,
მეც მივეხმარე.
მთელი დღე მუხლებზე ვიდექით და
ხელით ვპუტავდით სარეველებს.
შემდეგ საფლავის ღობეც შევღებეთ

და როცა ყველაფერს მოვრჩით,
 ბებიას ისევ ვუთხარი: ბებო, ვისი საფლავია ეს?
 მან შემომხედა, საფლავის ქვის წინ დაწვა
 და მითხრა კვერცხი გადამაგორეო
 და მივხვდი, რომ მე ბებიას საფლავზე ვიყავი.
 ცრემლებს გაჭირვებით ვიკავებდი.
 ბებიას სარეველები სახეზე მოედო,
 ნახევარი ტანით უკვე მიწაში იყო.
 ბოლოს მითხრა: შენ გელოდებოდიო.
 მაპატიე, ბებია,
 მაპატიე, ბებია.
 ბებია უკვე სარეველად იყო გადაქცეული,
 ამიტომ ვერ მიპასუხა.
 შემდეგ კი, როცა ქარმა დაუბერა
 და სარეველები აშრიალდნენ,
 მე მივხვდი, რომ მან მითხრა:
 გპატიობო.

ჰაიკუ

შენ გაქვს თვალები
 და ხედავ ყველაფერს, საკუთარი
 თავის გარდა.
 დახუჭე თვალები და დაინახავ
 ვერაფერს, საკუთარი თავის გარდა.



პუპი ჩვენი თუთიყუშია.
 წინა თუთიყუშსაც პუპი ერქვა,
 იმის წინასაც.

იმ დღეს
 ვუყურებდი მამას
 და ვფიქრობდი,
 რას ნიშნავდა „ოჯახის უფროსობა“.
 შემდეგ მივხვდი,
 რომ არც სქესი არაფერ შუაშია,
 არც ის, თუ ვინ არის „შემომტანი“.
 ოჯახის უფროსი არის ის,
 ვინც გარდაცვლილ თუთიყუშს მარხავს.

პუპი ჩვენი თუთიყუშია.
 წინა თუთიყუშსაც პუპი ერქვა,
 იმის წინასაც.

ქუჩები სეირნობენ ჩვენზე,
მათთვის ჩვენ ვართ უძრავი ადგილები,
თვითონ კი მოივლიან მთელ კაცობრიობას.
წვიმის დროს გარბიან და
კიბეებთან კოცნიან ერთმანეთს.
ბავშვები კი არ თამაშობენ ქუჩაში კლასობანას –
ეს თავად ქუჩა თამაშობს,
დახტის ბავშვების ფეხებზე.

●
ძვირფასო,
რაც დაორსულდი, მას შემდეგ
ალპინისტობა მხიბლავს.
მომწონს, რომ ვიპყრობ
შენს მუცელს – მთასავით ამოზრდილს.

შენი სხეული უკვე
მთელი ლანდშაფტია:
სტეპებად გადაშლილი ბოქვენი,
ზღვასავით მარილიანი ტუჩები.
შენს თმაში, როგორც უსიერ ტყეში,
ისე ვიკარგები, ვცურავ იმ ცრემლებში,
ორგაზმით რომ განიჭებ და
შენს კისერზე ვეფიცხები მზეს.
შენი მუცელი
ნიუ-იორკის ტყუპი ცათამბჯენებივითაა
და თუ ეს ბავშვი მოგმორდა და
11 სექტემბერი მართლაც დადგა,
არ დაიწუნუნო.
რადგან ქალები 9 თვე ზიდავთ ბავშვს მუცლით,
კაცები კი მთელი ცხოვრება ვატარებთ კომპლექსს,
რომ ეს ჩვენც არ შეგვიძლია.

სახლი, სადაც არ მელიან

სახლს, სადაც არ მელიან,
ზღვაში კენჭის სროლის მანძილზე
ოდნავ გრძელი აივანი აქვს.

პირველი სექსივით მოკლე
და სამარცხვინ საძინებელი.
აქაურობა ჩემი ბიჭობისდროინდელი

წამოზრდილი წვერივით მახინჯია,
თიკას მკერდს ჰგავს,
ერთხელ რომ მომაკიდინა ხელი
ქიმიის გაკვეთილზე.

უფანჯრო სახლია,
მაგრამ დილით
მაინც გრძნობ ბოქვენზე მზეს.

მეძავის კაბის ზომა აივანი
კი მაგისტრალად გადაიქცევა ხოლმე
მოწევის დროს.

სახლი, სადაც არ მელიან, ავარიულია –
სამხრეთის კედელი
მოხუცის ყავარჯვნებს ეყრდნობა.

გადახრილ კედლებზე შპალერი
ბებიაჩემის მკერდივით
მომჭკნარი და ჩამოშლილია.

აქ დედაჩემზე მოგონებები ცხოვრობს,
დედაჩემი მკვდარი არაა.
აქ ცხოვრობს ლეკვი,
რომელიც მე და ჩემს დას
ყოველთვის გვინდოდა, რომ გვყოლოდა,
მას ჰეკლერი ფინი აჭმევს ყოველდღე.

როცა მზე გამოანათებს,
მხოლოდ მაშინ თუ გამოჩნდება ხოლმე
ჩემი ყმაწვილური ვნებები,
ლტოლვა ქალის საშოსი.
და ეს მოგონებები მტვრის ნაწილაკებთან ერთად
სარეცხი თოკითაა გადაბმული.

ეს არის სახლი, სადაც არ მელიან
და კბილის ჯაგრისი ისევ იქ დევს, სადაც დავტოვე –
უფანჯრო სახლის ჩრდილოეთ კედელთან,
რომელსაც მზე ყოველთვის ანათებს.



წვიმაზე დედა მახსენდება ხოლმე.
დედა სულ რეცხავდა.
ჩემი ბავშვობის მოგონებებში
დედა ყოველთვის რეცხავს.
„პარაშოკს“ ყრის დაუანგულ ტაშტში

და ხელის მუჭებს ერთმანეთს უსვამს.
მე მივდიოდი დედასთან
და ვუყვებოდი, იმ დღეს ბალში რა გვაჭამეს,
ის კი რეცხავდა.
შემდეგ, სკოლაში რომ
მასნავლებლები დღიურში
სულ ხუთიანებს მიწერდნენ,
ის კი რეცხავდა.
შემდეგ იმ გოგონებზე ვუყვებოდი, ვინც მომწონდა,
ის კი მაშინაც რეცხავდა.
ყოველთვის მინდოდა, მომფერებოდა,
თმები გადაენია ჩემთვის და ეთქვა,
სახლში არ დაიგვიანოო,
მაგრამ ის სულ რეცხავდა.
ახლა კი, როცა ის მკვდარია,
ყოველთვის, როცა წვიმს,
ასე მგონია,
რომ დედა, ახლა სადაც არის, იქ რეცხავს,
წვიმა კი მისი გაფენილი სარეცხის წვეთებია.

თეიმურაზ ლანჩავა

●
მიწის ზემოთ ვინ დაგტოვებს,
შენც სამარეს გაგითხრიან,
იმ მიწაში დაგმარხავენ,
სადაც მეფე დავითია.

სადაც რუსთაველი სახლობს –
წაიყრიან მიწას ძვლები,
მთავარია, მოახერხე
და სიკვდილი შეიძელი.

ხარ სიკვდილშიც ბედნიერი
(რასაც ვამბობ, ჩვენში დარჩეს),
ზოგი სიკვდილამდე კვდება,
შენ სიკვდილი გადაგარჩენს.

●
შენა ხარ ჩემი დიდი სიზმარი
და მოლოდინი სიზმარში სახლობს,
გამოქცეული უმადურობას,
დასახლებული ტკივილის ახლოს.

გამოვიზამთრე წელსაც ღრუბლებში
და როცა ფრთები ცას შევატოვე,
დამრჩა იმედად შენი ნუგეში,
მონანიება და სიმარტოვე.

●
ახურავს ქალაქს ღრუბელი წვიმად,
რომ მოლოდინი ათქვიფოს მტვერში
და მახსენდება, დიდი ხნის წინათ
როგორ ვეძებდი სიყვარულს თქვენში.

თქვენ კი ხუჭავდით თვალებს რატომლაც,
არ დამენახა, არ მეგრძნო ფიქრით...
რად მიმალავდით სევდას, სინანულს
გაბრწყინებული თვალების იქით.



ბავშვი ოთახში ქოლგას მახურავს,
ჭერი გვაქვს, მაგრამ ვერ გვშველის ჭერი,
გამოქცევია წვიმა სახურავს,
მოუხატია სისველით ბჭენი.

მხატვრობა წვიმის უკვირს პატარას,
უკვირს, ვერ გვიცავს რადგან კრამიტი,
დაუკითხავად სახლში შემოდის
აჯანყებული სველი ამინდი.

ვზივართ ქოლგის ქვეშ, შიშით შევცერით
დროით დაბზარულ ბებერ კრამიტებს,
შევცქერით ზეცას იმის იმედით,
რომ უსათუოდ გაიამინდებს.



დამიზამთრდება ისეთ დროს,
გაზაფხულისთვის ვწვალობ,
შემეშველები, მპატრონობ,
გებრალები და მწყალობ.

ისევ თავიდან იწყება
მოლოდინები ხვალის,
ბებერი ქედი ირწევა
უღელდადგმული ხარის.

ცოდვა-მადლისგან დაღლილი
დამძიმებული ქედით
მივათრევ დროს და საფიქრალს
უმადურობის გვერდით.

დაწყვილებული სიკვდილთან
სიცოცხლისათვის ვწვალობ,
გმადლობთ, უფალო, ჯერ კიდევ
არ გამიმეტე, მწყალობ.



ხომ არ დაგტოვათ მოლოდინმა გარეშე ფიქრის,
ცრემლები თქვენი სინანულში ხომ არ გაწვიმდა,
როგორც მახსოვესართ, ისეთივე ბრძანდებით თითქმის,
ესაა მხოლოდ, წლები დროში გადანაწილდა.

მოგონებებით გაზაფხული შემოგენთებათ
ატმის ყვავილით, სინარმტაცით, უამრავ ფერით,
თქვენ უსათუოდ სიყვარულის ვალი გექნებათ,
ბევრმა ზამთარმა გაზაფხული შეიგრძნო თქვენით.
ვალში ვარ თქვენთან, რომ მიყვარდით, რომ გამიხსენეთ,
რომ მიმაჯაჭვეთ თქვენს სიმშვიდეს მთელი არსებით.
მთელი ცხოვრება ჩემ გარეშე რომ არ ისვენებთ,
მადლობელი ვარ, სიპერის დროს რომ გაგახსენდით.



მე სიკვდილი შენს თვალებში
სიკვდილამდე დამინახავს,
შენ გარეშე უშენობა
სინანულში დამიმარხავს.

ვტიროდი და ვერ ხედავდნენ,
გულის ვარამს დროს ვატანდი,
შავი მეცვა, შავს უცექერდი,
გამხნევებდი, თოვლს ვხატავდი.

თოვლი დადნა, ცა გაწვიმდა,
მინიერი გადამწვანდა,
სატკივარი განაწილდა,
აღარაფრის აღარ მწამდა.

ახლა ციდან დამცექერი და
გინდა, მონატრებად ვლირდე,
ჩემი ფრთები შენ წაიღე,
როგორ უნდა ამოვფრინდე.



სიტყვას ვთეს და სიტყვას ვიმკი,
სიტყვა სულის წამალია,
სიტყვის აქეთ სამოთხეა,
სიტყვის იქით წკარამია.

ვაჩუქურთმებ, სიტყვით ვაგებ
თვალუწვდენელ ღვთიურ ტაძრებს,
სიტყვა იბოგინებს, გასძლებს,
კლდეს დუმილი ჩამოაქცევს.

ვკვდები, სიტყვა მიმაცილებს,
სიტყვაში ვარ, ვცოცხლობ როცა,
რაც დუმილმა წარიტაცა,
დამიბრუნა, სიტყვამ მომცა.

სიტყვით ვმეფობ სიტყვის მონა,
სიტყვის იქით ვიმზირები,
წყალშერეულ ქვიშასავით
სინანულში ვიზილები.

და ხმაურობს სიტყვა მსუყე,
სიტყვა ტკბილი, სიტყვა მკაცრი,
სიტყვას განსაცდელში ვფანტავ,
სიტყვას არაფერში არ ვცვლი.

ვიმორჩილებ სიტყვის კაცებს,
ვმოსავ უსათნოეს ფიქრით,
არაფერი არ არსებობს
უკეთესი, სიტყვის იქით.

სიტყვა მარადიულია,
ფერს არ იცვლის, არ ხავსდება,
რაც დრო გავა, იხასხასებს,
ერთიორად დაფასდება.

საკუთარ თავს სიტყვაში ვცვლი,
სიტყვით ვაცოცხლებ და ვმარხავ,
თუ ისურვებ, დამაკვირდი
და სიტყვაში დამინახავ.

გელა დუმბაძე

მე ვარ შხარა

მიხეილ ხერგიანის ხსოვნას

მე ვარ შხარა – მწვერვალი, ამაყი და ალმატებული! მიწისა და ზეცის შუამავალი, მრავლის მომსწრე და ბევრის მნახველი, სახენაიარევი და სხეულდასერილი, მრავალნაძალაყინარი... მხოლოდ ნისლია ჩემი მეგობარი და გულის მესაიდუმლე, მზე და მთვარე – მთავარი განმსჯელები, ცას გაბნეული ვარსკვლავები – მოწუგეშენი, ადამიანი მუდამ მოუსვენარი და შემაწუხებელი...

თავზე არავინ დამისვამს და არასდროს გამითამამები!.. და მეღიმება – მათ ასე რომ ჰერინიათ. ვინც ამოვიდა, მე ამოვუშვი, ისიც ყველა ჩვეული გზით – ჩემი ზურგის გავლით. ისიც იმიტომ, რომ მაშინ კარგ გუნებაზე ვიყავი და ასე მინდოდა, ასე მნებავდა, ასე მსურდა!.. ბევრიც შევინირე, დავლუბე! აკი ვაფრთხილებდი, ვთხოვდი მათ, არ მომკარებოდნენ! ხან ქარბუქს ვუგზავნიდი, ხანაც გაუსაძლის ყინვას, უანგბადსაც ვუსპობდი, მაინც მოდიოდნენ... ზოგის სიკვდილს ვნანობ, ზოგისას – არა... მაგრამ ყველა მათგანი მახსოვს! გარეგნობით და სახელებითაც. ყველა მათგანმა დამიტოვა სამახსოვროდ: ჩაჭედილი ფოლადის სოლი ან გადამტვრეული ძალაყინი, ზოგმაც კი ჩემს გაყინულ უბეში – საკუთარი თავი. მაგრამ არავინ და არასდროს მიმშვია ჩემს ჩრდილოვან ბეჭიზე, ხალხი

დამრეც კედელს რომ ეძახის – ბევრი ეცადა და ცუდად, ძალიან ცუდად დაამთავრა.

მრავალი დღე იყო ერთმანეთის მსგავსი და მცირედ განსხვავებული. მერე ეს მცირე განსხვავებაც გაიწოვებოდა ხოლმე და მოგონება ბუნდოვან ნისლად მრჩებოდა...

ერთი რამ მახსოვს მუდამ, დღემდე არ მავიწყდება... ეს მცირე ნაჭდევია ჩემს ბეჭიზე... არა ძალაყინის, არა კბილანა ჩემის და არა ძლიერი ხელის... ნაჭდევი, საიდანაც სისხლი გამუდმებით მდის და მუდამ მახსენებს იმ დღეს...

...შეუჩნდნენ! არ მოასვენეს: – მიდი, გაბედე! სად არ ყოფილხარ, სად არ ასულხარ კლდის ვეფხვო! – მას კი ეღიმებოდა... მიდი, გაბედე, ყველა შენთან ვართ! ისმოდა რამდენიმე დღე უწყვეტად, გაუთავებლად. მას კი ეღიმებოდა... მიდი, გაბედე! შხარას ამაყ ბეჭიზე შენს გარდა ვერავინ გაივლის. დამრეც კედელზე ცალი თითოთ დაკიდება ხომ შენი მოგონილია, მიხეილ!

ბოლოს დათანხმდა... დაძლია ის უჩვეულო გრძნობა, ჩურჩულით რომ ესმოდა სიყმანვილიდან: მხოლოდ აქ არა, ამ გზით არა! – ეჩურჩულებოდა უხილავი ხმა. ის კი იდგა და მუდამ ამაყი მწვერვალის ჩრდილოვან ფერდობს შესცექროდა – იმაში ღრმად დარწმუნებული, რომ ეს ხმა

სწორედ იქიდან – გულიდან მოდიოდა...

...კარგი ამინდი მოულოდნელად შე-იცვალა. მაინცდამაინც მაშინ, როდესაც ორი დღის შემდეგ, როგორც იქნა, დამ-რეც კედელს მიადგნენ. რვანი იყვნენ: ის – „ვეფხვი“ და შვიდი სხვა: ნარჩე-ვები, ტოლები, თხელ-თხელები და თა-ნაც ჩასკვნილები! მოდიოდნენ ჯიქურ, წარბშეუხრელად და ლალად! – ეს საქმე თუ არ გახარებს, გლლის ან გთრგუნავს, ხელიც არ უნდა მოვკიდოო – ამხნევებ-და მეგობრებს წინამძღვარი.

დაეკიდნენ, გაიტრუნენ... თოკები მოსინჯეს – თოკები, ყმაწვილობიდან ერთმანეთის სიცოცხლეს რომ უკავში-რებდა დიდ და საამაყო საძმოს.

სამოცდაათი მეტრი ორ საათში! ამ-დენზე არავინ მისულა. აი კუთხეც, ნა-თალი და ბასრი, სადაც შხარას ბეჭი მთავრდება და სულ რაღაც ორ ნაბიჯ-ში მწვერვალია!

ცხოვრებაში პირველად გაუჭირდა... ძალიან გაუჭირდა! ერთ ხელზეც დაე-კიდა, მეორეზეც. შემოტრიალდა კი-დეც. ასე, დაკიდებულმა, ბიჭებს თვა-ლებში ჩახედა! – იმედით სავსე თვა-

ლებში... არც ერთი არ იყო მისი ძმა, მაგრამ ყველა ძმაზე უფრო უყვარდა. იგრძნო, რომ ცოტაც და ყველას, ძმო-ბით და თოკით გადაბმულს, თან ჩაი-ყოლებდა!

– ძმებო, ძალა მტოვებს, თოკი უნდა გადავჭრა! – ქამარზე დაკიდებულ ბე-ბუთზე დაიხედა „ვეფხვმა“.

– მიდი, მიდი!.. მიდი, მიდი! – თით-ქმის ერთხმად გაამხნევა ყველამ და რაოდენ გასაკვირია: არც ერთ მათგანს ხმაში სასონარკვეთილების იოტისოდენა ნიშანიც არ ჰქონდა.

კიდევ შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ!

– ძმებო, ორი ხელითაც ძლივს ვკი-დივარ, არაფერია ხელჩასაჭიდი, სარკე-სავითაა ეგ ოხერი!

– მიდი, მიდი! შენ ეს შეგიძლია! – მიდი, მიდი! – გაამხნევეს ძმებმა.

მათი ანთებული, რწმენით სავსე თვა-ლები ელვასავით ბურღავდნენ კლდეს, თითქოს თითის მოსაჭიდი უნდოდათ გაეხვრიტათ ფოლადივით მტკიცე ქანში.

– ძმებოო!.. უნდა გადავჭრა!

– მიდი, მიდი! მიდი, მიდი!.. ლილეეე! ლილეე! – ერთხმად ამოხეთქეს გულიდან



ძმადნაფიცმა სვანებმა. საოცრად დაა-
გუგუნეს: ლი-ლე! – ათას ექოდ გაისმა
მწვერვალიდან გამარჯვების სიმღერა!

შესაძლოა, ეს არნახული ერთსულოვ-
ნება, ძმათა უდრეკი რწმენა, წინაპარ-
თა საბრძოლო სიმღერა იქცა იმ ძალად,
კლდის „ვეფხვს“ სიმხნევედ და ენერგი-
ად, ზურგში რწმენად რომ მიეწია, გული
გაუთბო და გაუძლიერა და მას, ხელებ-
გადადლილს, გადაქანცულს – ბოლომდე
უდრეკ მებრძოლს, – სრულად გამოუვალ
მდგომარეობაში, გაახსენდა ბოლო იარა-
ღი!.. კბილები!



ორიოდ წამში აბსოლუტურად დამ-
შვიდდა, მოეშვა... საბოლოო ძალ-ღონე
მოიკრიბა, ხელებზე მიიზიდა და კბი-
ღებში გამოცრა – ლილეე!.. და... ოც-

დათორმეტი კაჟივით „ვეფხვის“ ბასრი
კბილი ბეჭებში ჩაასო შხარას!..

ისხდნენ მწვერვალზე, მზით გამთბარ
ღრუბლებს ამაყად გადაჰყურებდნენ ზე-
მოდან. ისხდნენ და ერთმანეთს უღიმოდ-
ნენ... სიამაყესთან ერთად, გულის სიღ-
რმეში ემადლიერებოდნენ შხარას, რომ
მან განსაკუთრებული პატივი დადო და
მწვერვალზე ამ გზით ამოუშვა!.. და იქ
არასდროს დაბრუნებულან...



მე ვარ შხარა – ამაყი და აღმატე-
ბული! მიწისა და ზეცის შუამავალი,
მრავლის მომსწრე და ბევრის მნახველი,
სახენაიარევი და სხეულდასერილი, მრა-
ვალ ნაძალაყინარი, მხოლოდ ერთხელ
დალაშქრული... ბეჭზე ნიშანდასმული!

არდაშელ თაქთირიძე

სიმდიდრე

გასულ წელსა, რომელიდაც უურნალში, თვალი მოვჭერი მსგავს გამონათქვამებსა, რომელზეც დავწერე ეს მოთხოვბა.

ქალაქ ტიფლისის აღმოსავლეთით, 120 ვერსის მანძილზედ, შუა კახეთის ერთ დაცემულ ადგილას, საგვარეულო სასახლეში, ცხოვრობდა დიდი თავადი, ეჯ დავით თათქარიძისა – ანდუყაფარ. მის მამულს სამხრეთით მდინარე ალაზანი ჩამოუდიოდა, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი გადმოჰყურებდა, აღმოსავლეთით ვახვახიშვილების საგვარეულო მამული ესაზღვრებოდა, ხოლო დასავლეთით, ძმის – ქაიხოსრო თათქარიძის მამული, რომელიც პიძის – ლუარსაბის, უშვილძიროდ გადაშენების შემდეგ დარჩა.

მდიდარი იყო ანდუყაფარ, მის მამულში 120 კომლი გლეხობა მუშაობდა. 400 დღიურ მინაზე პური მოჰყავდათ, 200 დღიურზე ზვრები იყო გაშენებული, ხოლო 100 დღიური მინა ხეხილის ბალს ჰქონდა დათმობილი და კიდევ მცირე ნაკვეთი ბოსტანს ეკავა. ანდუყაფარის ბეღელზე და მარანზე ლეგენდები დადიოდა. პური, ღვინო და ხილი იმდენი მოსდიოდა, რომ მთელს ტიფლის ამარაგებდა. სოლოლაკში, პურის მოედანზე, დახლები მისი იყო, ჰავლაბარში, ღვინის აღმართზე კი, ყველა სირაჯი ღვინოს მისგან ყიდულობდა.

ანდუყაფარის მამულში, ცხვარ-ძროხას ვერ ნახავდი, რადგან დედა-მისს – დიდ კნეინა ელისაბედს, საქონ-ლის სუნი ალზიანებდა. სასახლე ხორ-ცითა და რძით, ნამჯის საფასურად, ქაიხოსროს მამულიდან მარაგდებოდა, ხოლო თევზის ალაზანში იჭერდნენ. გა-ზაფხულზე წინასწარ ყიდულობდნენ მოსავალს ვაჭრები. წლიური შემოსავა-ლი 60000 თუმანს შეადგენდა. ოქროს თუმნიანებს დიდ სკივრში ჰქონდა მი-ჩენილი ადგილი, რომელზეც თვით ან-დუყაფარს ეძინა.

სიმდიდრეს მოაქვს ქედმაღლობა

ჩყპგ წლის მკათათვის ცხრასა დიდ-მა თავადმა, ანდუყაფარმა, კაცი გაუგ-ზავნა თავის ძმას, ქაიხოსროსა:

– ბიჯო, გადმო ჩემთანაო!
– რა გინდა, ვეუოო! – საღამოს მო-აკითხა ქაიხოსრომ.
– რო დაგიძახე, რატომ მაშინვე არ გადმოხველო?!

– არ მეცალაო!
– რას მიკეთებდი, შე უსაქმუროო!
– რატომა ვარ უსაქმურიო? – ჰკით-ხა ქაიხოსრომ.

– მე ნამჯას რო არ გაძლევდე, სა-ქონელი შიმშილით დაგეხოცება და სა-ერთოდაც, ეგ მინა ბიძაჩემმა, ლუარ-საბმა მე დამიტოვაო!
– რაებსა ბოდავო?!

– 300 დღიური მიწა გადმომეცი და შეხვედრისას ხელზე მეამბორე ხოლ-მეო!

- რომ არ მოგცეო?
- ძალით წავიღებო!
- მაგასაც ვნახავო! – კარი გაიჯა-ხუნა ქაიხოსრომ.

ქედმალლობას მოაქვს ომი

– მე შენ გასწავლი ჭკუასო! – და-რაზმა ანდუყაფარმა გლეხები, ერთ ლა-მეში ღობე გადააწევინა და ძმის მამუ-ლის ნახევარი მიიერთა.

– ეგრე არ უნდაო! – ხორბლით და ლვინით დატვირთული ურმები თავის მამულზე არ გაატარებინა ქაიხოსრომ. ვახვახიშვილმაც უარი შემოუთვალა გზის მიცემაზე

– შენმა ძმამ გაგატაროსო!

გაბრაზდა ანდუყაფარი, ხორბალი სალაფავად მოახარმევინა, შიგ თაგვის წამალი გაარევინა და ღობიდან ძმის ეზოში გადააყრევინა. ჭამა საქონელმა სალაფავი, დაიხოცა ერთმანეთის მიყო-ლებით. არც ქაიხოსრო ჩამორჩა ძმას, ზედ მკის წინ ცეცხლი წაუკიდა ანდუ-ყაფარის ყანას, ერთ საათში გადაიწვა მწიფე თავთავი, ორი კოდი ხორბალი ძლივს გადაარჩინეს. ბედად, სეტყვა მოვიდა და შემოუსვლელი ყურძენი და ხილი მიწაზე მოფინა.

ომს მოაქვს სილარიბე

ალაზანზედ გააჭიმვინა ანდუყა-ფარმა ბორანი, იქიდან ეზიდებოდა ოჯახში პურს, ხორცს, რძეს, ხილს და ლვინოს. კარგ ცხოვრებას მიჩვეულმა ვერ შეამცირა ოჯახის ხარჯები. ცოტა ხანში სკივრში თუმნიანები შეთხელ-და, კიდევ ცოტა ხანშ სულ გამოილია. დაიწყო შიმშილობა. გლეხებმა დაიწ-ყეს ანდუყაფარის მამულის მიტოვება.

და ვახვახიშვილთან გადასვლა. დაიქცა ოჯახი, გაღარიბდა. მოადგნენ ვაჭრები, ვისაც წინასწარ ჰქონდა ფული გადახ-დილი, აუფრიალეს ცხვირნინ თამასუ-ქები. სახლ-კარს გაყიდვა დაემუქრა.

სილარიბეს მოაქვს თავმდაბლობა

უკან გადმოსწია ლობე ანდუყაფარ-მა, კაცი გაუგზავნა ქაიხოსროს:

- შენი ნახვა მინდა და მიმიღებო?
- ხელზე თუ მეამბორები, მიგიღე-ბო!

გადავიდა ანდუყაფარი ძმასთან, ეამბორა ხელზე.

– მოდი, დავივიწყოთ წყენა და ძვე-ლებურად ვიცხოვროთო!

– კარგიო! – დასთანხმდა ქაიხოს-რო.

თავმდაბლობას მოაქვს მშვიდობა

დამყარდა მშვიდობა ძმებს შორის. გახსნა გზა ქაიხოსრომ. ალარ უწამლავ-და ძმას საქონელს ანდუყაფარი, ალარ უწვავდა ანდუყაფარს ყანას ქაიხოსრო. ალარც სეტყვა მოსულა იმ წელსა.

მშვიდობას მოაქვს სიმდიდრე

კარგი მოსავალი მოუვიდა ანდუყა-ფარს, ყვითლად ბიბინებდა თავთავი, მომკელს ელოდა. შემოდგომაზე ვაზი ოქროსფერი მტევნების სიმძიმით, წელ-ში იგრიხებოდა, ხეხილს მოსავლისგან ტოტები მიწამდე ჰქონდა დახრილი. ისევ მოვიდნენ ვაჭრები, რიგში ჩად-გნენ. სოლოლაკში, პურის მოედანზე, დახლები გაიშალა. ჰავლაბარში, ლვი-ნის ალმართზე, სირაჯებმა ცნობილი ანდუყაფარის ღვინო შემოიტანეს. ისევ გაივსო სკივრი ოქროს თუმნიანებით, ისევ გამდიდრდა ანდუყაფარი, ისევ გა-იშალა ლოგინი სკივრზე.

სიმდიდრეს მოაქვს ქედმალლობა...

კოლექტიური გონი

– დაანებე, ბიჭო, მაგ ტელეფონს თავი და მელაპარაკეო! – უთხრა მამამ ტელეფონში თავჩარგულ შვილს.

– მოიცა რა, ინტერნეტში მაგარი რა-ლაც გავაძრეო! – ტელეფონიდან თავა-ულებლად უპასუხა შვილმა.

– ეგ ინტერნეტი იქნება, რომ დაგვა-მარცხებსო! – ინტერნეტმა როგორ უნდა დაგვამარცხოსო? – ჰკითხა შვილმა და ტელეფონი მაგიდაზე დადო.

– სტადიონზე ყოფილხარო?
– კიო!
– გილრიალიაო?
– მიღრიალიაო!
– გისტვენიაო?
– მისტვენიაო!
– მსაჯისთვის გიგინებიაო?
– მიგინებიაო!
– იმავეს ქუჩაში გააკეთებო? – ჰკითხა მამამ.
– ალბათ, არაო! – მიუგო შვილმა.
– კარგი, მიტინგზე თუ ყოფილხარო?
– კიო!
– ორატორების სიტყვით გამოსვლები მოგწონდაო?

– კი, მომწონდაო!
– ახლაც მოგწონსო?
– არა, ახლა არაო! – აი, მაგაშია საქმე,
ორივე შემთხვევაში, შენ, კოლექტიურ
გონს დაემორჩილეო!

– ეგ როგორო?
– როცა ხალხის დიდი რაოდენობა
ერთი მოვლენის ან იდეის გარშემო იკ-
რიბება, ჩაირთვება კოლექტიური აზ-
როვნება, რომელსაც ყველა მონაწილე
ემორჩილებაო.

– მერე, ეგ ინტერნეტთან რა კავშირ-შიაო? – ჰკითხა შვილმა.


– ახლავე აგიხსნიო! – თქვა მამამ
და სკამზე მოხერხებულად მოკალათდა.

– ცალკე ერთი ჭიანჭველა რომ ავი-
ღოთ, მას ძალიან პრიმიტიული აზროვ-
ნების უნარი აქვს, რომელიც მხოლოდ

ინსტინქტებით შემოიფარგლება, რაც
იმას ნიშნავს, რომ არ აქვს ლოგიკური
აზროვნება, მაგრამ საკმარისია, ჭიან-
ჭველების დიდი რაოდენობა შეიკრიბოს,
რომ უჩნდებათ ლოგიკური აზროვნების
უნარიო!

– მერე, ეგ ლოგიკური აზროვნება რა-
ში გამოიხატებაო?

– სხვა ჭიანჭველებთან საომრად მი-
დიან, და წინასწარ არ იციან, გაიმარ-
ჯვებზე თუ დამარცხდებიან. ირჩევენ ბე-
ლადს, შეიმუშავებენ ომის სტრატეგიას
და ტაქტიკას, ფლანგებად დაიყოფიან
და სხვადასხვა მხრიდან უტევენ მტერს.



ახლა, ვისაც თავს ესხმიან, ის ჭიანჭვე-
ლები ვნახოთ:

– თუ დაინახავენ, რომ რაოდენობით
მტერს არ ჩამოუვარდებიან, ბუდიდან
მოშორებით გადიან და იქ გაშლილ ველ-
ზე ხვდებიან მოწინააღმდეგეს. იმ შემ-
თხვევაში, თუ მტერზე ნაკლები არიან,
ბუდიდან არ გადიან, რომ არ გაიშალონ
და ძალები არ დაექსაქსოთ. ომს იგე-
ბენ ან აგებენ, მოგებულს ალაფი მიაქვს
და ტყვეები მიჰყავს. ამას ინსტინქტით
ვერ გააკეთებენ, ლოგიკური აზროვნება
სჭირდებაო!

– მერეო? – ხუმრობის კილოთი ჰკით-
ხა შვილმა.

– მერე ის, რომ ელემენტარულ აზ-
როვნებებს, გარდა უნარისა, მიღრეკილე-

ბაც აქვთ, რომ კოლექტიურ აზროვნებად გაერთიანდნენ და მას დაემორჩილონო!

— საღოლ, ჭიანჭველები, მაგრამ ინ-ტერნეტთან მაინც ვერ დავაკავშირეო!

— კომპიუტერები და მობილურები, ყველა, ინტერნეტითაა დაკავშირებული, როგორც ჭიანჭველებს უჩნდებათ კოლექტიური გონი და მას ემორჩილებიან, არ არის გამორიცხული, რომ ინ-ტერნეტსაც გაუჩნდეს კოლექტიური გონი და ყველა კომპიუტერი თუ მობილური დაიქვემდებაროს. მთელ საბანკო სისტემას, კავშირგაბმულობას, მრეწველობას, მანქანა-დანადგარებს, ენერგეტიკას და მსოფლიო უსაფრთხოების სისტემას კომ-

პიუტერები მართავენ. შენ წარმოიდგინე, რა მოხდება, ინტერნეტმა დამოუკიდებელი აზროვნება რომ დაიწყოსო!

— რა მოხდებაო?

— ომს გამოგვიცხადებენ და აუცილებლად დავმარცხდებითო!

— ეგ როდის მოხდებაო? — სამზარეულოდან იკითხა დედამ.

— კომპიუტერს ჭიანჭველას აზროვნებამდე აღარაფერი უკლია, მთავარია, ჩვენ არ ვიყოთ ინტერნეტზე მთლიანად დამოკიდებულიო! — უპასუხა მამამ.

ბოლო სიტყვები შვილს არ გაუგონია, რადგან ტელეფონი ეჭირა ხელში და ინტერნეტში იქექებოდა...



დავით შემოქმედელი

...და ფოთლებს იის ახურავთ ქოხი,
ქალწულის დარად ფეთქავს იელი,
დაფენილია ფერადი ნოხი,
ცას სოსნისფერი ადევს იერი.
გზაწვრილზე გარბის გოგო ნინველა,
სხეულში ჩადის ხვევნით ისხარი,
ბლის ტოტზე მოჩანს მტრედი მზისყელა,
აუკენკიათ ჩხართვებს ცისკარი...

მუნჯ მონიტორის მკრთალი ციალი.
თითები ეძებს ნაცნობ კლავიშებს.
სველ ფოთლებს გააქვთ გარეთ შრიალი,
უცხო ხმა თითქოს იქით არ გიშვებს.
იღვიძებს დღე თუ იძინებს ღამე,
ტიკტიკებს გაბმით კლავიატურა,
მეზობლის ბალში კაქტუსებს რგავენ,
ცოლს ისევ უბლვერს ლოთი არტურა.
ინფორმაციის ზუზუნი ავი
კობრას ტანივით აიმართება,
კვლავ ჩამოქინდრეს მოწყენით თავი
სოხუმის პლაჟზე მთვრალმა პალმებმა.
დრო, ეს ელექტრო, ვერ დავამგვანე
იმ წამს – ბალახს რომ ეხვევა თქორი,
შვილის თვალებში არ სძინავს ღამეს
და „ასეივებს“ აწმყოსაც, მგონი.
ვარ უხმოდ ფიქრზე თავდაყრდნობილი,
ეს ლექსიც ძლივსლა ჩამოვამთავრე.
და პოეტაგან უარყოფილი
ცაზე უსაქმოდ ნრიალებს მთვარე...



დილა... პალმების ეროტიკა, სხივი წევს ჭერზე,
სხეულის ყოველ უჯრედ-ნერვში სინორჩით თბილა,
ზაფხულის სიო ეფერება ლამპიონს ყელზე
და ზღვის საშოში მზე კვარივით ჩამოლვენთილა.

ეს გაზაფხულიც დაითვრება გვალვებით, მგონი,
ბინდების გრილოს მე მოგიტან – სიტყვას დაენდე,
ფიცმიჯნურების ვერ მოვირგეთ ვერაფრით როლი,
იები, ნახე, ცვრების კოცნას როგორ დანებდნენ.

ერთ ზიარჭურჭელს ვეზიაროთ, დრო არის სანამ –
ვერ იქნებიან ცა და მთვარე ასე უბრები –
ვალაგებ ფურცლებს, ვხურავ კარს და ვიფარებ საბანს
და ძილწართმეულ სიზმრებიდან გესაუბრები...



სულეთის კართან მელოდე, დედა,
საცაა გაწყდეს თოკი ლოდინის,
ეს რა გულსევდა დღე დამებედა,
დამძიმებულა დარდიც ლოდივით.

წუხელ შენს საფლავს შევახე ხელი,
შენს ხამ კაბაზე თბილს და სევდიანს,
ცრემლივით წვეთდა ნისლები სველი,
ცრემლიც უბედო, თურმე, ბედია.

შუკაში წკეპლით დარბის ბავშვობა,
კანჭებზე ჭინჭრის ელავს ალმური,
საფლავმა სულ სხვა უამი მაცნობა –
მე ვარო შენი ბოლო სადგური.

გადაუარეს წვიმებმა ბალახს,
სექტემბრის უხმო დილაა თბილი
და დედის საფლავს, ვით სანთლის ქანდაკს,
მორწმუნესავით ვეხები შვილი!..

დისადმი

მალვინას

ეზოს აკლია ჩვენი ბავშვობა –
განგების ნებით გადაკარგული...
ფიშტოდაცლილი ქორწილ-მაყრობა
და კრიმანჭული, სხვენზე გაკრული.

ეხვევა თხმელებს დოლბანდი-ბინდი,
კანდელ-წანდილით ჩათავდა მარხვა
და ჭლექიანი ნესტი-ამინდი
სახსარში დაგხრავს, ვით ბოსტნის მახრა.

სამოსად – შაშვის შავმარმაშები
კედლის კალენდრის დუმილ-დარდები,
შემოსეული ყიზილბაშები –
ლობეს ახრჩობენ ეკალ-ბარდები.

საფლავი, ბალახამოშლილობა,
გათვალულია ბედი ართვალით,
საკურთხ-ნაკურთხი დედაშვილობა
და დაკემსილი ღამე სათვალით.

სამი ნაბზარი, სამი ჭრილობა,
ეს გულიც სამი ცივსაფლავია,
ამ ვარამცრემლთა შემოჭრილობას,
ამ სულთა გლეჯას, დაო, რა ჰქვია?!

წუხან თელები დათალხულ ჩალმით,
ანწლებთან მწარედ ხარ მოწყენილი
და წამიწერე თეთრ ნისლებს წალმით
მოსაკითხავი ჩერილი წერილი.

ქარები, შარა-სალახანები,
ბულუსის ჭალა რომ ჭილით მოფინეს,
ყელამდე იყო იმ წელს ყანები,
მთელი ზამთარი რომ ვიმყოფინეთ.

ბაღში შავფერა შინდის სურნელი
შვენობს, უშურო შენი მადლია,
რატომ იცინის ნუში სულელი,
რამ წამოჩიტა ასე ადრიან.

დავბრუნდი, დაო, მე – ბუმერანგი,
ამ ლექსს არ ვაცლი ჭრაქზე გაშრობას,
რომ ხსოვნის ნისლად თეთრი პერანგი
შემოვამშრალო შიშველ ბავშვობას...

აზა ბასლანიძე

მერცხალი

– აი, ეზო ნაცნობი,
აი, ქოხი პატარა.
ეს ხომ ალუბალია,
ეს კი წყარო ანკარა.

მშობლიური ზეცაა,
მშობლიური ბუნება.
მოფრენილი ნიავი,
ფრთებზე მელამუნება.

სევდიანად ვმდეროდი
უცხო ქვეყნის ჩეროდან.
სამშობლოზე ფიქრები,
ოცნებები მშველოდა.

დღეს ჭიკჭიკით მოვფრინდი,
გაზაფხული დამდგარა! –
შეფრთხიალდა მერცხალი,
ცაზე შეკრა კამარა.

სათამაშო ავტომატი

სათამაშო ავტომატს
შეედრება რამე?
აენთო და აკაკანდა,
გაანათა ღამე.
და დაირღვა უეცრად
იდილია მშვიდი,
ბოლომდე რომ დავცალე
ავტომატის მჭიდი.
გაეღვიძა დედიკოს,
გაეღვიძა მამას –

გიკრძალავთო ასეთ დროს
ომობანას თამაშს!
ომობანა დასრულდა...
ახლა ყველა მღოცავს,
ჯადოსნური ფლეიტით
რომ ვასრულებ მოცარტს.

როცა ფეხზე დავდგებიო

მელაკუდა იცრემლება:
– ჩემი საქმე წასულია...
ავადმყოფთან მობაჯბაჯდა
დასტაქარი დათუნია.
მელა ამბობს: – დათუნიავ,
მზად ვარ ვყლაპო აბებიო.
მიქსტურასაც დავაყოლებ,
სიროფითაც დავტკბებიო.
ოღონდ ახლა მომარჩინე,
კუდი იყოს თავდებიო,
ქილა თაფლი ჩემზე იყოს,
როცა ფეხზე დავდგებიო!

ათინათი

ათინათი მიბოძა
ჭუჭრუტანამ პანიამ.
მზესავით რომ ანთია,
ოქროს ათინათია!

არ გეგონოთ ზღაპარი

რასაც ახლა მოგითხრობთ,
არ გეგონოთ ზღაპარი.
მინდორია უღრანში
მზის სხივებით გამთბარი.
აბრეშუმის ჰამაკში
სიო არწევს ფერიას.
ფრთხიალებენ ჩიტები,
ყვავილებიც ბევრია.
როგორ მინდა, იქ ვიყო,
სადაც ცხოვრობს ფერია,
სადაც მოლი ხასხასებს
და ტყეც ნაირფერია.

აფრიკელი ნიანგი

აფრიკელი ნიანგი
არ დაფიქრდა წუთით,
მოშივდა და სადილად
გადაყლაპა ბურთი.
მერე დიდხანს ტიროდა,
ვერ დაეშვა ფსკერზე
და ნილოსის ტალღებში
ტივტივებდა მზეზე.

საცალფეო ბილიკი

ძლივს ვეწევი, ისე მირბის
ეს ბილიკი საცალფეხო.
– მიდი, ტყისკენ აუხვიე
ხევში რომ არ გადამჩეხო!
დამიჯერა და თავადაც
არ ისურვა ჩასვლა ხევში,
მაგრამ მერე ვერ ვიპოვე –
ჩაიკარგა ბალახებში.

ცაზე მთვარეს ელულება თვალი

ცაზე მთვარეს ელულება თვალი,
მოუხურავს საბნად ღრუბლის ფთილა.
საიდანლაც მეპარება ძილი
და საბანში ვიფუთნები თბილად.

კატარა ღრუბელი

ზეცაზე სად იყო, სად არა,
გამოჩნდა ღრუბელი პატარა.
ღილილო ვერ მალავს ღიმილს,
ახარებს ღრუბელი წვიმის.

ღილილოს ცერიალა შხაპუნამ
ალმასა წვეთები არგუნა
და ვიდრე შხაპუნა უმღერის,
ბუხუნებს შავტუხა ღრუბელიც.

ალექსანდრ ფილონი

ჯულიან ბარნის მიშებ უელჩის შესახებ

თანამედროვე ინგლისელი მწერლის ჯულიან ბარნისის ახალ წიგნში – „ფანჯრიდან“ შევიდა მწერლის მიერ სხვადასხვა დროს პერიოდულ გამოცემებში, კერძოდ კი „გარდიანში“, „ნიუ იორკერსა“ და „ლონდონ რევიუ ოფ ბუკში“ დაბეჭდილი თვრამეტი ქრონიკა და ერთი ნოველა.

მხატვრული ლიტერატურა წერილობით გამოხატულ სხვა დანარჩენ ფორმათა შორის ყველაზე მეტი გამომსახველობით აღწერს ადამიანის ცხოვრებას. უამრავი კითხვა ჩნდება რომანის ამოუწურავ შესაძლებლობებზე და მის უნარზე – არა მარტო „გამორჩეულად უპასუხოს მკითხველს“, არამედ განსაკუთრებული კითხვებიც გააჩინოს. მას მიაჩნია, რომ თავადაც სწორედ წიგნს უნდა უმადლოდეს სამყაროს აღმოჩენას. ჯულიანი მას-წავლებლების ოჯახში იზრდებოდა და წიგნებზე ნადირობა მისი ბავშვობის

გატაცება იყო. „ეკლესიაში კი არა, ბიბლიოთეკაში დავდიოდით“, – იხსენებს მწერალი. ერთობ ეკლექტური სტილისა და ნაწერების ავტორი გამორჩეულად დახვეწილად ლაპარაკობს რედიარდ კიპლინგზე, ამფორსა და ფელიქს ფენეონზე, დიდი სიყვარულით იხსენებს საფრანგეთს, პატივს მიაგებს პროსპერ მერიმესა და მიშელ უელბეკს, ფორდ მედოქსს 1915 წელს გამოცემული წიგნისათვის „კარგი ჯარის-კაცი“, რომელიც შედევრად მიაჩნია; ლაპარაკობს უცნობი ავტორის, არტურ ჰაგ ქლოუს მგრძნობიარე მოდერნიზმზე, სინანულს გამოთქვამს იმაზე, რომ ჯონ აპდაიკს არ გადასცეს ნობელის პრემია; არც პენელოპ ფიცჯერალდის და ერნესტ ჰემინგუეის განსაკუთრებულად გემრიელ მოთხოვნებს ივიწყებს. სწორედ ამ წიგნიდან



გთავაზობთ ერთ-ერთ ქრონიკას მიშელ უელბეკსა და მის ორ რომანზე – „ელემენტა-რული ნაწილაკები“ და „პლატფორმა“. მართალია, ამ რომანებზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ ეს წერილი მაინც გამოირჩევა ბარნსისეული ეკლექტიკითა და საინტერესოდ დანახული უელბეკით.

მიშელ უელბეკი და ცოდვა სასოსნარავეთისა (წასარობისა)

1998 წელს პარიზში ნოემბრის პრიზის გადაცემას უიურის რანგში ვესწრებოდი. როგორც პრიზის სახელწოდებიდან ჩანს, ეს უკვე გვიანი ლიტერატურული სეზონი გახლდათ და გონკურის გადაცემასთან დაკავშირებული შეცდომების გამართლებას ამ კონკურსის უიურის წევრები სრულიად მოუქნელად ცდილობდნენ. ნოემბრის პარიზი გადამწყვეტი ვერდიქტის გამოსატანად ემზადებოდა, ფრანგული პრიზის გადაცემას კი ერთი თავისებურება ახლდა:

მუდმივად განახლებადი უიურის შემადგენლობაში უცხოელი ავტორებიც შედიოდნენ, მათ შორის იყო მარიო ვარგას ლიოსაც. გამარჯვებულსაც სოლიდური ფულადი ჯილდო ელოდა: 30000 დოლარის ეკვივალენტი ევროებში.

იმ წელინადს ყველა მნიშვნელოვანი პრიზის უიური იძულებით ხარჯს უხდიდა მიშელ უელბეკის „ელემენტარულ ნაწილაკებს“, რომელიც ავტორთან ერთად თვეების განმავლობაში განქიქებისა და ხმაურის საბაბი გამხდარიყო. მასწავლებლობამ აშკარა პროტესტი გამოთქვა ნაწარმოების სექსუალური დატვირთულობის გამო. მათი აზრით, ავტორი ინტელექტუალური ერესის გამო ერთგვარად ასცდა ლიტერატურის ფილოსოფიურ საზრისებს და ეს არა მარტო ნაწარმოებს გულისხმობდა, არამედ თავად ავტორსაც. ერთ-ერთმა ქალმა უიურიდან განაცხადა: – სანამ ავტორს ტელევიზიით გავიცნობდი, რომანი მომენტია კიდეცო. კონკურსის მეცენატი კი, რომელიც წინა წლებში განსაკუთრებული თავშეკავებულობით გამოირჩეოდა, სრულიად ღიად

ესხმოდა თავს ავტორს – მისთვის, ალბათ, სულ ცოტა, ფული არ ემეტებოდა.

ხანგრძლივი და დაძაბული დისკუსიის შემდეგ ვარგას ლიოსამ მდგომარეობის განმუხტვა რომანის ირგვლივ კითხვების დასმით სცადა: „თავხედი“ – განაცხადა მან, რის გამოც უნებურად ქება უფრო გამოუვიდა. არსებობენ ისეთი სარდონიკული და პესიმისტური წიგნები, რომლებიც მუდამ იმის მცდელობაში არიან, ფეხქვეშ გათელონ ჩვენი ყოფა და ჩვენი ერთგვარი გონივრული პრეზუმუცია კრეტინების აღუსრულებელ ოცნებად დაგვანახონ. ლიტერატურული თავხედობის საუკეთესო ნიმუში ვოლტერის „კანდიდია“ მაშინ, როცა ლა რომელუკო უფრო მაგარი თავხედია. ბეკეტი მორიდებულია, როთი კი უფრო გაბედული. თავხედი წიგნები სამიზნედ ყოველთვის ისეთ თემებს ირჩევენ, როგორიცაა უზენაესი ღმერთი, კეთილი და მოწესრიგებული სამყარო, ადამიანური ალტრუიზმი და თავისუფალი ნების გამოვლენა.

მიშელ უელბეკის ეს მეორე რომანი ძალიან ფრანგულია და ნარმოადგენს ინტელექტუალიზმისა და ეროტიზმის ნაზავს. თავისი აშკარად გამოხატული ქედმაღლობით ის რაღაცით გვახსენებს ტურნიეს, რომელსაც თავისებური ნაკლიც ჰქონდა: ერთგვარი სიმძიმე და პერსონაჟების არა დიალოგებით, არამედ დისკუსიით გახსნა. მაგრამ თავისი შეურიგებელი ამბიციით ის აშკარად ჯობდა და დღევანდელ პრიზის მაძიებელს. მისი რომანი ძალიან ფრანგული სულ სხვა რამის გამო იყო – ელეგანტურობის, თავშეკავებულობისა და ძველმოდურობის,

უფრო სწორად, „კლასიკურობის“ გამო, როგორც ამას გარემოებათა უარგონის გავლენით ვიტყოდით.

უელბეკმა ერთი ხმით მოიგო. კენჭისყრის მერე ველაპარაკე უიურის პრეზიდენტს, მწერალსა და უურნალისტს დანიელ შნეიდერმანს იმ აურზაურზე, რომელიც ჩვენმა გამარჯვებულმა გამოიწვია პრესასა და ტელევიზიაში. იქნებ, იმიტომ, რომ ის არ არის მედიატიკური, – გამოვთქვი ჩემი ვარაუდი. პირიქით, – მიპასუხა შნეიდერმანმა (რომელმაც უელბეკს მისცა ხმა), – ის მედიატიკურიცაა და იმავ დროს ანტიმედიატიკურიცო. ეს ერთგვარი ხრიკიაო. ორ საათში სასტუმრო ბრისტოლის მოიქრულ დარბაზში, პარიზის ლიტერატურული ელიტის წინაშე, ვიღაც დაუდევრად, ზომაზე დიდ პულოვერსა და დაჭმუჭნილ, წითელ ჯინსებში „გამოწყობილმა“ ტიპმა მიიღო თავისი კუთვნილი ჩეკი და თავისივე რომანის სულისკვეთებით უარი განაცხადა ზოგადად მიღებულ მაღალფარდოვან, მადლიერების გამომხატველ სიტყვებზე. რა თქმა უნდა, არავის მოეწონა: „მიიღო პრიზი დაუბანელმა და დაჭმუჭნილმა – ეს უიურის წევრთა შეურაცხყოფაა“, – წაიჩურჩულა ერთ-ერთმა ფრანგმა გამომცემელმა. ჩვენი მეცენატიც გაპრაზდა და გამოაცხადა: მოდით, ნოემბრის პრიზი იმ წლისათვის გადავდოთ და კარგად დავფიქრდეთ ადრესატის შერჩევაზეო. უიურის წევრთა უმეტესობამ მართებულდ არ მივიჩნიეთ ასეთი საქციელი (რბილად რომ ვთქვათ, კადნიერებად რომ არ ჩაგვთვლოდა) და გადავწყვიტეთ ახალი სპონსორის ძებნა და შესაბამისად, დეკემბრის პრიზის ნომინაციით მწერლისათვის მისი გადაცემა.

„ელემენტარული ნაწილაკები“ მაშინვე ითარგმნა ინგლისურად და გამოიცა სათაურით „ატომიზებულნი“. ანგლოფონებმა სწორედ ის დასკვნა დადეს, რაზედაც მე შნეიდერმანმა მიმაგდო: „ავტორი მედიატიკი ანტიმედიატიკია“, – განაცხადეს მათ. ლიტერატურული სამყარო ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია,

სადაც ძალიან ადვილია „ცუდი ბიჭის“ რეპუტაციის აკიდება. უელბეკი კი ყველაფერს კისრულობს ამისათვის. „ობსერვერის“ უურნალისტს ის გალეშილი, თეფშში ცხვირჩარგული დახვდა და განუცხადა – თუ კითხვებზე პასუხების მიღება სურდა მასთან, უნდა დაწოლილიყო. არც უელბეკის ცოლს დაუხანებია, მასაც თავისი წვლილი შეუტანია ამ გაუგებრობაში – საცვლებისა ამარა გამოსულა ფოტოგრაფების წინაშე და გულწრფელი პირდაპირობით განუცხადებია: მიშელი კი არ არის დეპრესიული, სწორედ რომ საზოგადოებაა დეპრესიის გამომწვევიო.

თუ უელბეკის „ნაწილაკები“ განქიქების საგნად იქცა (ჩემი აზრით, ტურნიეს შემდეგ პოტენციურად ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორი ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ და ქება-დიდებაც გადაჭარბებული, გასაგები მიზეზების გამო), მისი მესამე რომანი „პლატფორმა“ ერთგვარად წარსულისაკენ გვახედებს. არც ერთი ფრანგი მწერალი არ დაიწყებდა რომანს სიტყვებით „ერთი წელია, რაც მამაჩემი მოკვდა“ ისე, რომ კამიუს „უცხო“ არ გაესიგრძეგანებინა. უელბეკის წარატორ გმირს რენო ჰევია და სწორედ კამიუს გმირის გვარის – მერსო – ასოციაციით ისიც მანქანად ქცეული საზოგადოების ერთ-ერთ ჭანჭიკად მოიაზრება. და უფრო მეტ სილრმეებშიც შეიძლება შესვლა: რენოს მამა ლოგინში იწვენს თავის მოსამსახურე ქალს, ჩრდილოაფრიკელ აიშას, რომლის ძმაც ამის გამო სასიკვდილოდ ცემს მოხუცს. როცა შვილი მომაკვდავი მამის სარეცელთან აღმოჩნდება, ფიქრობს; „იარაღი რომ მქონდეს, მას უყოყმანოდ მოვუღებდი ბოლოს“. ან კიდევ: – „ამ ნაგვის ნამცეცის მისიკვდილება მარტო ჩემი გულგრილობის უცილობელ აქტია კი არა, სასარგებლო და პოზიტიურ ნაბიჯადაც მიმაჩნია“. ეს ძალიან გვახსენებს კამიუს გმირ მერსოს, რომელიც ალჟირში, პლაზმები იმავე ინდიფერენტულობით ესვრის რევოლვერის ტყვიას არაპს. მარ-

თალია, ამ სამოცი წლის განმავლობაში, რომელიც „უცხოსა“ და „პლატფორმას“ ერთმანეთისაგან აშორებს, სულით ავად-მყოფობისა და ანომალურობის ფორმები შეიცვალა (მაშინ მშობლებს ნაკლებად მოიხსენიებდნენ უპატივცემულოდ), მაგრამ თუ მაშინ კოლეჯის მოსწავლის, მერსოს სიტყვები: „დღეს დედაჩემი მოკვდა. იქნებ, გუშინაც, არ ვიცი“ – ჩემთვის სილის განვინის ტოლფასი იყო, დღეს რენოს სილა კიდევ უფრო მემნარა:

„მოხუცის კუბოსთან უსიამოვნო ფიქრები მომეძალა. ცხოვრებაში სულ სარგებელს ეძებდა ეს ბებერი ძუკნა და ბატონივით მუდამ თავის დაძვრენასაც ახერხებდა. შვილის ტოლებთან დაძვრებოდი, არა, შე თავქარიანო... მივაყარე რაც შემეძლო. აქეთ კიდე დედაჩემს შეთხარე შენი მსხვილი ყ... ბოლო-ბოლო, რა თქმა უნდა, დავიძაბე... ყოველდღე ხომ არ გლოვობ მიცვალებულ სახლიკაცს“. „

უელბეკს უფრო ღრმად შეტოპვაც ეხერხება, მაგრამ ესეც მისი სტილია – ლანძღვა-გინებას ისეთი ირონიაც მიაყოლოს, როგორიც არის მამის კუბოსთან წარმოთქმული „ბოლო-ბოლო დავიძაბე“. „ნანილაკები“ ცოტა ძნელი ალსაქმელი და შესაფასებელი აღმოჩნდა (მესამე ათას-წლეულის „ფიზიკური მუტაციის“, ორი უკანასკნელი ათასწლეულის მოლეკულური ბიოლოგიის მიერ კლონირების თემის წამონევით, რომელიც ბოლოს მოუღებს სიკვდილის შიშს და გენეტიკური ინდივიდუალიზმის სილარიბეს), მაგრამ არა მძიმე. კითხვისას მის სტრიქონებში ერთგვარი სატირული ხალისი და კონტრუტოპიური ლაზლანდარობაც იგრძნობა.

„პლატფორმაც“, შეიძლება ითქვას, ისეთნაირად იწყება, როგორც „ნანილაკები“, – შემოდის რადიკალურად გან-დგომილი და გულგრილი მთხოობელი, ინფორმაციული ეპოქის შვილი მსოფლიო სიყალბის განმქიქებლის დაუნდობელი შოლტით, რაც თავისთავად მოითხოვს ბუღალტრულ-მენეჯერულ სიფრთხილეს ყველაფერთან მიმართებაში. მას ანუ-

ხებს მეტყველი მდუმარება, არანკლებ – სოციალურიც, თუმცა თავიდან უჭირს კიდეც აიშასთან საუბარი, ერიდება ისლამის კრიტიკას, მეტ-ნაკლებად ეთან-ხმება სრულიად უკომპრომისო საკითხებში, უფრო მეტიც, ერთგვარად იზიდავს კიდეც მუსლიმი ქალების საშო.

ჯერ არ ხარ შოკში? მოიცა, უელბეკი, უფრო სწორად, მიშელი, ელიპტიკურად მომართული მთხოობელი, ჯერ მხოლოდ იწყებს. მისი ზიზღნარევი რისხვა თავს ატყდებათ ისეთ „წარმატებულ“ მწერლებს, როგორებიც არიან ფრედერიკ ფორსაიტი და ჯონ გრიშამი; ასევე, უაკშირაკები; „გზამკვლევს“; ორგანიზებულ ტურიზმს; საფრანგეთს („მემარცხენეთა ქვეყანას“ – სრულიად მემარცხენესა და კანცელარიულ ქვეყანას); ჩინელებს; „დემოკრატიის მაძიებელთა სულელთა ხროვას“; ომაჰას სანაპიროს; მამაკაცთა უმრავლესობას; ქალთა უმრავლესობას; ბავშვებს; მახინჯებს; მოხუცებს; დასავლეთს; მუსულმანებს; ხელოვანთა უმრავლესობას; კიდევ და კიდევ მუსულმანებს და ხშირად თავის თავსაც.

რა მოსწონს მიშელს? გასართობი შოუბი, მასაჟის სალონები, პორნოგრაფია, ტაილანდელი მეძავები, ალკოჰოლი, ვიაგრა (რომელიც ეხმარება ალკოჰოლით გამოწვეული სიძნელეების დაძლევაში), სიგარეტი, არადასავლელი ქალები, მასტურბაცია, ლესბოსელობა, ტრიოლიზმი (სამის ურთიერთობა), ორმაგი შეღწევა, თრიაქი, ტურისტული სექსი, ქალის თეთრეული და აგატა კრისტი. ალბათ, ბევრი რამ ანომალიურიც გეჩვენებათ. არადა, ფრედერიკ ფორსაიტს „იმპეცილად“ მოიხსენიებს, ჯონ გრიშამის წიგნზე კი ამბობს: „კმაყოფილმა კვნესით გავათავე გადაშლილ წიგნზე. ალბათ, გვერდები ერთმანეთს მიეწებებოდა. დიდი ამბავი! ამ წიგნის მეორედ წაკითხვა მაინც არ ღირდა“. აგატა კრისტი ორგვერდიან შექებას იმსახურებს, განსაკუთრებით რომანისთვის „ხეობა“ (ლელე, ველობი, ღრანტე), რომლითაც ადასტურებს, რომ

ნამდვილად ესმის „ცოდვა სასოწარკვეთისა“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთავად გაურბის ყოველგვარ ადამიანურ ურთიერთობას, თბილსაც და ხალისის მომნიჭებელსაც. ეს გახლავთ მიშელის ცოდვაც. „სწორედ სხვებთან ურთიერთობაში შეიცნობ საკუთარ თავს, სწორედ ეს ხდის სხვებთან ურთიერთობას გაუსაძლისს“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ამიტომ ელევიან ასე იოლად ცხოვრებას“ და: „შეიძლება ყველაფერი მოხდეს ცხოვრებაში ან სულაც არაფერი“.

სასოწარკვეთის ცოდვა მით უფრო იმატებს, რაც უფრო ჭარბობს ჰედონისტური მიღრეკილებები. „პლატფორმა“ სწორედ მთლიანად ტურისტულ სექსსა და ორის სხვადასხვა კომპინაციას ეხება. სწორედ ტურიზმი იქცა ყველაზე მზარდ ინდუსტრიულ დარგად მსოფლიოში. მოთხოვნა-მიწოდების ფარისევლური მოდელი. რომანისტებისათვის კი განსაკუთრებულად მიმზიდველი აღმოჩნდა ტურიზმის ფსიქოლოგია, განსაკუთრებით ფლობერისეული ღრმა ირონია სამომავლო განცხრომასა და წარსულის მოგონებებთან დაკავშირებით, ბროშურები და ფოტოები ყალბი დაპირებებითა და დაყენებული ღიმილებით, რომლებიც სინამდვილეზე უფრო ხატოვნად ასახავენ მოსალოდნელ სიამოვნებებს – როგორც ვხედავთ, ტურისტები მარტო ტერორისტთა სამიზნებად როდი მოიაზებიან.

უელბეკი მიშელს დასასვენებლად აგზავნის „სან ენდ სექსში“. ჯგუფის ერთსახოვან წევრებს შორის ერთგვარად გამოიჩინება მაცდუნებელი გარეგნობის ვალერია, რომელიც ტურისტულ სააგენტოში მუშაობს. ნაწარმოების ინტრიგა გახლავთ ვალერიასა და მისი კოლეგის უან ივის მცდელობები, წარმოაჩინონ ის სასტუმროები, რომელთათვისაც მუშაობენ. ამ ყველაფერს ისინი ზედმინევნით კორექტულად უძლვებიან იმ ფონზეც კი, როცა მათ ამბებს ისეთი არატრადიციული ავტორი აღნერს, როგორიც უელბეკია. თემისადმი მისი მიდგომა ერთ

ევროპულ ანეკდოტს მახსენებს. ერთ-ერთი ბრიტანელი დელეგატი ევროკავშირის რომელიდაც კომისიის ნარმომადგენლებს აცნობს თავისი ქვეყნის ბრიტანული ტრადიციული პრაგმატიზმით გაჯერებულ და დეტალურად გამართულ წინადადებებს. ფრანგი დელეგატი, დაფიქრებული, ერთხანს თავს აქეთ-იქით აქნევს, მერე კი მიუგებს: „დიახ, ვატყობ, რომ პრაქტიკაში კარგად იმუშავებს, მაგრამ თეორიულად რამდენად მისაღებია“. სწორედ ამ ჭრილში განიხილავს მწერალი სექსსა და ტურიზმს. თუ მათი უშუალო კონტაქტი ხორციელია, არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს ამ ურთიერთობის მონაწილეთა თეორიული მოტივაციაც. სექსი და ტურიზმი განასახიერებს საპაზრო ეკონომიკის ყველაზე აღვირახსნილ სახეობას. უელბეკისათვის სექსი ყოველთვის კაპიტალისტურია. აი, რას წერს ის თავის პირველ რომანში „ბრძოლის ველის განვრცობა“:

„ეკონომიკურ სფეროში, იმის გამო, რომ სამუშაოდან დათხოვნა მეტ-ნაკლებად აკრძალულია, თითოეული ჩვენგანი მაინც პოულობს თავის ადგილს. სექსუალურ სფეროში, სადაც ღალატი მიუღებელია, მაინც ყველა პოულობს თავისი ლოგინის პარტნიორს. თავისუფალი ეკონომიკის წყალობით ზოგი მნიშვნელოვან ქონებას აგროვებს, ზოგს კი უმუშევრობასა და სიღატაკეში ამოსდის სული. ლიბერალურ სექსუალურ გარემოში ერთნი მრავალფეროვანი და მგზნებარე სექსუალური ცხოვრებით ტკბებიან, მეორენი მარტოობისთვის და მასტურბაციისათვის განწირულან“.

სწორედ ეს ცინცხალი და გაბედული შედარებებია ნამდვილი უელბეკი. მას არაფრად ულირს, აღწეროს ჩრდილოამერიკული წარმომავლობის ჰედონისტურლიბიდალური ვარიაციები (ასე ამბობს ის „ნაწილაკებში“), მაგრამ „პლატფორმაში“ მისი სექსი საოცრად პორნოგრაფიულიცაა და სენტიმენტალურიც. პორნოგრაფიულია იმდენადაც ის

დაწვრილებით აღწერს, ვინ რა ხვრელში მიძვრება, ვინ როგორ წუნაობს და კვნესის, თუმცა მისი სექსი მოდურიცაა და მოსახერხებელიც. მგრძნობიარეა იმ თვალსაზრისით, რომ მისი ყველაზე თავაზიანი თუ სპონტანური პერსონაჟები – მასაჟისტები თუ აღმოსავლელი მე-ძავები წარმოდგენილნი არიან მთელი თავიანთი მგრძნობელობითი შტრიხებით. ზოგი უზადოა, ზოგი – ავადმყოფი, ზოგი – აზარტული, ზოგი – ნარკოდამოკიდებული-მონეტარე ან დათრგუნვილი. პორნოგრაფიული და სენტიმენტალურია იმის გამოც, რომ სექსი მხოლოდ სიამოვნებაა, არასდროს არავინ ამბობს არას, მოიცას და გეყოფას. საკმარისია, ერთი მიანიშნო ყავისფერ დამლაგებელ ქალს, რომელიც შეიძლება იმ დროს ტერასას გვიდეს, რომ ის მაშინვე გაიძრობს ლიფს და სიამოვნებით შემოგიერთდებათ სამერთიან აქტში. უელბეკის სექსში ყველაფერი აუზშია, თუმცა მას კომერციული სექსის ისეთი შტრიხები შემოაქვს, რომ ტურისტს ბროშურაში დაპირებული სამოთხის არსებობაში აჯერებს.

დგება სიყვარულის დროც: „ქალი მაინც მიყვარს“, – აცხადებს მიშელი მოულოდნელად. მერე კი განავრცობს: „სწორედ ქალის საშოსადმი ჩემს უსაზღვრო ლტოლვაში ვხედავდი ჩემი ადამიანურობის უკანასკნელ შტრიხებს“. მიუხედავად იმისა, რომ მას უყვარს ქალი, რატომლაც არასდროს არაფერს ამბობს დედაზე, ხოლო, როცა ორმოცი წლის, ნერვული ქალი თანდათან იძენს შეყვარებული ვალერიას სახეს, ჩნდება კითხვა თუ შეში, როგორ უნდა მოექცეს უელბეკი ამ ქალს. ბოლოს და ბოლოს, ეს ლიტერატურული თავხედობა უფროა, ვიდრე ვინმეს შეყვარება. განა დიდად განსხვავდება მისთვის ეს გრძნობა კომერციული სექსისაგან? მისთვის საბედნიეროდ, არც ისე. თუ ის მას თავიდან ჩვეულებრივ მორჩილ შემხვედრ ქალად აღიქვამს, მოგვიანებით აღმოაჩენს, რომ მას დიდებული მკერდი აქვს, ტაილან-

დელ მეძავებზე არანაკლებ განსწავლულია ლოგინის საქმეშიც, აღჭურვილია სამერთიანი სიყვარულის ცოდნითაც და საინტერესო ქალური ხრიკებითაც. ის საკმაოდ დამჯერია, აქვს მიშელივით კარგი სამსახური და ანაზღაურება, მასავით ძულს ბრენდული ტანსაცმელი და ასეთივე დამოკიდებულება აქვს ბევრ რამესთან მიმართებაში. ძველმოდურად არასდროს ლაპარაკობენ გრძნობებზე, არც ფიქრით ინუხებენ თავს, არც ხშირად დადიან ერთად – ზოგჯერ თუ შეივლიან კლუბში. ზოგჯერ მიშელი მზარეულობს, ვალერია კი ხშირად ისეთი დაღლილია, მეორე დილისთვის გადააქვს მისთვის განცუთვნილი ორალური სექსი. მწერლურ თავხედობაზე რა მოგახსენოთ, მაგ-



რამ რომანტიკულობისათვის ნამდვილად დასანანი ფაქტია ვალერიას სიკვდილი მაშინ, როცა წყვილი სამოთხისებრ კუნძულზე ცხოვრების გადაწყვეტილებას იღებს...

დავუბრუნდეთ დასაწყისს. რატომ

ძულს ასე მიშელს საკუთარი მამა? ეს კითხვა კანონზომიერად უჩნდება ცნობისმოყვარე, კუბოსთან გამართული ლანდღვა-გინების შემსწრე მკითხველს. როგორ გვაცნობს ამ „ბებერ ნაძირალას“, ამ „შორტებიან კრეტინს“, რომელიც ბატონკაცურად, ყოველთვის ახერხებს თავის დაძვრენას, მეოცე საუკუნის ამ „უმსგავს ელემენტს“, რომელიც სამოცდაათი წლისა მოკვდა, რომელიც აიშას „ძალიან უყვარდა“, რომელიც ბევრს ვარჯიშობდა და ტოიოტა ლენდ კრუიზერითაც დაიჯგიმებოდა. თითქოს არც არაფერია მის ქცევებში სიძულვილის გამომწვევი. ის კი არადა, ამ ურჩხულს აუხსნელი დეპრესიაც კი ერევა, მასზე მეგობრებიც თავგამოდებით ზრუნავენ, „მისი ალპინისტი მეგობრები სულ თავს დასტრიალებენ, ცდილობენ, როგორმე შეუმსუბუქონ ყოფა, მაგრამ ამაოდ. სპორტით ასეთი გატაცება კი ზედმეტი ფიქრის დასაძლევად მჭირდებოდა, თავის გასასულელებლად, – მიხსნიდა ერთხელ“. ეს ახალს არაფერს ნიშნავს, უბრალოდ, გვამცნობს, რომ მა-

მამისი ალპინისტი იყო, თუმცა თავად დეპრესიაში მყოფი მიშელი აქ შეიძლება კიდეც თანაუგრძნობს მას. სულ ეს არის, რაც მამაზე ვიცით და ისიც მიშელის უცაბედი ფიქრებივით სწრაფად ქრება რომანიდან.

ნანარმოებში ვაჟის მიერ მამის სიძულვილი ამოუხსნელი მოცემულობაა, თუმცა რამდენიმე წლის წინათ, ერთგვარი ლიტერატურული ყბედობის (არა ყოველთვის გულგრილი) დროს, უურნალ „ლირის“ უურნალისტთან ინტერვიუში მიშელი ამჟღავნებს ამ სიძულვილის მიზეზს – მშობლებს იგი ხუთი წლის ასაკში მიუგდიათ ბებიისათვის გასაზრდელად. „მამაჩემს, – ამბობს ის, – ძალიან ადრე წამოენია დანაშაულის განცდის საშინელი გრძნობა. გამიკვირდა კიდეც, რომ მითხრა – აქტიური ფიზიკური დატვირთვა ფიქრის დასამარცხებლად მჭირდებოდაო. ის მთამსვლელი იყო“.

თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა

მამუკა ცეცხლაძე

ჰარ-ირა, ანუ ყოველი საიდუმლო...

ორნაირად იწყება და ორნაირად მთავრდება ქართული ზღაპარი, ერთი ეს არის: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“ „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო, დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში არ კმარიყო“, – ან „ლალად იყო“, ან „აღარ იყო“. მეორე: „იყო შაშვი მგალობელი – ღმერთი ჩვენი მწყალობელი“ და „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა!“. ერთგან იყო, მაგრამ არა იყო რა ის, რაც იყო და ღვთის უკეთესი ხო, ცხადია, არ იქნებოდა და ვერ იქნებოდა; ჭალაში ჩამკვდარიყო, დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში არ კმარიყო – ან ლალად იყო, ან აღარ იყო – ჩიტი. მეორეგან კი შაშვი იყო მგალობელი და ღმერთი იყო ჩვენი მწყალობელი ის ჩიტი, – მარტო ჩვენი მწყალობელი იყო, ჭირი ყოველთვის სხვაგან იყო და ლხინი სულ აქ, ქატო სულ სხვაგან და ფქვილი სულ აქ. იქამც იყოსო, – ამასაც იტყვიან, მოგეხსენებათ, ჩვენში, ანუ ჭირი იყოს იქამცო, სადაც არისო, აქ ნუ იქნებაო, აქ სულ ლხინი იყოსო...

კაი ხანს მარტო ქართული მეგონა ეს „იყო და არა იყო რაც“, მაგრამ გამოირკვა, რომ „რიგ-ვედაშიც“ ასე ყოფილა: „იყო და არა იყო რა ცა და სივრცე“ – და „შესაქმის მითი“ ჰქვიებია ამას, არც მეტი, არც ნაკლები. არ ვიცოდი ეს, დავით ცინცაძეს – კინორეჟისორს – უნახავს და მიუქცევია ყურადღება ამ

მსგავსებისათვის, მე ფეისბუკზე მაქვს ნანახი მისი ეს სტატუსი. იყო და არა იყო რა, ცხადია, ცა და სივრცე, ვიდრე ღმერთმა არ განჰყო ეს ქაოსი, ანუ არ გამოჰყო ნათელი ბნელისაგან, მაგრამ ამ ჩვენი ქართული ზღაპრის ეს ჩიტი, ნეტა, რას უნდა ნიშნავდეს აქ? ან ერთგან, ან მეორეგან...

რაც კარგები ვართ ქართველები ვართო – ეჭვი კი გვეპარება, ცოტა არ იყოს, ამ ბოლო დროს, მაგრამ ხო ჩვენი ნათქვამია ესეც და ნეტა, რამ გვათქმევინა? მთლად უსაფუძვლოდ ვერ ვიტყოდით, ალბათ, ვერც ამას...

ერთ რუს მოძღვარს უთქვამს (ფეისბუკზე ვნახე ესეც ერთხელ) ქართველები წმინდა ხალხია, ბაბილონებს არ აგებდნენო. ბიბლიის კომენტარებში მაქვს სადღაც წაკითხული: ამ ჩვენს აბელურ ცივილიზაციას ოდესლაც, როგორც ჩანს, წინ უსწრებდა კაენური, რომელიც იმიტომ დაიღუპა, რომ ბოლოს და ბოლოს პირწმინდად ქალაქურ ცივილიზაციად იქცაო. ცივილიზაცია, თავად ეს სიტყვა, სწორედ გაქალაქურებას ნიშნავს, ანუ „ქალაქიზაციას“, ასე ვთქვათ, საზოგადოებისას და აი ამ პირწმინდად გაქალაქურებას თუ გულისხმობს, უფრთხის და ჩივის ის რუსი მამაც ამ ჩვენი აბელური ცივილიზაციისას – აბელური ცივილიზაციისასაც. სხვაა, რა თქმა უნდა, „წუთისოფელი“ და „სოფელ-ქვეყანა“ და სხვაა „მარა-

დიული ქალაქი“ და „ქალაქ-სა-ხელ-მწიფ-ო“ – „შეა უზის დიდი ზღვარი“...

ფეისბუკზე ვნახე ამას წინათ ეს ხუმრობაც – ქართველები დალლილები იბადებიან და მერე მთელი ცხოვრება ისვენებენო. მენიშნასავით თითქოს რა-ღაცა აქაც და გავაზიარე, გიზიარებთ ახლა აგერ თქვენც...

არ გვიკარგავდნენ, არა, არც იმ ყოვლად სასიქადულო თვისებებს, რი-თიც თავი მოგვაქვს საერთოდ ადამია-ნებს, ყველას და ყველა დროში, მაგრამ – ორგულები არიან ქართველებიო – წერდნენ ამასაც ჩვენზე ჩვენი მტერ-მოყვარე დიდ-დიდი სახელმწიფოების მემატიანენი. გულს შემომეყარა, მახ-სოვს, პირველად რომ მოვკარი ამას ყური ჩემს ყმაწვილობაში (როგორ, თუ ორგულები ვართ, რას მიედ-მოე-დებიან-მეთქი) – მაგრამ ახლა (ახლაც ისევე, როგორც უნინ და როგორც ყოველთვის) ეს ჩვენი უკვე კაი ხნის მტერ-მოყვარე უზარმაზარი მეზობე-ლი სახელმწიფოც ამას გვყვედრის, აგერ, უკვე რა ხანია და, რაც მთავა-რია, გვსჯის, სულ გვსჯის ამის გამო. ორგულოვანნი ვართ იქნებ და არა ორგულნი? ორგულოვანნი ვართ, იქ-ნებ, ღვთით ადამიანები ყველა და არა მარტო ჩვენ – ქართველები კერძოდ? სხვაა ორგული და სხვაა ორგულოვანი, მე ვფიქრობ, „შეა უზის დიდი ზღვარი“. აი იგივე ეს ჩვენი მტერ-მოყვრობა ავი-ლოთ, მაგალითად. მტერ-მოყვრობას ვამბობთ ხომ ქართულად ასე, ერთ სიტ-ყვად, დეფისით, ანუ ტოლობით და აბა რა დიდი ფიცი და მტკიცი იმას უნდა, რომ მტერიც შეიძლება იყოს მოყვა-რე და მოყვარეც შეიძლება იყოს მტე-რი? იმას გააჩნია, ეტყობა, ერთგულა, ანუ ცალგულაა ადამიანი, თუ ორგუ-ლა, ანუ ორგულოვანი. ერთგულა, ანუ ცალგულა თუა – და როცაა – მარტო იმ თავის ერთ და ცალ გულს უგდებს ყურს, ორგულა და ორგულოვანი თუა – და როცაა – მეორე ადამიანის გუ-

ლის ხმაც ე-ყურ-ება. მტერ-მოყვარეს რო იტყვიან ჩვენში, ჩვეულებრივ, იმ ადამიანებს გულისხმობენ ყველას, ვის-თანაც ურთიერთობა, ანუ „ორთა ერ-თობა“ (ამას ნიშნავს, რა თქმა უნდა, ეს სიტყვა – „ურთიერთობა“ – ქართულში, ასე ვთქვათ, ეტიმოლოგიურად – ორ-თა და ორ-ორ-ორთა ერთობას) აქვთ. სხვაა მტრობა და სხვაა მოყვრობა და „შეა უზის დიდი ზღვარი“, რა თქმა უნდა, ამასაც, მაგრამ აი სწორედ ეს ზღვარი იშლება ამ ორთა (ორ-ორთა) ერთობით, ანუ სტუმარმასპინძლობით – როგორც ჩვენში იტყვიან. სტუმა-რი, მოგეხსენებათ, ღვთისაა და ღვთის ხატია ადამიანიც ყველა – მათ შორის სტუმარიცა და მასპინძელიც, ორივე – ანუ „სტუმარ-მასპინძელი“, ასე დეფი-სით, ანუ ტოლობით...

ერთობ ფიქრთ გასართველი სიტ-ყვაა ეს ჩვენი ქართული „ყურებაც“ – ხედვას ნიშნავს თითქოს, ანუ თვალს გულისხმობს, მაგრამ ყურს ვამბობთ – გულის ყურსა და გულის ხმას ვამ-ბობთ. თვალისას გონის ვამბობთ (გო-ნების თვალს ვამბობთ) და თვალი ჭამს და თვალი სვამსო – ვამბობთ. ხარბია, მოგეხსენებათ, თვალი – ყველაფერს ჭამს და სვამს, რაც ეგემრიელება და ელამაზება. უბრყვილო გულია. თვალ-საწიერის მადევარია და მიწყივ მხო-ლოდ თავისი გემო – (გემო-ვნება, ანუ გემო, რომელიც ვნებაა და, ესე იგი, ვნებს ადამიანს) – და გარეირგვლივის სილამაზე აცთუნებს თვალს, თუ – და როცა – აცთუნებს და, ესე იგი, თუ – და როცა – გულის ყურს აკლია...



აი გიუვრაცუებს გვეძახიან, მოგეხ-სენებათ, ჩვენ ჩვენი ჰაოსიანი ძმები და ჭკვიანებს ვეძახით ჩვენ ჩვენს ჰაოსიან ძმებს. ძმებს, რო იტყვიან, სიზმარიც დაეჯერებათ ერთიმეორისა და ოვანეს თუმანიანმა – პოეტმა და მართლა ძა-ლიან ჭკვიანმა კაცმა – ასე ჩამოაყალი-

ბა ერთხელ ჩვენი ჰაოსიანი ძმების ეს – ჩვენთვის ერთი შეხედვით (გონების თვალით თუ შევხედავთ), იქნებ არცთუ მაინცდამაინც დიდად სასიქადულო თვალსაზრისი: ყველა ქართველი პოეტია, ქართველი პოეტი კი ორმაგად პოეტია. გიუგი და პოეტები ერთიმეორისაგან, აბა, რომელ ჭკვიანს გაუყვია, პოეტს – და ამავე დროს მართლა ძალიან ჭკვიან კაცს – რომ გაეყო, მაგრამ ამ მართლა ძალიან ჭკვიან კაცს – პოეტს, „ცისფერყანწელების“ უფროს ძმასა და მეგობარს – იმ ყოვლად სამარცხვინო სომეხ-ქართველთა ომში – (არიქა, იმპერიას ცეცხლი უკიდიაო, ჭკვიანმა სომხებმა ხელის მოთბობა რომ გადაწყვიტეს და ბოლოს და ბოლოს ისევ და ისევ იმ ცეცხლმოყიდვული იმპერიის წისქვილზე დაასხეს წყალი) – თავისი სამივე ქალიშვილი გაუმნესებია სათნოების დებად და ასე დაუმოძღვრავს – ნუ იყითხავთ, ვინ სომეხია და ვინ ქართველი, ყველა დაჭრილს ერთნაირი გულისყურით მოეპყარითო. სხვაგვარად, ცხადია, ვერც იქმოდა – „ჩვენსა და სომეხებს შუაგანყოფილობა რა არი?!“ წყალს ნუ დაალევინებთ, მარტო ტუჩები დაუსველეთ ცოტათი, არ დაგავინყდეთ, რომ დაჭრილებს წყალი არ ესმევათო – ეტყოდა და შეახსენებდა, მე ვფიქრობ, ამასაც...

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“, – იტყვის გალაკტიონი...

აი პაოლო იაშვილი კი ასე იტყვის: „...ლმერთო სად არის ჩვენი ბედი, ჩვენი ილბალი! / სუსტი ვარ, მაგრამ მენატრება გმირების ხმალი! / მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი და წმინდა, როცა, / როცა მხურვალედ მომინდება მამულზე ლოცვა. / მაგრამ მე ვიცი, არ დაგვტოვებ, მამულო, ისთე, / რომ კიდევ ერთხელ არ მოვიდეს ახალი ქრისტე, / რომ კიდევ ერთხელ არ ვიხილოთ მტრის მორჩილობა / და სიხარულით შევიხვიოთ მკერდის ჭრილობა“. რით-

მამ მოითხოვა თითქოს ამ ლექსში ეს კუთხური „ისთე“, მაგრამ ვინ და რატომ დაუკავშირა მაცხოვრის (კაცობრიობის მაცხოვრის!) სჯული კუთხურ ბედ-ილბალს და „მტრის მორჩილობას“, ანუ მარტო ჩვენს, ექსკლუზიურად ჩვენს („ჩვენ-ჩვენ“!) ბედსა და ილბალს?

გიყვარდეთ მოსულნიო, არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ თვითონაც მოსულები ხართო (ანუ „სტუმრები ხართ წუთისოფლისაონ“, ქართულად თუ ვიტყვით) – ასე მოძღვრავდა მოსე „ლმერთის რჩეულ ერს“. მაცხოვარმაც იგივე გაიმეორა, კაცმა რომ თქვას, მაგრამ – გიყვარდეთ მტრენი თქვენნიო – ასე გაიმეორა. ერთი და იგივეა, რა თქმაუნდა, ეს, მაგრამ მთლად კარგად არ გვესმის არც დღეს ეს ამბავი, – ყველას არ გვესმის არც დღეს, რომ ერთი და იგივეა. ახალი აღთქმა ძველშია დამარცული და ძველი ახალშია გაცხადებულიო – ეს, თუ არ ვცდები, ნეტარი ავგუსტინეს ნათქვამი უნდა იყოს...

სიმართლე ხომ ერთია, ბოლოს და ბოლოს და აბა საიდან ეს ამდენი ქრისტიან-„ისტ-ული აღმსარებლობა – ყველა მართალი და, ესე იგი, ყველა კათოლიკე და მართლმადიდებელი (როგორითხონ) – ანუ სიმართლის მადიდებელი? რატომ გვგონია, რომ მესია მაინცადამაინც ჩვენი, მარტო ჩვენი, ექსკლუზიურად ჩვენი მხსნელი უნდა იყოს, თუ მართლა მესიაა? ლმერთი რომ ერთია, ამის შეხსენებას ჩვენი დღევანდელი კაცობრიობისათვის აბა რა უდგას თითქოს წინ, მაგრამ ეგ არის, რომ „იზმია“, სამწუხაროდ, ეს ჩვენი დღევანდელი გლობალიზმიცა და ეკუმენიზმიც ისევე, როგორც გუშინდელი ინტერნაციონალიზმი – ვითარცა „იზმი“ იყო და არის არსებითად იგივე ნაციონალიზმი, ანუ „ინტერ-სავთქვათ-ნაციონალ-„იზმი“ (იმპერიული – სტალინური, მაგალითად – ინტერნაციონალისტური ნაციონალიზმი) – და არა მოსულისა და დამხვდურის, ანუ

მტრის (მტრების) სიყვარული. განმარტოება, რა თქმა უნდა, ისევე აუცილებელია და გარდაუვალია ადამიანისათვის და ადამიანებისათვის, როგორც ერთობა, მაგრამ გამოსავალი დღევანდელი კაცობრიობისათვის, ცხადია, არც ეს ფუნდამენტალისტური „იზოლაციონიზმია“ და არც ეს ლიბერალისტური, ნებისმიერი და უთავბოლო ერთობა, ანუ ერთობ-„იზმი“. მაცხოვარს, მოგეხსენებათ, მარტო ჩვენ ვამბობთ, სხვები მხსნელს ამბობენ. ვამბობთ მერე და მერე ჩვენც ამ „მხსნელს“ – მხსნელსაც – ერთი და იგივეა თითქოს ეს, მაგრამ რას გულისხმობს დანრას შეიძლება გულისხმობდეს ეს ორი სიტყვა ერთი-მეორისაგან განსხვავებულს? მხსნელია, რა თქმა უნდა მაცხოვარიც, მაგრამ ვისი მხსნელია, რისგან და რითი? რატოა, რომ ახალი აღთქმის ღმერთზე კაცომოყვარეს ვამბობთ, ძველისაზე კი შურისმგებელს? როდის, რა ვითარებაში, როგორ და რატომ გახდა ძველი აღთქმის ღმერთი შურისმგებელი და რა მისით გამოა-ძე-ვა მამა ღმერთმა, ანუ შემოქმედმა ღმერთმა ძე ღვთისა ამ ჩვენი ცოდვით სავსე დედამიწაზე? „მშვიდობით მეფობაო ჰურიათაო, რა-მეთუ მოჰკალთ მაცხოვარი თქვენი და იქმენით მკვლელ შემოქმედისა“ – რატომ და როდის ამბობს ამას ქართული ჰურია დედადა რატომ ამბობს მაცხოვარს და არა მხსნელს? ვის შურს ძიობს და ვის ზეობას უფრთხის იუდეურ-ქრისტიანული – ასე, დეფისით, ანუ ტოლობით – სჯული განკითხვის დღეს და ვინ არის ან რა არის (ვინ არის თუ რა არის) – „გოგი და მაგოგი“?



შოთა იათაშვილმა იკითხა ერთხელ ერთ წერილში და მართლა ძალიან საინტერესო და ფიქრთ გასართველი ამბავია ეს – რატოა ქართული სული ომონიმურიო, ანუ რატოა, რომ იმაზე, რაზეც რუსები (და სხვებიც ყველა) „დუხ-

სა“ და „დუშას“ იტყვიან, ჩვენ ორივე შემთხვევაში სულს ვამბობთო? უფრო ადრე ცხონებული გოგი ნიშნიანიძე უტრიალებდა, მახსოვს, ამ კითხვას – რა არის ეს „ფშვი“, „ფშვი“, „ფშვი“, რა, ფშინვაა ჩვენი დუშა? – იცინოდა. არ აკმაყოფილებდა ეს ჩვენი „საფშვინველი“, (საფშვინველიო, ასე ამბობდა) – ეს ჩვენი მწიგნობრული, თავის დროზე, როგორც ჩანს, ბერძნულ „პნევმას“, ანუ ფილტვს, ფილტვისის თვისებას, მისადაგებული ქართული ტერმინი. არადა, ფშვინვაა და სუნთქვაა, კაცმა რომ თქვას, სული, აბა რა არის? სული შთაპბერა ღმერთმა ადამიანს და ამის მერე რაც დაიწყო ადამიანმა, ფშვინვა იყო ის და სუნთქვა იყო, აბა რა იყო?

აი, გონი, ანუ გონება კი, ცხადია, მერე, მეტყველების უნართან ერთად მიეცა – მისცა ღმერთმა – ადამიანს და, როგორც ჩანს, სწორედ ასე და ამგვარად იყო ღმერთი ის სიტყვა, რომელიც „პირველითგან იყო და ღმერთი იყო“. ღმერთის ეს სომხური სახელი, მაგალითად, „ასტვაწ“ (ანუ „ასელ ტვაწ“, ჩემი აზრით, სწორედ მეტყველების მომცემს უნდა ნიშნავდეს ეტიმოლოგიურად, თორემ შემოქმედ ღმერთს – შესაქმის შემოქმედს – „არარიჩ“ უქვიათ სომხებსაც და ძალიან ჰგავს ეს ჩვენს „არსთა გამრიგეს“ და „მ-ორი-გე ღმერთს“, „უინი ორთას“, ანუ ზენა ორთას, მეგრულად, რაც თავისთავად გულისხმობს იმასაც, რომ არის აგრეთვე ქვენა ორთაც, ანუ „გე-ორთა“ (გე-ორი გე) – „გ-ართა“, „ქ-ართა“, „ქართი-ლი“ და ბოლოს „ქართლი“. თქვენი არ ვიცი და მე პირადად ამ „გე-რე“-ს და „გე-ორ“-ს – (ამ ორი განს, ანუ „გე-ორი გე“-ს ეტიმოლოგიურად სწორედ ამ „გოგსა და მაგოგს“ ვამსგავსებ მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიულად სხვადასხვანაირად და ყველა თავისებურად განსაზღვრავს ამ გოგისა და მაგოგის ადგილმდებარეობას – მიუხედავად იმისა კი არა, უფრო სწორად ამიტომ)...

„ლესპირერ“-ს (ანუ სუნთქვას, ამ სიტყვას) უკავშირდება ეტიმოლოგიურად ფრანგულში ეს სიტყვა „სპრიტ“, რაც სწორედ გონს, ანუ გონებას ნიშნავს და რუსულ „დუხს“ შეესატყვისება და არა „დუშას“. ეტიმოლოგიური მსგავსება სრულიად აშკარაა ამ ორი ქართული სიტყვისაც – „სული“ და „გული“, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო და ფიქრო გასართველია ის გარემოება, რომ მეგრულად, ანუ ქართველურად სული და გული არის „შ-ურ-ი“ და „გ-ურ-ი“. სანი და შინი ენაცვლება ერთიმეორეს, განი ურყევია და აი ეს განი გვაქვს სწორედ ამ ქართულ სიტყვაშიც „გონი“, ანუ „გო-ნი“ ნარიანი მრავლობითით და, ესე იგი, – „გო-ები“ – ებიანით, ნარიანითა და ებიანით ერთად კი „გო-ნ(ი)-ები“, ანუ გონება...

პნევმას, ანუ ფილტვს დაუკავშირეს ბერძნებმა სული, ანუ სუნთქვა, მაგრამ სულაც არ იყო, რა თქმა უნდა, აუცილებელი და გარდაუვალი, რომ ყველას ასე გაეაზრებინა ეს ამბავი. ქართულად, მაგალითად, ეს გულს – გულის წასვლა-მოსვლას – შეიძლებოდა დაკავშირებოდა და, ასე გასინჯეთ, კუჭსაც. გურულები, მაგალითად, კუჭსაც უკავშირებენ ამას – დღესაც კუჭს ამბობენ გულის ნაცვლად და გაკუჭებას ამბობენ გაგულისების ნაცვლად...

გული „კ-ორ“ არის ბერძნულ-ლათინურადაც და, ესე იგი, ეგრეთ წოდებულ რომანულ ენებზეც. „დუშევნის“, ამ სიტყვის, სინონიმია რუსულში „ს-ერ-დ-ეჩნი“ და მკერდიც „გ(ო)რუდ“ არის, მოგეხსენებათ. ასეა ინდოევროპულ სომხურშიც – შეადარეთ სომხური „გული“ და „მკერდი“, ვინც სომხური იცით. არაინდოევროპულ ენებშიც ასეა ზოგიერთში, სიტყვა მოიტანს, ალბათ, და ზოგი რამ იქნებ ამის თაობაზეც მოგახსენოთ ქვემორე და ცოტა მოგვიანებით...

„დუშა“ ფრანგულად და სხვა რომანულ ენებზე „ამ“ არის და ეს „ამ“ არის

სიყვარულიც, ანუ „ამ-ურ“. ეს „ამ“ არის აგრეთვე მეგობარი და მეგობრობაც – „ამი“, „ამიტიე“, „ამი-გო“ და სხვა...

სიყვარული მეგრულად „ყ-ორ-ოფაა“ და „ყ-ორ-ობას“ (ანუ „მიყ-ორ-ს“, – „მი-ორ-ს“ მეგრულად) – იტყვიან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც. ეს ორობა იკითხება ზოგადქართულადაც ამ სიტყვაში – სიყვარული – „მიყ-ორ-ს“, ანუ „სიყ-ორ-ული“. „ღ-ორ-ონთ-ი“ ღმერთია მეგრულად, „ღ-ორ-მოთ-ია“ ლაზურად და „ღ-ერ-ბეთ“ არის სვანურად. ღმერთი ღრმა ერთიაო, წერილ არს ესეც ასე ჩვენში ძველთაგანვე...

ამ რუსულ „დუხ“-ში და „დუშა“-შიც „დუ“ გამოიყოფა აშკარად ორივეგან და სწორედ ეს „დუ“ ნიშნავს ღმერთსაც და ორსაც ბერძნულ-ლათინურად და, ესე იგი, რომანულ ენებზეც...

ყველაფერი იყო სუფრაზე «Что душе было угодно» – იტყვიან რუსები, – მარტო „დუშას“ იტყვიან. ჩვენ – რაც გინდა, სულო და გულოო – ასე ვიტყვით, ანუ ორივეს ვიტყვით ერთად. „სულო, რა გემართება, გულო, რა მოგივიდა“, – იტყვის გალაკტიონიც, ასე იტყვის...

არ ვიცი, ვის როგორ „ე-ამ-ება“ და ვინ როგორ დაიჯერებს ამას, მაგრამ მე პირადად ასე „მ-გონ-ია“, რომ ქართულად სული უნდა ნიშნავდეს გონს, ანუ გონებას და, ესე იგი, „დუხს“ და გული უნდა ნიშნავდეს იმას, რაზედაც რუსები „დუშას“ იტყვიან, ფრანგები კი აი ამ „ამ-ს, ანუ „ამოს“, რაც, როგორც ხედავთ, თუ ხედავთ, ქართული სიტყვაცაა ისევე, როგორც რომანული ენების ამ „ამ-ურ“-ისა და „ამ-ორ“-ის ეს „ურ“ და „ორ“...

უკვდავია, რა თქმა უნდა, სული – უკვდავია გონი, ანუ გონება ადამიანისა – უკვდავია, მაგრამ ცვალებადი, ანუ გარდაცვალებადი, ქართულად თუ ვიტყვით. გული არა, გული მოკვდავია და სულ მიგვდის და მოგვდის, ვიდრე ვართ და არა ვართ რა, ანუ ვიდრე ვართ, მაგრამ არა ვართ ორი – ვიდრე ორი არა ვართ ერთად, ვიდრე არა ვართ „ღმა ერთი“, ანუ

არა ვართ „სრულ“, ვითარცა ღმერთი...
ყოფნასაც ნიშნავს ეს „ორ“ ქართულად. „მე ორ“ – იტყვიან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და – მე ვარო – ამას გულისხმობენ. „ჯგირო ორ-და“ – იტყვიან სამეგრელოში, ანუ კარგად იყავიო...



„მე რომ ვიყავი, ესა სთქვეს, ეგ მუდამ ერთზე მეტია“, – ამას ბესიკ ხარანული ამბობს ერთ თავის უმშვენიერეს ლექსში. ერთზე მეტია ან ერთზე ნაკლებია, რა თქმა უნდა, ყველა, ვინც მარტოა იმიტომ, რომ არ არის ერთი, არ არის ერთი მთელი, ანუ ორი არ არის ერთად. სულ „ორი ყლუპი ცრემლით“ ვართ, რა თქმა უნდა, ერთიმეორეზე მეტი ან ნაკლები, ვინც ერთზე მეტი ვართ ან ერთზე ნაკლები – მეტით არაფრით – რადგან მარტონი ვართ ერთნიცა და მეორენიც და მართლა „ყველა ოჯახში თითო ქვაბი კუპრი თუხთუხებს“; ვაი, რომ მართალია ესეც. ცივილიზაციას, ანუ „კაი ცხოვრებას“ აბა რა ჯობს, – („რა სჯობია ქეიფსა და ლხენასა!“) – მაგრამ ღვთის, ანუ სიყვარულის უკეთესი ხო მაინც რა იქნებოდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ან რა შეიძლება იყოს? „მარტო“ – არ არის ეს სიტყვა ყველა ენაში. ერთიაო – იტყვიან და – მარტოაო – ამას გულისხმობენ, მაგრამ აბა როგორ იქნება ერთი ის, ვინც მარტოა? ვერ იქნება. უკეთეს შემთხვევაში ნახევარი იქნება ერთისა, ერთი მთელისა. მეორე ნახევარი იქნება, როგორც იტყვიან – ან თუ გნებავთ, პირველი – მაგრამ ნახევარი, ნახევარი და არა მთელი. „თავის უფალი“ იქნება, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად (ასე დაყოფით თუ დავწერთ და ვიტყვით ამ სიტყვას – „თავის“ და „უფალი“ – და ეს სიტყვა – „უფლება“ – რომ იგივე „უფალობაა“ ეტიმოლოგიურად, ამასაც კარგად გავიაზრებთ) – თავ-მოყვარე იქნება მეტ-ნაკლებად, თავ-ნება იქნება მეტ-ნაკლებად და თავსაც ხშირად

აიგდებს მეტ-ნაკლებად იმ ბავშვივით, რომელიც ხშირად არის მარტო შინ, ანუ ხშირად არის მოწყენილი შინ, და სტუმრად ან სტუმრიანობისას არის ამიტომ ყოველთვის „უფრო „თავის უფალი“ და მხიარული, უფრო თავ-მოყვარე, უფრო თავ-აშვებული და უფრო თავ-აგდებული...



სასაცილოა, რა თქმა უნდა, სატირალი რომ არ იყოს ყველა მარტოკაცი და „ჭამაშიაც ცოდვაა“, რა თქმა უნდა. მიწყივ თავის – მარტო თავისი თავის – უფალია და მიწყივ იმ თავის – მარტო თავისი თავის – ვინაობას, ანუ „მეობას“ დაეძებს. საიდან მოვდივარო და საით მივდივარო – ამას ან ჯერ არ ეკითხება, ან უკვე აღარ ეკითხება იმ თავის თავს, რომლის უფალიც მართლა არის, თუ ამას უფალობა შეიძლება ეწოდოს. აძლევს თავის თავს ამ უფალობის უფლებას. სურს და შურს, რა თქმა უნდა, ეს „ორთა ერთობა“ და უერთდება და იერთებს იმას, ვისაც მასავით სურს და შურს, მაგრამ უერთდება და იერთებს, როგორც იტყვიან, „მტრის ჯინაზე“. მტერი კი, რა თქმა უნდა, ის არის, ვისი „სულიც სურს“, რო იტყვიან, და ვისიც შურს. გიუდება ბოლოს ან ბრძენდება – ან გიუდება და ბრძენდება ერთდროულად. პოეტებიც დიდები არიან, თუ არიან, მერე ესენი და ექსპოეტი დიქტატორებიც, გააჩნია, ვის რა და როგორ ახსოვს და ვინ რას და როგორ იმახსოვრებს იმ დროიდან „ცხოვრებაში რა შესვლასა იწყებს“, ანუ ვის სულს „რა დააჩნდების ერთხელ ცხოვლად“. მიმბაძველებიც პყავთ, რა თქმა უნდა, მაგრამ ისინი დიდები ვერ არიან. უკულმართობა (უკულმა მარტულობა) პჲვია ამას ყველა შემთხვევაში. უკულმართი კი, ეს სიტყვა, ქართულად, მოგეხსენებათ, ნალმართის, ანუ წარმართის ანტონიმია ისევე, როგორც, მაგალითად, „სი-კეთ-ის“, ამ სიტყვის,

ანტონიმი უნდა იყოს წესით, „სი-ფუჭე“. ბოროტება, ცხადია, იგივე „სი-კეთეა“, ანუ „კეთ-ებაა“, მაგრამ ისეთი სი-კეთე და კეთ-ება, როცა ველარაფერს ველარ აკეთებ და აღარ აკეთებ ადამიანი ისე, თუ ვინმე ან რამე არ გააფუჭე. საიდან სადაო თითქოს, მაგრამ აი შეადარეთ ეს ჩვენი „ბ-ორ-ო-ტი“, მაგალითად, ჩვენივე „ობროდს“ („ო ბ—(ო)რ—ოდ“)-ს და რუსულ „Об-ор-от-енъ“-ს. შეადარეთ აგრეთვე აი ამ ნაბერძულარ რუსულ «Ю(о)р-од-и въи́й»-საც. ადამიანის აი ამ უფლებებს, ანუ უფალობებს ვიცავთ დღეს – დღესაც – ვინც ვიცავთ და როგორც ვიცავთ, ანუ ერთი ცალკე აღებული პიროვნების უფლებებს ვიცავთ – მარტოკაცისას – ცალკე დედა-კაცისას და ცალკე მამა-კაცისას. ვაცნობიერებთ, რა თქმა უნდა, (მადლობა ღმერთს!), ამ ბოლო დროს უკვე ამ ორი „კაცის“ – მამა-კაცისა და დედა-კაცის უთანასწორობის აბსურდულობას და თანასწორობასაც ვიცავთ ვითომ ამით ჩვენსას ჩვენი ჭკუით, მაგრამ ცალ-ცალკე ვიცავთ, რადგან, უწინარეს ყოვლისა, უფალობას ვიცავთ ჩვენივე უკულმა მართულობისას, „ყოფილი ანგელოზისას“, ანუ ეშმაკისას (მაცილისას, ესე იგი, – ქართულად მაცილსაც ვიტყვით, მოგეხსენებათ) და არა – აღარ – ადამიანისას, ვითარცა „ღმრთის ხატისას“. ქალთა ემანსიპაციის ყოვლად ბუნებრივი მოთხოვნა თუ მოთხოვნილება საზოგადოების ეგრეთ წოდებულ ფემინიზაციაში გადაიზარდა აგერ ჩვენ თვალნინ და ჩვენს თვალსა და ხელს შუა, როგორც იტყვიან, და იბრძვიან ახლა ეს „არავისი ქალებიც“ უკვე თავიანთი ექსკლუზიური უფლებებისათვის ისევე, როგორც „არავისი კაცები“ და სხვა „ისტები“ ყველა ქვეყნისანი და ყველა ჯურისანი. ქალობაზე და ქალურ უპირატესობაზე კი არ ამბობენ უარს და თანასწორობისათვის კი არ იბრძვიან, თავიანთი ექსკლუზიური, ქალური უფლებებისათვის იბრძვიან,

ვითარცა ეგრეთ წოდებული „სუსტი“ და „დაჩაგრული“ სქესის წარმომადგენლები. ქმრის ძმაკაცები ქმრის ძმაკაცები არიან, ცხადია, და აი აგერ ჩვენს ამ ბოლოდროინდელ ლამის ყველაზე წარმატებულ ტელე-სერიალში „ცოლის დაქალებიც“ ისევე დაქალობენ, როგორც ქმრების ძმაკაცები ძმაკაცობენ. უფალობები არ ეთმობათ თავ-თავისი, მოვალეობებს უთმობენ ერთიმეორეს. ღმერთი, მოგეხსენებათ, სიტყვაა, სიყვარულია, ჭეშმარიტებაა, მშვიდობაა, წესრიგია და „რა“ კითხვას პასუხობს. ღმრთის ხატი – თუ ხატია და ვიდრე ხატია – ცხადია, სწორედ ამას გულისხმობს, ანუ სწორედ ყოველივე ზემორეთებულის ხატია. „ვინ“ კითხვას აი ეს სიტყვა – „უფალი“ – პასუხობს, მაგრამ ვინ არის უფალი? „ვემნეთ კაცი მსგავსად ჩვენისა და ხატად ღმრთისა“, – ანუ „ჩვენ“ რომ გვგავდესო და ამავე დროს ხატი იყოს ყოველივე იმისი, რაც ღმერთიაო – ამას, ცხადია, უფალი, ანუ „ჩვენ“ ამბობს, – „ჩვენ“ ვამბობთ. „და აპა ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩვენგანი“, – ადამზე ვამბობთ ამას, იმ კაცზე, რომელიც პირველად ქმნა ღმერთმა, ვითარცა უფალმა, ანუ „ჩვენ“ – არც მამაკაცზე ჯერ და არც დედაკაცზე. ის „კაცი“, რომელიც პირველად ჰქმნა ღმერთმა, ანუ უფალმა და, ესე იგი, „ჩვენ“, ცხადია, ერთიც შეიძლებოდა ყოფილიყო და მეორეც და აი სწორედ ამიტომ ბოლოს და ბოლოს „მამაკაცად და დედაკაცად ჰქმნა იგი და იგინი“ ღმერთმა, იმ „რამ“, ესე იგი, რაც სიტყვაა, სიყვარულია, ჭეშმარიტებაა, წესრიგია და ასე შემდეგ და ასე და ამგვარად. აი ამ რამ (რამ!) მოგვანიჭა ვინაობა, ანუ უფალობა „ჩვენ“, თავისივე შექმნილ ადამიანებს – მამა-კაცებსა და დედა-კაცებს – „ჩვენ“ მოგვანიჭა და არა მე, ან შენ, ან იმას – „ჩვენობა“ მოგვანიჭა, ესე იგი, და არა „მეობა“... იმას, რასაც ჩვენ წარმართობას ვეძახით, რუსულად „იაზიჩესტვო“, ანუ

ენოვნობა – მრავალენოვნობა – ჰქვია. დასავლეთი ამას სოფლელობას, ანუ გომობას (გო-ნი-ა და „გო-ებ-ია“ ესეც – „იმ“ ეპრაულად, ანუ ივ(ე)რითულად მრავლობითობის მანარმოებელია ზუსტად ისევე, როგორც ქართულად „ნი“ და „ები“) – ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების მიმდევრობას ეძახის, აღმოსავლეთი როგორლაც თითქოს კერპთაყვანის მცემლობასთან აიგივებს, სომხებს კი „ეტანოს“ უქვიათ, ანუ წარმართობა ის არის სომხურად, რაც უკან დარჩა, რაც იყო და აღარ არის, რაც დამთავრდა, რაც წარსულს ჩაპბარდა...

გაუგებარია, ცოტა არ იყოს, ესე ყოველი ყველა ენაზე თვინიერ ქართულისა იმიტომ, რომ – კაცი და ქალიო, ან ქმარი და ცოლიო – ასე „წერილ არს“ ბიბლიაში იმ ყველა ენაზე. მამა-კაცი და დედა-კაცი როა ადამიანი და ორივე რომ კაცია, მამა და დედა როა, ანუ უწინარეს ყოვლისა, „დედმამა“ როა, – ასე დეფისით, ანუ ტოლობით – ეს მარტო ქართულად არის ნათქვამი და ნაგულისხმევი ასე, მარტო ქართულად არის ქმარი „ქმნარი“, ანუ ნაქმნარი ლეთისა და მარტო ქართულად შეიძლება ვივარაუდოთ ძალიან დიდი ალბათობით, რომ „ცოლიც“, ეს სიტყვა, სხვას არას ნიშნავს რას, თუ არა „ცალს“ ლმერთის იმ „ქმნარისას“, ანუ „ნაქმნარისას – იმ „კაცისას“, რომელიც პირველად ქმნა ლმერთა, ვითარცა უფალმა, ანუ „ჩვენ“. პატრიარქატია, მოგეხსენებათ, უკვე რა ხანია ამ ჩვენი ცოდვით სავსე დედამინაზე და ლმერთიც, ცხადია, მამა ჩვენი, – „მამა ლმერთია“ – მაგრამ პატრიარქატამდე მატრიარქატი ყოფილა, როგორც ამბობენ, და ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, იმ მატრიარქატის ლმერთი, ცხადია, ქალლმერთი, ანუ ქალი ლმერთი უნდა ყოფილიყო – დედა უნდა ყოფილიყო, ესე იგი, და დედა ლმერთი უნდა ყოფილიყო, მამა და მამა ლმერთი ვერ იქნებოდა. ამ პატრიარქატამდე და იმ მატ-

რიარქატამდე კი, მე ვფიქრობ, „დედმამა“ უნდა ყოფილიყო მაინც უფალი ლმერთი – ასე დეფისით, ანუ ტოლობით – „დედ-მამა ლმერთი“ უნდა ყოფილიყო ის „ჩვენ“, ვინც „მსგავსად ჩვენისა და ხატად ლმერთისა ქმნა კაცი“, რომელიც ლმერთმა „მამაკაცად და დედა-კაცად ქმნა“ და ქმნა, ვითარცა „იგი და იგინი“. „ვინ“, რა თქმა უნდა, უფალია იმიტომ, რომ „ჩვენ“ ის არის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის და არ შეიძლება იყოს „მე“. „მარადმყოფი და ყველგანმყოფიც“ სწორედ ამიტომ და ამგავარად არის ლმერთი, ანუ სიტყვა, სიყვარული, ჭეშმარიტება, მშვიდობა, წესრიგი და სხვა და სხვა და სხვა. იმიტომ და იმგვარად არის, რომ „ჩვენთან არს“ მარად და ყველგან, თუ – და როცა – ჩვენ ვართ „ჩვენ“ და არა ჩემთან, შენთან ან იმასთან – ვიღაცასთან. არც მარტო ჩვენთან, მარტო თქვენთან ან მარტო იმათთან, ვიღაცებთან. არ ვიცი, გაუგებარია ვითომ ეს?

ქალის კულტია ჩვენშიო – გავიძახით, მაგალითად, ქართველები და თავი მოგვაქვს ამით, იმას კი აღარ ვუფიქრდებით, რომ ქალის კულტი ისევე, როგორც კაცის კულტი, სხვა არა შეიძლება იყოს რა, თუ არა ამ ორი „კაცის“ – მამა-კაცისა და დედა-კაცის – ერთად ერთობის კულტი, ერთობისა ერთად...

აი ზღაპრულად წარმტაცი და მიმზიდველი პერსონაჟია, თქმა არ უნდა, ლილიტი და ზღაპარივით არ სჯერა არავის არც მისი მისი რეალური არსებობა, მაგრამ ხო ზღაპარივითვე იტაცებს ყველას? ბიბლია არ იცნობს ლილიტს, იცნობს თალმუდი და იქ დაახლოებით ასეა ნათქვამი – ლილიტი არ იყო ადამის ნეკნისაგან შექმნილი, არ იყო მისი ჯიშ-ჯილაგისა და არ იყო მისი შთამომავალი, თუმცა ისიც იმავე თიხისაგან იყო შექმნილი, რომლისგანაც ადამიო. ორჯერ განხორციელდა ამ ქვეყანაზე შესაქმეო. ლილიტი ადამის პირველი ცოლია (ანუ „ცალია“ ქარ-

თულად, ჩემი ეს-ეს არის გამოთქმული „გამოუთქმელი ფიქრი და განსხვავებული აზრი“, თუ ჭკუასთან ახლოა) – ევა ადამის მეორე ცოლი იყო. ბიბლია არ ტყუისო, – ამბობს ანატოლ ფრანსის ერთი მოთხრობის გმირი ეპისკოპოსი. – ბიბლია სრულ ჭეშმარიტებას არ გადმოსცემსო. უაღესად საინტერესო და ფიქრთ გასართველი მოთხრობაა „ლილიტის ქალიშვილი“ – ასეთი სათაური აქვს და იქ არის მხატვრულად გადმოცემული თითქმის ყველაფერი ლილიტის ვინაობის თაობაზე. ლეილა ჰევია ლილიტის ამ ქალიშვილს, სპარსელია და სწორედ მისი ამ უცნაური ლოცვით მთავრდება ეს მოთხრობა: „ღმერთო, მომმადლე სიკვდილი, სიცოცხლეს რომ გავუგო გემო.

ღმერთო, მიწყალობე მონანიება, რომ სიამოვნებას გავუგო გემო.

ღმერთო, დამამსგავსე ევას ქალიშვილებს“.

არაკანონიკურად არის, რა თქმაუნდა, მიჩნეული ეს ლილიტი, ბიბლიაში ხსენებითაც კი აღარ მოიხსენიება არსად. მოიხსენიება ევა და ცნობილია, რომ ევა – თავად ეს სიტყვა – ცხოვრებას ნიშნავს. ადამისა და ევას ერთობლივ ცხოვრებას ნიშნავს, უნდა ვიფიქროთ, თორემ ადამიანის ადამდელი, ანუ ცხოვრებამდელი ყოფის აღსანერად „სიცოცხლე“ – ეს სიტყვაც, ცხადია, სრულიად საკმარისი იქნებოდა. აღარ არის არც ეს ორი სიტყვა სხვა ენებში თვინიერ ქართულისა, ერთი სიტყვაა და ხან სიცოცხლეს გულისხმობენ იმ ერთი სიტყვით და ხან ცხოვრებას. არადა, აბა როგორ უნდა ითარგმნოს იმ სხვა ენებზე – „რა არის ჩემი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება“ – და როგორ – „ცხოვრებაში რა შესვლასა იწყებ?“

●
გიუი თავისუფალიაო, – ჩვენში ასე იტყვიან. – გიუი ქორწილში შევიდა, ჩემს სახლს ესა სჯობიაო, – იტყვიან, – ჩიტივით თავისუფალიაო, – იტყვიან ადამიანზე და – გიუი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰეონდა, რა მოჰეონდაო, – იტყვიან ამასაც...

თავისუფლება რომ მარტო თავისი თავის – თავისი თავის – უფალობას ნიშნავს ქართულად, ეს უკვე გავარკვიეთ ზემორე. გაგიკვირდებათ და რუსულადაც (და ზოგადად სლავურად) ასე ყოფილა: «Св-об-од-ныи» და «Св-об-од-ная» ოდესლაც მარტობერბიჭას და შინაბერას ნიშნავდა თურმე, ანუ „კარგუნახავს“, როგორც ჩვენში (კახეთში, მაგალითად) იციან თქმა. თავისუფლება, „ლიბერალიზმს“ რომ ვამბობთ, ის არის ლათინურად და ეგრეთ წოდებულ რომანულ ენებზე. „ყიბერ“ – ეს ებრაული ანუ ივ(ე)რითული სიტყვა იკითხება აქ სრულიად აშეარად და თვალსაჩინოდ, რაც მოსულს – გაღმიდან ან გადალმიდან მოსულს ნიშნავს. მოსულს უნდა ნიშნავდეს, ცხადია, „იბერი“ და „იბერიელიც“ და მოსულს უნდა ნიშნავდეს აგრეთვე ეს სპარსულ-თურქული „აზად“, ანუ „აზატი“ და აქედან უნდა იყოს წარმომდგარი სომხური „აზატიუცუნ“-იც, ანუ თავისუფლება – სომხურად. გაიხსენეთ „ქართლის ცხოვრების“ აზო და აზონაურიც, ანუ იგივე აზნაური...

(დამხვდურს, ანუ ადგილობრივ მკვიდრს, ძალიან დიდი ალბათობით „კოლხი“ – ეს სიტყვა – უნდა ნიშნავდეს. ახლა აღარ მახსოვს, ვის და სად, მაგრამ ჩვენს ენათმეცნიერებს გამოთქმული აქვთ ეს აზრი, რომ „კოლხი“ და „გლეხი“, ეს ორი სიტყვა, ეტიმოლოგიურად ერთი და იგივე უნდა იყოს. ფრანგულადაც, მაგალითად, „პეიზან“ ანუ გლეხი, ეტიმოლოგიურად „ქვეყნელს“ ნიშნავს)...

„ჰურია“ ყოფილა თავისუფლება

არაბულად და რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ არაბულ „ჰურიას“ ქართულ „ურიასთან“ და „ჰურიასთან“ („ჰურიანი ქართუ-ელნი“, მაგალითად, რაც, ცხადია, აბრაამის მშობლიური ქალაქის სახელიდან – „ური“ – უნდა იყოს წარმომდგარი), მე არ ვიცი და ჯერჯერობით ვერც ჩემი ნაცნობი არაბისტები ვერ მეუბნებიან ამას. აი ინგლისურად და გერმანულად კი, რამდენადაც მე გავარკვიე, თავისუფლება როგორლაც მშვიდობას უკავშირდება თითქოს – „ფრეედომ“ და „ფრეიჭე-იტ“. ასეა – „ღმერთი არს სიყვარული“, რა თქმა უნდა, ანუ სიტყვაა, ჭეშმარიტებაა, მშვიდობაა, («Мир да любовь», როგორც რუსებმა იციან თქმა) წესრიგია და ასე შემდეგ და ასე და ამგვარად და არა თავისუფლება, ანუ თავის

– მარტო შენი ცალკე აღებული თავის – უფალობა...



„სევდა შემოუბოლეს „ოლოლებმა ოლედან“ ჩვენს გიორგი ლეონიძეს – ცისფერყანწელს...

ოლოლო შენ, ვერ გამოიცანიო – არის ერთი ასეთი გამოთქმაც ჩვენში...

ოლოლი ფრინველია, ანუ ჩიტია, ოლოლები გამუდმებით დაექებენ ერთმანეთს, მაგრამ ვერა და ვერ იკვლევენ გზას ერთიმეორისაკენ...

გალაკტიონის ტროცკისტობის გამო რეპრესირებულ ცოლს ოლია ერქვა და გალაკტიონი ოლოლს ეძახდა...

ამათივე თაობის ფრანგი სიურეალისტი პოეტი, პოლ ელუარი იტყვის: „ცალ-ცალკე მიზანს ვერ მივალნევთ, მხოლოდ ორ-ორნი! ოდეს ორ-ორნი

გავიცნობთ ერთმანეთს, ერთმანეთს გავიცნობთ ყველა, ყველას გვეყვარება ერთმანეთი და ჩვენი ბავშვები იცინებენ იმ შავ-ბნელ ლეგენდაზე, სადაც გულამოსკვნით, ტირის მარტოსული“. პოლ ელუარი თავისი გარდაცვლილი ცოლის ხსოვნისადმი მიძღვნილ ერთ პატარა კრებულში იტყვის ამას, სადაც ერთმა ასეთმა უცნაურმა სტრიქონმაც მომჭრა მე ერთხელ ყური ახალგაზრდობაში: „ხანდა-ხან შენს კაბას ვიცვამ“...



ამ ჩვენი უცხო, ანუ გა-უცხო-ებული, როგორც მერე და მერე ირკვევა, მოყმის ვეფხის ტყავის თაობაზე რამდენიმე ერთობ ფიქრთ გასართველი მოსაზრება



აქვთ გამოთქმული რუსთველოლოგებს, მაგრამ ჯერ არავის არ მიუქცევია, თუ არ ვცდები, სათანადო ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ ვეფხვი ნესტან-დარეჯანია „ვეფხისტყაოსანში“, ლომია ტარიელი და, უწინარეს ყოვლისა, ცხადია, ის არის საფიქრებელი, რომ ნესტან-დარეჯანის „კაბაა“ ტარიელის ეს ვეფხის ტყავი. ლომს „დაუგმობს ნაქნარს“ ეს თავად ლომი – „ვეფხვს რად აწყენო?“ – მაგრამ მერე ის ვეფხვიც თვითონვე შემოაკვდება ხელში, რადგან ტუჩებში კოცნას მოუნდომებს და ვერ გაუგია, თუ რატომ უძალიანდებიან. ნესტან-დარეჯანს მივამსგავსე და იმიტომ მოვუნდომე იმ ვეფხვს ტუჩებში კოცნაო – ტარიელი მერე თვითონ უამბობს ამას ასე ავთანდილს. აფრენს, რა თქმა უნდა, უკვე მარტობისაგან და განწირულია დასაღუპავად, რომ არა ისევ ეს არაბი „ტკბილქართული ყმა“, რომელიც წმინდა წყლის „ფსიქო-თერაპიულ სეანსს“ უტარებს ამ დროს, ვინდლო როგორმე ცხენზე შეჯდომა შეაძლებინოს. მარტოა ტარიელი, მიუხედავად იმისა, რომ „დაზე უფრო დესი“ ასმათი ახლავს თან და „ფსიქოთერაპიულ სეანსებსაც“ ის უტარებს თუ უტარებს ამ მარტობაში, ვითარცა წანალი. წანალი, კი – ქალი ახლავს ერთი იქ, იმ გამოქვაბულში იმ უცხო მოყმეს სასურველადო („სასურველადო!“), – ამასაც ავთანდილი უამბობს ასე თინათინს და სწორედ ამით არის ეს ქაჯეთს განათხოვარი მამიდის გაზრდილი ნესტან-დარეჯანის დობილი „დაზე უფრო დესი“ ტარიელისთვისაც. ასეა – დაზე უფრო დესები და ძმაზე უფრო ძმესები არიან (თუ იყვნენ) ერთიმეორისათვის ჩვენში წანლები ტრადიციულად. ქაჯეთს უკავშირდება როგორლაც ეს ამბავი „ვეფხისტყაოსანში“. ნესტან-დარეჯანის ქაჯეთს განათხოვარი მამიდის გაზრდილია ასმათიც – ნესტან-დარეჯანთანვე თანშეზრდილი და მისი დობილი. „როსკიპო, ბოზო დიაცო, ქმარი

რად მოაკვლევინე?!" – გადარეულია საწყალი ქალი. – არაო, მე არ მის-ნავლებია ეს ჩემი გაზრდილისათვისო, – თავს იმართლებს ძმის წინაშე, – არ იცის არც ამან ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მიჯნურობის ამბავი – „ქმარი“ ხვარაზმშა ჰგონია. ამიტომაც გაუყენებს მალულად ქაჯეთის გზას ნესტან-დარეჯანს, ასე ვთქვათ, „გამოსასწორებლად“ – (ალბათ, აბა სხვა რა შეიძლება ვიფიქროთ?) და თვითონ თავს იყლავს, აკავის „გამზრდელისა“ არ იყოს. არ არიან, არა „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯები მართლა ქაჯები – „კაცნი არიან, ჩვენებრვე ხორციელანი“. არ იციან ან ალარ იციან ეს არაბებმა. ავთანდილი ეკითხება ფატმანს – კი, მაგრამ ქაჯები თუ არიან, ქალი რად უნდათო – და აი მაშინდა შეიტყობს ამ ამბავს, რომ – თურმე ნუ იტყვით და – ქაჯებიც კაცნი ყოფილან...



„ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიას რომ იყვლევდა, ჩვენმა საქვეყნოდ ცნობილმა გეოგრაფოსმა, ცხონებულმა ლევან მარუაშვილმა გულანშაროს ადგილ-სამყოფელად მადაგასკარის ის საპორტო ქალაქი ივარაუდა, რომელსაც „გულანშარს“ ეძახდნენ არაბი კოლონისტები იმ ეპოქაში, როდესაც ეს ჩვენი „ვეფხისტყაოსნი“ იწერებოდა, თავად მალაგასები კი „მანძას“, ანუ ლამაზს – ლამაზ ქალაქს – ეძახდნენ. თანამედროვე სახელი „მაუნგაა“ ამ ქალაქისა და დღესაც ძირითადად იმ არაბი კოლონისტების მუსულმანი შთამომავლობით არის დასახლებული. მადაგასკარის ისტორიაში, ანუ მალაგასურ „ქართლის ცხოვრებაში“ („ტანტარა ნი ანდრიანა“, ასე ჰქვია და არაბული ასოებით მალაგასურ ენაზეა ჩაწერილი, მეფრანგული თარგმანი მაქვს ნანახი) არის ერთი ეპიზოდი, რომელსაც ერთი ერთში იმეორებს ფატმანი, როდესაც ავთანდილს უამბობს, თუ რა ვითარებაში ნახა პირველად ნესტან-დარეჯანი გულანშაროში.

აი „ქაჯეთის ციხის“ ადგილ-სამყოფელი კი უკვე მადაგასკარის დედაქალაქში, ანტანანარივუში დაადგინა ლევან მარუაშვილმა, ეგრეთ წოდებულ „ზედა პლატოზე“, სადაც ოდესლაც ცხოვრობდნენ ამ კუნძულის პირველმოსახლე „ვაზიმბები“ – ამ სახელით მოიხსენიებიან დღესაც. ყველაფერი, რასაც მადაგასკარზე ამ ვაზიმბების თაობაზე ამბობენ და წერენ, აგრეთვე ერთი ერთში ემთხვევა ჩვენს წარმოდგენას ქაჯების შესახებ. კუჯები ყოფილან ეს ვაზიმბები, ადამიანები ყოფილან – დედა-კაცები და მამა-კაცები. მერე აქ ამ მიწებზე „იმერინები“ (ერთი ისტორიულად ყველაზე უფრო დაწინაურებული მალაგასური ტომისა და პროვინციის სახელია) დასახლებულან, ანუ ამ ვაზიმბების მერე პირველი „მოსულები“ ამ კუნძულზე სწორედ ეს იმერინები ჩანან. მკლევრები აღნიშნავენ, რომ იმერინების რასიული შემადგენლობის 90 პროცენტი ევროპოდულის (ანუ იგივე კავკასიოდურის, – უნინ ევროპოდულს იტყოდნენ, ახლა უფრო კავკასიოდურს ამბობენ) მონღოლოიდურისა და ნეგროიდულის ნაზავს წარმოადგენს, სხვაგან ყველგან ნეგროიდული ელემენტი სჭარბობს. აი ამ მოსულების (ევროპელებისა და ზოგადად თეთრკანიანების) მალაგასური საზოგადო სახელია „ვა-ზახ-ა“. „ამა-ზახ-ი“ კი მაროკოელი თერკანიანების საზოგადო სახელი ყოფილა – ამას სულ ახლახან გადავაწყდი ფეისბუზზე. რა მოგახსენოთ – „ქაჯეთის ციხე“ ბევრია ამ ქვეყანაზე, ჩვენში „ქაჯთა ქალაქსაც“ იტყვიან თუ იტყოდნენ, მოგეხსენებათ, და „ური“ ერქვა (აბრაამის მშობლიური ქალაქის სახელი) და „ურაველი“ ერქვა მეორენაირად ამ ქაჯთა ქალაქსა და ქაჯთა ქალაქებს ჩვენში. სადაურსა სად წაიყვანო და ეს სადაურობის აღმნიშვნელი „ური“ დღესაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება საქართველოშიც – ტოპონიმიკაშიც და გვარ-სახელებშიც. გვხვდება ეს „ურაველიც“, ერთი „ურაველი“, მაგალითად, მე ჩვენს დღევანდელ ადიგენშიც მეგულება

– სხვაც ბევრია აღბათ. „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფია ცხონებული ლევან მარუაშვილის გარდა სხვებსაც უკვლევიათ და სხვა დასკვნებამდე მისულან, მაგრამ ის „უცხოთა ხელმწიფეთა სიჩალხე-სისაფეთანი“, რასაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი უმაგალითებს „იმათ“ („მათად საქებრადო“), ვისი ქებაც აქვს „ნაპრძანები“, როგორც ჩანს, მაინც მადაგასკარს უნდა უკავშირდებოდეს. ლევან მარუაშვილს თორმეტი ენისა (მათ შორის ქართულისაც) – და „ვეფხისტყაოსნის“ ზედმინევნით მცოდნე ცნობილი შუმოვსკიც უკრავს, სხვათა შორის, კვერს (ოპონენტი სწორედ ის ყოფილა მისი, როდესაც ლენინგრადში სადოქტორო დისერტაციას იცავდა ამ საკითხზე) და თავის მხრივ იმასაც ამტკიცებს, რომ „მულდაზანზარი“, მაგალითად, უეჭველად იგივე ზანზიბარია....



ახლა აღარ მახსოვს, ვის, მაგრამ ერთ რეს მოძღვარს უთქვამს – სახარებას ახლა აღარავინ აღარ კითხულობს, მარტო კოცნიანო. იგივე შეიძლება ითქვას დღეს ჩვენში „ვეფხისტყაოსნიც“. ვიცით ყველამ ამ ჩვენი საფიცარი – ხელთუქმნელი, რო იტყვიან – თხზულების ფასი და თავიც ძალიან დიდად მოგვაქს ამით, მაგრამ წაკითხვით ვერ ვკითხულობთ და ვეღარ ვკითხულობთ. ვინც წაიკითხა, ყველა გადაირია, მოგეხსენებათ, ვისაც მოგეხსენებათ და გამონაკლისობას ამ მხრივ ვერც მე ვერ დავიჩემებ, ცხადია, მაგრამ წაკითხვაც არის და წაკითხვაც – რომ არა ვთქვათ, გადარევაც არის და გადარევაცო. წაიკითხა აგერ ამ ჩვენმა სასიქადულო – მთელს მსოფლიოში სახელგანთქმულმა – უნიჭიერესმა და უჭკვიანესმა რეზისორმა, ბატონმა რობერტ სტურუამ და – სიგიჟეაო – დასკვნა – ვერაფერი ვერ გავუგეო, და აი ვერაფერი რო ვერ გავუგეო, ეს უნდა დავდგაო. დაანონსა ეს დადგმა და დადგა – დადგა ეს

ანონსი – ხია და ხია, ფანტა და ფანტა სცენაზე ამ წიგნის ფურცლები, მაგრამ დადგმით აღარ თუ ველარ დადგა მერე ის, რაც დააანონსა. ასეც ვფიქრობდი – გონივრული ეჭვი მქონდა, როგორც იტყვიან, იმთავითვე, რომ არ დადგამდა და ვერ დადგამდა იმას, რასაც „ვერაფერი ვერ გაუგო“. ნეტა, დაედგა! ყველაფერს ვერა, ალბათ, მაგრამ რაღაცას მაინც უეჭველად გახდიდა საცნაურს მისებრ ნიჭიერი და და ჭკვიანი კაცი, რომ დაედგა. ვერ ვხვდებით, ვერა, „მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანები“, რადგან მიხვედრა „ვეფხისტყაოსანში“, აქაც და სხვაგანაც, ყველგან, ხვედრს ნიშნავს და არა იმას, ჭკვიანები ვერ გაიგებენ ამას, რომ უთხრა და რომ უამბოო. გაგებით როგორ ვერ გაიგებენ?! ჭკვიანი იმისი ჭკვიანია, რომ ყველაფერს ხვდება და ყველაფრის გაგება ხელენიფერა – რაც ზევით არის, ერთი იმდენი ქვევით არის, მოგეხსენებათ, ყველა ჭკვიანი – მაგრამ ამაზე არ არის აქ ლაპარაკი. არ არის ეს ჭკვიანების ხვედრიო (ის ერთი მიჯნურობაო), – ამას გვეუბნებიან. აპა მიჰევდეს შესაფერი ყმა ქალსა და ქალი ყმასაო, – გვეუბნებიან. ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ქორწილში, თუ ქორწილზე გვეუბნებიან ამას, მიჰევდეს შესაფერიო – „მიხვდესო“ და „შესა-ფერ-იო!“



ფერი ფერსაო და მადლი ღმერთსაო, ჩვენში რო იტყვიან, სულ უფრო და უფრო უარყოფით – ირონიულ – კონტექსტში ამბობენ ამასაც ჭკვიანები ყველა ქვეყნისანი, თუ ხართ დაკვირვებულნი, რომ – „ყველაფერი“ და „არაფერი“ – ამ ორი უმნიშვნელოვანესი ცნების გამომხატველი ეს ორი სიტყვაც მარტო ქართულში უკავშირდება ორივე ფერს? თუ ხართ დაკვირვებულნი, რომ „შუაშისტყობას“ ეძახიან დღეს ჩვენში (ჩვენში-ც) იმას, რასაც „ოქროს შუალედი“,

„ოქროს კვეთი“ და „ოქროს კვეთა“ ჰქვია (თუ ჰქვიოდა, ერქვა ოდესლაც) და უნინარეს ყოვლისა სწორედ ამ „შუაშისტყებს“ ადანაშაულებენ ყველა თავიანთ მარცხსა და წარუმატებლობაში „ისტები“ ყველა ჯურისანი – და ასეა, სამწუხაროდ, ყველგან, არა მარტო ჩვენში...

შუამთა და შუამთაო – გახსოვთ, ალბათ, გალაკტიკიონის ეს „ოქროს კვეთაც“, ეს „ოქროს შუალედიც“ და ეს „ორგულოვანობაც“, ვისაც გახსოვთ და ვისაც სულაც არა გონიათ, რომ დიდი პოეტის შემოქმედებითი მარცხი იყო „მშვიდობის წიგნი“...

გასული საუკუნის 90-იანი წლების ორი ჩვენი ქართული ტელეგადაცემა მაგონდება: ერთში ერთი ჩვენი ხევისბერი ილოცებოდა – ლამის სამას სამოცდასამივე წმინდა გიორგის რომ შეავედრა ჩვენი სამშობლო, ბოლოს ასე დაამთავრა ის თავისი ლოცვა „იესო ქრისტევ შუა გზაზე მდგომელო!“. მეორეში კი ერთი ახალგაზრდა მოძლვარი გვიმტკიცებდა – ქრისტიანობა ვაჟკაცური რელიგიააო...



ამბობენ, რომ ტიუტჩევის ამ სტრიქონის – «О, страшных песенъ сих не пой про древній хаос, про родимый» – ნაძალი უნდა იყოს თითქოს – (შეიძლება იყოსო) – პუშკინის ეს სტრიქონიც: «Не пой, красавица, при мне ты песень Грузии печальной!»...

«Мысль изречённая есть ложь» – ტიუტჩევის „იზრეჩიონნაია“ ეს საყოველთაოდ ცნობილი სტრიქონიც. „შილენსიუმ!“ – ასეთი სათაური აქვს ამ ლექსს. სიჩუმეო, ესე იგი, ამას ნიშნავს ეს ლათინურად – ასე ძახილის ნიშნით. საყოველთაოდ ცნობილიც ეს ლექსი, უნინარეს ყოვლისა, სწორედ ამ სტრიქონის, ანუ ამ გამოთქმული ფიქრის გამოა – გამოთქმული ფიქრი ტყუილიაო, ანუ გაჩუმდი, ხმა არ ამოილო, ნუ გა-

მოთქვამ იმას, რასაც ფიქრობ, ტყუილია გამოთქმული ფიქრიო. გამოთქმული ფიქრი უკვე აზრია და ტყუილია, რა თქმა უნდა, რადგან განსხვავებულია იმისაგან, რასაც ფიქრობდი. არ იქნება და ვერ იქნება – ველარ იქნება – გამოთქმული ფიქრი ფიქრი და ტყუილი იქნება, ცხადია, მაგრამ მართალიც ხომ უეჭველად იქნება, რაკიდა უკვე გამოთქმული იქნება და აზრი იქნება? ტყუილ-მართალი იქნება – ასე დეფისით, ანუ ტოლობით – როგორც ჩვენში იციან თქმა. განსხვავებული იქნება, რა თქმა უნდა, იმისაგან, რასაც ფიქრობდი და მით უფრო საინტერესო და ფიქრთ გასართველი იქნება, რაც უფრო განსხვავებული იქნება ისევე, როგორც თავად ტიუტჩევის ეს გამოთქმული ფიქრი და აზრია ყოვლად განსხვავებული და საყოველთაოდ ფიქრთ გასართველი. ვფიქრობთ ყველა, სულ ვფიქრობთ, მაგრამ რა სვფიქრობთ, ეს ხო არ ვიცით დანამდვილებით, ვიდრე აზრს არ გამოვიტანთ ამ ჩვენი ფიქრიდან და ფიქრებიდან ისევე, როგორც, მაგალითად, სიზმრიდან ცხადს და ტყუილია, რა თქმა უნდა, ესე ყოველი, მაგრამ მართალიც ხო უეჭველად არის? ეს ის სიმართლეა, როგორცჩანს, რისი წვდომაც ჩვენ – ადამიანებს, ანუ „ხატთ ღმრთისას“ – ხელგვენიფება, თორემ ყველა ჩვენი ფიქრისა და აზრის დედანი, მოგეხსენებათ, ის სიტყვაა, რომელიც „პირველითოგან იყო და ღმერთი იყო“, იყო, მაგრამ სად იყო, ცაში, თუ დედამინაზე, ანუ „ზე-ცაში“, თუ ამ „ქვე-ყანაზე“? ზე არის ყველა ცა, თუ მაღლა აიხედავ და ქვე არის ყველა ქვე-ყანა, თუ მაღლიდან გადმოიხედავ, ცაში ვართ, ანუ ჰაერში ვართ, ესე იგი, ჩვენც („ჩვენ“), ანუ ყველა და ყველაფერი – კოსმოსში ვართ ეგრეთ წოდებულში. ჰაერში თუ ჰაერზე სიტყვას არავინ არ ვისვრით თითქოს, კაცმა რომ გვკითხოს, მაგრამ აბა სად ვისვრით, როცა „უდაბნოსა შინა ვლა-

ლადებთ“, მაგალითად, და არავის არ „ე-ყურ-ება“ ეს ჩვენი ლალადისი? უცნაური, ძალიან უცნაური სიტყვაა მაინც ეს ჩვენი „ყურება“ – ვერ გაიგებ, არავის არ ესმის თუ არავის არ მიაქვს გულთან ეს შენი ლალადისი იმიტომ, რომ ეს ჩვენი, ერთთავად სულ თავის თვალსაწირს დადევნებული, გონების თვალია ასე დაუდევარი, რომ არას დაგიდევს ჩვენივე გულის ხმას... „ნისლი ფიქრია მთებისა“ – იტყვის ვაჟა და თავად ეს ნისლი არ არის, ცხადია, ტყუილი, არ არის ტყუილი ფიქრი, ტყუილი ის შეიძლება იყოს მხოლოდ, რომ ფიქრობენ, მაგალითად, რაღაცას ეს ჩვენი მთებიც. შეფარდებითობას გააჩნია, ეტყობა, მაინც ამ ტყუილისას და ამ მართლისას – ამ „ტყუილ-მართლისას“ და ამ „სიზმარ-ცხადისას“, როგორც ჩვენში იტყვიან ასე, დეფისით, ანუ ტოლობით. ხუმრობითაც შეიძლება, რა თქმა უნდა, გამოითქას ეს განსხვავებული აზრი და ზღაპრადაც შეიძლება იამბოს კაცმა. ზღაპარი ხო ის არის, ბოლოსდა ბოლოს, რაც არავის არ სჯერა, მაგრამ ყველას იტაცებს სწორედ ამ არგამოსათქმელი თუ გამოთქმული ფიქრისა და განსხვავებული აზრის (სიზმრის, ოცნების, ნატვრის, წინასწარმეტყველების ან სულაც წინათგრძნობის – ავისა, თუ კარგის) გამო და ახდენაც ხომ უეჭველად იცის ზღაპარმაც – ნატვრამაც, წინასწარმეტყველებამაც და წინათგრძნობამაც, ავმა თუ კარგმა? ამხდარია, მაგალითად, აგერ უკვე თითქმის ყველა ზღაპარი – გნებავთ, მფრინავი ხალიჩებისა თქვით, გნებავთ ჯადოსნური სარკებისა თუ წყაროთა სათავეებში ჩაწილილი ცეცხლისმფრქვეველი გველაშაპებისა – სადაცა ცხრათავიანი დევების, ცხენ-კაცებისა და ქალ-თევზების კლონებიც გამოჩენდებიან, ალბათ, ასპარეზზე! ოცნებაა, ნატვრაა და ზღაპარია, მაგალითად, ჯერჯერობით ეს ეგრეთ წოდებული „იმორტალიზ-

მიც“, მაგრამ ბიბლიიდან ხო ასე ვიცით თითქოს, რომ ყოფილა ოდესლაც ისეთი ცივილიზაციაც ამ ქვე-ყანა-ზე, როდე-საც – ყველა არა, მაგრამ – ზოგიერთი ადამიანი, მართლა ძალიან დიდხანს ცოცხლობდა? სახელებიც ვიცით იმათი და ისიც, თუ ვინ რამდენი ასწლეული დაჰყო ამ ქვე-ყანა-ზე...

აი აშკარად პოლიტიკური შეფერი-ლობისაა და სასურველის სინამდვილედ წარმოდგენას ისახავს მიზნად, მაგალი-თად, ეს ხუმრობა თუ ზღაპარიც იმის თაობაზე, რომ ამ რუსული სიტყვის – «Грузия» – ეტიმოლოგია «Горная Россия» უნდა იყოს. თავიდან ზადორნოვის ალ-მოჩენა მეგონა და გამეცინა, რა თქმა უნდა, ზადორნოვი იუმორისტია და, ცხა-დია, ხუმრობს, მაგრამ არიან რუსეთში დღეს სწავლული მეცნიერებიც – მეც-ნიერებათა დოქტორები – ვისაც სულაც არ მიაჩნიათ სახუმაროდ ეს ზღაპარი. რაღა დაგიმაღლოთ და ერთობ და ერ-თობ ფიქრთ გასართველი მგონია მეც ეს ხუმრობა თუ ზღაპარი იმის მერე, რაც გამოვარკვიე, რომ ეს «Горная» ძვე-ლი სლავურით – თურმე ნუ იტყვით და – ზეციურს ნიშნავს. საკითხავი ისლა დამრჩენია ახლა, თუ ვინ არიან თავად ეს რუსები და რას ნიშნავს ეს „როს“ („მთავარსა როსს, მოსოხსა და თობელ-სა“, მაგალითად) და ეს «Русь» – «Святая Русь»? ხომ არ შეიძლება, რომ ხუმრობით და ზღაპრულად ჩვენც ჩვენი ქართუ-ლი ორი, ანუ «(o)Р-усь» ვივარაუდოთ აქ ამოსავალში? ვლადიმირ დალის თუ დავუჯერებთ, «Русый», როგორც თმის ფერი, თავიდან გარეული ღორის, ანუ ტახის (რუსულად «Кабан») ორფეროვან, შავ-თეთრ ჯაგარს აღნიშნავდა და, ესე იგი, არც რუსული «Русая коса» უნდა იყოს ქართულად ქლალი ან წითური თმა. ქერა უნდა იყოს, ანუ იგივე „გე-რე“ და „გე-(ო)რე“...


გერმანელის, ამ სიტყვის, ეტიმო-ლოგიაზე ფიქრმა გამიტაცა ერთხელ, დავგუგლე და აი რა გამოირკვა: ერთი

და იმავე მდინარის გაღმა-გამოღმა და-სახლებული ადამიანებისა და ტომების საზოგადო სახელი ყოფილა უელსური ირლანდიური „გერ“ და „გეარ“ და აქე-დან ყოფილა წარმომდგარი „გერმანე-ლიც“, ეს სიტყვა. მიწა, ანუ ბერძნული ან ბერძნულად მიჩნეული „გე“ უნდა იგულისხმებოდეს აქ, ანუ ორი მიწა, ერთიმეორისაგან მდინარით გაყოფილი და მდინარითვე შეერთებული, აბა სხვა რა შეიძლება შეიძლება კიდევ ვიფიქ-როთ? ერთი და იგივე მთის, ანუ „გ-ორ-ის“ გადაღმა და გადმოღმა ორი მი-წა აგრეთვე „გ-ორ-ი“, – ერთი და იგი-ვე მთით, ანუ „გორით“ გაყოფილი და ამ მთით, ანუ გორითვე შეერთებული, ანუ – ჩემი გამოთქმული ფიქრითა და განსხვავებული აზრით – „გე-ორი-გე“. ვინ იცის, მართლა ჰქონდა თუ არა, ფრიდრის მეოთხე ბარბაროსას ვარ-დისფერი წვერი („ბარბ“ წვერია ლათი-ნურად და „როსა“, მოგეხსენებათ, ვარ-დი), მაგრამ გერმანელი რომ იყო, ეს ვიცით და გამორიცხული არ არის, რომ „ბარბაროსიც“ ყოფილიყო, ანუ „ბარ-ბალოს“. იხილეთ ვერა ბარდაველიძის „ბარ-ბალ“ და ისიც გაიხსენეთ, თუ ვის და რატომ ეძახდნენ ძველი ბერძნები ბარბაროსებს...

გურულების სხვაგვარად მოაზროვ-ნების ამბავი მოგეხსენებათ – რა პა-ტარაა მაინც ეს ჩვენი საქართველო-მეტქი, – წამომცდა ერთხელ ჯავრიან გულზე, გურიაში რომ ვიყავი სტუმ-რად და – რასაა, რომ ჩივი, თუ იციო, – მითხრეს. – აი ჩვენი მთა და გორია („გ-ორ-ი“) პატარაო?! დაკუჭულია, ძა-მა, მაი ასთე, თვარა აგენტა ყველამ ერ-თად თუ გაშალა მხარი, რაის პატარა, თელ დუნიას შემოხვენ მკლავებსო! ოპტიმისტები არიან გურულები, გათე-ნება ისე უხარიათ, რომ – გავიღვიძე! – შესძახებენ ხოლმე უმალ, როგორც კი თვალს გაახელენ. აბდლობას ჰგავს ეს ზოგჯერ, მაგრამ არ არის აბდლო-

ბა – ხუმრობაა. ხუმრობა ბევრს მართლა მარტო აბდლობა ჰგონია, მაგრამ არ არის მთლად ასე საქმე, ხუმრობა ხუმრობაა – „ხუმ-ორ-ობაა“, „ჰუმ-ორ-ობაა“, „ხუმ-ორი-ა“, „ჰუმ-ორი-ა“, „იუმ-ორ-ია“ – ორია. ნახევარი ტყუილია ყველა და ნახევარი მართალია და იმას, რაც მართალია, თვითონ უნდა მიხვდეს ის, ვისაც ეხუმ-ორ-ებიან, ავი რომ არაფერი არ ჩაიდოს გულში იმისი, ვინც ეხუმ-ორ-ება. გურული ვარ მეც, უნდა მოგახსენოთ, ჩემი წინაპრების შვიდ-შვიდი თაობის ამბავი ზეპირად

ვიცი და არც ერთი არაგურული არ მირევია არსად არც ერთ თაობაში არც დედის მხრიდან და არც მამის მხრიდან, იმის იქით რა იყო, ამას ახლა ვიკვლევ და ნუ გაგიკვირდებათ ამიტომ ნურც ჩემგან, თუ ასე ხუმ-ორ-ობ-ებ-ითა და ზღაპრებით ვცდილობ მეც გავაგონო კარგ გამგონს ეს ჩემი გამოთქმული ფიქრები, თუ განსხვავებული აზრები არცთუ და ვერცთუ მაინცადამაინც კარგმა მთქმელმა, ვითარცა „ხმა მღალადებლისა უდაბნოსა შინა“...



ვალტერ ბენიამინი

პოლ ვალერი

ოდესალაც ვალერის ზღვაოსანი სურდა გამხდარიყო, ოფიცრობას ნატ-რობდა. მის საბოლოო სახეს ეტყობა ამ ყმაწვილობისდროინდელი ნიშნები. უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ მისივე ფორმათა სიმჭიდროვითა და სისავსით აღბეჭდილი პოეზია. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ენა აზრს შეებრძოლა და გამოსტაცა ეს ფორმები, როგორც ზღვა მიიტაცებს ხოლმე სიჩუმეს უქარო დღეებში; ან კი-დევ: ასეთია ვალერის აზროვნება – ერთნაირად გამსჭვალული მათემატიკით – საგნებსა და მოვლენებს ზემოდან ისე დაჰყურებს, როგორც საზღვაოს-ნო რუკებს და „სიღრმეთა“ შემცნობელი, ბედნიერია იმითაც, რომ აღებული კურსიდან არ გადაუხვევია. ზღვა და მათემატიკა: ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლამაზი ფრაგმენტი – მის მიერ და-ნერილი სოკრატეს მონათხობია, სა-დაც ის უყვება ფედროსს ზღვის პირას ნაპოვნ საგანზე. ეს ძალზე უცნაური სა-განია, სპილოს ძვლისაა თუ ჩვეულებ-რივი ძვლისა, ისიც შეიძლება ითიქრო, მარმარილოს ნატეხია, ზღვისგან ნა-პირზე გამორიყული და ფორმით აპო-ლონის თავის მსგავსი. სოკრატე ეკით-ხება საკუთარ თავს: ვისი ქმნილებაა ეს, ზღვის ტალღებისა თუ მხატვრისა?

სოკრატე ფიქრობს იმის შესახებ, თუ რამდენი დრო დასჭირდება ოკეანეს, ვიდრე მილიარდი ფორმისგან შემთხვე-ვის წყალობით სწორედ ამ ფორმას მი-აგნებს და რამდენ დროს მოანდომებს ამ ქმნილების შექმნას მხატვარი. საბო-ლოოდ იგი ასკვნის: „ერთი ათასი ათას-წლეულის ტოლფასია და მეტისაც, ასი ათასი ათასწლეულისა... აი, სად ძევს საკვირველი მასშტაბი ხელოვნების ნა-წარმოებისა“. შესაძლებელი რომ იყოს „ევპალიონოსის, ანუ არქიტექტორის“ ავტორისთვის ექსლიბრისის სამოცი წლისთავის ალსანიშნავად ჩუქება, ის ასეთად წარმომიდგებოდა: უზარმა-ზარი ფარგალი, რომლის ერთი ფეხი ზღვის ფსკერშია ჩასობილი, მეორე კი ჰორიზონტისკენ არის გაშვერილი. ეს სახე გამოკვეთილად აღიბეჭდავდა ამ ადამიანის უჩვეულო სულიერ დიაპა-ზონს. მისი სახე ყველაზე მეტად და-მუხტულობას ამჟღავნებს. დაძაბულო-ბის მანიშნებელია მისივე თავდაჭერა, გამოხედვა, თვალები, რომელთა მეშ-ვეობითაც ვალერი გამოხატავს თავის მიმართებას მიწიერი სურათებისა და ვარსკვლავებისადმი. მარტოობაა ის ღამე, ამ სურათებს რომ ასხივებს. პოლ ვალერის მარტოობის დიდი გამოცდი-ლება გააჩნია. ოცდახუთი წლის ასაკ-

ში მან თავისი პირველი ლექსები და ესეები გამოსცა, ოცი წელი არც ერთი მხატვრული ნაწარმოები არ გამოუქვეყნებია და ერთი შესანიშნავი ლექსის პუბლიკაციით დაარღვია ეს პაუზა. რვა წლის შემდეგ რამდენიმე შესანიშნავი, ცნობილი ნაწარმოების და გააზრებული მანევრის გამოისობით იგი მიიღეს საფრანგეთის აკადემიაში. აქ მას არცთუ ისე ფარული ნიშნისმოგების გარეშე უბოძეს ანატოლ ფრანსის სავარძელი. ვალერიმ ეს დარტყმა არაჩეულებრივად დახვეწილი შესავალი სიტყვით მოიგერია – წესების თანახმად, მას თავისი წინამორბედი უნდა შეექმ, არადა, ვალერის ის არც კი უხსენებია. ამ სიტყვაში საკმაოდ უჩვეულო თვალსაზრისია გადმოცემული მწერლობის შესახებ. ეს არის სიტყვა, სადაც ორიგინალობა თავისებურად არის დანახული: „ყოველი ახალი იყარება სხვა ახალში, ყოველი იღუზია საკუთარი ორიგინალობისა აქ წამიერად ქრება“. ვალერისთან საკუთარი გამორჩეულობის ამაო გრძნობის ადგილას სხვა მისწრაფება ჩნდება – ნაწერის დღეგრძელობისა. ნაწერის დღეგრძელობა მწერლის დღეგრძელობისაგან განსხვავებული რამა, უიმისოდ იკვლევს გზას. ვალერის სწორედ ეს დღეგრძელობა აინტერესებს და არა ორიგინალობა ტექსტისა. ეს განსაზღვრავს მისთვის კლასიკურობას. „კლასიკოსი მწერალი – ამტკიცებს ვალერი, – ის არის, ვინც თავისი იდეურ ასოციაციებს მალავს და აბსორბირებას უკეთებს“ იმ ადგილებში, სადაც შთაგონება მთლიანად ნთქავს მწერალს, სადაც ის ფიქრობს, რომ განგება მიუძღვის მას, სადაც ვერ ამჩნევს ხარვეზებს და ამიტომაც არ შეუვსია ისინი – სწორედ აქ იკიდებს სიძველის ნიშნად ფეხს ხავსი.

რათა გააცნობიერო ნაპრალები და მათ ადგილას აზრებს შორის გაჩენილი საზღვრები, საჭიროა თვითკრიტიკა. ინკვიზიტორის გამომცდელი გუმანით იკვლევს ვალერი მწერლის, განსაკუთ-

რებით პოეტის აზროვნებას, მოითხოვს იმ გავრცელებული თვალსაზრისის უარყოფას, რომლის თანახმადაც ყოველი კალმოსანისთვის აზროვნება თავისთავად ნაგულისხმევი რამაა. ასევე ამბობენ პოეტზედაც, მისთვის აზროვნება არცთუ მთლად არსებითია. პოეტისთვის აზროვნება თავისთავად ნაგულისხმევი რამ არ შეიძლება იყოს. გავიხსენოთ ბატონი ტესტი, რომელიც აზროვნების განსახიერებაა. ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, ავტორი კვლავ და კვლავ უბრუნდება ამ უცნაურ სახეს, რომლის ირგვლივაც შემოიკრიბა მთელი გვირგვინი მცირე ნაწარმოებებისა. ბატონი ტესტი წარმოადგენს ინტელექტის პერსონიფიკაციას. ის ძალზე გვაგონებს მამალმერთს, რომელზეც გვესაუბრება ნიკოლაი კუზელი თავის ნეგატიურ თეოლოგიაში. ყველაზერი, რაც შეიძლება შევიტყოთ ბატონ ტესტზე, უარყოფითამდე დაიყვანება. უმეტეს მომხიბლაობას მის თვალსაზრისებს ანიჭებს არა თეორემები, არამედ აზრის მოულოდნელი სვლები: „ყოველგვარი აღგზნება, ყოველგვარი გრძნობა არის კონსტრუქციაში ხარვეზის ნიშანი“. ბატონი ტესტი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანად გრძნობს თავს, მაგრამ ამავე დროს მანვე ძალიან ახლოს მიიტანა გულთან პოლ ვალერის სიბრძნე, რომლის თანახმადაც ყველაზე მნიშვნელოვანი აზრები ისინია, რომელთაც ჩვენი გრძნობები ენინააღმდეგება. ამასთანავე, ტესტი თავის თავში „ადამიანურის“ უარყოფასაც ატარებს: „აი, შეხედე, ზღურბლთან დგას ადამიანის სახეს მოკლებულთა ბატონობა, რომელსაც წარმოშობს სიზუსტე, სიმკაცრე და სისუფთავე ადამიანურ საქმეებში“. ვალერის ეს გმირი არავითარ პათეტიკას, სულიერ სიფართოვეს, არავითარ „ადამიანურს“ არ აძლევს გზას თავის თავში. მისთვის ერთადერთი სუბსტანცია, რომელსაც სრულყოფილების შექმნა ძალუძს, ისევ

და ისევ აზრია. აზრის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი განუწყვეტელობაა. „ლეონარდო და ვინჩის სისტემის შესავალი“ ბატონ ტესტის „წინამორბედია“. აქ ის მეთოდია აღნიშნული, რომელმაც საბოლოოდ ცნობილ „წმინდა პოეზიამდე“ მიიყვანა ვალერის შემოქმედება. ვალერი გამუდმებით, არაჩვეულებრივად მარჯვედ აღნუსხავდა პოეზის თეორიის ისტორიაში არსებულ ცალკეულ ეტაპებს – ედგარ პოს, ბოდლერის, მალარმეს თეზისებს, როცა კონსტრუქტიული და მუსიკალური საწყისები ლირიკაში ერთობლივად ცდილობდნენ დაესაზღვრათ ერთმანეთის კომპეტენცია. თვითონ პოლ ვალერის შემოქმედების გვირგვინს ლირიკული შედევრები წარმოადგენს: ამ ნაწარმოებების იდეები კუნძულებივით ამოიზიდება ზღვაური ხმიერების მორევიდან. სწორედ ეს განასხვავებს მის ინტელექტუალურ ლირიკას იმისგან, რასაც ჩვენ ამ სიტყვით გერმანულად აღვნიშნავთ: აქ არსად არ ეჯახება იდეა „ცხოვრებას“ ან „სინამდვილეს“. აზრს აქ ხმის გარდა არაფერთან არა აქვს საქმე: ეს წმინდა პოეზიის კვინტესენციაა. ლირიკა პოეზიის ის გვარია, რომლის წინამდღვარი მოქმედი, მოლაპარაკე ხმაა, ხმა, რომელიც სიახლოვეს მყოფი საგნებით არის უშუალოდ გამოღვიძებული ან საგნებიდანვე ამოდის. ამ საგნებს ხმის თანდასწრებით აღვიქვამთ და ვხედავთ. და კიდევ: „მკაცრი პროსოდიის მოთხოვნილება მხატვრული ხერხია. ამ ხერხის „ძალისხმევით“ ჩვეულებრივი ლაპარაკი მასალის სახეს იძენს. ეს მასალა ეწინააღმდეგება ჩვენს სურვილებს და უცხოა ჩვენი სულისთვის“. ესაა წმინდა ინტელექტის თავისებურება. თუმცადა ეს წმინდა ინტელექტი – ვალერისთან ზამთრის ბინებში დამკვიდრებული და ეზოთერული პოეზიის მწვერვალებზე შეფენილი – იგივე ის ინტელექტია, რომლის მეწინავეობითაც ევროპული ბურჟუაზია პირველადმოჩენათა საუ-

კუნეში მიუკვლეველ მხარეთა აღმოსაჩენად ეშურებოდა; კარტეზიანულმა ეჭვებმა ვალერის ოდნავ სათავგადასავალო ელფერი შესძინა და, ამავე დროს, მეთოდური, სიღრმისეული სახეც მიიღო: „შემთხვევის, ღმერთის ან ბედისწერის ძალა ჩვენს სულიერ სისუსტეს გამოხატავს. ყველაფერზე რომ გაგვაჩნდეს პასუხი, ვგულისხმობ ზუსტ პასუხს, ეს ძალები არც კი იარსებებდა... ჩვენ ამასაც ვგრძნობთ ზედმინევნით და აქ არის საიმისო მიზეზი, რომ საბოლოოდ საკუთარსავე კითხვებს ვუჯანყდებით. მაგრამ ეს უნდა იყოს კიდეც დასაწყისი. აუცილებელია ჩვენსავე არსებაში ჩამოვაყალიბოთ კითხვა, რომელიც ყველა სხვა კითხვაზე მთავარი და მნიშვნელოვანი იქნება“. მსგავსი აზრების პირდაპირი კავშირი ევროპული ბურჟუაზიის გმირულ პერიოდთან ნებას გვაძლევს დავიოკოთ გაკვირვება, რომელთან ერთადაც აქ, ძველი ევროპული ჰუმანიზმის ამ შორეულ ფორმისტზე, კვლავაც გვახვედრებს პროგრესის იდეას. მაგრამ ეს არის უკვე დამკვიდრებული იდეა, მეთოდურად გადმოცემული. ვალერისთან ეს იდეა თვალნათლივ ეხმიანება კონსტრუქციის ცნებას, რომელიც თავის მხრივ შთაგონების აკვიატებულ იდეას ენინააღმდეგება. „მხატვრული ნაწარმოები, – ასეთი ფორმულირება აქვს ვალერის ერთ ინტერპრეტატორს, – არ არის ქმნილება; ეს არის კონსტრუქცია, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს ანალიზი, გაანგარიშება, დაგეგმვა“. მეთოდური პროცესის უკანასკნელი გმირობა ვალერისთანაც დასაბუთდა. ეს იყო მკვლევარის ახალი უნარის გამოხატვა, გასვლა საკუთარ თავს მიღმა. ასეთია ბატონი ტესტიც. ის არის ინდივიდი, რომელიც ისტორიული გაქრბის ზღურბლზე გადაბიჯებამდე კიდევ ერთხელ შემობრუნდება და ყურს უგდებს ძახილს, რათა იმ ვითარებას შეუერთდეს, ვალერის რომ ახასიათებს:

„ნაპოლეონის საუკუნეში ელექტრობას დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ქრისტიანობას ტიპერიუსის დროში. თანდათან ცხადი შეიქნა, რომ ეს საყოველთაო იმპულსი უფრო მკვეთრად შეცვლიდა მომავალს, ვიდრე ყველა „პოლიტიკური“ მოვლენა ერთად აღებული ამპერიდან დღევანდელ დღემდე“. მზერა, რომელსაც ვალერი სტყორცნის მომავლის ქვეყნიერებას, უკვე ოფიცრის მზერა კი არ არის, არამედ ქარ-ცეცხლში გამოვლილი ზღვაოსანი კაცის მზერაა. ის გრძნობს ნიშნების მიხედვით მძლავრი შტორმის მოახლოებას და ძალზე კარგად ამოიცნობს მსოფლიო მოვლენათა

ცვალებადობებს – გაზრდილ მოთხოვნილებას სიზუსტისა და დახვეწილობისადმი, ეფექტურობისაკენ სწრაფვას“. და კიდევ: „რომელიდაც მაკიაველის ან რიშელიეს ყველაზე უფრო ღრმა აზრებს სადღეისოდ იმაზე მეტი ფასი არა აქვს, რაც ბირჟაზე მოცემულ რჩევას“. ამიტომ ვალერი დგას „აზრის კონცხზე მხარგამლილი, წელგამართული და გასცექრის სიშორეს თავისი მაქსიმალურად გამჭრიახი მზერით“. ეს საგანთა ზღვრამდე და თვითონ მხედველობის ზღვრამდე მიწვდენილი მზერაა.

თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ

ამირან გომართელი

...ზუსტად ისე, როგორც სიმღერაში

20 ივნისს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში შედგა თემურ ჭკუასელის წიგნის „როცა სარკეები ალარ ილიმებიან“ პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე წიგნის ავტორმა და მსახიობმა ზურაბ ინგოროვამ წაიკითხეს ამონარიდები სხვადასხვა ნანარმოებიდან. სალამოს განსაკუთრებული ელფერი შესძინა ანსამბლმა „ქართულმა ხმებმა“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და სოლისტიც თავად თემურ ჭკუასელი გახლავთ.

თემურ ჭკუასელის თხზულებათა ახალ კრებულზე ისაუბრა უურნალ „ცისკრის“ მთავარმა რედაქტორმა ამირან გომართელმა. გთავაზობთ მის გამოსვლას.

თავის ახალ წიგნს თემურ ჭკუასელი ბავშვობის მოგონებით იწყებს, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ მოგონება მოგონებისთვის ან იმის სათქმელად დაწერილი, რომ ჩვენ, ყველანი, ბავშვობიდან მოვდივართ. ეს ლიტერატურული ხერხია, რათა ავტორმა იგავურად გვითხრას მთავარი (როგორც თავად ამბობს, მწერლობა მთავარის იგავური გაცხადებაა). მთავარი კი ამ მონაკვეთში, რომელსაც ბავშვობა „ჰქვია“, ისაა, რომ ამ წიგნმა პასუხი გასცეს კითხვას – რა გზით იარა, როგორ მოვიდა დღემდე თემურ ჭკუასელი – მწერალი და მოქალაქე.

როცა ამ წიგნის გმირი პირველად წავიდა სკოლაში, ბებიამ ეზოში გამოიყვანა, სამჯერ წალმა დაატრიალა, ღმერთო, შეენიე ამ ბალანასო და ასე დაარიგა –



ჭიშკრიდან რომ გადახვალ, ბებია, მარჯვენა ფეხი გადადგიო. მაკვარანცხმა ბიჭმა ჯიუტად მაინც მარცხენა გადადგა და ბებიის საყვედურიც დაედევნა უკან: „უკულმართი ხარ, ბებია და ასე უკულმართად ივლი მიდლემჩი“.

დგას ახლა ჩვენ წინაშე უკვე ჭარმაგი მწერალი და ამ წიგნის მეშვეობით გვე-

კითხება: რა აზრისა ვართ მის შემოქმედებაზე, რა გზით უვლა დღევანდლამდე მის ავტორს, როგორ უცხოვრია მწერალსა და ხელოვანს, თემურ ჭკუასელს?

ვინც თემურის პიროვნებას, მის სახელოვნებო და ლიტერატურულ გზას იცნობს, მით უფრო, როცა მოთხოვდების ამ ახალ კრებულს გაცნობა, აუცილებლად იტყვის: ამ წიგნის დამწერს, ხანდახან რომ ცდილობს უკულმართად წარმოაჩინოს საკუთარი თავი, მანც წალმა უცხოვრია; მამულსა და მოყვასზე შეყვარებული კაცის ცხოვრებით უცხოვრია; დაჩაგრულსაც არაერთხელ გამოქომაგებია, ანუ, როგორც თვითონ ამბობს: „მწერლობა [ხომ] დაჩაგრულის გამოქომაგებაა; მწერლობა მუდმივი თანაგრძნობაა, ისეთი თანაგრძნობა, რომ, ვისაც შენს მოთხოვობებში კიცხავ თუ ამარცხებ, ისიც კი გებრალება“; იმაშიც ეთანხმები ამ წიგნის ავტორს, რომ „მწერლობა „ტკივილიანი ფიქრია“; „მწერლობა მისტიკაა, რომელიც რეალობას ამარცხებს“; „მწერლობა დამშრალი ჭიდან წყლის ამოღებაა“. ეს როგორდა შეიძლება, – ეგებ იყითხოს ვინმერ და ამის პასუხს ნამდვილად იპოვით თემურ ჭკუასელის მოთხოვობებში. გნებავთ „სეიკო“ გავიხსენოთ.

„სეიკოში“ არის ასეთი პერსონაჟი – კოლია. ყოვლად უარყოფითი პიროვნება, ავისმქმნელი და შურიანი, რომელიც ზნეობის მხვილით მარცხდება და საბოლოოდ ისიც ინანიებს საკუთარ საქციელს, ისიც არ განირა მწერალმა და, ვფიქრობ, ეს მიაჩნია თემურ ჭკუასელს მწერლობის უმთავრეს კრიტერიუმად, დამშრალი ჭიდან წყლის ამოღებად.

„მწერლობა ფრაზის სილამაზეა, ზუსტად ისეა, როგორც სიმღერაში“, – ამბობს თემურ ჭკუასელი, თუმც, ვფიქრობ, რომ სწორედ სიმღერამ, მომღერალმა თემურ ჭკუასელმა გარკვეულწილად დააზარალა მწერალი

თემურ ჭკუასელი. ძნელია „ქართული სმების“ პოპულარობას გადააჭარბო, თორემ სიმღერაზე არანაკლებ მომხიბვლელია თემურის პროზის არაერთი პოეტური პასაჟი. თუნდ ეს ხატოვანი ფრაზა გავიხსენოთ, ქართული სიმღერის ძალას სიტყვის მეშვეობით რომ შეგვვახსენებს: „ოიდა, ალი-ფაშამ გვიღალატა... ხმელთა შუა ზღვას გადაეკიდა მშვილდის საბელივით ასხლეტილი ქართული სიმღერა“.

თემურს აქვს ერთი შესანიშნავი მოთხოვნა „ეველინა“, სადაც ფრანგი ქალის, ეველინას სულიერი და გარეგნული პორტრეტი ძალზე შთამბეჭდავად არის დახატული. აქ ხატოვნად და ემოციურად არის გადმოცმული ეველინას ქალური ეშჩიცა და ერთგვარი სექსუალური მომხიბვლელობაც: „ცაცხვის მხრიდან მოდიოდა იგი. მზე ზურგიდან მოაცილებდა, ქერქაცლილ კორპისხისფერ თმებზე უხვად ეყარა პროვანსული მზის ათინათები. მაღალი იყო და აშოლტილი. ჩამოქნილი სახის ნაკვთებით ელ-გრეკოს ნახატიდან გადმოსულს ჰგავდა. ოლეანდრის ყვავილის ფერი ვინწოდ და გულგახსნილი მოკლე პერანგი, ზომიერ მკერდზე რომ შემოსალტვოდა, გასაოცრად უხდებოდა მის მზემოკიდებულ სახეს. წელს ქვემოთ სისლეის ფერებივით მიმქრალი, მინდვრის ყვავილებისგან ნაქსოვი სიფრი-ფანა მოსასხამი ერტყა ჯიშიან კოჭებამდე და თმებიდან ძირს ჩამოყრილ მზის სხივებზე თხელი, მაგრამ ენერგიული ფეხები ბარძაყებამდე ელანდებოდა. თან იღიმებოდა. ღიმილი კი... ჩამავალი მზის გაღიმებას ჰგავდა მისი ღიმილი. თვალს კი გაუსწორებდი, მაგრამ ქუთუთოებს გივინწროებდა“.

თემურ ჭკუასელის წიგნი მამულის სიყვარულითაა გაჯერებული, მშობლიური მიწის სურნელითა და იმ კვამლის სინდრომით, გურიაში ფუტს რომ ეძახიან და პატარა ბიჭს თვალებს რომ სწვავდა.

როგორც თემურ ჭკუასელი ამბობს:


„კვამლის სინდრომიან ხალხს უყვარს ქვეყანა და კვამლის სინდრომიანი ხალხი იძინებს ღამდამობით სამშობლოზე თავმიდებული. კვამლის სინდრომიანი ხალხი რომ გადაშენებას იწყებს, მათ ადგილს ცალფეხს სინდრომიანი ხალხი იკავებს მაშინვე“, ანუ ისინი, ვისაც ქვეყანა ცალ ფეხზე ჰქიდია. ეს რომ არ მოხდეს, სწორედ ამას ემსახურება თემურ ჭკუასელის კალამი.

გულგრილად ვერ წაიკითხავ წინაპარ-თა ძახილით გაჯერებულ მოთხრობას „გამარჯობა მამა“. მე პირადად ის თვალცრუმლიანმა წავიკითხე. შემძრა უცხო გოგონას ქართული სისხლის ყივილმა და მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილი“ გამახსენა. მიწის ყივილის თემა არ არის შემთხვევითი, ეს თემა დღეს კიდევ უფრო აქტუალურია, როცა ათეულათასობით ქართველია სამშობლოდან გადახვენილი. მე ერთხელ საჯაროდ ვთქვი, რომ ეს მოთხრობა აუცილებლად უნდა შევიდეს სასკოლო პროგრამაში.

თემურ ჭკუასელის წიგნი უხვად არის გაჯერებული გურული იუმორით, ზოგჯერ „უკულმართი“ იუმორითაც. ასეთია, მაგალითად, მოთხრობა „ჩამქრალი ციცინათელები“, სადაც მწერალს ხალასი იუმორით აქვს გადმოცემული ამბავი მეცნიერ-მუშაკისა, რომელიც ობსერვატორიაში ტელესკოპით აკვირდება ვარსკვლავებს. ამ დაკვირვებისას მან რამდენიმე ზევარსკვლავი „აღმოაჩინა“, მაგრამ მოხდა ისე, რომ ვარსკვლავმა გაანათა... ჩაქრა... გაანათა... ჩაქრა... თურმე ციცინათელა შეფრენილა ტელესკოპში. აქ სიტუაციურ კომიზმთნ გვაქვს

საქმე. ამ „პატარა ადამიანის“, საცოდავი მეცნიერ-მუშაკის, ამბავი ჩეხოვის პერსონაჟებსაც გვახსენებს, თუმცა აქ მწერლის თანაგრძნობაც აშკარად გამოსჭვივის.

ერთსაც დავამატებ: თემურ ჭკუასელის მოთხრობის, „კვამლის სინდრომის“ პერსონაჟი თხუთმეტსართულიანი სახლის ბოლო სართულზე, ლიფტში შედის და ვიდრე ლიფტის ღილაკს ხელს დააჭერს, შეამჩნევს, რომ ლიფტისკენ ქალბატონი მიემართება. მამაკაცი შეაყვონებს ლიფტს – ქალს უცდის, ქალბატონი კი არ ჩქარობს, მეტისმეტად ნელა და ზოზინით მიდის ლიფტის კაბინისკენ. კაცი ლიფტის კარს ხელით იჭერს, ძლივს აკავებს, ბოლო სართულზე მყოფი ქალბატონი კი ნაზად ეკითხება: „ზევით მიდიხართ თუ ქვევით?“ – „გვერდით!“ – პასუხობს მამაკაცი და ქალბატონის რისხვას იმსახ-



ურებს ამ ხუმრობისთვის.

ეს ხუმრობაც იმ „სერიიდანა“, ბებიამ რომ უნინასწარმეტყველა – უკუღლმართი ხარ და უკუღლმართად ივლიო. ასე რომ, თუ არ ჩავთვლით „უკუღლმართ“ ხუმრობებს, სხვა მხრივ ამ წიგნში მხოლოდ წალმა მოსიარულე კაცის ფიქრსა და განსჯას ამოვიკითხავთ. როგორც მისი მოთხოვობები მოწმობენ, თემურ ჭკუასელი ბევრს ფიქრობს სიკეთესა და სიკეთისქმნადობაზე, რომლის მწერლობაც, როგორც თვითონ ამბობს: „იღუზიებისგან გარიყვა და მუდმივი ტკივილიანი ფიქრია“; „ემოციებზე ნადირობაა, მისტიკაა, რომელიც რეალობას ამძაფრებს“ და კიდევ... ერთხელაც გავიმეორებ: ეს იმ ყაიდის მწერლობაა, რომელიც „მუდმივი თანაგრძნობა“ და „დამშრალი ჭიდან წყლის ამოლებაა“.

ეს წიგნი თემურ ჭკუასელმა ახლახან მაჩუქა და ჩემი სახელის, უფრო სწორად, მითიური სეხნის გამო, რომელიც კავკასიონს არის მიჯაჭვული, მისთვის ჩვეული იუმორით წააწერა: „ამირანს, რომელიც ლიტერატურას არის მიჯაჭვული“. მეც მაქვს დედის მხრიდან გურული გენი და ვუთხარი: „სოფლის შენებისა არ იყოს, თემურ, წიგნის დაწერას რა უნდა, ერთი კარგი კრიმან-ჭულის თქმა და ბანი უნდა“. ყველამ ვიცით, როგორ ხელენიფება ეს თემურ ჭკუასელს – მომღერალსა და მწერალს. რაც მთავარია, მას, როგორც მწერალს, საკუთარი სათქმელი და საკუთარი ხმა აქვს. აქაც, ზუსტად ისე, როგორც სიმღერაში, სხვის ხმაზე არასოდეს გადადის, მისი მწერლური ხმა სხვის ხმაში არასოდეს აგერევა.

ივანე ამირხანაშვილი

დაივიზუა, რათა გაიხსენო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის მხარდაჭერით გამომცემლობა „მწიგნობარში“ დაბეჭდილი ბალათერ არაბულის ლექს-ანდრე ზების ახალი კრებული – „ხევსურული საგა“ ხევსურეთში გაგონილი თქმულებების, მითების, ლეგენდებისა და ანდრეზული გადმოცემების პოეტურ-პროზაული გააზრება-ანარეკლია და თანამედროვე პოეზიაში ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს...

საგმირო და ყოფითი ამბების თხრობის (საუპრის) ხევსურული კილო (დიალექტი) და სიუჟეტური ჩანაფიქრი – ისტორიულად ცნობილი, რეალური და გამოგონილი ან სახელშეცვლილი პერსონაჟების არაორდინარული, ზოგჯერ უცნაური ქმედებები მთაში ჯერ კიდევ შემორჩენილ თქმულებებს და ლეგენდებს მკითხველისთვის ახლებურად აცოცხლებს და საინტერესოდ წარმოაჩენს...

წიგნში წაიკითხავთ, აგრეთვე, პოეტის მიერ ბოლო პერიოდში შექმნილ სხვა ახალ ლექსებს.



შთაგონების წესია ასეთი – სადაც, რომელიც ეტაპზე პოეტი გარისკავს, შეცვლის ხედვის რაკურსს, გამოვა პოეტური მოწყენილობიდან, მოკლედ რომ ითქვას, მიმართავს ექსპერიმენტს, რომლის შედეგი წინასწარ თვითონაც არ იცის, მაგრამ სხვაგვარად არ შეუძლია, სხვა გზა არა აქვს, უნდა დაემორჩილოს პოეტური დიალექტიკის კანონს. კაცმა რომ თქვას, სადაც ლექსია, იქვეა ექსპერიმენტიც – აუცილებლობა და საშიშროება. შეიძლება, ექსპერიმენტმა პოეზია და ლექსი ცალ-ცალკე დატოვოს, გამიჯნოს ანდა, პირიქით, ეფექტი შექმნას, ჭეშმარიტების მომენტს მიგვაახლოვოს.

გააჩნია მოდელირებას, მოდელირების წესს, მიზეზშედეგობრივ მოტივაციებს.

ბალათერ არაბულმა ფოლკლორულ ესთეტიკაზე დაყრდნობით შექმნა ექსპერიმენტული მოდელი, რომელიც, ფორმალური და შინაარსობრივი თვალსაზრისით, სიახლეა არა მარტო მის შემოქმედებაში, არამედ თანამედროვე ქართულ პოეტურ პრაქტიკაში. მხატვრული ენა და მსოფლმხედველობა – აი, ორი კომპონენტი, რომელიც გამოარჩევს ნარატიულ ცდებს. ბალათერ არაბული იღებს ხევსურულ ფაბულას, ალაგებს მას სიუჟეტურ სტრუქტურად, უნარჩუნებს ენობრივ კოლორიტს და გამოკვეთს ეთიკურ მრნამსს. კუთხური კილო სათემელს ამძაფრებს და ლექსა არტეფაქტის სტატუსს განუმტკიცებს.

ამ მხრივ საგულისხმოა ლექსების ციკ-ლი: „ხევსურეთს ამბად ნათქვამი“.

„უმახსოვრო მოგონებები“ – ასე შე-იძლება ვუწოდოთ ამ ხევსურულ საგას, რომელშიც შედის პოეტურად გარდათ-ქმული ამბები, ანუ ანდრეზები. ამავე სა-ხელნოდების ლექსში გვხვდება რეფრენი: „ნუ გამახსე-ნებთ მაწმაოს მთებს, ნურც მაწმავლებს ნუ გამახსე-ნებთ...“ ეს არის პოე-ტის შინაგა-ნი კონცეპტი – დაივიწყო, რათა გაიხ-სენო! მშობ-ლიური მაწ-მაოს ხატი – როგორც რეკვიემი მეხსიერებაში გადარჩენილი წარსული - სათვის.

ბალათერ არაბულის პოეტურ ნა-რატივში ჩანს ეგრეთ წოდებული „ჟანრული აზროვნება“. მას დაბადებით მოსდგამს „მონოგრაფიული“ ხედვა, რომელიც ნა-რატივის გაგების მთავარი პირობაა.

ნარატიული ფსიქოლოგია მთის ხასია-თია, მთიელის აზროვნების წესია, ცხოვ-რების შინაარსია, ურყევი ჭეშმარიტებაა ისე, როგორც მათი რკინისებური ფრაზა: „ანდრეზ მართალას!“

ამბავი მეტყველებს გაცილებით მეტს, ვიდრე შეგონება. ამბავი, როგორც პრე-ცედენტი, ეთიკური ვალდებულებაა.

ბალათერ არაბული ერთი ლექს-ან-

დრეზით ასეთ ამბავს გადმოგვცემს:


ქისტების მარბიელმა ამღა და ჭიმღა დაანგრია. ვინც ხელში ჩაუვარდათ, ყვე-ლა ამოწყვიტეს; შემთხვევით გადარჩენილ-მა ძილუამ, ხირჩლას ცოლმა, რომელსაც ოჯახიდან სამი კაცი მოუკლეს, თავისი ერ-თადერთი გადარჩენილი ვაჟი გადაუყვანა ქისტებს – ესლა დაგრჩათ მო-საკლავი და აპა, რაც გინდათ, ის უყავითო. ქის-ტებმა ყმაწვილი დაიტოვეს. ოცი წლის შემდეგ და-უბრუნეს ხევსურ დედას შვილი ქისტი ცოლით, სამი ვაჟითა და ცხვარ-ძროხით... დაუძინებელი მოსისხლეები მძახლები გახ-დნენ...

საქციელი, როგორც პოე-ზია! ეს ის შემ-თხვევაა, რო-დესაც ზნეობა პოეტურობით აღწევს თა-ვის სიმაღლეს, სრულყოფილე-ბას.

ადამიანურ ურთიერთობათა ნარატივ-ში ბალათერ არაბულმა მიაგნო პოეტურ მუხტს. გააცოცხლა ამბავი, როგორც ხიდი წარსულსა და აწმყოს შორის, როგორც ფსიქოლოგიური არქეტიპების აღდგენის საშუალება, როგორც ინსტრუქცია მო-მავლისათვის.

ნარატივი მუდმივად ითქმება, გადმო-იცემა და ჩვენც ამ გადმოცემაში ვართ – სანამ არსებობს თხრობა, ჩვენც ვარ-სებობთ.

პოეტური სტრუქტურა აჩქარებს ამ-



ბის მითოლოგიზებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მითოლოგიზაციის წესი მოითხოვს პოეტურ სიტყვას.

აქ რიტორიკა მინიმუმამდეა დაყვანილი, რაც თავისთავად აიოლებს აღქმას, საერთოდ, არტეფაქტის ეფექტურობას.

საბოლოოდ ყველაფერი თავს იყრის ერთ ფოკუსში, რომელიც არის ტკივილი და შფოთვა – დაცარიელებული ხევსურეთი.

ეს მოტივი გადადის წიგნის სხვა ციკლებში და ლირიკულ ნაწილშიც, რომელიც გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებითა და მგრძნობელობითი საწყისის ინტენსივობით.

ბალათერ არაბული ლირიკის ენაზე გადმოცემს იმას, რაც პოეტური გამოცდილების სახით დაუგროვებია ცხოვრების განმავლობაში. მის ლექსში აირეკლება

ავტორის სულიერი სამყარო, ინდივიდუალური ხასიათი, პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკა. მთელ ციკლს თვალშისაცემ ნიშნებად დაჰყვება პოეტური გამოცდილება – დროისა და ფიქრის შედეგი, გემოვნება, რაციონალური საწყისის გამოვლინება და სანდოობა – პოეტის შინაგანი ბუნების გამომხატველი.

ავტორის პოეტური „მე“ ახერხებს, შექმნას, შეანაწევროს, გამოხატოს თავისი თავი, იყოს მთლიანი და ჰქონდეს კონტაქტი მკითხველთან.

ბალათერ არაბულის „ხევსურული საგა“ – წიგნი პოეტის ორი პიპოსტასით, ორი მიმართულება, ერთი მიზნისკენ მიმავალი. ორი გზა: ლირიკა – აწმყო, როგორც ინტროსპექცია; ეპოსი – წარსული, როგორც რეტროსპექტივა. მიზანი – თვითგამოხატვა.



ნაირა პეპიევი

ძმობის ჩირალდანი

იღვწოდი მიწყივ: სიკეთის ნერგს ჩვენშიც ეხარა,
ხალხისთვის მზრუნველს არც სიცოცხლე გიჩნდა ჩირალდაც.
დღესა და ღამეს ასწორებდი და ჩემს ქვეყანას
ენთე სამართლის, სიყვარულის,
ძმობის ჩირალდნაც!
კ. ხეთაგუროვი, „მეგობრის საფლავთან“
(ზ. ზ. ყიფიანის ხსოვნას)

კაცმა მთელი ცხოვრება საქვეყნო
საქმიანობას უნდა შეალიოს, თავი-
სი ქვეყნის „თვალყურმადევარი“ უნდა
იყოს, მასზე ზრუნვაში უნდა ათენ-ალა-
მოს, რომ ისეთმა დიდმა მოღვაწემ,
როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე, ასეთი
სიტყვებით დაახასიათოს: „მიხეილ ყიფი-
ანი ერთი იმისთანა კაცი იყო, რომელთ
მოვლენა და მერე გაცლა დიდხანს სტო-
ვებს ცარიელად მის მიერ დაპყრობილს
ადგილსა. როცა უნდათ შეიტყონ, ერი
რა ლონისა და ძლიერების პატრონია,
ყოვლთ უწინარეს იმისთანა კაცებს ჩა-
მოუთვლიან ხოლმე, როგორიც მიხეილ
ყიფიანი იყო. აი, ვინ დავკარგეთ დღეს,
აი დღეს ვისა ვმარხავთ, აი, ვინ დააკ-
ლდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს. ამის-
თანა კაცის დაკარგვა სწორედ კლებაა
ერისა და ქვეყნისათვის“. ასე დაემშვი-
დობა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა
და გამორჩეულ ერისკაცს, პუბლიცისტს,
მთარგმნელსა და პედაგოგს მიხეილ ყი-
ფიანს, ილია ჭავჭავაძე.

მიხეილ ყიფიანი დაიბადა 1833 წლის
12 აპრილს, სოფელ ვახანში (ხარაგაუ-



ლის რ-ნი), დაწყებითი განათლება მი-
იღო გორის სამაზრო სასწავლებელში.
შემდეგ დაამთავრა კავკასიის სამიჯნე
სასწავლებელი. იგი ჯერ სამიწათმოქმე-
დო ორგანოებში მუშაობდა, შემდეგ კი

მშობლიურ სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ენერდა. გამორჩეული ნიჭისა და განათლების წყალობით, ის განსაკუთრებულად უყვარდათ მის მოსწავლებსა და კოლეგების. მისი ბიოგრაფიები წერენ: „ბუნებით სათხო და ენერგიულ პედაგოგს, მ. ყიფიანს, მოსწავლეთა და კოლეგების დიდი სიყვარული დაუმსახურებია. მ. ყიფიანი თავისი მიმზიდველი საუბრით, უბადლო მჭევრმეტყველებით, შეიძლება ითქვას, აჯადოებდა მოწაფეებს“ (გ. ლუდუშაური).

დიდ პედაგოგს აუცილებლად მიაჩნდა საგნის სნავლების დროს თვალსაჩინოების გამოყენება. მის მერ შედგენილ გეომეტრიის სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში წერია: „დიდად შემცოდველია ის, ვინც შეგირდს არ გაიყვანს მინდორში და იქ არ აჩვენებს გეომეტრიის ყოველ ასახსნელებსა და ნაკვეთებსა“. მის პედაგოგიურ ნიჭისა და ოსტატობაზე მიგვანიშნებს ნიკოლოზ ყიფიანის (ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ვაჟი) მოგონება, რომელიც უურნალ „კვალში“ დაიბეჭდა. ბავშვობაში მას ფრანგი მასწავლებლები ამეცადინებდნენ, მაგრამ მათ ვერ დაუინტერესებიათ ბავშვი. დიმიტრი ყიფიანს დაუთხოვია ფრანგი მასწავლებლები და მიხეილი მიუწვევია შვილის მასწავლებლად. „მათ ხელში ვერა ვსწავლობდი კარგად, – იგონებს ნიკოლოზ ყიფიანი, – (მიხეილმა) დამიწყო პირველად ფიზიკური გეოგრაფიის სნავლება, მიჰყო ამბავსა, რა და რა პლანეტები უვლის გარს მზესა, თან ამბობდა, თან მიხატავდა... თვალები გავაცყიტე, იმისთანა გულისყურით ვუგდებდი ყურსა, რომ ვერ შევიტყე საათ-ნახევარი როგორ გავიდა. რომ გაათავა, ადგა და მითხრა, დღეისათვის კმარაო. მე კალთაში მოვკიდე ხელი, მოიცადე, ჯერ არ წახვიდე, კიდევ მიამბე რამე, კიდევ მასწავლე... მითხრა, ამ საღამოს მოვალ და ცა თუ ღრუბლიანი არ იქნა, გაჩვენებ ზეცა-

ში ზოგიერთ პლანეტებსაო. ვეხვეწელმერთსა, ცა ღრუბლიანი არ ყოფილიყო იმ საღამოს... საღამო მოვიდა, მე ვხტოდი სიხარულითა, შორიდან დავინახე, რომ მოდიოდა, მივეგებე და იმ დღიდან მიხაკოც შემიყვარდა სულით და გულითა, სწავლის ხალისიც მომეცა... და წარმოიდგინეთ – არითმეტიკა, რომელიც მანამდე ჭირივით მტულდა, შემიყვარდა მიხაკოს ხელში, შემიყვარდა გეოგრაფია... შემიყვარდა ყველაფერი, რასაც მიხაკო მასწავლიდა და იმის ხელში ყველაფერი მეადვილებოდა“.

მიხეილ ყიფიანი, მართლაც გამორჩეული და მრავალმხრივ განათლებული კაცი, იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი, ქართული სკოლის თვალსაჩინო მოამაგე, მათემატიკისა და გეომეტრიის სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი, არაჩვეულებრივი პედაგოგი და, რაც მთავარია, დიდი ილიას თანამებრძოლი, თავისი ქვეყნის პატრიოტი;

მიხეილ ყიფიანს ეკუთვნის სამოგზაურო უანრის ნაწარმოები „ყაზბეგიდან იალბუზამდე“, მან თარგმნა ლერმონტოვის „გმირი ჩვენი დროებისა“, მანვე 1865-66 წლებში თარგმნა შექსპირის ტრაგედია „იულიუს კეისარი“ (დაიბეჭდა უურნალ „ცისკარში“), ასევე უთარგმნია ბელინსკის წერილები. მისი შედგენილია „საქართველოს რუკა“. მასვე შეუდგენია შრიოფტი (ე.წ. „ვენის შრიოფტი“), რომლითაც იბეჭდებოდა „ივერია“. განუზომლად დიდია მისი ღვაწლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „საქართველოს მოამბეში“ იბეჭდებოდა მისი ფელეტონები ქართული კულტურისა და განათლების საკითხებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მიხეილ ყიფიანის საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ის, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ (დაარსდა 1879 წლის 31 მარტს) ერთ-ერთი

დამფუძნებელი, ილიასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის შემდგომ საქმიანობაში. მიხეილ ყიფიანი გვერდში ამოუდგა ილია ჭავჭავაძეს და უურნალ „საქართველოს მოამბის“ აქტიური თანამშრომელი იყო. როგორც მისი ბიოგრაფები აღნიშნავნენ: „ეს იყო პერიოდი, როდესაც ილიას მეთაურობით საქართველოში ფართო გავრცელება იწყო ახალმა, მონინავე იდეებმა და მისწრაფებებმა; ძველ, კონსერვატორულ და პროგრესულ შეხედულებებს შორის ბრძოლა სულ უფრო გამნვავდა. მიხეილი ამ დროს „საქართველოს მოამბის“ აქტიური მონაწილე და მისი რედაქციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო“ (გ. ღუდუშაური).

ების ცოცხალი სალაპარაკო ენა.

საინტერესოა მიხეილ ყიფიანის მოსაზრება თარგმანთან დაკავშირებით. მშობლიური ენისა და ლიტერატურის საკითხები, ქართველთა განათლება, ქართული კულტურის განვითარება მუდმივად იყო მიხეილ ყიფიანის ზრუნვის საგანი და მუდმივად ცდილობდა, მათი დაცვის სადარაჯოზე მდგარიყო ილიასთან და აკაკისთან ერთად.

1871 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მიხეილ ყიფიანი ჩრდილოეთ კავკასიაშია, კავკავში (როგორც მაშინ ეძახდნენ ვლადიკავკაზი). იქ იგი მუშაობს თერგის ოლქის სამიჯნო (სამინათმოქმედო) ნაწილის უფროსად (მას სხვადასხვა საპასუხისმგებლო მოვალეობა ჰქონია: ოთხი წლით დანიშნეს თბილისის ოლქის სასამართლოს წევრად, შემდეგ – კავკასიის სახაზო რუკების დაწესებულების უფროსად, ბოლოს კი თერგის მხარის მმართველმა მ. ტ. ლორის-მელიქოვმა იგი თერგის მხარის გამიჯვნის უფროსად დანიშნა. მიუღია გენერლის ჩინიც).

განსაკუთრებული ღვანტლი მიუძღვის მიხეილ ყიფიანს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების განათლების, კულტურის, საყოფაცხოვრებო საკითხების მოვარებაში, იყო მათი დიდი ქომაგი და მე-

გობარი. იგი არა მხოლოდ ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა განათლებისა და კულტურის საკითხების მოგვარების თაოსანი იყო, არამედ მათი მეგობრობისა და სიყვარულის ერთგვარი განმამტკიცებელიც. სამართლიანად უწოდებდნენ „მთის იქითელთა და მთის აქეთელთა შემაერთებელს“. მას ჰქონდა დიდი ნიჭი არა მარტო საქმიანობის წარმატებულად წარმართვადაგვირგვინებისა, არამედ ადამიანების ურთიერთდაახლოებისა. მის გარშემოტრიალებდნენ ქართველი და ოსი მოღვაწენი, რომლებიც მას დიდად აფასებდნენ: „ილიასავით მაღალი აზრისა იყო მიხეილ ყიფიანზე გამოჩენილი ოსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე კოსტა ხეთაგუროვიც. კოსტა ხეთაგუროვისა და მიხეილ ყიფიანის ერთობლივმა მისწრაფებებმა და ბრძოლამ მთიელთა და, კერძოდ, ოსთა ინტერესების დაცვის საქმეში ჭეშმარიტად ძმური და განუყრელი კავშირით დაახლოვა ისინი“ (გ. ღუდუშაური).

1883 წელს ჩამოყალიბდა „თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტენიკური ცოდნის გამავრცელებელი საქველმოქმედო საზოგადოება“, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მიხეილ ყიფიანი. იგი გარდაცვალებამდე ედგა ამ საზოგადოებას სათავეში. მან ჩამოაყალიბა ამ საზოგადოების მოქმედების პროგრამა, „წესდება“, რომელიც სამი ძირითადი ჰუნკრიტისაგან შედგებოდა:

„საზოგადოება“ მიზნად ისახავდა, თერგის ოლქის მთელ მოსახლეობაში ხელი შეეწყო სასკოლო განათლების საქმისათვის; საზოგადოება უფლებამოსილი იყო, დადგენილი წესის მიხედვით ოლქის მოსახლეობისათვის გაეხსნა სკოლები კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ ამიერკავკასიის მხარის „ტუზემცური“ სკოლებისათვის გამოცემული პროგრამების მიხედვით; სახსრების ზრდის შესაბამისად, საზო-

გადოებას შეეძლო ქალაქებსა და სოფ-ლებში დაწყებითი ერთკლასიანი, ორ ან სამკლასიანი სკოლების დაარსება.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩა-ატარა „საზოგადოებამ“ სახალხო სკო-ლების გაშლა-გაფართოების, ამ სკო-ლებში დედაენის სწავლებისა და ტექნი-კური ცოდნის ჩვევების განვითარები-სათის. სახსრების შეგროვებისათვისაც ისევ გამგეობა ზრუნავდა. შეგროვილი თანხა ხმარდებოდა სასკოლო შენობე-ბის აგებას, სახელმძღვანელოების გა-მოცემას, ბავშვებისა და უმაღლეს სკო-ლაში შემსვლელთა დახმარებას, ბიბ-ლიოთეკების დაარსებას.

მიხეილ ყიფიანმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ოსთა განათლების სა-კითხს. იგი წერდა: „მომთხოვნელობა მშობლიური ბეჭდვითი სიტყვისა, უკვე დიდი ხანია მომწიფდა მთიელთა შორის, განსაკუთრებით ოსებში, რომლებმაც შექმნეს ეროვნული ლიტერატურის ნა-წარმოებნი, ჰყავთ მწერლები... ეს საქმე ერის ჭეშმარიტ განათლებაზე დაფუძნე-ბით მატერიალური მხარდაჭერის პირო-ბებში შეიძლება მნიშვნელოვნად გაფარ-თოვდეს“.

მიხეილ ყიფიანმა და მისმა „საზო-გადოებამ“ დიდი როლი შეასრულეს ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ ოსეთ-ში, ეროვნული მწერლობის, საბავშვო მწერლობისა და გამომცემლობის სა-ფუძვლის ჩაყრაში, დედაენის სახელ-მძღვანელოების გამოცემის, სახალხო სკოლის ქსელის გაშლა-განვითარება-ში, უკვე არსებულ სასკოლო ნაგებობა-თა შეკეთება-გაფართოებისა და მათი შემდგომი კეთილმოწყობის, სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო და კულტუ-რულ-მასობრივი მუშაობის გაფართოე-ბა-გაუმჯობესების, ასევე „ოსური ან-ბანის“ გამოცემის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ „საზოგადო-ების“ გამგეობის წევრი ყოფილა ოსური სალიტერატურო ენისა და ოსური ლი-ტერატურის ფუძემდებელი, ოსი ხალხის

სულიერი წინამდლოლი, დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე კოსტა ხეთაგურო-ვიც. ეს ორი ბუმბერაზი ადამიანი ერთად იღვნოდა კულტურისა და განათლების საკითხების მოსაგვარებლად.

მიხეილ ყიფიანი ძალიან დაუახლოვ-და იქ მცხოვრებ მთიელებს, გახდა მათი დიდი მეგობარი, მუდმივად ზრუნავდა ამ ღარიბ-ღატაკ და დაჩაგრულ ხალხზე და ისინიც მას დიდ პატივსა სცემდნენ. იგი ხშირად მოგზაურობდა ჩრდილო კავკა-სიაში, ჩადიოდა და ეცნობოდა აქაურ-თა ცხოვრებას, გულსა სტკენდა მათი უნუგეშო ყოფა. ეს შთაბეჭდილებებია აღწერილი მის წიგნში „ყაზბეგიდან იალ-ბუზამდე (მგზავრის ჩანაწერები თერ-გის ოლქის მთიანეთის ზოლის შესახებ)“. მგზავრის ჩანაწერებში დეტალურ სიზუ-ტით არის აღწერილი რეალობა: დიდებუ-ლი ბუნება და ამ ბუნებაში მცხოვრებთა გასაჭირი, უგზობა, მთიელთა მძიმე და გაუსაძლისი ცხოვრება.

უაღრესად საინტერესო მოგზაურუ-ლი უანრის ეს თხზულება მნიშვნელო-ვანია ისტორიული, ეთნოგრაფიული, კულტურული, ტრადიციული და, საერ-თოდ, მრავალმხრივი თვალსაზრისით. მის მნიშვნელობაზე მიხეილ ყიფიანის ბიორაფი გიორგი ღუდუშაური წერს: „მ. ყიფიანის ეს ნაშრომი თერგის ოლ-ქის მთის მოსახლეობის ბუნებრივ-გეოგ-რაფიული და ეკონომიკური პირობების ამსახველ ძვირფას ცნობებს შეიცავდა. ეს ისეთი მასალაა, თავისი სისრულითა და ობიექტურობით საარქივო მასალაც კი ვერ გაუწევს კონკურენციას“.

უმდიდრესი მასალაა მოწოდებული ამ თხზულებაში ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ; მის განსაკვითვრებელ ბუნება-ზე, იალბუზის დიდებულებაზე, ალბურ საძოვრებზე, სახნავ მიწებზე, იქაურ ფლორასა თუ ფაუნაზე. ავტორი აღ-ტაცებულია იქაური ბუნების სილამა-ზით – ბუმბერაზი მთების სიდიადით, ჩანჩქერების სიმრავლე-სიხალისით. იგი მოუხიბლავს მთაში მზის დიდებულად

ამობრწყინების საოცრებას; კლდიდან კლდეზე მხტომ ჯიხვებს, გარეული ფრინველების ათასებიან ჰარმონიულ ხმოვანებას. პოეტური შთაგონებით აღვსილი მეტად შთამბეჭდავად გადმოგვცემს ბუნების საოცრებებს. მოგზაური აღფრთოვანებული შესცეკრის უზადო ბუნებას და ცდილობს, არ გამორჩეს თვით უმნიშვნელო დეტალიც კი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა; ამავე დროს, დაწვრილებით აღწერს ჩრდილო მთიანეთის გეოგრაფიულ მდებარეობას, მოსახლეობას, მათ განლაგებას, ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზების უბადრუებას, განსაკუთრებულად ჩერდება გზის საკითხზე, ის თითოეულ ბილიკსაც კი აღნიშნავს, რადგან იცის, გზას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, განსაკუთრებით ზამთარში, დიდთოვლობისას გამოკეტილ მთიელთა ცხოვრებაში. ზაფხულში ზოგიერთ ბილიკზე ორი ცხენიც რომ ვერ გაივლიდა, გაჭირვებული მთიელი ზურგით მიეზიდებოდა ჭაპანს, ზამთარში კი მხოლოდ ერთეულები თუ გაძედავდნენ ამ გზაზე სიარულს, რაც თავგანწირვის ტოლფასი იყო.

აქვე უნდა შევნიშნოთ: მოგზაური მარტო გზათა პრობლემებზე როდი საუბრობს. ის, როგორც კარგი მცოდნე ამ საქმისა, იმასაც წერდა, თუ სად რა სახის სამუშაოა ჩასატარებელი; ასევე გვიყვება მთიელთა გაჭირვებული ყოფის დეტალებზე; მოგზაური დიდი რუდუნებით აღწერს მთიელთა ყოფა-ცხოვრებას, მათ საქმიანობას, ვაჭრობას (საქონლის გაცვლა-გამოცვლას). იგი წერს მთიელების სვანებთან და, ზოგადად, ქართველებთან სავაჭრო თუ სხვა სახის ურთიერთობებზე; ყურადღების გარეშე არ ტოვებს ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებსაც კი (მაგ.: ნარზანის წყლით მკურნალობის მეთოდები, რომელიმე ნაცნობი ტოპონიმის წარმომავლობა, მაგ.: სანიპა-სამება და სხვ.).

ჩვენი აზრით, თხზულება განსაკუთ-

რებულად მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მოგზაური დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენიებს იქ მცხოვრებ მთიელებს, ოსებს და ცდილობს დასახოს პრაქტიკული გზა მათი ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა.

ავტორის პოზიცია ძალზე პოზიტიურია როგორც გარემოს აღწერის დროს, ისე – ადამიანების დახასიათებისას. იგი ცდილობს, ყველაში მხოლოდ კარგი დაინახოს. ყველა მხოლოდ კარგი მხრიდან წარმოაჩინოს. ისიც კი, რაც ნაკლად აღიქმებოდა, პოზიტიური მხრიდან გამოჰქონდა სამზეოზე. „მთელი ეს აღწერა ეკუთვნოდა მთიელებისადმი კეთილად განწყობილ პიროვნებას, რომელიც ფეხის ყოველ გადადგმაზე ავლენდა მათ მიმართ დიდ სიყვარულს, არ ჯერდებოდა მათი მძიმე მდგომარეობის მხოლოდ ფიქსაციას და წინადადებებს აყენებდა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სწორედ ეს კეთილგანწყობილება, ჩაგრულ მთიელ მოსახლეობაზე ზრუნვა იყო იმ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის მიზეზი, რომელიც მიხ. ყიფიანმა მთიელთა შორის თერგის ოლქში თავისი მოღვანეობის პერიოდში მოიპოვა“, – გადმოგვცემს გ. ღუდუშაური.

მიხეილ ყიფიანის ამ კეთილგანწყობას ოსი ხალხის მიმართ, რასაკვირველია, სიყვარულით პასუხობდნენ ოსები. განსაკუთრებით ახლოს იყო მიხეილ ყიფიანი დიდ ოს პოეტთან, საზოგადო მოღვაწესთან კოსტა ხეთაგუროვთან. დღემდე ლეგენდად რჩება ქართველ და ოს ხალხებში მათი უანგარო მეგობრობის ამბავი. ისინი ერთად იღვნოდნენ ყველა საერთო საქმისათვის, რომელიც მაშინ იდგა კავკავში მცხოვრებ ქართველთა თუ ოსთა წინაშე.

დიდი ღვანლისათვის, ოსების განათლებისა და კულტურის საკითხებზე ასეთი ზრუნვისათვის დიდი ოსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კოსტა ხეთაგუროვი დიდად აფასებდა მიხეილ

ყიფიანს. ცნობილია, რომ კოსტა ხე-
თაგუროვმა შექმნა მიხეილ ყიფიანის
პორტრეტი და ორი შესანიშნავი ლექ-
სიც უძღვნა.

მიხეილ ყიფიანი გარდაცვლილა 1891
წლის 2 მარტს. დაკრძალულია თბი-
ლისში, ქართველ მწერალთა და საზო-
გადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

გაზრი „ივერია“ 1891 წლის 5 მარტს
წერდა: „მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის სი-
ცოცხლემ სამშობლო ქვეყნის ზრუნვასა
და მისთვის გულმტკიცნეულობაში გან-
ვლო. მიხეილ ზაალის ძე იყო სული და
გული კავკავში დაარსებულის ქართუ-
ლის სკოლისა. ამ ბოლო დროს საქარ-
თველოზე შორს იყო, მაგრამ სული მისი
მაინც ჩვენს შორის ტრიალებდა, ზრუ-
ნავდა, ჩვენს ქვეყანას არ შორდებოდა“.

ელდასავით მოედო მიხეილ ყიფია-
ნის გარდაცვალების ამბავი მთელ კავ-
კავს. ყველა გლოვობდა, ყველას გული
დასწყვიტა მისმა სიკვდილმა. „ივერია“
წერდა: „ქართველებზე ნაკლებ არა
წუხდნენ აქაური სომხები, რუსები,
ოსნი. ყველასათვის კარგი იყო მიხე-
ილ ყიფიანი, ყველას გული მოგებული
ჰქონდა განსვენებულს თავისი კარგის
კაცობით, ქველობა-სათნოებით“. მას
ცალ-ცალკე გადაუხადეს პანაშვიდი
რუსებმა, სომხებმა, ოსებმა. ქართვე-
ლებთან ერთად მთელი ჩრდილო კავკა-

სია მწარედ ტიროდა. იგი ხომ ყველაზე
ზრუნავდა, ყველა გაჭირვებულს მხარ-
ში ედგა.

მიხეილის დაკრძალვისას კონსტან-
ტინე დიმიტრის ძე ყიფიანს დიდუბის
მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა
პანთეონში წარმოუთქვამს: „შენ მზრუნ-
ველობას ავლენდი იმ ჩვენს სხვადას-
ხვა მოძმეთა, რომელნიც გარს ახვევია
ჩვენი დიდი კავკასიონის მთებსა. შენ
გვაჩვენე, რომ ქართველ კაცს შეუძ-
ლია მოძმეობა გაუზიოს ჩვენ მეზობელ
ხალხებსაც გვარტომობისა და სარწმუ-
ნოების განურჩევლად. შენი ყოფნა მათ
შორის დამასწავლებელია ჩვენთვის.
შენს ძაუგში შეერთდა შენს გვამზედ იმ
კაცთა ცრემლი, სანამდისინ შენს სამ-
შობლოში შეუერთებდით ჩვენც ჩვენს
ცრემლსა. შენს ცხედარზედ შეერთდა
ცრემლი მთის იქითელთა და მთის აქე-
თელთა. შენმა სულმა შეგვაერთა დღეს
მგლოვიარენი. მშვიდობა შენს სულს,
რომ დაგვიმტკიცე აზრი, რომ მშვიდი
მოღვაწე სამშობლოისა შესძლებს მოღ-
ვაწეობას მეზობლობაშიც, ესეც კი კმა-
როდა, რომ მადლობით აღვსილს შენთა
მეგობართა გულში საუკუნოდ დაშთეს
სახსნებელი შენი“.

განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ეს
დანაკარგი მისი უახლოესი მეგობრისა,
მისი თანამებრძოლისა, კოსტა ხეთაგუ-
როვისათვის.

მეგობრის საფლავთან

მ. ზ. ყიფიანის ხსოვნას

გზა მშვიდობისა, ჩვენზე დარდის არ გაგყვეს ჯავრი,
მიენდე უფალს, მოიშორე გულის ნაღველი,
სამოთხის კართან ანგელოზი გელიან ჯარად,
ამქვეყნად ამის თავდებია შენი სახელი.
იღვწოდი მიწყივ: სიკეთის ნერგს ჩვენშიც ეხარა,
ხალხისთვის მზრუნველს არც სიცოცხლე გიჩნდა ჩირადაც
დღესა და ღამეს ასწორებდი და ჩემს ქვეყანას
ენთე სამართლის, სიყვარულის, ძმობის ჩირალდნად,
ჩვენი ქვეყანა შეიყვარე, დედა ვითარცა,
ჩვენს სიდუხჭირეს ნუგეშად და მწყემსად ედექი;

თაყვანისცემის ოცნებებმა შორს გაგვიტაცა:
 რა ფიანდაზი განგიფინოთ, ღირსი ედემის...
 ჩვენ შთამომავალთ შთავაგონებთ, უფლის წყალობით,
 მადლიერები იყვნენ შენით... კუბოს კარამდი,
 ჩვენ უშენობით, უშენობით ვართ საბრალონი,
 არ შეგვაშრება ხსოვნის ცრემლი ან და მარადის.

(თარგმნა გ. შაჰნაზარმა)

კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის უმა-
 ლლესი კრიტერიუმებით გამორჩეულ
 ადამიანებს თავიანთი ერისა და ქვეყნის
 შვილები დიდად აფასებენ, შესაბამისი
 ეპითეტებითაც ამკობენ. მაგრამ უალ-
 რესად ამაღლელებელია ის ლექსები,
 რომლებიც მის ცხედართან წარმოუთ-
 ქვამს კოსტა ხეთაგუროვს. პოეტს ჯერ
 ოსური ლექსი წაუკითხავს (მოგვყავს
 მთლიანად), რომელშიც უალრესი სით-
 ბო და სიყვარულია გაცხადებული ოსი
 ხალხის მოამაგის, მასზე მზრუნველის
 მიმართ. ოსი პოეტი მას „სიმართლის,
 სიყვარულის, ძმობის ჩირალდანს“ უწო-
 დებს და მადლიერების გრძნობით აღ-
 ვსილ სტრიქონებს უძღვნის:

მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალებაზე

მოკვდა... ეს სიტყვა უსასო, ციფი,
 უღერს უსასარულო ღრმა მწუხარებით
 და დღეს კავკასო, შენს გლოვა-ჩივილს
 ბანს აძლევს მთები ზარ-მქუხარებით.
 კავკასო, შენი ხალხთა ოჯახი
 დასტირის მას, ვინც შემს ფიქრებს პფლობდა
 ვინც მოკრძალებულ ქართველის სახით
 ნერგავდა კეთილს და ბოროტს ჰემობდა.
 ბევრი კი იყო განა მასავით
 ქოხებში ნთებულ ცოდნის ვარსკევლავად;
 რომ ვყვარებოდით მისებრ ძმასავით
 და მტერთ შებმოდა ჩვენს დასაცავად?
 არა! მაშ, მხარევ, იგი ღირსია,
 ახსოვდეს მარად შთამომავლობას...
 ჩემო კავკასო! მაგ ტირილშიაც
 ვხედავ მომავალს, შენს დიად მყობადს!

როგორც გაზეთი „ივერია“ წერდა,
 ამ ლექსის წაკითხვისას „ყველა სმენად
 გადაქცეულა, ცდილობდნენ გაეგონათ
 თვითოვეული სიტყვა, რომელსაც ისე
 უმოქმედია მათზე, რომ გულმაგრებ-
 საც ვერ შეუკავებიათ ცრემლი“.

ქართულ ენაზე გამოცემული კოს-
 ტას ლექსების კომენტარებში ვკითხუ-
 ლობთ: ეს ლექსი, რომელიც მან სად-
 გურ ბალთაზე წაიკითხა მ. ზ. ყიფია-
 ნის კუბოსთან 1891 წლის მარტის 3-ს,
 „კარგა ხნით ადრე დაბეჭდამდე, ხელი-
 დან ხელში გადადიოდა მრავალგზის
 გადაწერილი...“ უფრო მეტიც, „მასებში
 ამ ლექსმა დიდი პოპულარობა მოიპოვა
 და ოსების საყვარელ სიმღერად იქცა“
 (ო. დოლაბერიძე).

ძნელი იყო კოსტასათვის გამოთხო-
 ვება იმ ადამიანთან, რომელმაც ამდენი
 სიკეთე გაუკეთა არა მარტო მის ხალხს,
 არამედ ყველას. ის გვერდში ედგა და
 გაჭირვებას უმსუბუქებდა თითოეულს,
 ვისაც კი მისი დახმარება სჭირდებო-
 და. კოსტას მეორე ლექსიც მიუძღვნია
 მიხეილ ყიფიანისათვის რუსულ ენაზე.
 რუსულად დაწერილი კოსტას ლექსი –
 „მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალებაზე“ –
 მოგვიანებით ჩვენს სასიქადულო პო-
 ეტს ვალერიან გაფრინდაშვილს უთარ-
 გმნია, მადლიერების გრძნობითაა აღ-
 სავსე კოსტა ხეთაგუროვის ამ ლექსის
 სტრიქონებიც. მოგვაქვს ეს ლექსიც
 მთლიანად:

მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთა-
 გუროვის მეგობრობა ისეთი მნიშვნე-
 ლოვანი იყო ორივე ერისათვის, რომ

თვითონ დიდი ილიაც არღვევს პრესის წეს-კანონებს და ქართულ გაზეთ „ივერიაში“ უშვებს იშვიათ და ერთადერთ გამონაკლისს – კოსტა ხეთაგუროვის მიერ მიხეილ ყიფიანისადმი მიძღვნილ რუსულ ენაზე დაწერილ ლექსს რუსულადვე აქვეყნებს (სულ რამდენიმე დღეში, 10 მარტს). იქვე მოცემულია მიხეილ ყიფიანისადმი მიძღვნილი ოსურად დაწერილი მეორე ლექსის შინაარსი ქართულად. მთელი თერგის ოლქის მოსახლეთა სათქმელი გამოხატა კოსტამ თავისი ლექსებით, რომელიც მეგობრის ცხედართან წარმოთქვა.

მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის ურთიერთსიყვარულს საერთო ინტერესებისათვის ბრძოლა ედო საფუძვლად. მიხეილ ყიფიანი წერდა და ზრუნავდა ოსი ხალხის გაუსაძლის პირობებში ცხოვრების გამო და ეძიებდა გზას მათი კეთილდღეობისათვის, წერდა და აკეთებდა ბევრს მათვის ნუექშის საცემად, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ცნობილია, რომ მიხეილ ყიფიანმა 1890 წლიდან საფუძველი ჩაიყარა დედაენაზე ოსური საანბანო წიგნების გამოცემას. ოსეთის ნაციონალური კულტურისა და საგამომცემლო საქმიანობის განვითარებისათვის მან ნიადაგი მოამზადა: „მთიულების ენაზე საზოგადოების მიერ წიგნების გამოცემის საკითხი პირველად აღძრა საზოგადოების პირველმა თავმჯდომარემ – მიხეილ ზალის ძე ყიფიანმა“. მის მიერ საფუძველჩაყრილი ინიციატივის შედეგად გამოიცა 1890 წელს ალმასხიტ კანუკოვის მიერ შედეგენილი „ოსური ანბანი“: „გაიოზ ბარათაშვილისა და იალღუზიძის მიერ გამოცემული საანბანო წიგნების შემდეგ ოსი მწერლისა და პედაგოგის ალმასხიტ კანუკოვის „ოსური ანბანით“ იწყება ოსეთში ეროვნულ ნიადაგზე გამომცემლობის შექმნისათვს ბრძოლის ნამდვილი ისტორია“ (ტ. სარიშვილი).

ოსი ხალხი განსაკუთრებით საჭიროებდა „საზოგადოების“ დახმარებას ოსური სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცე-

მასთან დაკავშირებით. მიხეილმა დღის წესრიგში დააყენა სკოლა-თავშესაფრების რეორგანიზაცია და ასეთი სკოლებისათვის ახალი სასწავლო პროგრამების დამუშავება. „საზოგადოება“ ცდილობდა, ოსეთში შექმნა ოსი ქალების მოსამზადებელი კერა, გადაწყვიტეს, მოემზადებინათ ქალები, რომლებიც, როგორც სახალხო მასწავლებლები, გარკვეულ სარგებელს მოუტანდნენ ამ მხარეს. საინტერესო ფაქტია, რომ „მიხეილ ყიფიანთან ერთად ამ საზოგადოების წევრი იყო და ხელს აწერდა საზოგადოების ანგარიშებს გამგეობის წევრი კ. ლ. ხეთაგუროვი (1902 წლამდე)“. მიხეილ ყიფიანმა კოსტა ხეთაგურვთან და თავის თანამოაზრებთან ერთად დააარსა ვლადიკავკაზში ქართული სამუალო სკოლა. ეს მოწმობს, რომ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რაც განიხილებოდა „საზოგადოების“ სხდომებზე (რაც შემდეგ მის ანგარიშის აისახებოდა) მიხეილ ყიფიანს კოსტა ხეთაგუროვი ედგა მხარში.

თავის მხრივ, „კოსტა ხეთაგუროვს მრავალჯერ მიუქცევია ყურადღება საქართველოს ეროვნული ჩაგვრისა და შევიწროების ფაქტებისათვისათვის... ბევრი გულთბილი სიტყვა აქვს გამოთქმული საქართველოს მიმართ... ქართულ-ოსური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობა ჩანს აგრეთვე კოსტას ვრცელ სტატიაში „ოსობა“ (ა. ცოტნიაშვილი).

კოსტას ზრუნვის საგანი იყო გაჭირვებაში ჩავარდნილი ქართველი მწერალი ალ. ყაზბეგი: როცა ავადმყოფი ალექსანდრე ყაზბეგი უმწერ მდგომარეობაში საავადმყოფოში იმყოფებოდა, კოსტამ „სევერნი კავკაზში“ გამოაქვეყნა წერილი და მის რედაქტორს მიმართა: ალ. ყაზბეგი „საერთო პალატაშია, იკვებება როგორც ულატაკესი კაცი, არა აქვს ისეთი არსებოთი საჭიროების საგანიც კი, როგორიცაა ჩაი და ისეთი უმნიშვნელო სიამოვნება, რასაც პაპიროსი წარმოადგენს, მაგრამ ამ მდგომარეობის შენარჩუნებაც არ ძალუდს

მას. ა. ყაზბეგს საშუალება არა აქვს, ფული გადაუხადოს საავადმყოფოს. ამ დღეებში, როგორც უსარგებლო ნივთს, ქუჩაში გადააგდებენ... ნუთუ ალექსან-დრე ყაზბეგს, რომლის შესანიშნავ ყდებში ჩასმულ ნაწარმოებებს უდიდესი სიამოვ-ნებით კითხულობენ, რომლის პრწყინ-ვალე სახლში უამრავი ხალხი ჭამდა და სვამდა, ასეთი ჯილდო უნდა ხვდეს წი-ლად, რომ ქუჩა ქუჩა იაროს და სადმე ღობის ძირას შიმშილით მოკვდეს?..“

ცნობილია, რომ კოსტა ხეთაგურო-

საზოგადოების გამგეობის სხდომაზე მოისმინეს მიხეილ ყიფიანის წერილო-ბითი განცხადება იმის შესახებ, რომ კავკასიის ქართველ საზოგადოებას სურს ქართული სკოლის გახსნა. ცო-ტა ხნით ადრე, 1888 წლის 14 მაისს, ყიფიანი ვლადიკავკაზიდან წერა-კით-ხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას სწერდა, რომ 8 მაისს ვლა-დიკავკაზში მცხოვრები ქართველები შეიკრიბნენ ქართული სკოლის გახსნის საკითხთან დაკავშირებით. იგი სთხოვ-



ვი არა მარტო ალ. ყაზბეგთან, არამედ მრავალ ქართველ მოღვანესთან იყო ახლოს (დ. არაყიშვილთან, დ. ყაზბეგ-თან და სხვ.).

მიხეილ ყიფიანმა მართლაც დიდი დრო და ენერგია შეალია ჩრდილოკავ-კასიელთა განათლებისა და კულტუ-რის საკითხებს, მაგრამ ის არასდროს ივიწყებდა საქართველოს, მუდმივად ზრუნავდა მასზე და აქტიურად იყო ჩართული ყველა იმ საკითხის მოგვა-რებაში, რომელსაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-გადოება აყენებდა. 1888 წელს 30 მა-ისს წერა-კითხვის გამავრცელებელი

და საზოგადოებას, ვლადიკავკაზის ქართველების გადაწყვეტილება დაემ-ტკიცებინათ. საზოგადოებამ მოიწო-ნა ეს წამოწყება, მაგრამ უსახსრობის გამო დიდი დახმარება ვერ აღუთქვა - დაპირდა ერთჯერადად 200 მანეთით დახმარებას, ყოველწლიურად წიგნების გაგზავნას და მასნავლებლების შერ-ჩევას. მიხეილმა პირადი წერილიც კი გაუგზავნა ილია ჭავჭავაძეს: „აქ, კავ-კავში, ქართველები ღარიბი ხალხია, რიცხვით 200 კომლი და ამათი წვრილ-ფეხობა სრულიად უსწავლელნი არიან ქართულის სასწავლებლის უქონლობის გამო, მაშინ როდესაც აქ ყოველივე თე-

მის ხალხს აქვს თავიანთი სასწავლებელი და ამითი არიან დაწინაურებულნი“. პირველივე წერილის გაგზავნიდან სამ თვეში სკოლა უკვე მზად იყო გასახ-სნელად“, – წერს ლუარსაბ ბოცვაძე, მიხეილ ყიფიანის მეგობარი და თანა-მოაზრე. სკოლის ხელმძღვანელობა და-ეკისრა ტიტე კახიძეს. ვლადიკავკაზის ქართული საშუალო სკოლა გაიხსნა 1888 წლის 10 ოქტომბერს.

მიხეილ ყიფიანის ზრუნვის საგანი იყო სოფ. სტეფანწმინდაში „განათლების ლამპარის ჩანთება“ – ქართული სკოლის გახსნა. 1890 წლის 19 ოქტომ-ბერს მიხეილ ყიფიანმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მი-მართა თხოვნით სოფ. სტეფანწმინდა-ში (ყაზბეგი) სკოლის გახსნის თაობაზე. იგი გამგეობას უხსნიდა თუ რა ძნელი იყო ღარიბი მოხევისთვის ყაზბეგიდან ვლადიკავკაზში სიარული, როგორი ძვირი უჯდებოდათ მშობლებს ეს ყვე-ლაფერი: „ხალხის გაჭირვებას იმითი ვხედავ, რომ ყაზბეგიდან კავკავის სკო-ლაში მოჰყავთ და აქ ასწავლიან შვი-ლებსა. თითო შეგირდი შვიდ, რვა თუმ-ნად უჯდებათ. ჩემი თხოვნა ამჯერად

ეს არის: რაც შეიძლება, წერა-კითხვის საზოგადოებამ ფული შემოსწიროს თავდაპირველი სკოლის გასამართავად; რაც დასჭირდესთ წიგნები, დაფები, რვეულები და სხვ. აძლიოს როგორც თავდაპირველად, ისე შემდგომაც; შეო-ლა გაიხსნას წერა-კითხვის გამავრცე-ლებელი საზოგადოების ხარჯზე; თვით გამგეობამ დაუნიშნოს ამ სასწავლე-ბელს მასწავლებელი.... იმედი მაქვს რომ აქ შეოლა ძალიან კარგად გაძლი-ერდება და დიდს სარგებელს მოუტანს ჩვენს ენასა“. იმავე წლის 3 ნოემბერს ამ წინადადებას გამგეობა მადლიერე-ბით გამოეხმაურა და აღუთქვა მატე-რიალური და მორალური დახმარება. სამწუხაროდ, მიხეილ ყიფიანი ვეღარ მოესწრო ყაზბეგში სკოლის გახსნას.

დიდად დააკლდა თავის ერსა და ქვეყანას მიხეილ ყიფიანი. მაგრამ იგი დააკლდა ჩრდილოკავკასიაში მცხოვ-რებთაც, ყველას, ვისთან ერთადაც უმოლვანია. ის იყო კავკასიელ ხალ-ხთა, განსაკუთრებით კი ქართველ და ოს ხალხთა ძმობის, მეგობრობისა და უანგარო სიყვარულის სიმბოლო.

Беппиты Наира

ÆФСЫМÆРДЗИНАДЫ ЦЫРАГЪДАР

«Лæппуйæ базæрондмæ цардтæ
Мæстджынæй адæмы мæстæй;
Æхсæв цырагъдарæй фæхаттæ
Хæларæй, уарzonæй, рæстæй...»
Хетæгкаты Къ., «Марды уæлхъус»
(ары дзы Хъипиани М.-йы ном)

Лæг æнæхъæн цæрæнбоны дæргы
бæстæйы хууыддагæн хууамæ йæхи
æрхæсса, йæ бæстæйæн «цæстдарæг»
хууамæ уа, уымæн лæггадгæнгæйæ йыл
æхсæвæй-бонæй хууамæ бон кæна, цæмæй
ахæм стыр архайæг, цахæм уыдис Чъавчъа-
вадзе Илья, ахæм ныхæстæ зæгъя: «Хъи-
пиани Михеил ахæм лæг уыд, кæцыйы
фæзынд æмæ ахызт дзæвгар рæстæджы
уагъта афтидаej йе 'рцахсгæ бынаты.
Кæд фæнды дæр зæгъой, адæм цавæр
тыхы хицау сты, уæд фыццаджыдæр
зæгъæн ис, цахæмдæриддæр уыд Хъи-
пиани Михеил. Уæдæ йæ зонут, аbon
кæй сафæм, аbon кæй ныгæнæм, чи
ахицæн ацы дунейæ, чи фæхъуыд нæ
бæстæйæ, нæ адæмæй, уыцы лæджы фе-
сафын растdæр цуhdзинад у нацийæн
æмæ бæстæйæн», ахæм ныхæстимæ
Чъавчъавадзе Илья хæрзбон загъта
зынгæ æхсæнадон архайæгæн, нацийы
раздзо-тæн, публицистæн, тæлмацгæнæг
æмæ ахуыргæнæгæн Хъипиани Михеилæн.

Хъипиани Михеил райгуырдис 1833
азы 12-æм апрелы, Ваханы хъæуы (Ха-
рагаулы район), райдиан ахуырад рай-
ста Гуры мазрон ахуыргæнæндоны. Уый
фæстæ каст фæцис Кавказы арапон
ахуыргæнæндон. Уый нырма кусын
райдыдта хъæууонхæдзарады органты,
уый фæстæ та, йæ райгуыраен скъолайы
ахуыргæнæгæй. Бæрæг курдиаты æмæ
ахуырады руаджы уый уæлдай уарзт код-
той йæ ахуыргæнæгæтæ. Эмæ коллегæтæ.
Йæ биографтæ фыстой: «Æрдзæй уæздан
æмæ энергион педагог, Хъипиани М.,
ахуыргæ-нинæгты æмæ коллегæты стыр
уарзондзинады аккаг уынæд. Уый йæ
зæрдæмæдзæугæ, кæлæнгæнæг ныхасæй,
йæхимæ здæхта ахуыргæнæгты» (Г.
Гъудушаури).

Стырс ахуыргæнæгæс æнæмæнгæй
хъæугæйыл нымадта предметы аху-
ыр кæныны рæстæджы цæстуынгæтæй
пайда кæнын. Йæхи араэз геометрийы

ахуыргәнән чиньдҗы разныхасы фыст ис: «Стыр рәедый аеруаддзән уый, чидарилләр нә ракәндән ахуыргәнинаңты быдырмә әмә сый уым нә фенен кәндзәнис геометрийи фадгуытә әмә лыггәгтә». Йә педагогон курдиат әмә дәсныдзинадыл нын дзурәг у Хъипиани Никъолозы (зынгә әхсәнадон архайәджы Хъипиани Дмитрийи фырт) мысән, кәңзы журнал «Фәдә» мыхуыргонд уыд. Сабибонты уый францаг ахуыргәндҗытә ахуыр кодтой, фәләй йын уыдон ацы предметты нә бауарзын кодтой. Хъипиани Димитр ссәрибар кодта францаг ахуыргәндҗытә әмә Хъипиани Михеилы архуыдта йә фыртән ахуыргәнәгәй. «Уыд он къухы нә ахуыр кодтон хорз, – зәгъы Хъипиани Никъолоз, – Михеил мә фыңцаг хатт райдыдта ахуыр кәнен физикон географийи, амыдта мын, цавәр планетәтә зилинц хуры алфәмбылайы, куы мын сәннүв кодта... тынг зәрдиагәй иу әм хъустон әмә йә хаттә дәр нә кодтон, сахат әмә ‘рдәг куыд тагъд фәуд кодта».

Хъипиани М. әңгәйдәр зынгә әмә алыварсон ахуыргонд уыд: уый уыдис «Гуырдзиәгты ‘хән кәсын әмә фыссыны парахатгәнәг әхсәнады» иуәй-иу бындуру-әвәрәг, гуырдзиаг скъоләты математикәй әмә геометрийи ахуыргәнән чингүыты автор, курдиатджын педагог әмә сәйрагәйдәр, стыр Ильяй әмтохгәнәг, йә бәстәйи патриот. Хъипиани Михеилмә хауынц бәлләндон жанры уацмыстә «Хъазбегәй Эльбусы онг», уый ратәлмац кодта Лермонтовы «Нә рәстәдҗы хъайтар», Шекспире трагеди «Юлиус Кейсар» (мыхуыргонд уыд жур. «Цискары»), афтә ма ратәлмац кодта Белинский фыстәдҗытә. Уый арәэст у «Гуырдзыистоны картә», атәма уый арәэст у Вены шрифт, кәңзыйә пайды кодта «Иверия». Стыр ахсәниаг у йә куыст әхсәнадон царды. «Гуырдзыистоны моамбей» мыхуыргонд цыд йә фельетонтә гуырдзиаг культурәй әмә ахуырады фарстәтыл.

Уәлдай ахсәниаг уыд Хъипиани Михеилы әхсәнадон әмә рухсадон архайд-дзинад. Уый уыди «Гуырдзиәгты ‘хән кәсын-фыссыны парахатгәнәг әхсәнады мидаег» (арәэст аерцид 1879 азы 31 марта) иуәй-иу бындуруәвәрәг әмә Ильяимә иумә активон хайад иста уый фәстә хъуыддагдзинәдты. Уыди журнал «Гуырдзыистоны моамбей» активон әмкүсәг. Йә биографтә куыд нысан кәненц, уымә гәсгә: «Ай уыцы период уыди, Ильяй разамындәй Гуырдзыистоны уәрәхәй парахатгонд цыд ног, раздог идеяетә әмә тырнындзинәдтә; зәронд, консервативон әмә прогрессивон әңгән-тәстү ‘хән тох цырынәй цырнәдәр кодта. Уыцы рәстәдҗы Хъипиани «Гуырдзыистоны моамбей» активон хайадисәг әмә әңгәстүнгә фигурә уыд» (Г. Гудушаури).

Мадәлон әзвадҗы әмә литературајы фарстәты, гуырдзиәгты ахуырад, гуырдзиаг культурәй рәзынад әппынаездухәй уыд Хъипиани Михеилы аудинаг.

1871 азәй Хъипиани йә царды фәстаг бонмә уыди Цәгат Кавказы, Кавказы (куыд уәд хуыдтой Владикавказы). Ам уый кусы Терчы областы зыххуистон хайады хистәрәй (уымән әндәр әмә әндәр бәрнәндзинәдтә уыди: уый цыппар азы әмгъуыдәй снысан кодтой Тбилиси областы тәрхондоны уәнгәй, уый фәстә – Кавказы хаххон картәтү уағдәтты хистәрәй, фәстагмә та – Терчы фарсы хицауиуәттәнег М. Т. Лорис-Меликов уый снысан кодта Терчы фарсы хистәрәй. Инәлары чин дәр марайста).

Сәрмагонд хай баҳаста Хъипиани Михеил Цәгат Кавказы адәмтү ахуырады, культурәй, царды уавәртү фәдым фарстәты аәрбәстон кәненмә, уыд сә раздог әмә әмгар. Уый аәрмәст гуырдзиәгты әмә цәгаткавказәгты ахуырады әмә культурәй фарстәты аәрбәстонды хъәппәрисон ләг нә уыд, фәләма уы-

дис – уыданән сәхәлардзинады аәмә уар-
зондзинады иухуыз бәлвырдгәнәг дәр.
Рәестдзинадән аәй хүздтой уый «Хохы
уыңырдыгәтты аәмә хохы аңырдыгәтты
иугәнәг». Уымән уыдис стыр курдиат
әрмәст хуындағдзинады аәнтыстджынаәй
сәххәст кәнныны нәе, фәлә – адәймәгты
әммахастдзинады аәрбавваҳс кәнныны дәр.
Йә алфәмблайы змәлдысты гүрдзи-
аг аәмә ирон сәфәлдыстадон архайджытә,
кәңытә уымән стыр аргъ кодтой: «
Ильяйы хуызән бәрзонд хуындыйыл уыд
Хъипианийыл зынгә ирон фыссәг аәмә
аәхсәнадон архайәг Хетәгкаты Къоста дәр.
Хетәгкаты Къоста аәмә Михеил Хъипиа-
ниийы аәмкуыстдзинады тырнындзинәдтә
аәмә тох хохәгты аәмә, сәйрагәй, ираетты
интересты баҳъахъхәенныны хуында-
джы аәцәгдзинадәй аәфсымәрон аәмә
әнәдихгәнәг цәдисәй аәрбавваҳс кодта
уыдоны» (Г. Гъудушаури).

1883 азы араәст аәрцыд «Терчы обләсты
хохәгты ‘хәсән рухсады аәмә техникон
зонынады паражатгәнәг хәрзиуәгадон
аәхсәнад», кәңыйы правленийы сәрдарәй
әвзәрст аәрцыд Михеил Хъипиани. Уый
йә мәләтты онг активонаәй ләууыд ацы
аәхсәнады разамонәгәй. Уый сарәзта
ацы аәхсәнады архайды программә,
«әгътдауваәрд», кәңи аәргә сәйраг пунктәй
көнд уыд: «әәхсәнады» нысан уыд Тер-
чы обләсты аәппәт цәрджытән баҳхуыс
кодтай скъоләйы ахуырады хуында-
джы; аәхсәнадән барләвәрд уыд аәрәвәрд
фәткәмә гәсгәйә обләсты цәрджытән
байтом кодтай скъоләтә Кавказы аху-
ырадон обләсты рдыгәй Фәскавказы
фарсы «туземцион» скъоләтән ләвәрд
программәтәм гәсгәйә; фәрәстү
рәэстмә гәсгәйә, аәхсәнадән гәнән уыд
горәттү аәмә хъәуты райдиан иукъласон,
дыууа кәнә аәтәкъласон скъоләтү бай-
том кәннын.

Уәлдай стыр күист ауагъта «Аәхсәнад»
адәмөн скъоләтү рауәрәхдәр кәннынән,
ацы скъоләтү мадәлон әвзаджы ахуыр-

кәннынән, техникон зонынады рәзынадән.
Ай тыххәй фәрәздзинәдты аәрәмбырд
кәннынән дәр правлени архайдта.
Аәрәмбырдгонд фәрәзтә пайдагонд цы-
дысты скъоләйы бәстыхәйтты аразынән,
ахуыргәнән чингуыты раудзынән,
библиотекәтү байтом кәннынән.

Хъипиани Михеил ахсджиаг күист
бакодта ирон ахуырады фарстәйыл. Уый
фыста: «әәрдомынад мадәлон мыхуырон
ныхәстү, рагәй уыди хохәгты ‘хәсән,
сәйрагәй та ираетты ‘хәсән, кәңытә скод-
той национ литературәйи уацмыстә, ис
сәм фысджытә... ацы хуындағ нацийы
аәтә ахуырадыл бындураәвәрдәй ма-
териалон аәххуысы уавәртү гәнән ис
нысанниаәгджынаәй рауәрәх уа».

Михеил аәмә уый «әәхсәнад» стыр
роль сәххәст кодтой Цәгат Кавказы,
сәрмагондәй Ирыстоны, национ фыс-
сынады, сабион фыссынады аәмә ра-
уагъды бындура ныккалыны, мадәлон
әвзаджы ахуыргәнән чингуыты рауд-
зыны, адәмөн скъоләтү хызы рәзынады,
уәвәг скъоләтү бәстыхәйтты бацалцәг
кәнныны, скъоләтү ахуырон-хъомылгәнән
аәмә культурон-массивон күистү рауәрәх
аәмә фәхуыздәр кәнныны хуында-
джы, афтә ма «Ирон алфавиты» раудзыны
хуында-джы.

Хъумә нысангонд аәрцәуа уый дәр,
аәмә ацы «Аәхсәнады» правленийи уәнг
уыди ирон литературон әвзаг аәмә ирон
литературәйи бындураәвәрәг, ирон
адәмөн удварон раздог, стыр поэт аәмә
аәхсәнадон архайәг Хетәгкаты Къоста
дәр. Ацы дыууа стыр адәймаг иумә тох
кодтой культурәйи аәмә рухсады фарстәтү
аәрбәстон кәнныны фәдүл.

Хъипиани хәрзәвваҳс уыди уым
цәрәг хәххон адәмимә, сси се стырдәр
хәлар, аәдзухәй аудыдта ацы мәгүыр-
гәвзыик аәмә аәфхәрд адәмил аәмә
йын уыдан дәр стыр ләггад аәмә кад
кодтой. Уый араәх бәлцауты цыд Цәгат
Кавказмә, аәрцыд аәмә иу сын сәе цар-

ды уавәртимә зонгә кодта, йәе зәрдәрысти уыдоны әнәзәрдәрухс цардәй. Ацы тәлмәндзинад әвдист ис йәе чиныг «Хъазбәгәй Эльбрусы онг (бәллңоны фыстытә Терчы обләстү хәххон хаххы тыххәй)». Бәллңоны фыстыты деталонәй фыст ис әңгәгад: әмбисонды әрдз әмә уыцы әрдзы мидәг цәрдҗиты зын уавәр, әвәндаг, хохәгты уәззат әмә әвәрәзон цард.

Иттәг цымыдисон у бәллңонон жанры уацмыс. Хъыгагән, әнәххъянәй нә равзардзыстәм ацы статийы, фәләе нә фәндү фәнисан кәнәм, әмәй уый у бәллңуатон ахасты уацмистә, кәңгитә нысаниуәгджын сты историон, этнографион, культурон, традицион әмә, иумәйагәй, алывәрсиг цәстәнгасимә. Уый нысаниуәгжыл Хъипианийы биограф Г. Гъудушаури фыссы: «М. Хъипианийы ацы зонадон күист Терчы обләстү хохы цәрдҗиты әрдзон-географион әмә экономикон уавәрты әвдисәг зынаргъ инфор-ма-цитәй конд у. Уый ахәм әрмәг у, йәе сәххәстү әмә объективондзинадәй йын архивон әрмәгдәр не скәндән конкуренци».

Иттәг хъәздыг әрмәг ис ләвәрд ацы уацмысы Цәгат Кавказы тыххәй; йәе шифиркәниаг әрдзыл, Эльбрусы фендтагдзинадыл, алпаг хизәнтыл, хүимзәхытыл, уырдыгон флорәйыл. Поэтон удцырындзинад нын юемыдзаг тәлмәндзинадәй әвдисы әрдзы диссагдзинәдты, бәллңон зәрдаeskъәftәй кәсү ацы әнәсахъат әрдзмә әмә архайы иунәг детал дәр ын ма аирвәза әнә фәхатгә, цыдәриддәр ыл йә алы къаҳдзәфән әмбәлдис; ацы рәстәдҗы ма, уый лыстәтгай фыссы цәгатон хәхтү географион бынәтты, цәрдҗиты, сә равәрды, сә кәрәдзимә цәдисгәнәг фәндәгти гәвзыикдзинады фәдышыл. Бәллңон сәрмагондәй әрләууы фәндадҗы фарстәйыл, уый алкәңи къаҳфәндаг дәр фәнисан кәнә, уымән әмә йә зоны, фәндагән стырдәр

нысаниуәг ләвәрд кәй цыд, уәлдайдәр та, зымәдҗы рәстәдҗы, стырмит әруаргәйә сәрмагондәй хохәгты царды мидәг. Сәрды рәстәдҗы иуәй-иу къаҳфәндагыл дыууә бәхы кәрәдзий фәрстү нә ахыз-таиккй, әмә ацы рәстәдҗы тыхст хохаг йә уәхскыл хаста уаргъ ауылты, зымәдҗы дзы ахизынничи уәндыдис, уымән әмә тәссаг уыд ахайынәй.

Ам ма хъуамә фәнисан кәнәм, әмәй бәллңон әрмәст фәндәгти проблемәйыл кәй нә ныхас кәнә, уый тынг хорз зыдта әмә фыста цахәм күистытә хъуамә уагъд арцыдаид хъуыддаг рааст кәнинән. Афтә ма нын дзуры хохәгты уәззату царды деталтыл дәр, сә күистыл, сә базарадыл (фос ивыныл) Уый ма фыссы хохаг свайнәг-тимә әмә, иумәйагәйдәр, гуырдзиәгтимә базарадон әви әндәр хүиз әмакаст-дзинәдтыл; иу бакастәй әнәххъусдардәй нә уадзы чысыл деталтыл дәр (зәгъ., Назраны донәй хосгәнәны методты, кәңгитә зонгә топонимы равзәрд, зәгъ.: Саниба-Самеба әмә әнд.).

Мах хъуыдымә гәсгәйә, сәрмагонд нысаниуәгджын у ацы уацмыс уыцы фарсәй, әмә бәллңон стыр хъарм әмә уарзондзинадимә мысы уым цәрәг хохәгты, ирәтти әмә архайы равдиса практикон фәндадҗы уыдоны ацы уавәрәй рахизынән.

Авторы позици тынг позитивон у күид уавәры равдисты рәстәдҗы, афтә – адәймәгтән сә ахастәвдисгәйә. Автор архайда, алкәйи мидәг дәр хорз федтаид. Алкәйдәр әрмәст хорзәрдигәй равдистаид. Уый дәр ма, кәңи цуҳдзинадыл нымад цыд, позитивон әрдигәй хаста хурмә райтауынмә. «Әппәт ацы сұғыст әмбәлдис хохәгтырдәм зәрдәхәлары ахаст гоймагән, кәңи алы къаҳдзәфән дәр зынын кодта уыдонырдәм стыр уарзтдинад, нә фәлхатт цыд уыдоны уәззату уавәры әрмәст фиксацийән әмә фарст әвәрдты уыданән сә уавәры фәхуыздәр кәнини фәдышыл. Растандәр

уыцы хәрзиуәггәнәгдзинад, әфхәрд хохаг цәрдҗытыл аудын уыди уыцы стыр уарздзинад әмә ләггад кәныны нысан, кәцы Хъипиани М. хохәгты хән Терчы обләсты йә күисты рәстәдҗы ссардта», - дзуры нын Г. Гъудушаури.

Хъипиани М.-йән стыр диссаджы зәрдәхәларон ахастанад үыд ираәтты 'рдәм. Кәй зәгыын ай хъәуы, йә уарзондзинадән ын уарзондзинадәй дзуапп ләвәрттой ираәттә дәр. Уәлдай әевваҳсәр үыдис Хъипиани Михеил стыр ирон поэтическое изображение, ахсаңадон архайәгимә Хетәгкаты Къостаимә. Абона оң легендәйә бazzad гуырдзиаг әмә ирон адәмтәм үыдоны аәгәрон хәлардзинады хабар. Үыдон иумә тох кодтой алыш иумәйаг хъуыддаджы фәдыл, кәцы уәд ләууыд Кавказы цәрәг гуырдзиагтый әмә ираәтты разма.

Стыр әеххуысы күисты баҳастән, ираәтты ахуырады әмә күлтурәйи фарстәты фәдыл ахәм аудындзинады тыххәй, зынгә ирон фыссәг әмә ахсаңадон архайәг Хетәгкаты Къоста стыр аргъ кодта Хъипиани Михеилән. Зынгонд у, әмә Хетәгкаты Къоста сныв кодта М. Хъипианийи портрет әмәйин дыууә әембисонды әмдзәвгәйи дәр ныффииста йә номарынән.

Хъипиани амард 1891 азы 2-әм марта тыйи. Ныгәд ис Тбилиси, гуырдзиаг фыс-дҗыты әмә ахсаңадон архайджыты Дикубейи пантеоны.

Газет «Иверия» 1891 азы 5-әм марта тыйи фыста: Хъипиани Михеил йә цәрәнбон райгуырән бәстәйыл аудгәйә әмә зәрдәрисгәйә арвыста. Хъипиани М. үйдис уд әмә зәрдә Кавказы бакәнгә гуырдзиаг скъолайән. Ацы фәстаг рәстәдҗы Гуырдзыс-тонәй дард үйдис, фәләй үәд үәддәр ам не 'хән зылдис, аудыдта, нә бәстәйә нә хицән кодта.

Арвнаәрдау айхъуыстис Хъипиани Михеил мәләтү хабар әнәхъән Кавказы. Алчи дәр тәфәрфәс кодта, йә мәләт алкәмән дәр зәрдәрисгә үыд. «Иверия» фыста: «гуырдзиагтимә иумә хъыг кодтой Хъипиани мәләтүл ардыгон сомихәгтә, уырыссәгтә, ираәттә. Алкәмән дәр сәхорз үыди, алкәй зәрдә дәр ын әлхәд үыди йә ләггадәй, йә ләгдзинадәй».

Хъипиани Михеил ныгәныны рәстәдҗы Хъипиани Константин Дмитрий фырт Дикубейи фысдҗыты әмә ахсаңадон архайджыты пантеоны загъята: «Дә аудындзинады әвдистай нә уыцы әндәр әмә әндәр әфсымәртү, кәцытән сә алфәмблайы аәхгәд сты не стыр Кавкасионы хәхтәй. Ди нын феннын кодтай, цәмәй гуырдзиаг ләгән йә бон у әфсымәрдзинад скәнын нә сыхаг адәмтимә сә үырнынадмә нә кәсгәйә. Дә уәвүнад үыдоны хән цәвиттойнаг у махән. Фәндарастан, хәрзбон зәгъәм иууылдәр сәркүләй дә разы. Ёнустәм дә рухс ном рох макуы уәд».

Уәлдай зындәр үыди Хъипианийи мәләт йә иууыл әевваҳсәр әмгарән, йе мтохәнәгән Хетәгкаты Къостайән.

Адәймагуазондзинады, гуманизмы бәрzonndәр критеритәй әвзаргә адәймәгтә сәхи адәмь әмә бәстәйи хъәбултән стыр аргъ кәнынц, уымә гәсгә эпитетондзинадәй дәр бәрzonд u. Фәлә ацы әмдзәвгә тынг зәрәмәхъаргә у, Хетәгкаты Къоста йә бакаст Хъипиани М. ингәны уәлхъус. Фыссәг нырма ирон әмдзәвгә бакаст, цыран ныхас цәуы ираәты уарзондзинады тыххәй, үыдоныл аудәджы 'рдәм. Хетәгкаты Къоста үый «Рәстдзинады, уарзондзинады, әфсымәрдзинады цырагъдар» хони әмә үйин йә ном ары бузныгады әнкъарәнтәй едзаг рәнхъытәй:

Хъипиани

М.-йы мысынæн

Фæндараст!.. Фервæтæ нæ мæтæй –
Хуыщауы мацæмæй уал дом! –
Мæрдты дын хай уыдзæн дзæнæтæй,
Уæлæуыл баззайдзæн дæ ном.

Лæппуйæ базæрондмæ цардтæ
Мæстджынæй адæмы мæстæй;
Æхсæв цырагъдарæй фæхаттæ
Хæларæй, уарzonæй, рæстæй...

Дæ мадау баурзтай нæ бæстæ,
Фæцыддæ мæгуыртæн фыйайа...
Цæмæй дын фиддзыстæм дæ хæрзтай,
Цæмæй дын ратдзыстæм æгъдау?!

Фыдæй фыртмæ нæ уд, нæ зæрдæ
Дæ рухсæн хъардзыстæм, бæргæ,
Фæлæ та сагъæссæг нæ сæртæ,
Дæ фæстæ чи баззад кæугæ!..

Газет «Иверия» фыста, ацы аэмдзæвгæйы фарсты рæстæджы алчидæр зæрдиагæй хъуыста аэмæ сæ цæстысыг нæ уräдтой.

Гуырдзиаг æвзагыл мыхуыргонд Къостайы аэмдзæвгæты комментариты кæсæм: ацы аэмдзæвгæ, кæцы уый станцæ Балтайы бакости М. З. Хъипианы ингæны уæлхъус 1891 азы, «дзæвгар рæстæджы размæ цалынмæ мыхуыры рацыд, къухæй-къухмæ лæвæрд цыд аэмдзæвгæ къухфыстæй...»; адæмы ‘хæн ацы аэмдзæвгæ стыр популярон-дзинад райста аэмæ ираэтты уарзондæр зарæг сси (О. Долаберидзе).

Зын уыди Къостайæн хæрзбон зæгъын адæймагæн, кæцы уыйас хор-здинад скодта æрмæст йæ адæмæн нæ, фæлæ алкæмæн дæр. Уый алкæмæн дæр æххуыс кодта бахъуыды рæстæджы. Къоста йæ дыккаг аэмдзæвгæйы дæр М. Хъипианийы ном ары (аэмдзæвгæ фыст у уырыссаг æвзагыл, гуырдзиагмæ йæ раивта М. Гаприндашвили).

М. Хъипианы аэмæ Хетæгкаты Къо-

стайы аэмгардзинад ахæм ахсджиаг уыди дыууæ нацийæн дæр, аэмæ йæхæдæг стыр Илья халы прессæйы уагæвæрды аэмæ гуырдзиаг газет «Иверий» арасы стæмхаттон аэмæ иунæг цухдзинад – Хетæгкаты Къостайы фыст аэмдзæвгæйы Хъипианийы мысынæн уырыссаг æвзагыл ныммыхуыр кодта.

НА СМЕРТЬ М. З. КИПИАНИ

«Умер! – И это холодное слово
Так глубоко огорчает подчас, -
Умер, и, как обездоленный, снова
Плачешь и стонешь, родимый Кавказ.

Плачь! Потерял ты достойного сына, -
Все, что ты нашей семье завещал, -
В образе скромном простого грузина
Все незабвенный наш брат совмешал.

Много ль их было, способных народу
Так же всецело отдаваться, любя,
Так же бороться за нашу свободу,
Светоч познания в сакли внося?

Нет, их немного,— и эту потерю
Наши потомки припомнят не раз.
Плачь!— я в грядущее наше поверю,
Слушая плач твой, родимый Кавказ!»

Михеилы аэмæ Къостайы аэмхæлардзинады иумæйаг интересты фæдыл тох æвæрд уыд бындураен. Михеил тыхсти аэмæ аудыдта ирон адæмы зын уавæр царды тыххæй аэмæ агуырдта фæрогдæры фæндаг уыдонæн, фыста аэмæ араэста уыдонæн сæ уавæрты фæхуыздæр кæньянаен. Зынгонду, аэмæ Хъипиани 1890 азæй бындур æрæвæрдта мадæлон æвзагыл ирон абетæй чингуытæ рауадзынаен. Иры национ культураейы аэмæ рауагъдон хъуыддаджы рæзынадæн уый мæр æрçæттæ кодта аэмæ 1890 азы мыхуыры рацыд Хъаныхъуаты А.-йы араэст «Ирон алфавит»: Бараташвили Г. аэмæ Ялгъузидзейы араэст

алфавитон чингуыты фәстә ирон фыссәг аәмә ахуыргәнәг Хъаныхъуаты А-ый «Ирон алфавиттәй» райдыдта Ирыстоны национ мәрүл мыхуыр кәнныны фәдым тохы аәцәг истори у (Т. Саришвили).

Ирон адәмы сәйрагәйдәр хъуыд «Æксәнады» аәххуыс ирон скъолайән ахургәнән чингуытә раудзыны фәдым. Уый боны фәткы әрәвәрдта скъола-интернаты реорганизаци аәмә ахәм скъолатән ногахуыргәнән программаты бакусын. «Æксәнад» архайдта Ирыстоны сарәзтәйт ирон сылгоймәгты цәттәгәнән артдзәст, аскъуыддзаг кодтой, сәттәе кодтаиккәй сылгомәгты, куыд адәмөн ахуыргәнджытә, кәцытә бәрәггонд пайда әрхастиккәй ацы фарсән. Цымыдисон факт у, аәмә «Хыипи-ани Михеилимә иумә ацы аәхсәнады уәнг уыд аәмә йә къух фыста аәхсәнады хыгъд-тыл правленийы уәнг Хетәгкаты К. Л. (1902 азмә)». Хыипи-ани Михеил Хетәгкаты Къостаимә аәмә йәмхъуыдгәнджытимә иумә сарәзта Владикавказы гуырдзиаг скъолә. Ай нысан кәнны уый, цәмәй уыцы фарстәты, кәцытә аәвзәрст цыдисты «Æксәнады» рабадтыл Михеилимә иумә Къоста кәй ләууыд. Йәхирдыгәй, «Хетәгкаты Къоста бирәхатт йә хъус зәхта Гуырдзыстоны национ аәфхәрддинадмә аәмә уынгәгдзинады фактитәм... бирә зәрдахъарм ныхәстә йын ис загъд Гуырдзыстоны ‘рдәм... гуырдзиаг-ирон литературун-культурун аәмахастдинад зыны афтәма Къостайы статьяйы «Особа» (А. Цотниашвили)».

Къоста зәрдиаг аәххуыс кодта уәззау уавәры ныххаяг гуырдзиаг фыссәг Хъазбет Александр: Александррынчындоны куы хүйссыд уәззаурынчынәй әнәбон уавәры, Къоста «Северни Кавказы» ныммыхуыр кодта фыстәг аәмә газеты редактормә аәмә Кавказы аәхсәнадмә басидти: Хъазбет А. «иумәйаг палатәйы ис, хәры куыд

иууыл гәвзыккәр ләг, нәй ын уыцы фәрәз, цәмәй бафида рынчындонән. Ацы бонты йә, куыд әнәпайда дзаумәйы, уынгмә раппардзысты... Цас диссаг у аәмә Хъазбет Александр, кәцыйы аәмбисонды уацмысты стыр аәхчондинадимә адәм кәсынц, кәцыйы хәдзар уазәгәй нә цух кодта, цыран уыдон хордтой аәмә нозтой, афтә хъумә хъмзәмар кәна, уынгты зила кәмдәр быруйы рәбын искуы аәххормагәй йә мәләттесе? – фыста Къоста.

Зындгонду, цәмәй Хетәгкаты Къоста аәрмәст Хъазбетимә нә, фәлә ма бирә гуырдзиаг аәхсәнадон архайджытимә уыд аәввахс (Арахьишили Д., Хъазбет Д. аәмә аенд.).

Михеил Хыипиани аәцәгдәр бирә рәстәг аәмә энерги баҳардз кодта цәгатка-в-казәг-ты ахуырад аәмә культурәйи фарстәты фәдым, фәлә уый никуы рох кодта Гуырдзыстоны, аәппинаңдзухәй аудыдта ууыл аәмә активонәй хайад иста алы уыцы фарстәйи әрбәстон кәнныны, кәцыйә гуырдзиагт хсән кәсын аәмә фыссынады парахатгәнәг аәхсәнад пайда кодта. 1888 азы 30 майы кәсын аәмә фыссынады парахатгәнәг аәхсәнады правленийы рабадтыл байхъуистой М. Хыипианы фыст курдиатмә уый фәдым, цәмәй Кавказы гуырдзиаг аәхсәнады фәнды гуырдзиаг скъолайы байтом кәннын. Æксәнады зәрдәмә фәцыд ацы фәнд, фәлә экономикон уавәрмә гәсгәйә стыр аәххуысы ныфс нә ратта – банифс аәвәрдта 200 сомы бәрцәй, аәрвилас чингуытә арвитети аәмә ахуыргәнджыты равзарын. 1888 азы 10 октябрь Владикавказы горәты байтом гуырдзиаг астәүккаг скъола. Скъолайы къухдариуәгадәй нысангодн әрцид Къахидзе Тъитье.

Амәй фәстәмә М. Хыипиани аәркуырдта Степанцъминдайы (Хъазбет) гуырдзиаг скъола байтом кәннын. 1890 азы уый баләвәрдта курдиат кәсын-

фыссыны парахатгәнәг әхсәнадмә скъюла бакәныны фәдым. Каесын-фыссыны парахатгәнәг әхсәнад М. Хъипианийән банныфсәвәрдта мате-риалон әмәе моралон әххуыс. Фәләе, хыыгагән, М. Хъипиани нал әрәййәфта Хъазбеджы районы скъоләйи байтом кәнныны.

Ильяйы ныхастан гәсгәйә, Михеил Хъипиани уыд «Намысджын ләг, кәцыйы намысджын зәрдәйи наэ чысыл райгуырән бәстәе стыр бынат ахста. Нә бәстәйи әмәе наэ адәмы уарzonдзинад, уымән афтид ныхастан наэ уыдысты, куыд аборн бирәтән у, фәләе уымән уый уыди әвәллайгә күист әмәе аудынд-зинад. Уый әхсәвәй-бонәй архайдта уыцы әгәрон аудаег, уыцы уарзәгой зәрдәйи рыстәй, истәмәй бахху-ыс кәнны әмәе истәмәй бабәззыныл. Уымән әвдисән йәе бирә-хуыз әххуыс әндәр әмәе әндәр аспарезән, кәдәмдәриддәр уымән йәе намысджын зәрда әххәссын кодта, йәе намыс-джын къухы». Куыд әрцәуы әмәе, цәмәй гәнән уа, адәймаг йәе цард цәрәнбонты йәе адәмән ләггад кәна, йәхи бәстәйи

сәрвәлтау әрхәсса, әхсәвәй-бонәй хоздзинад аразыныл хъуыды кәна әмәе къаддәр зындгонд уа, къаддәр әй зоной әхсәнады, кәцыйы хуылфы сәвзәрди әмәе кәцыйыл аудынаей арвыста йә цәрдү әнәхъәнәй?

Илья Чъавчъавадзе уый афтә әмбарын кодта: «Уый хъуыддаг әрәзта, әнувыд уыд йә чысыл бәстәйи. Уый әндәрәй наэ агуырдта әппәлд әмәе ном. Уымән әмәе, Єрмәст әвзәр-сәрыстырад агуры искаэ әппәлдү әмәе рәстадон хъуыд-даг та, намысы сабыр бәлвырдгәнән у». Уәдә уый тыххәй афтә уыд, әмәе бирәе хорз хъуыддагаразәг Михеил Хъипиани ахәм зынндиндән наэуыд алкәмән, цахәм бәллищаг у.

Стыр цухдзинад уыд йә адәмән әмәе йә бәстәйән Михеил Хъипиани. Йә фәхъуыд уәлдай зындәр уыд Владикавказы цәрдҗытән, алкәмәндәр, кәимәдәриддәр иумә раздәр күиста. Уый уыди Кавказы адәмты, сәрмагондәй та, гуырдзиаг әмәе ирон адәмты әфсымәрдзинады, әмгардзинады әмәе әгәрон уарзондзинады символ.

იუსიფ სამედოლლუ

მივიწყებული სიტყვები

სამივე ახალგაზრდა, სამივე უცოლო, სამივე მოხდენილი.


ტანადები, ჯანსაღნი. საკუთარი ცხოვრებითა და ყოფით კმაყოფილი სამი ახალგაზრდა.

ყოველ კვირადღეს რაღაც-რაღაცებს ყიდულობდნენ და ერთგან იკრიბებოდნენ, ხუმრობდნენ, ოხუნჯობდნენ, ჰყვებოდნენ, დიდხანს იცინოდნენ. მათი ხარხარისგან მაგიდაზე შემონყობილ ჯამ-ჭურჭელს ზრიალი გაჰქონდა, იატაკი თრთოდა...

დღესაც ასე მოხდა.

პირველი სასმისი დაიცალა თუ არა, ერთმა თქვა:

- ხალხო, წინადადება შემომაქვს.
- მოგვახსენე!
- მოდით, მივიწყებული და ყველაზე იშვიათად გამოყენებული სიტყვები გავახსენოთ ერთმანეთს. ვინც მეტ სიტყვას იტყვის, თამაშსაც ის მოიგებს, მოსულა?
- როგორ თუ მივიწყებულ სიტყვებს... ასეთი სიტყვა არსებობს კი?
- უჱ, ოხრად!
- მაგალითად...
- მაგალითად...
- მაგალითად, ტაქიკარდია!
- ეგ რაღაა, ე?
- შენ კი რა გითხარი!



- აფერუმ, შენ ერთს ხარ...
- ახლა მე ვიტყვი!
- თქვი!
- ადიაფონი!
- რა არის ვითომ?
- სამუსიკო ინსტრუმენტია...
- ყოჩალ, შენც ერთს ხარ! ჲა, ჲა, ჲა... მოიცა, ერთსაც მე ვიტყვი!
- ვაცალოთ!

¹1828 წელს რუსეთსა და ირანს შორის დადებული თურქმენჩაის ცნობილი შეთანხმების საფუძველზე მდინარე არაქსის გაყოლებაზე ჩრდილოეთ აზერბაიჯანი (დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორია) და სამხრეთ აზერბაიჯანი (ირანის აზერბაიჯანი) ერთმანეთს გამოეყო (მთარგმ.).

- ეპილეფსია.
- ეპილეფსია?
- დიახ, დიახ სულიერი სნეულებაა...
- ესე იგი, თითომ თითო სიტყვა მოვძებნეთ. მოდით, ხელახლა დავიწყოთ...

ბევრი სიტყვა დაძებნეს. ბევრი იცინეს. თუმცა ამ თამაშში ვერავინ გაიმარჯვა.

უცებ ამ თავშესაქცევი თამაშის წამომწყებმა ახალგაზრდამ თავი ხელებში მოიქცია და საფეხტელები მოისრისა. მეგობრები მის შეჭმუხვინილ წარბებს, ცრემლსავსე თვალებს და გულამოძარის მეტყველ სახეს შეაცქერდნენ.

მან თქვა:

- ორიოდ სიტყვას ვიტყვი, ძმებო. ისინი არა მხოლოდ ჩვენ, ბევრსაც დავიწყებია.

- ბრძანე!

- თურქებია... 1828 წელი.¹

სამივე ახალგაზრდა, სამივე უცოლო, სამივე მოხდენილი.

ტანადებს, ჯანსაღებს, საკუთარი ცხოვრებითა და ყოფით კმაყოფილ ამ სამ ახალგაზრდას იმ დღეს აღარ გაუცინია.

სოფ. შუველანი. 1959წ.

პპპპპპ

უკან, სახლში რომ დაბრუნდა, ცოლს ჯერ კიდევ არ ეძინა. მწვანე, უჯრულა სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე თერმოსი და წითელროლება თევში იდო ზედ ორი ცალი აკურატულად დაჭრილი ბუტერბროდით. ცოლი მაგიდაზე დაიდაყვებულიყო და წვრილი წარბების ქვემოდან ფართოდ გახელილი თვალებით მისჩერებოდა ქმარს.

- ელაპარაკე? - ჰკითხა მან, თერმოსი მოინია, ხუფი მოატრილა და მხოლოდ ახლალა შენიშნა, რომ მაგიდაზე ჭიქა არ იდო. სამზარეულოში გავიდა და ჭიქით ხელში დაბრუნდა. კაცმა ჩაი

ლამბაქში დაისხა. ცხელმა ორთქლმა ყინვისაგან გახევებული სქელი ტუჩები გაულლო. ჩაის ყლუბმა კუჭში ჩალნე-ვისთანავე სხეული ნელ-ნელა გაუთბო. ბუტერბროდი აიღო და ჩაკბიჩა.

- კარგი ყველია, სად იყიდე?
- ქვემოთა მაღაზიაში, - თქვა ცოლმა და რატომლაც თავი ჩაკიდა.
- ელაპარაკე თუ არა?
- ჰო, ველაპარაკე... ერთი ჩაიც დამისხი.

ჭიქა წინ რომ დაუდო, კაცმა მისი ხორცისა და ხახვის ჭრისგან, ტანსაცმლის რეცხვისგან, კერვისგან დასიებულ, წვერებიაშვაბულ, ფრჩხილებდაბზარულ თითებს მოჰკრა თვალი; თავისი ცოლის ოცი წლის წინანდელი თითები გაახსენდა. თეთრი და ფაქიზი თითები. პირველად ნეკა თითზე რომ აკოცა – მოაგონდა. ოცი წლის წინათ... რატომლაც მოსევდიანდა, შეწუხდა. თავი ზეაილო და შუა ჭერზე ჩამოკიდებულ წითელაბაჟურიან ნათურას ააცქერდა. თვალი აბაჟურის კედელზე დაცემული, მომსხვილო შავი ჩრდილისკენ მიექცა. მოეჩვენა, თითქოს ჩრდილი კედელზე მიცურავდა, ხან პატარავდებოდა, ხანაც იბერებოდა. ცოლმა ისევ ჰკითხა:

- რას ამბობს?
- რა უნდა თქვას, ისევ იმავეს. სამიდან ხუთ წლამდე მიუსჯიანო.

ცოლს წვრილი წარბები შეეკრა და გაეხსნა, ცხვირის ნესტოები აუთროთოლდა. ხმა არ ამოულია.

- კარგა ხანს იყვნენ ასე.
- აბა, რა ვქნათ? - რბილი და მთრთოლარე ხმით იკითხა ცოლმა.

- რაღა უნდა ვქნათ, მოსახდენი მოხდა და...

კაცს შუბლი დაეკეც-დაელარა, სუფრაზე მომობნეული პურის ნამცეცების მოგროვებას და საჩვენებელი თითის ბალიშით გასრესას მოჰყვა. შემდეგ მაგიდაზე დაიდაყვდა, თავი ხელებში მოიქცია, საფეთქლები მოისრისა და სიმ-

წყობრეარეული ხმით თქვა:

– პროკურორს ბევრი ველაპარაკე, არაფერი გამოვიდა. ამდენი მისვლა-მოსვლით ძალა აღარ შემრჩა. ვისაც ვეაჯები, ყველა პროკურორის ნათქვამს მიმეორებს. ლერთმანი, არ ვიცი, რა ვისაშველო. გეგონება, გულ-გონი არა ჰქონდეთო მაგ უღვთოებს.

ცოლმა თვალები დახარა, გრძელი წამნამების ჩრდილი თვალქვეშ ცემდა. სახეზე ორი თანაბარი სიგრძის შავი ხაზი ჩამოვლებოდა თითქოს.

– აგილს არ გამოუშვებენ, არა?

– მთელი ინსტიტუტი ფეხზე დგას. აგილი რომ გამოუშვან, ბაქოში არ დაგვაყენებენ.

კაცმა საფეთქლები მოისრისა ისევ და ღრმად ამოიხვენება.

– ადამიანს თუ არ გაუმართლა, არ უმართლებს...

დაყუჩინენ. კაცი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ფანჯრის გარეთა რაფაზე განილილი თოვლის თხელი ფენისთვის მზერის მოუცილებლად, ზურგშექცევითვე ამოთქვა:

– ინსტიტუტიდან ყოველდღე პროკურატურაში მიედინებიან. აგილის საქმით ინტერესდებიან. ის კი არადა, სასამართლო სხდომის ინსტიტუტში ჩატარებას მოითხოვენ.

– ჯიგარი დაეწვათ! – თქვა ცოლმა.

– ვის დაეწვას?

– ინსტიტუტელებზე ვამბობ.

კაცი შემობრუნდა.

– რა მაგათი ბრალია! შენი ბიჭია დამნაშავე!

– ისევ მოჰყევი?

კაცმა თავი ჩაქინდრა.

კვლავ დადუმდნენ. რატომლაც ორივემ კედლის საათის კაუნს მიაყურადა. კაცი ოთახში მძიმე ნაბიჯით ბოლთის ცემას მოჰყევა. ყოველ ჯერზე, კუთხეში მდგარ მაღალ, ყავისფერ ბუფეტს რომ უახლოვდებოდა, იატაკი ვიბრირებდა და ბუფეტის თაროებზე შემოწყობილი ჯამ-ჭურჭელი ზრიალებდა.

კაცი შუა ოთახში შედგა და საათს დახედა.

– გვიანია უკვე, წავიდეთ, დავისვენოთ, – თქვა და გვერდითა ოთახში გავიდა. ცოლმაც შუქი გამორთო და შეჰყვა.

საძინებელი არც ისე ფართო ჰქონდათ. გვერდიგვერდ მიდგმული ფიცრის ორი საწოლისა და ფართოსარკეებიანი კარადის გარდა ოთახში სხვა რამ არ იდგა. საწოლთან ერთ-ერთის თავზე კედელზე მიმაგრებული ცისფერაბაუზურიანი პატარა ნათურა ენთო. ოთახში ყველაფერი შუქის სუსტი საფარით მოცულიყო. კაცი და ქალიც წამოწოლილყვნენ, ორივე მძიმედ სუნთქავდა. ცოტა ხნის შემდეგ ცოლმა იკითხა:

– შუქი ჩავაქრო?

– არა, არ არის საჭირო, – კაცმა თავი ოდნავ გვერდზე მიიბრუნა და ცოლს ახედა. – თუ გეძინება, ჩააქრე.

– თუ გეძინებაო?.. ორი თვეა, ძილს დანატრული ვარ, – მან სქელი, დალი-ანდაგებული საბნის ქვეშ ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა, ხმას დაუწია და გულისმომკვლელად ჩაიჩურჩულა:

– სახლ-კარი ისე ჩამრაზვია, გასაღებისთვის ვის მივადგე, არ ვიცი.

– არა უშავს, ქალო, სიავე დღემოკლეაო, უთქვამთ.

ქალმა თვალები დახუჭა და ფიქრს მიეცა. მერე ტუჩები დაებრიცა, კვნე-სისმაგვარი ხმა წამოუვიდა:

– ეჲ, კაცო! შვილი მეცლება ხელიდან. ამაზე ავ დღეს ვერ იტყვიან. სახლი მემხობა თავზე... არც დღე ვიცი, არც ღამე. საითაც ვიყურები, ბავშვი მიდგება თვალწინ. ღამით რაღაცნარი ხმები ჩამესმის, საშინელ სიზმრებს ვხედავ. აი, იმ დღეს მესიზმრება, ვითომ აგილი ხურვებისგან იწვის, ყვირის: დედა, დედაო. მინდა, ახლოს მივიდე, ადგილიდან ვერ ვიძვრი. გიშივით გამომელვიძა... ეჲ, ღმერთო, ასეთი ყოფა ჩემს მტერსაც არ გამოაცდევინო!

კაცმა საბნის ზემოდან ცოლს ხელზე მოუჭირა. ქალს კი მეტი არაფერი ულა-

პარაკია, ამოიხვნება. კაცი ფიქრს შეჰყვა. ბოლო ორ თვეში მომხდარ-გადახდენილების აღებ-დალება დაინტენტო გონებაში. თუმცა ბევრი რამ ვერც გაიხსენა რატომდაც. თავისი ვაჟის დანაშაული, დაკავება წარსულში ნაკითხი წიგნებივით მქრქალი ეჩვენა. მან მხოლოდ ფაქტებისა და არგუმენტების გახსენება შეძლო. დღეს პროკურორის მისთვის ნათქვამმა სიტყვამ ყურები გაუხვრიტა: „თქვენ ვაჟს დიდი დანაშაული აქვს ჩადენილი. გამომძიებელმა რამდენჯერმე დაკითხა და თქვენმა ვაჟმაც აღიარა ყველაფერი“. ამ სიტყვებს კაცი კინალამ გაეგიშებინა და ეკითხა: „ესე იგი, ჩემი ვაჟის ციხიდან გამოყვანა შეუძლებელია?“ პროკურორს მხრები აეჩერია და ეპასუხა: „სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სამი წლიდან ხუთწლამდე მიესჯება“.

პროკურატურიდან როცა გამოვიდა, თოვდა. გარშემო ყველაფერს – ქუჩებიდან, შიშველი ხეების გამხმარიტოტებიდან, თხელ ნისლში გახვეული სახლების სახურავებიდან და ფანჯრებიდან მოყოლებული, თავისი მძიმესხეულის ძლივს მიმთრევი ტროლებულით დამთავრებული, თოვლი ეფინა. ხანგამოშვებით წამომქროლილი ცივი ქარისგან მიწაზე დაუშვებლად კვლავ ჰაერში ატაცებული ფიფქები ტროტუარის გაყოლებაზე გვერდიგვერდ ჩამწკრივებული მაღალი ლამპიონების თავზე ირეოდნენ. შორიდან შემყურეკაც ეგონებოდა, ქალაქში აუარება თეთრი ფარვანა შემოფარფატებულაო. მანქანათაგან უმეტესს უკანა თვლებზე მსხვილი ჯაჭვები ეკეთა და ნელ-ნელა, მოცურებით, ეკლესის ზარის ძალზე შორეული რეკვასავით, ყრუ წკრიალით მოძრაობდნენ.

ქუჩებში ხალხი მრავლად იყო. ბაქოსთვის სასწაულებრივად უჩვეულო თოვლისთვის საყურებლად და სუსხიან ამინდში სასეირნოდ ყველა ქალაქში გამოსულიყო. მოხუცების თქმით, ბაქოში

დიდი ხანია ასეთი ზამთარი არ ენახათ.

კაცი ფეხებში იყურებოდა და ისე დგამდა ბიჯს. რატომლაც სახლში მისვლას არ ჩქარობდა. ქუჩებში ერთ-ორსაათიანი ხეტიალის შემდეგ ზღვისპირა ბულვარშიც გავიდა, ძვალგამყინავი სუსხის არადჩაგდებით კასპიის საშინელ ფრთონვასაც მიაყურა.

სახლში დაბრუნებისას გზად ნიზამის მუზეუმთან ჩავლა მოუხდა. მოსახვევში მუზეუმის შენობის კუთხეში მიმაგრებული სამთვალა საათის ქვეშ ზამთრის ამ ყინვაში უქუდოდ მორიალე ბიჭები იდგნენ გუნდად. ამ ახალგაზრდებს რომ ჩაუარა, უცნაური რამ ენიშნა. ეს ახალგაზრდები წყლის ორი წვეთივით მის ვაჟს – აგილს ჩამოჰგავდნენ. მათმა მოძრაობებმა, ხმამაღალმა ხარხარმა, სხვათაგან გაუგებარ უარგონზე მეტყველებამ მამას საკუთარი ვაჟი გაახსენა. ცოტაზე რომ გასცდა, კაცი ინსტინქტურად შეჩერდა, შემოტრიალდა და ახალგაზრდებს კარგა ხანს უყურა. მოეჩვენა, თითქოს ამ მოურიდებლად მოხითხითე და მოლაპარაკე ყოველ ბიჭს ჯიბეში კასტეტი ედო. ყოველი მათგანი დღეს თუ ხვალ ან თუნდაც ერთი თვის შემდეგ ვიღაცას დაჭრის ან მოკლავს კიდევაც...

კაცს ის ახალგაზრდები კიდევ ერთხელ წამოაგონდა. „ნეტა, რატომ მივამსგავსე აგილს?“ – დაეკითხა საკუთარ თავს, მაგრამ პასუხისა შეეშინდა. ცოლს მიუბრუნდა:

- ხომ არ გეძინება?
- არა... – ქალმა თვალები გაახილა.
- კაცო, აგილს კასტეტი საიდან შეეძლო ემოვა?

– მე რა ვიცი. ვინც ეძებს, პოულობსო, ამბობენ.

– ბიჭისთვის სად დაურტყამს? რა მდგომარეობაშია?

– საავადმყოფოშია ჯერჯერობით.

ქალი მარჯვენა გვერდზე გადატრიალდა, პირი ქმრისკენ ქნა.

– და რატო დაურტყამს? არ იკითხე?

კაცმა თვალები ჭერს ააშტერა და რაღაცაზე დიდხანს იფიქრა.

– პროკურორის ნათქვამიდან ეგრე გამოდის, რომ არაფრის გულისათვის უჩხეუბიათ. ინსტიტუტში რაღაც შეხვედრა ყოფილა. ის ბიჭი აგილს ახირებია, ვითომ აგილს ინსტიტუტში შიშველი ქალების სურათები მიჰქონდა და გოგონებს აჩვენებდა. უშნოდ ხუმრობდა. იმ სხდომის მერე აგილი მას გადამტერებია. მეგობრებს ეუბნებოდა, ერთი ნახეთ, რა დღეში ჩავაგდოო... ერთხელაც ისევ სიტყვიერად წაჰავიდებიან ერთმანეთს. ბიჭს აგილისთვის უკითხავს, შენ საბირი თუ წაგიკითხავს, საერთოდო. აგილს უთქვამს, არაო. იმ ბიჭსაც ვითომ აგილი ყველას თვალინი გაუთათხავს, უთქვამს, აბა როგორი აზერბაიჯანელი ხარ, საბირი თუ არ წაგიკითხავსო. აგილიც თავს გასულა და უყვირია, შენისთანებმა წაიკითხონ საბირიო. ბიჭს აგილი გაუსილაქებია... აგილი ლექციიდან გასულა და თავის მეგობართან მისულა, კასტეტი გამოურთმევია, ლექციის დამთავრებისას მისულა ინსტიტუტში, ბიჭი ერთ ბნელ ქუჩაში გაუყვანია და დაურტყამს. ესაა სულ.

ქალმა ისევ იკითხა:

– კაცო, საბირის გულისთვის კაცმა კაცს უნდა ურტყას?

– აბა, რა გითხრა. ამ ახალგაზრდებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. რა ვიცი.

– კაცო, ბოლო დროს ამჩნევდი, სახლში როგორ იქცეოდა?

– როგორ?

– წამდაუნუმ მიყვიროდა, დავიღუ-პეთ ამ მუსლიმობაშიო. ასეთ უცნაურ რამეებს იძახდა.

კაცს თითქოს სუნთქვა გაუჭირდა, გულიდან წამოსულმა ყრუ ტკივილმა მთელ სხეულში დაუარა.

– მამაძალლი! – თქვა. – არა, ჩემთან ასე არ უბრიყვია.

– შენი ეშინოდა და იმიტომ. ჩემი კი არ ერიდებოდა. რაც კი გულში ედო, მეუბნებოდა. ერთიც ვნახოთ და, ერთმა გოგომ დარეკა. აგილი სახლში არ იყო. ვკითხე, შვილო, რა გქვია, აგილი რომ მოვა, რა გადავცე? მითხრა, საფურა მქვიაო. აგილი საღამოს რომ დაბრუნდა, ვუთხარი საფურამ დარეკა-მეთქი და ისე, სასხვათაშორისოდ ვკითხე, ვინ არის ის გოგო-მეთქი. მითხრა, ეგ გოგო კი არა, ქალია, ორი შვილი ჰყავს. სიმართლე გითხრა, რისხვამ თავში ამარტყა. შენ ბავშვებიან ქალთან რა საალებმიცემო გაქვს-მეთქი, ვუყვირე. იცი, რა მიპასუხა?

– რა?

– იმ ქალის მონატეხ ფრჩილსაც კი არ გავცვლი ას ფატიმაზე და თუქეზ-ბაზე. კულტურული ქალია, ერთობა თავისთვის.

– მამაძალლი!

მშობლებმა აგილთან დაკავშირებული ყველა ამბავი, ხდომილება გაიხსენეს. კაცი ხან განრისხდა, ხან დადარდიანდა. ქალი კი ყოველ ჯერზე ოხრავდა და გულში შვილზე ლოცულობდა.

მუსაიფის ბოლოს კაცი ძილისგან გამოერკვაო თითქოს – ერთი რამ ისე-თი საშინელებითა და შემზარაობით წარმოუდგა თვალწინ: უცნაური იყო, რომ არც ერთს – არც მას და არც ცოლს თავიანთ ერთადერთ შვილზე – აგილზე კარგი ვერაფერი გაეხსენებინათ. თანაც ამ საუბრის ზოგადი ტონი უკიდურესად ნალვლიანი და სულისშემსუთავი იყო. ზოგადად, ძვირფასი ვინ-მეს დამკრძალავი ადამიანები ლაპარაკობენ ასე.

კაცმა თქვა:

– სინათლე ჩააქრე, გვიანაა უკვე.

ქალმა წამოუნევლად თითო თავზე-მოთ ანთებული ნათურის თეთრი ღილაკისაკენ აიშვირა და მიაწვა. სინათლე ჩაქრა.

– ისევ წახვალ ხვალ?

— კი.

მაგიდაზე გუშინდელივით თერმოსი და ორი ბუტერბროდი ეწყო. მოშორდა თუ არა ზღურბლს, ქუჩაში გამავალი კარის გასაღები თოვლით საყელომოქარგული პალტოს ჯიბეში ჩაიდო. რაღაც ხანი იდგა. მერე პალტო გაიხადა და დივანზე მიაგდო. ხელები ერთმანეთს გაუხაუნა და გათბობას შეუდგა.

ცოლმა ჰქითხა:

— რა მოხდა?

კაცმა წამით არ უპასუხა, მერე თავი გადაიქინა:

— არაფერი, — ხმა აუკანკალდა — არაფერი გამოვიდა.

— რატომ?

კაცი მძიმე ნაპიჯით მიუახლოვდა ფანჯარას და თავი ჩაქინდრა. როგორც იქნა, ძლივძლივობით, დახშული ხმით თქვა:

— პროკურორმა ამჯერად ჩემთან ლაპარაკი საერთოდ არ ინდომა.

უცებ შემობრუნდა. მოწკურული თვალები ცოლს მიაპყრო.

— დღეს პროკურატურაში ის ბიჭი დამანახეს. დედამისთან ერთად მოსულიყო.

— საავადმყოფოდან გამოეწერა?

— ჰო.

— გამოჯანმრთელდა?

კაცმა კოპები შეიკრა. ღრმა ნაოჭებ-მა შუბლი დაუსერა. რატომდაც ძალზე ხმადაბლა, ჩურჩულით თქვა:

— ცალი თვალი არ აქვს. დედამისის მელაგს ეჭიდებოდა. მალი-მალ ფეხი უბორძიკებდა. არ ვიცი, როგორ მოხ-

და, მივუახლოვდი. ქუჩის კარამდე მივაცილე. საწყალი ქალი თავს ვერ იკავებდა, ტიროდა. ღმერთმა სულ უკუნში ამყოფოს მაგათი თავი, არ გაახაროსო, — იწყევლებოდა.

კაცმა მეტი არაფერი თქვა. ცოლ-ქმარმა ერთმანეთს კარგა ხანს უყურა. მერე კაცმა ბუფეტის გვერდიდან ფოჩებიანი პირსახოცი აიღო და აბაზანისკენ წავიდა. ცოლიც მიჰყვა. ვიწრო დერეფანში რომ გავიდნენ, კაცმა ფეხი რაღაცას ძლიერ წამოპერა — კინალამ წაიქცა.

— უხ, შენი! — წამოცდა და მობრუნდა.

ორივენი კედლის გასწვრივ მდგარ, ფეხის წამოკვრის გამო ჯერ კიდევ შემაურულებელი ჭრიალით დარწეულ აკვანთან შედგნენ. დაუანგულ, ალაგალაგ ნიკელდაცვეთილ ამ აკვანში ქალს ფალასფულასი, ძველი ფეხსაცმელები, გამოუსადეგარი ჯაგრისები შეენახა. დედ-მამა ერთხანს უტყვ-უთქმელად აკვანს მიაჩერდა. ქალი ქმარს მიეჭდო, არაქათგამოცლილი მოძრაობით ახედა და ჰქითხა:

— ხვალ ისევ წახვალ?

კაცმა ღრმად, ფილტვსავსედ ჩაისუნთქა.

— არა, ანი არსადაც არ წავალ!

ქალი აქვითინდა.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა

ოქტაი ქაზუმოვგა

ედუარდ მელიტონიანი

თანამედროვე სომები პოეტი. დაიბადა 1952 წელს. გამოცემული აქვს ლექსების, მოთხოვებისა და თარგმანების ორმოცდათექვსმეტი წიგნი. არის არაერთი პრემიის ლაურეატი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე. 1982 წელს საქართველოში, კერძოდ ქუთაისში, მიენიჭა ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის საერთაშორისო პრემია; არის სომხეთის მწერალთა კავშირის თავკვდომარე. იგი ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარია; ამჟამად თარგმნის ქართველი პოეტების ლექსებს.



პირველი შემოდგომა სამოთხის შემდეგ

შეუმჩნევლად გაყვითლდნენ და
გახმნენ ფოთლები.
ჩუმად დაიფშვნენ
ქარის ქროლაზე
და პირველყოფილ იდუმალებით
შემოეძარცვათ ტანსაცმელი
ადამს და ევას.
ვინ იფიქრებდა მათ ასეთ დასჯას
შემოდგომისგან?

ლეღვის ხე

ლეღვის ხის ქვეშ ზიხარ შიშველი
და წერ ლექსებს.
შენ შეგიძლია, რომ მოწყვიტო
მისი ფოთოლი და დაიფარო
ისე, როგორც ეს ქნა ადამმა.
შენმა ლეღვის ხემ გაუძლო დროს და
ზამთრის ყინვებს,
შენთვის ფიქრობ:

არ ყოფილიყო ღალატი და
მერე ჯვარცმა,
ხომ ვერასოდეს ვერ აღდგებოდა.
სწორედ ამისთვის
მიუახლოვდი ლელვის ხეს და
ჩამოეკიდე მის მსხვილ ტოტზე,
როგორც იუდა.
მაინც როგორი უკვდავია ეს ლელვის ხე –
მან თვითონ ნახა ადამი და
ანუგეშა მერე იუდაც
და თან ნაყოფი უწილადა ადამიანებს.

თიბვა

სინანულის და განსჯის გარეშე
ვიმკი იმას, რაც არასდროს დამითესია.
მე იმას ვიმკი, რაც დავთესე –
არც მეტი და არც ნაკლები,
სულ ეს არის თავიც და ბოლოც.
ვთიბავ მდუმარე, თავთავია ჩემთვის მთავარი
ხაოიანი წვეროებით და თავისი ოქროს ფერებით.

●
შენ გაძევებენ აქედან ქვებით
და წყლის ტალღები
დასავლისკენ მიგაქანებენ
და მხოლოდ ხალხი ინახავს მაინც,
დაფარული ზიზღის ბადით,
ზრუნვად ქცეულ სიყვარულის ბრნყინვალებას.

●
როცა წელიწადში ერთხელ მიდიხარ
შენი მშობლების საფლავზე,
ისინი შენ გპატიობენ,
რადგანაც სხვა არაფერი შეუძლიათ მიცვალებულებს.

ჰემინგუეის

ჰემინგუეიმ იმდენი ლომი მოკლა,
რომ მათ დაემსგავსა.
შემდეგ საკუთარ თავს შეხვდა ჰირისპირ
და... ისიც მოკლა!

იავნანა

სიკვდილია ამ ცხოვრების ნამდვილი არსი.
ის მოიცავს ერთდროულად უკუნს და ნათელს
და მანამ ცოცხლობ, მწველი ცეცხლია
და, როცა კვდები – ცივი ნაცარი...

მე და კაშპაში

მე და ის ახლა ერთ სახლში ვცხოვრობთ,
ის სახურავქვეშ, მე კი ქვემოთ
და ერთი ჭერი გვაცალკევებს ერთმანეთისგან.
ის სახურავის სარკმელიდან მიფრინავს გარეთ,
მე კი, კარიდან გამოსული,
მივყები ჩემს გზას.
ჩვენ არასოდეს ვხვდებით პირისპირ,
მაგრამ მე ვიცი, რომ ერთ დღესაც ჩვენი გზები
სადღაც ერთმანეთს გადაკვეთავენ
და ეს იქნება სიყვარულის დიდი ნიშანი.

სარპე

მათ ვერ გაიგეს,
როგორ მოკლეს.
არც მან იცოდა,
რომ კაცის კვლა დიდი ცოდვაა.
ასრულდა იგი, რაც ეწერა წმინდა წიგნებში:
სიკვდილის სარკემ აირეკლა
მსხვერპლიც და მკვლელიც
და უთვალავი მათი ნიღაბიც.
მსხვერპლმა შეიცნო თუ ვინ იყო მისი ჯალათი.

ადამიანის ღიმილი

ადამიანის ღიმილი ჰგავს ათასფერი ყვავილის კონას.
მას უბრძანეს – არ დაარღვიო ამ ქალაქის იერსახე
და გაიღიმე შენც ვარდივით
ანდა ვარდისფერ შენობასავით.
მას კი სურდა რეჟანის, ქინძის
ანდა სულაც კამის ღიმილი.
მაგრამ ამისთვის გააძევეს თავის ქუჩიდან
და საკუთარი ქალაქიდან.
თვითონაც ადგა და გაფრინდა სხვა ქვეყანაში.
ახლა ეკლიან ვარდის ღიმილით
იღიმება უცხო მხარეში...

თარგმნა ბალათერ არაბულმა
ბწყარედი მოამზადა მაყვალა გეურქოვამ

გუბაზ მეგრელიძე

ტრადიცია და ნოვატორობა ქართულ თეატრში

თეატრალურ ხელოვნებაში ხშირად კამათობენ ტრადიციის შესახებ, რადგან ის ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული ცნება. რასაც „ტრადიცია“ ჰქვია, არ შეიძლება იყოს ზუსტი კატეგორია. იგი უფრო იდეურ-მხატვრულ თვისებათა ერთობლიობაა, რასაც შემოქმედებითად ითვისებენ და ავითარებენ მომდევნო თაობები. თუ ხელოვნი თავისი წინამორბედის თეატრალური ხერხების „ერთგული“ დარჩება და მხოლოდ ამ სახით გაიგებს ტრადიციას, გამომსახველობით ხერხებს კანონის ძალას მიანიჭებს, მაშინ იგი დაიშტამპება. დროთა განმავლობაში სპექტაკლი, რომელიც ტრადიციას წარმოადგენდა, აღარ არსებობს და ისტორიის კუთვნილება ხდება. მის შესახებ მხოლოდ მოგონებებით ან რეცეზზიებით ვმსჯელობთ. ასეთი სახის ინფორმაცია უმთავრესად სუბიექტურია. ამიტომ შეუძლებელია ოდესალაც არსებული ჭეშმარიტი ხელოვნების უცვლელად აღდგენა. ხდება გადმოცემების თუ ისტორიული მასალის ხელოვანის გონებაში წარმოსახვა. ამ შემთხვევაში ხელოვანი თავის თავს ტრადიციის გამგრძელებლად მიიჩნევს, სინამდვილეში კი ეს ტრადიცია აღარ არის, რადგან აქ სრულიად განსხვავებული პრინციპებია გამოყენებული და იგი რეუისორის ინდივიდუალური

ხელწერიდან გამომდინარეობს. ამიტომ ტრადიციის გაგება ხშირად მახინჯდება, დავინუებას ეძლევა მისი მთავარი არსი – რომ ტრადიცია ხელოვნებაში არის მხატვრული გამოცდილების, გარკვეული ესთეტიკის გადმოცემის საშუალება.

სამაგალითოდ შეიძლება გავიხსენოთ კოტე მარჯანიშვილის დადგმა „ცხვრის წყარო“. დრომ მოიტანა თანამედროვე მებრძოლი გმირის თემა, რომელიც იმდროინდელ რუსთაველის თეატრში ვერ აისახა. ქართული თეატრის ნიშანდობლივი თვისება ყოველთვის იყო გმირის მებრძოლი სულის წარმოსახვა, რაც სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. ამიტომ „ცხვრის წყარო“ იმ მდიდარი ტრადიციის საუკეთესო გაგრძლებაა, სადაც კ. მარჯანიშვილმა განავითარა ლადო მესხიშვილის აქტიორული სკოლის საუკეთესო ტრადიცია. ის ორგანულად შეერწყა მარჯანიშვილის რეჟისორულ ოსტატობას.

დიდი შემოქმედი სრულყოფს და გარდატეხა შეაქვს დამკვიდრებულ ტრადიციებში. ასეთი მნიშვნელოვანი სახეცვლილებით ხასიათდება სანდრო ახმეტელის შემოქმედებაც. მან ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებით ასახა ადამიანის დამოკიდებულება ახალ ცხოვრებასთან. ამ პერიოდში თეატრმა

მიაგნო ჰეროიული დრამის ფორმას, რომლისგანაც ახლებურად განავითარა ჰეროიულ-რომანტიკული თეატრი. სპექტაკლებში ჩანდა მოქმედების ექსპრესია, რიტმისა და სიტყვის დინამიკური მოძრაობა. გმირის ხასიათის მაღალპროფესიულ დამუშავებასთან ერთად, იკვეთებოდა პლასტიკური მონახაზიც. ამ ფონზე ში-

მისი ადგილის განსაზღვრა თანამედროვეობაში დაკავშირებულია აუცილებელ განსხვავებასთან ტრადიციასა და მიმბაძველობას შორის. სირთულეს ის იწვევს, რომ ვერ ხერხდება ამ ორი კატეგორიის ყოველთვის ზუსტად დიფერენცირება. ხმირად ხდება მათი აღრევა პრაქტიკისა და შემოქმედის სუბიექ-



ნაგანი განცდისა და გარეგნული ფორმის შერწყმამ უფრო მრავალმხრივი გახადა სამსახიობო ხელოვნება, ზუსტად გამოიხატა სპექტაკლის მხატვრულ-ემოციური განწყობა. სიახლე იმაშიც ჩანდა, რომ მასა სპექტაკლის ძირითად კომპოზიციურ ბირთვს შეადგენდა. პიროვნებისა და მასის სულისკვეთების სინთეზმა ახალი ძიებითი პროცესი განავითარა რუსთაველის თეატრში. გაიზარდა სპექტაკლების მასშტაბი, გმირთან ერთად მთავარი ადგილი მასობრივ სცენებს დაეთმო, რამაც განაპირობა რეჟისორული ფორმის ძიებაც – სპექტაკლის საერთო გადაწყვეტა.

ტრადიციულობის სწორი გაგება და

ტურ შეხედულებებთან.

ქართული თეატრის ისტორიის 30-40-იანი წლები ამის მაგალითს იძლევა. მარჯანიშვილის თეატრში „ზოგჯერ... სპექტაკლები სრულიად არ შეესაბამისებოდა მარჯანიშვილის პრინციპებს, მაგრამ ასეთ დროს ტრადიციის მანტია ხომ ყველაზე კარგი მოსასხამია? ჰოდა, ზოგიერთი რეჟისორი და მსახიობი მარჯვედ იყენებდა მას! იგივე ხდებოდა რუსთაველის თეატრშიც. რომანტიკული სპექტაკლების იარლიყი ეკერა ისეთებსაც, რომელთაც არავითარი საერთო არ ჰქონდათ სანდრო ახმეტელის თეატრთან“.

დღესაც, რიგ შემთხვევებში, რეუი-სორს არა აქვს საკუთარი პოზიცია, გა-ურკვეველია მისი კრედიტი, რაც განსა-კუთრებით მკვეთრად ჩანს კლასიკური პიესების დადგმისას. კლასიკას ამოფა-რებული ხელოვანი (პიესის მონტაჟი, მოქმედ პირთა შეკვეცა ან ახლის და-მატება, ტექსტის გადაადგილება) თა-ნამედროვე ფორმების გარეგნული ნიშ-ნების საშუალებით პრეტენზიას აცხა-დებს ნაწარმოების ახლებურ წაკითხვა-ზე. პრობლემები, რომლებიც ოდესლაც ავტორს აწუხებდა, დროთა განმავლო-ბაში იცვლება. ახალ თაობას სხვა ინ-ტერესები ამოძრავებს. რეუისორსაც დიდი ყურადღება მართებს, რომ ნა-წარმოებს თანამედროვე უღერადობა მიანიჭოს, რისთვისაც აუცილებელია პრობლემისა და გმირთა ხასიათების წარმოსახვა სხვა მნიშვნელობით, რომ სპექტაკლმა მეტი აქტუალობა შეი-ძინოს. უკვე არსებული მხატვრული ხერხებით ნაწარმოების არსის ამოხსნა ტრადიციას შტამპავს. რეუისორმა კი არ უნდა გაიმეოროს ისტორიად ქცე-ული კლასიკის ილუსტრაცია, არამედ თანამედროვეობის კუთხით გაიაზროს ნაწარმოები. რეუისორმა უნდა უარყოს მანამდე არსებული წარმოდგენა ამა თუ იმ პიესის დადგმაზე და შექმნას დამო-უკიდებელი ვერსია. ამ ნიშნის გაუთვა-ლისწინებლობა შემოქმედებით მარცხს იწვევდა, რადგან რეუისორის სოცია-ლური ანალიზი ნოქავდა ნაწარმოების მხატვრულ სულს.

რუსთაველის თეატრში ასეთი და-გმები იყო: ლევ ტოლსტოის „მეუფება წყვდიადისა“ და მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „ქალის ტვირთის“ ინსცენი-რება, ხოლო თანამედროვე ფორმების ძიებამ უანრულ ეკლექტიკამდე მიიყ-ვანა უილიამ შექსპირის „ანტონიოს და კლეოპატრა“, მოლიერის „ტარტიუფი“, გოლდონის „მშვენიერი ქართველი ქა-ლი“. რუსთავის თეატრის დადგმებში: ნიკოლოზ გოგოლის „რევიზორსა“ და

ანტონ ჩეხოვის „თოლიაში“ ჭარბობდა ილუსტრაციულობა.

თეატრალური ფორმა ყოველთვის დროის გააზრებას მოითხოვს. აუცილე-ბელი ხდება კლასიკური ნაწარმოები-სადმი დამოკიდებულების კრიტერიუ-მის შეცვლა. სწორედ ამ ახლის გათვა-ლისწინებით იქმნება სპექტაკლი და იგი ვერ გახდება ტრადიციის ადრინდელი სახით გამგრძელებელი. მის შესახებ ცნობილი ინგლისელი რეუისორი პიტერ ბრუკი წერს: „არსი არასოდეს გახდება წარსულის კუთვნილება. მისი შემოწმე-ბა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დღე-ვანდელი გამოცდილების მაგალითზე“. ბრუკის აზრით, მიზანშეწონილია მხო-ლოდ ტრადიციის არსის გამოყენება, თუკი იგი თანამედროვე გამომსახვე-ლობით ფორმაში მოექცევა.

ამგვარ მოვლენად რუსთაველის თეატ-რში შეიძლება ჩაითვალოს XX საუკუნის 60-იან წლებში დადგმული სპექტაკლები „ჭინჭრაქა“ და „სამანიშვილის დედინაც-ვალი“. „ჭინჭრაქაში“, როგორც მისი დამ-დგმელი მიხეილ თუმანიშვილი აღნიშნავს, მთავარია მსახიობთა იმპროვიზაცია, რა-საც საფუძვლად ედო ძველი ქართული ხალხური ტრადიციული თამაშობანი, ბერიკაობისა და ყენობის ელემენტე-ბი, ცეკვები, იგავ-არაკები, შარადები და სხვა. მაგრამ სპექტაკლი არ იყო ბე-რიკაობის რეკონსტრუქცია. იგი თავისი ბუნებით მიუხსლოვდა ამ თეატრალურ ფორმას. ზღაპრული ფორმა ხელს უწ-ყობდა თანადროულობის წარმოჩენას. ამ შემთხვევაში ხალხური ტრადიცია გამო-იყენეს სპექტაკლის გადაწყვეტის საშუ-ალებად. იმავე პრინციპით განხორცი-ელდა რუსთავის თეატრში „კახაბერის ხმალი“ (რეუისორი გიგა ლორთქიფანიძე), ხოლო მარჯანიშვილის თეატრში „ბერი-კონი“ (რეუისორი ლევან მირცხულავა), სადაც ბერიკაობის სანახაობით ფორმაში ფოლკლორული მოტივები, თანამედრო-ვე რეუისორული აზროვნებით აუღერდა. ხალხური თეატრალური ფორმის

ძიება ჯერ კიდევ სანდრო ახმეტელის შემოქმედებაში იღებს სათავეს. იგი ხალხური ნილების ამეტყველებას პროფესიულ სცენაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომაც წერდა იგი პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმალზე“, რომელსაც ავტორმა თავიდანვე „ბახტრიონი“ უწოდა: „ჩვენ გვხიბლავს პოლიკარპე კაკაბაძის „ბახტრიონი“, რადგან იგი იყენებს ახალ ხერხებს და იძლევა სრულიად ახალ ფორმებს“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე ქართულ თეატრშიც ამ პრინციპზე განხორციელებულმა სპექტაკლებმა მოიპოვეს წარმატება და ფოლკლორული ტრადიციების უფრო ფართოდ გამოყენება მომავალში, აღბათ, მეტ საინტერესო პროცესს განავითარებს.

დღევანდელი მსახიობი, თუ ერთსა და იმავე როლს მისი წინამორბედის მსგავსად განასახიერებს და მას მხატვრული ხერხებით მხოლოდ მიბაძავს, ასეთ მოვლენას პიტერ ბრუკი არ მიიჩნევს მაღალ ოსტატობად, რადგან იგი არ იძლევა ახალი საინტერესო შესაძლებლობების გამოვლენას და მსახიობის ინდივიდუალობაც იყარება. კლასიკის დადგმისას ხშირად ხდება, რომ მსახიობი ქმნის საინტერესო სახეს, მაგრამ რეჟისორი ვერ ახერხებს მოვლენები დაუკავშიროს თანამედროვეობას. რეჟისორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ სპექტაკლი აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს ნაწარმოების კონცეფციიდან. ეს სწორი დებულებაა, მაგრამ უმთავრესად პიესის ილუსტრაციით შემოიფარგლება. ტრადიციის ასეთი გაგება ბოჭავს შემოქმედის შესაძლებლობებს.

ხელოვნებაში ნებისმიერი ახალი მნიშვნელოვანი მხატვრული მოვლენა ან მიმართულება თავისითავად უარყოფს მანამდე არსებულ ტრადიციულ მეთოდოლოგიურ სისტემასა თუ შემოქმედებითი თეორიის პრინციპებს და ამის საფუძველ-

ზე ქმნის თვისობრივად განსხვავებულ ფორმასა და სტილის მეთოდს.

რეჟისორის შემოქმედებითი ძიებები თეატრალური ფორმის სიახლეს წარმოქმნის, რომლის დროსაც აუცილებელი ხდება კლასიკური ნაწარმოებისადმი დამოკიდებულების შეცვლა. სწორედ ამ ახლის გათვალისწინებით იქმნება სპექტაკლი და იგი ვერ გახდება ტრადიციის აღრინდელი სახით გამგრძელებელი.

70-იანი წლების ქართულ თეატრში ამგვარ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუასა და თ. ჩხეიძის მიერ განხორციელებული სპექტაკლი „სამანიშვილის დედინაცვალი“. დავით კლდიაშვილის ეს ნაწარმოები ბევრჯერ დაიდგა ქართულ სცენაზე, მაგრამ წინა პლაზე ყოველთვის სოციალური პრობლემები იყო წამოწეული.

რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის სპექტაკლის ნოვატორობა ისაა, რომ გამომსახველობითი ფორმის ახლებური გააზრებისთვის გამოყენებულია ბერტოლდ ბრეხტის თეატრალური გადაწყვეტის პრინციპი. მსახიობები გმირთა ხასიათებს კი არ გადმოსცემდნენ, არამედ საკუთარ დამოკიდებულებას უზვენებდნენ ამ პერსონაჟთა მიმართ. ეს მეთოდი დადგმისთვის ორგანული აღმოჩნდა და ხელი შეუწყო მის სტილისტურ სიახლეს. ამიტომ მრავალჯერ განხორციელებული ნაწარმოები და მისი პერსონაჟები სრულიად ახალი მიდგომით წარმოადგინეს. მოთხოვთ აღნერილი იმერული სოფლის მაგივრად სცენაზე ვიხილეთ დავით კლდიაშვილის სახლმუზეუმი. აქ გიორგი გეგეჭკორი ხელში იღებს გამოფენის ერთ-ერთ ექსპონატს, წიგნს „სამანიშვილის დედინაცვალი“ და კითხვას იწყებს. მსახიობებიც თანდათან პერსონაჟებს გაითამაშებენ, მაგრამ ისინი არ არიან მხოლოდ ავტორისეული გმირები. მსახიობებმა წარმოგვიდგინეს საკუთარი პოზიციიდან დანახული

ადამიანები. თვით თამაშის პირობითი თეატრალური პრინციპი, გაორებული კომიკური პერსონაჟები სპექტაკლის იდეურ-მხატვრული კონცეფციის გამომხატველნი აღმოჩნდნენ. აქტიორულმა იმპროვიზაციამ, რეჟისორული გადაწყვეტის სიახლემ და თანამედროვეობის თვალით გროტესკულ ფორმაში გაცოცხლებულმა წარსულმა განაპირობა კიდეც სპექტაკლის წარმატება.

ძნელია თანამედროვე მაყურებლის დაინტერესება მხოლოდ გასული საუკუნის აზნაურთა სოციალური ყოფის ჩვენებით, ამიტომ სპექტაკლში ყურადღება გამახვილდა პერსონაჟთა მორალურ-ეთიკური სახის ჩვენებაზე, საზოგადოებაში არსებულ დღევანდელ პრობლემებზე, რამაც შეცვალა შინაარსობრივი მიმართება. დამოკიდებულების შეცვლამ, რითიც ცნობილმა შინაარსმა ახალი გამომსახველობითი ფორმა შეიძინა, დაარღვია აქამდე არსებული ტრადიცია.

თეატრალურ ხელოვნებაში ფორმის ძიების საკითხი ყოველთვის უმნიშვნელოვანესია და იგი დაკავშირებულია მუდმივი განვითარების პროცესთან. გ. ტოვსტონოვი აღნიშნავს: „დღეს ნოვატორობა ძალზე კონკრეტულად არის დაკავშირებული ქანრის ზუსტ მიგნებასთან. ამ გასაღებით იხსნება მხოლოდ წარმოების თავისებურების ცხოველმყოფელი სამყარო“.

ამიტომ იქცა მნიშვნელოვან მოვლენად რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლი „ყვარყვარე“. მანამდე პოლიკარპე კაკაბაძის პიესა იმავე სახით იდგმებოდა, როგორც ეს დრამატურგმა შექმნა. რეჟისორმა რობერტ სტურუამ სრულიად განსხვავებულ ფორმასა და მონტაჟის სხვაგვარ ხერხს მიმართა. გამოიყენა ტექსტუალური მასალა პოლიკარპე კაკაბაძის სხვა პიესებიდან („კახაბერის ხმალი“, „ცხოვრების ჯარა“) და შექმნა გმირის არა ლოკალური, არამედ განზოგადებული სახე. ყვარყვარე

არის ანტიერისტედ მოვლენილი წინასწარმეტყველი, ამიტომ სპექტაკლში ბიძლიური მოტივებიც იკითხება. თუ პოლიკარპე კაკაბაძემ დაგვიხატა სოფლელი გლეხის კოლორიტული ხასიათი, სპექტაკლში ვიხილეთ ფართო მასშტაბის პოლიტიკური ავანტიურისტი. იგი შესაფერის სიტუაციაში იცვლის სხვადასხვა სამოსს და მრავალი ეროვნული თუ პოლიტიკური გმირის სახით წარმოგვიდგება. პიესაში სრულიად კონკრეტულია ყვარყვარეს მოქმედების ადგილი. იგი დასაწყისში წისქვილში ზის და ნაცარში დახაზულ რკინიგზის გეგმას აცნობს მეწისქვილეს.

რობერტ სტურუა კი მასშტაბურად ასახავს ყვარყვარეს დიაპაზონს. ყვარყვარე სარგებლობს ომით გამოწვეული ქაოსით და თეთრ პერანგში გამოწყობილი, მაცხოვრის სახით, დაბნეულ ხალხს მხსნელად ევლინება. პიესაში ავტორი კაკუტასა და ქუჩარას შესახებ ამბობს: „თქვენი კაცად გახდომა ვერასოდეს რომ ვერ მოვახერხე“, სპექტაკლში კი ყვარყვარე ხალხს მიმართავს: „თქვენი კაცად გახდომა არ იქნა და არ მოხერხდა!“

თუ პიესაში ყვარყვარე კაკუტასა და ქუჩარაზე გაბატონებით იწყებს თავის კარიერას, აქ უკვე ხალხი აღიარებს მას წინამდლოლად. სხვა გამოსავალს ხალხი ვერ ხედავს, მიენდობა და აჰყვება ყვარყვარეს, შემდგომში კი იგივე ხალხი ხელს შეუწყობს მის ავანტიურიზმს. ყვარყვარე უმაღ შეიფერებს შექმნილ ვითარებას და ბელადად აღიარებული იწყებს თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას.

თუ პიესაში ყვარყვარე მხოლოდ მეწისქვილეს აცნობს მთებში რკინიგზის გაყვანის გეგმას, სპექტაკლში მას უკვე მთელი ხალხი უსმენს. ამ შეცვლილი დეტალით რეჟისორი აღმომავებს და ამძაფრებს ყვარყვარეს ზემოქმედების ძალას ხალხზე. მას უკვე შეუძლია თავის ნება-სურვილზე ათამაშოს ადამიანები და მათი მხარდაჭერა მაქ-

სიმალურად გამოიყენოს. ეს ეპიზოდი უფრო მძაფრდება რობერტ სტურუას მიერ შემდგომი დეტალის ჩვენებით: განდიდებული კაცის როლში შექრილი ყვარყვარე გეგმას ხალხს ჯოხით აცნობს. ამ შემთხვევაში ჯოხი აღიქმება ძალაუფლების გამომხატველ კვერთხად, რომლითაც გეგმის მოხაზვის დროს უპატრონო გვირგვინს წააწყდება. რამაზ ჩხივაძის ყვარყვარე თავდაპირველად გაკვირვებულია. ასე მალე და დროულად რომ მიაღწია საწადელს. თავზე იდგამს საბოლოოდ განდიდების უტყუარ ნიშანს და აქედან მოყოლებული თვითონაც დარწმუნებულია საკუთარ ძლიერებაში, მაგრამ ყვარყვარემ იცის, რომ გმირობისთვის მარტო ქადაგება და ლამაზი სიტყვები არ კმარა. იგი ხალხმა აღიარა, მაგრამ გმირი ჯერ კიდევ არ არის. რობერტ სტურუა ახალი ინტერპრეტაციით თხზავს ყვარყვარეს დაპატიმრების სცენას. პიესაში ოფიცრებს შეეშლებათ და ოსმალოს ტანსაცმელში გადაცმულ ყვარყვარეს რევოლუციონერად მიიჩნევენ. ყვარყვარეს უნდა გასცეს სევასტი, მაგრამ ოფიცრები ისე აპატიმრებენ მას, რომ სიტყვის თქმასაც არ აცლიან. ესე იგი ყვარყვარეს გარევოლუციონერება სრულიად შემთხვევითა.

სპექტაკლში ეს ეპიზოდი შეცვლილია. ყვარყვარე ტანსაცმელს შეგნებულად უცვლის სევასტის და ჯარისკაცის ფორმაში რევოლუციონერად მონათლული თავისი ნებით მიჰყვება დასაპატიმრებლად მოსულ ოფიცრებს. ასე რომ, გმირული საქციელი ჩადენილია – ყვარყვარე „რევოლუციური მოღვაწეობისთვის“ დაპატიმრეს.

ალსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პიესაში ყვარყვარეს მხოლოდ ემუქრებიან ჩამოხრიობით, სპექტაკლში კი დასჯის სცენა თამაშდება. სახრიბელას უჩვეულო ფორმა აქვს – ეს არის ჯვრის კონფიგურაცია, ანუ წმინდა ადამიანის საწამებელი. ამით ხაზი ესმება იმ გარე-

მოებას, რომ ყვარყვარე რევოლუციის საქმესა და იდეებს ეწირება. იგი უკვე მზადაა სიკვდილისთვის, მაგრამ სწორედ ამ დროს შეჩერდა დასჯა. მოსულმა დეპეშამ ყველას აუწყა რევოლუციის გამარჯვება და აქედან მოყოლებული, ყვარყვარეს აღზევება იწყება. მას, როგორც გმირს, მონიშებით ეპყრობიან. იგი სხვადასხვა ტანსაცმელში გამოწყობილი თამაშობს შემდგომ სცენებს – ხან თეთრი ნაბადი აქვს მოგდებული, როგორც ეროვნულ გმირს, ხან გენერლის ფორმაშია, ხანაც იაპონურ კიმონოში. იგი სამოსს სიტუაციის მიხედვით იცვლის, რაც სპექტაკლის იდეის მასშტაბურობაზე მიუთითებს.

აქ რეჟისორს ერთი ადამიანის ბედი კი არ აინტერესებს, არამედ მთლიანად მოვლენა – ყვარყვარიზმი. თემის გასამძაფრებლად, რობერტ სტურუა სპექტაკლში რთავს სცენას ბერტოლდ ბრესტის პიესიდან „არტურო უის კარიერა“. აქ ყვარყვარე-ჰიტლერი ყოველი ნაბიჯის, უესტის გამოყენებასა და სიტყვის წარმოთქმას მასწავლებლის დახმარებით უუფლება. რეჟისორი ამ სცენის ჩამატებით აზოგადებს ყვარყვარიზმის არსს, გვიჩვენებს თუ როგორი სახით არსებობს ეს მოვლენა საზოგადოებაში.

თუ პიესაში ყვარყვარე გამოაშკარავებული და დამარცხებული ტოვებს სცენას, სპექტაკლში იგი ბოლომდე იბრძის, ვერ ურიგდება გამოაშკარავებას. მეორდება ჯვარცმის სცენა, მაგრამ თუ თავდაპირველად ყვარყვარე ძალით აჰყავთ, ახლა თვითონ ებლაუჭება ჯვარს, რადგან სააშკარაოზე გამოყვანას გმირად სიკვდილი ურჩევნია. ხალხი მას ძალით ჩამოათრევს საგმირო კვარცხლბეკიდან და სანაგვე ყუთში აგდებს. როდესაც ყველას ჰგონია ყვარყვარეს ალსასრული დადგაო, ყვარყვარე ცოტა ხნის შემდეგ იმავე სახით გამოეცხადებათ, როგორც დასაწყისში იყო. ფინალის ასეთი გადაწყვეტით რობერტ სტურუა მიანიშნებს „ყვარყვარიზ-

მის“, როგორც მოვლენის სიცოცხლის უნარიანობაზე.

ასეთი სახეცვლილება განიცადა პი-ესამ სცენაზე განხორციელებისას. შეიქმნა გმირის სრულიად ახალი, დამოუკიდებელი მოდელი. ეს სპექტაკლი თავის წინამორბედთაგან განსხვავდება ფორმით, უანრით, იდეის გლობალური გადაწყვეტითა და მასშტაბურობით.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართულ თეატრში ჩნდება ახალი ტენდენცია – შექსპირის პიესებისადმი ძიებათა რთულ პერიოდს უნდა შეეცვალა უკვე შტამპად ქცეული რეჟისორული გადაწყვეტის ფორმები. ასეთ საექსპერიმენტო სპექტაკლებს განეკუთვნება მიხეილ თუმანიშვილის დადგმები რუსთაველის თეატრში: „ზაფხულის ღამის სიზმარი“ და „მეფე ლირი“, მაგრამ მიღწეული ფორმა საკმარისი არ აღმოჩნდა დასახული პრინციპების სრულფასოვნად ჩამოყალიბებისთვის.

მოგვიანებით ამავე თეატრში რეჟისორი გიორგი ქავთარაძე დგამს „რომეო და ჯულიეტას“, სადაც კვლავ იყო სწრაფვა თანამედროვე თეატრალური ფორმების გამოყენებისკენ. აქ პერსონაჟები ტრადიციულისგან განსხვავებულად იკითხებოდნენ, მაგრამ ამ სპექტაკლმაც ვერ შეძლო თვისობრივად ახალი შემოქმედებითი მრწამსის დამკვიდრება.

რობერტ სტურუას მიერ დადგმული „რიჩარდ მესამე“ სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მრავალჯერ დადგმულ პიესაში ახალი ინტერპრეტაციის ძიება. უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი მიზანი არ არის რობერტ სტურუას დავუპირისპირო რომელიმე თაობის რეჟისორი ან მსახიობი, რადგან საუბარია სრულიად განსხვავებული ესთეტიკური პრინციპების გამოყენებაზე, თამაშის სტრუქტურულ სახეცვლილებაზე, რაც უანრის გადაწყვეტის თავისებურებათა აუცილებლობიდან გამომდინარებს.

აქამდე არავის უცდია, შექსპირის პიესებში ტრაგიკომიკური ბუნება ეძებნა, გამოეყენებინა ბერტოლდ ბრეხტისა და ინტელექტუალური დრამის საფუძვლები, რომლებიც მეტაფორულ სახეცვლილებას განიცდის სცენაზე. რობერტ სტურუას სპექტაკლი არ არის მხოლოდ პიესის დადგმა, არამედ იგი მოიცავს შექსპირის მიერ მოცემული სიუჟეტის სოციალური არსის განზოგადებულად ჩვენებასა და თანამედროვე პოზიციური სიმწვავით გადაწყვეტას. სპექტაკლი არ მოგვითხოობს მხოლოდ რიჩარდის ბოროტმოქმედების შესახებ. მისი საშუალებით რობერტ სტურუას აინტერესებს მთლიანად რიჩარდიზმის პრობლემა თანამედროვე საზოგადოებაში. ამიტომ რეჟისორი მოვლენებს გლობალურად ასახავს.

ამ საინტერესო თვალთახედვით სპექტაკლის შექმნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ რობერტ სტურუას რეჟისორა აღსავსეა ფორმისა და სტილის ახალი გამომსახველობითი საშუალებებით. ამასთანავე, იკვეთება რეჟისორის პოზიცია, რომელიც ყოველთვის თანადროულად უდერს. რეჟისორი მაქსიმალურად იყენებს სცენურ სივრცეს, მსახიობის პლასტიკურ და შინაგან გამომსახველობით საშუალებებს, პირობითობას, გროტესკს, კარნავალური და სამოედნო თეატრის პრინციპს, სპექტაკლის იდეური გადაწყვეტისთვის ეფექტურ მუსიკალურ და მხატვრულ გაფორმებას. ყველა კომპონენტი მოყვანილია მკაცრ სისტემაში და ქმნის ლოგიკური განვითარების საშუალებას.

ასეთი განზოგადებით ხასიათდება სპექტაკლი „რიჩარდ მესამე“. წარმოდგენა იწყება მარგარეტის (მედეა ჩახავა) საორკესტრო ორმოდან ამოსვლით. მისი მნიშვნელობა უფრო გაზრდილია და წინასწარმეტყველის ფუნქციას ასრულებს. ეს შავად შემოსილი ქალი თითქოს ქვესკნელიდან ამოდის და სცენას სიკვდილის ჩრდილივით გადაუვლის. თეთრი კედლების ფონზე მარგარეტი

შავ ლაქად მოჩანს, რომელიც მოქმედების განვითარებასთან ერთად ყველა გმირის ძედს წინასწარ განსაზღვრავს. მარგარეტის გასვლის პარალელურად სცენის სიღრმიდან ავანსცენისკენ რიჩარდი მოემართება – თვით მკვლელი ცვლის სიკვდილის სიმბოლოს. რეჟისორი ხაზს უსვამს მათ ურთიერთკავშირს – ისინი განუყოფელი არიან – მათ ხომ სიკვდილი მოაქვთ ადამიანებისთვის! მარგარეტი რიჩარდის ფიქრების ჩრდილია. ვისაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, მარგარეტიც ყოველთვის მასთანაა, როგორც რიჩარდის სურვილის აღმსრულებელი.

ამ პიესის დადგმისას რეჟისორები და მსახიობებიც ყოველთვის დიდ ყურადღებას ამახვილებდნენ რიჩარდის ფიზიკურ სიმახინჯეზე. გმირის ასეთი გადაწყვეტა ტრადიციად იქცა, რადგან ყველა დროის სპექტაკლებში რიჩარდს თითქმის ერთი და იგივე გარეგნული ფორმა ჰქონდა. რეჟისორები გამოხატავდნენ მხოლოდ ავტორისეულ დამოკიდებულებას მოვლენისადმი, ხოლო რობერტ სტურუამ შექსპირის საშუალებით წარმოადგინა რიჩარდიზმის საშიშროება საზოგადოებისთვის. რობერტ სტურუას სპექტაკლი წინამორბედთაგან გამოირჩევა თავისი მთავარი თვისებით – ჟანრული განსაზღვრით – ტრაგიკული მოვლენებისადმი ფარსული დამოკიდებულებით. სპექტაკლში ორიგინალურადაა გადაწყვეტილი რიჩარდის კოჭლობა. ფიზიკური სიმახინჯის დროგამოშვებით ხაზგასმა ვიზუალურად განსაზღვრავს რიჩარდის მიერ ჩაფიქრებულ საქმეთა მსვლელობის წარმატებას.

რიჩარდი ავანსცენისკენ კოჭლობით მიემართება. რამაზ ჩხიკვაძე თავიდანვე წარმოსახავს გმირის არსს. მონღლოგის წარმოთქმისას მსახიობის ტონალობაში იგრძნობა ირონიული განწყობილება საკუთარი თავისადმი. იგი უფრო დიდ მასშტაბებზე ფიქრობს, მაგრამ არ ძალუდს, უბრძოლველად აღისრულოს

სანუკვარი ოცნებანი, ამიტომაც არის არსებულისადმი სიძულვილით განწყობილი, ბრძოლისათვის კი ჯერ არა აქვს პოზიცია გამაგრებული. მისი პირველივე გამოსვლა ძლიერი კოჭლობით სწორედ ამ მდგომარეობის გამომხატველია.

მომდევნო სცენაში კლარენსთან (გიორგი ხარაბაძე) რიჩარდი უკლებს ფეხათრეულ სიარულს, რადგან ძმას ციხისკენ აცილებს და ამით თავის პირველ ჩანაფიქრს წარმატებით ახორციელებს. ლედი ანასთან (ნანა ფაჩუ-აშვილი) შეხვედრის სცენაში რიჩარდი კვლავ კოჭლობს, რადგან უჭირს მისი დამორჩილება. მიჰყება რა ანას გვერდით, მის კოჭლობას მტკიცე ნაბიჯი ცვლის. ბოლოს, თავისი მიზნის მიღწევისას რიჩარდი აღარ კოჭლობს.

რობერტ სტურუა გმირთა უფრო მკვეთრი დახასიათებისთვის გროტესკუაც მიმართავს. ამ ხერხითავა გადაწყვეტილი ედვარდ მეოთხის (მსახიობი ავთანდილ მახარაძე) სახე. რეჟისორი შეეცადა მრავალრიცხოვან მოქმედ პირთაგან გამოეყო ედვარდის უარყოფითი მხარეები, გაეშიშვლებინა მისი სიმახინჯე, საშინელების მიჯნამდე რომ არის მისული. ედვარდის სახეში მოცემულია ტრაგიკულისა და კომიკური ელემენტების შეხამება, კონტრასტის საშუალებით ხაზგასმულია მისი ტრაგიზმი. რეჟისორს წელს ზემოთ გაშიშვლებული მეფე ფეხშიშველი გამოჰყავს ჭოჭინათი. რეჟისორი ედვარდის მთელ სხეულს სამეფო მოსახამით ფარავს, რითაც ირონიზირებულია მისი პირვენებაც და მეფობაც.

თუ პიესაში მეორე მოქმედება მეფის გამოსვლით იწყება, სპექტაკლში მარგარეტი გამოდის. ამით რობერტ სტურუა ამზადებს ტრაგიკული მოვლენების განვითარების დასაწყისს. მარგარეტის მიერ სამეფო ტახტზე დროშის გადაფარება აზრობრივად ნიშნავს მთელს ქვეყანაში სიკვდილის გამეფების დასაწყისს. რიჩარდი ტახტზე ასასვლელად ემზადება, ამიტომ მთელი მოქმედების მანძილზე

იგი აჩქარებული და ენერგიული ნაბიჯით დადის. ამ დროს რიჩარდი ირონიული ლიმილით ისმენს უფლისწულ ედვარდის (მერაბ ნინიძე) ლაპარაკს ინგლისის მომავალზე, ხოლო როცა უფლისწული გვირგვინს აიღებს და თავზე იდგამს, ამის გამო კოჭლობასთან ერთად მომლიმარე სახე გესლიანი მზერით იცვლება. უყურებს არა უფლისწულს, არამედ მხოლოდ გვირგვინს. ამ მცირე ეპიზოდში რამაზ ჩხიკვაძე ზუსტად ავლენს თავის დამოკიდებულებას გვირგვინისადმი, ხოლო როცა უფლისწულები სცენიდან გადიან, მარგარეტი მათ გაჰყვება და თავის მოსასხამს მოახურავს. ამ ხერხით რეჟისორი მინიშნებს მათი დაღუპვის გარდუვალობას, რაც იმ წუთში რიჩარდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ილუსტრაციაა. პიესის მიხედვით, ამ სცენაში მარგარეტი არ მონაწილეობს, მაგრამ რეჟისორმა იგი მოქმედებაში ჩართო.

რეჟისორი ამძაფრებს ჰესტინგსის (მსახიობი კახი კავსაძე) სახეს თუ პიესაში ჰესტინგსის წინააღმდეგობა კანონიერი მემკვიდრის არსებობითაა გაპირობებული, სპექტაკლში მას გამეფების სურვილიც ამოძრავებს. ამიტომაც რიჩარდი წინასაარჩევნო თათბირს ფარსის სტილში გაითამაშებს. აღსანიშნავია, რომ პიესაში რიჩარდი მხოლოდ ბაკინგემთან ერთად გადის, რობერტ სტურუამ კი მომხრეთა მცირე ჯგუფი შეუქმნა, რომელიც თან დაჰყვება რიჩარდს – „ვისაც ვუყვარვარ, მომყევით!..“ – ამბობს ის და ჯგუფს თანდათანობით ამცირებს... რეჟისორმა ამ ჯგუფში ჩართო რიჩმონდიც. ეს პერსონაჟი შექსპირის პიესის დასასრულს შემოჰყავს, მაგრამ რობერტ სტურუამ ამ სახეს სრულიად ახლებური დატვირთვა დააკისრა. იგი მთელი მოქმედების მანძილზე საკუთარი სიცოცხლის საფრთხემდე მხარში უდგას რიჩარდს, იღებს რა მისგან ჯალათობის გაკვეთოლებს და მის ერთ-ერთ დასაყრდენ ძალას წარმოადგენს.

რეჟისორმა რიჩარდის გამეფება წვიმისა და ჭექა-ქუხილის ფონზე წარმართა, რადგან ის სტიქიასავით მოევლინა ქვეყანას. ამავე ვითარებაში თამაშდება რიჩარდის მიერ მეფობაზე უარის თქმა. რიჩარდი თავდაპირველად, უარყოფს რა გამეფების შესაძლებლობას, უნებლიერ ადგამს გვირგვინს ბაკინგემს. მსახიობი გივი გეგეჭკორი იმ წუთშივე აფასებს ამ მოვლენას. იგი შეკრთება, წამიერად გაუხარდება კიდეც, მაგრამ უცებ მოიხსნის მას და რიჩარდის ფეხებთან დააგდებს, ხოლო როდესაც რიჩარდს აწვდის გვირგვინს, გივი გეგეჭკორი ამოიოხებს და შესცერის არა გვირგვინოსან მეფეს, არამედ მხოლოდ გვირგვინს. ქვეცნობიერად ბაკინგემსაც, ჰესტინგივით, ერთი მისწრაფება ამოძრავებს, ოღონდ ნიღბავს ამ გრძნობას რიჩარდისადმი ერთგულებით. ამავე სულისკვეთებითაა განწყობილი ბრბო. თითოეული მათგანი რიჩარდთან ერთად იდგამს საკუთარ გვირგვინს – განდიდებაზე ფიქრობს.

რიჩარდ კუზი მისმა ბოროტებამ დაადგა. რეჟისორის ჩანაფიქრით, ადამიანის ნაკლს მისი საქმიანობა განაპირობებს. ადამიანი, რომელიც სხვების უბედურებაზე აგებს საკუთარ კეთილდღეობას – უბედურია, ფიზიკურად დამახინჯებული და სულიერად დეგრადირებულია. სწორედ ეს ჩანს ბოლო სცენებში, როდესაც რეჟისორი ამზადებს რიჩარდის სიკვდილს, დასჯილნი რამდენჯერმე გამოცხადებიან თავიანთ ჯალათს. რამაზ ჩხიკვაძეს გმირის სულიერი მდგომარეობა ფიზიკურში გადაჰყავს. ამ ხერხით ჩანს მისი დამოუკიდებლება ხილვებისადმი. იგი ვეღარ უძღებს საკუთარ ნამოქმედარს და მისი დაღუპვა გარდუვალია. ამიტომ რიჩმონდი მკვლელის სახით მოევლინება რიჩარდს. იგი მარგარეტის მსგავსად, საორკესტრო ორმოდან ამოდის – როგორც მარგარეტს მოაქვს ადამიანებისთვის სიკვდილი, ასევე მოუტანა იგი რიჩმონდმა რიჩარდს.

ორივენი წელს ზემოთ შიშვლდებიან და ამ დროს რიჩარდი წარმოგვიდგება მთელი თავისი ფიზიკური ნაკლით. კუზთან ერთად ხელიც გამხმარი ჰქონდა, რაც აქამდე არ ჩანდა. რიჩარდი ძლიერი კოჭლობით მიემართება სცენის სიღრმისკენ, სადაც ორთაბრძოლა იმართება. რეჟისორმა და მხატვარმა მათი შერკინება ინგლისის რუკის ფონზე გადაწყვიტეს. ამ სცენას ეფექტის გარდა, საინტერესო აზრობრივი დატვირთვაც მოაქვს – ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ერთმანეთის გარდა სახელმწიფოსაც ჩეხავენ. რიჩარდი იბრძვის არა საერთოდ ტირანიის წინააღმდეგ (როგორც ეს პიესაშია), არამედ მხოლოდ პირადი მტრის, რიჩარდის გასანადგურებლად.

მომაკვდავი რიჩარდი ავანსცენისკენ მოემართება, ზურგზე წამოსასხამივით მოათრევს რუკას. მას ფეხდაფეხ მოჰყვება მასხარაც. მარგარეტი გამარჯვებულ რიჩარდს აწვდის გვირგვინს. ასე რომ, ფაქტობრივად, რიჩარდიზმის ახალი გამგრძელებელი მეფედება. რიჩარდი გვირგვინით ადის ფიცარნაგზე (სადაც გამეფების შემდეგ იდგა რიჩარდი), ამავე დროს ავანსცენას უახლოვდება

მასხარა. რიჩარდი იდგამს გვირგვინს, ხოლო მასხარა იხდის ქუდს, რაც ერთდროულად ხდება.

ამ ფინალით მრავალწერტილი ესმება რიჩარდიზმის გაგრძელებას საზოგადოებაში, რასაც აძლიერებს მ. მშველიძის მხატვრობა – კოსტიუმები ისტორიულად კი არ ასახავენ მოქმედების დროს, არამედ წარმოადგენენ სხვადასხვა ეპოქის კოსტიუმთა გალერეას. მათში ჭარბობს მუქი ფერი. ამიტომაც პერსონაჟები სცენის თეთრ ფონზე ლაქების სახით აღიქმებიან. რიჩარდმა იმით მიაღწია მიზანს, რომ ყველანი აჰყვნენ და ხელი შეუწყვეს მის სისასტიკეს, რითაც იკვეთება რეჟისორის სათქმელი – ბოროტების მიმართ პასიურობამ განაპირობა თითოეული მათგანის დაღუპვა.

ნოვატორული სპექტაკლების ნიშანთვისება ფორმისა და ნაწარმოების დედააზრის ახლებურ გადაწყვეტაში, ხელოვნის პოზიციის დადგენასა და მხატვრული ქმნილების გამომსახველობით ფორმაში უნდა ვეძიოთ. თანამედროვე სტილისტიკით იცვლება წლების მანძილზე არსებული მხატვრული მოვლენა. იგი ჰარმონიულად უნდა ერწყმოდეს



რეფისორის პოზიციურ მრწამს, თუმცა
არის შემთხვევები, როდესაც ფორმის
ძიებით გატაცებას თვით რეფისორიც
შეუბოჭავს და სპექტაკლის პოზიცია
ბუნდოვანი გამხდარა.

სწორედ ხელოვანის ცნობიერება-
ში ერთხელ ჩამოყალიბებულ გმირთა
ხასიათების განსხვავებულ მხატვრულ
ფორმაში მოქცევის დროს იცვლება
დადგმის რეფისორული პრინციპი, რაც
გარკვეული მეთოდოლოგიის გამოყე-
ნებას გულისხმობს. ხდება სახეთა და
მოვლენათა გადაფასება, მათი უფრო
მრავალფეროვანი საშუალებებით წარ-
მოსახვა. ყოველივე ეს კი მთლიანობა-
ში ბადებს ნოვატორულ საწყისს, სადაც
ერთიანი მხატვრული ფორმა გამოხა-
ტავს სპექტაკლის შინაარსისა და იდეის
მთლიანობას.

ნოვატორობა ხელოვნებაში გულის-
ხმობს მხატვრული შემეცნების დახ-
ვენასა და გაფართოებას, სპექტაკლის
იდეური შინაარსის გაღრმავებას, სტი-
ლისა და ფორმის გამდიდრებას, ოსტა-

ტობის დახვენას, შემოქმედებითი შე-
საძლებლობების ახლებურად გამოყე-
ნებას. აქედან გამომდინარე, შინაარსის
ახალი იდეური გააზრება მოითხოვს
ორიგინალური საშუალებებით გადაწ-
ყვეტას, რაც წარმოშობს ახალი ფორ-
მების ძიებას. ეს აუცილებელი ხდება
იმიტომ, რომ კლასიკოსებმა თავიანთი
ეპოქის დამახასიათებელი თემები და
პრობლემები განზოგადებულად წარ-
მოსახეს. ჩვენს ეპოქაში კი ამ კლასი-
კურ ნაწარმოებებში ხელოვანმა უნდა
დაინახოს თანადროული ცხოვრებისე-
ული და პოლიტიკურად აქტუალური
საკითხები, რაც დღევანდელ მაყურე-
ბელს ააღელვებს და საფიქრებლად გა-
ნაწყობს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქ-
ნება ეს სიახლე ფასეული. ამის მიღწევა
კი შესაძლებელია ხელოვანის გამბედა-
ვი დამოკიდებულებით ტრადიციისად-
მი, როდესაც მას არღვევს, ერთი შე-
ხედვით, „კარგი გემოვნების“ საწინააღ-
მდეგო მეთოდით, მაგრამ იგი შეიძლება
უაღრესად პროგრესული აღმოჩნდეს.

ალინა ქადაგიშვილი

მე პხედავ თითებით

კაცობრიობის ყველა ენაზე არსებული ანდაზები თუ გამონათქვამები მხედველობას ადამიანის უპირველეს სიმდიდრედ წარმოაჩენს („თვალის ჩინივით უფრთხილდება“, „ორივ თვალის სინათლეს ურჩევნია“ და სხვ.). მრავალფეროვანი სანახაობები და გამოსახულებათა დიქტატი თანდათანობით გვავიწყებს საგნებისა და მოვლენების ძირეული ხედვის აუცილებლობას, რაც ჩვენს გონებას განუზომლად აღარიბებს. თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ხედავენ თითებით და მაინც თვალხილულებზე მეტს ამჩნევენ, ესმით, იციან, გრძნობენ, როგორც ნოდარ დუმბაძის ხატია რომანიდან „მე ვხედავ მზეს“...

12 ივნისს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა : „მე ვხედავ თითებით“, რომელმაც 20 აგვისტომდე გასტანა. შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი პროექტი, რომელსაც მხატვარი ქეთი მატაბელი ხელმძღვანელობდა, საგანგებოდ შეიქმნა უსინათლო და სუსტი მხედველობის მქონე პირებისთვის. გამოფენაში მონაწილეობას იღებდნენ: მხატვრები, სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები და მათი სტუდენტები, აგრეთვე ქ. თბილისის №202 უსინათლო ბავშვთა

საჯარო სკოლისა და ელენე ახვლედიანის სახელობის სურათების ეროვნული გალერეის მოსწავლეები და პედაგოგები.

24 ივნისს ექსპოზიციის ავტორებმა: ქეთევან მატაბელმა, თამაზ ვარგარიძემ, სოფიო კინწურაშვილმა, თამარ მალაზონიამ, გოგა ჯაფარიძემ, კაკი ინანიშვილმა, ინნა მარგველაშვილმა და სხვებმა დამსწრე საზოგადოებას თავიანთი ნამუშევრები გააცნეს, რომლებსაც უფრო კონცეპტუალური მხატვრული ობიექტები შეიძლება ვუწოდოთ, ვიდრე ხელოვნების ნიმუშები კლასიკური გაგებით.


მხედველობის პრობლემის მქონე ადამიანების აღმებისა და შეგრძნებების განსაკუთრებულობის გათვალისწინებით, ინსტალაციებში არსებული ფორმები და კონტექსტი იკითხებოდა არა მხოლოდ თვალებით, არამედ ხელის შეხებით, მოსმენით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საგანგებო განათებას. რამდენიმე ავტორმა ბრაილის შრიფტიც გამოიყენა. ერთის მხრივ, ამ ნამუშევრებს მნახველები სხვაგვრად, მეტი სისავსით აკვირდებოდნენ, მეორე მხრივ, ასეთი მრავალმხრივ აღქმადი ნამუშევრის შექმნისას არტისტები ახალ გამოცდილებას იძენენ – ისინი საკუთარ თავს აყენებენ იმ მაყურებლის

ადგილას, რომლისთვისაც მხედველობით ინფორმაციას თითქმის მთლიანად ანაცვლებს სმენითი, შეხების, გემოს და სხვა პერცეფციები. ამ ექსპოზიციის მიზანი იყო სუსტი მხედველობის მქონე და უსინათლო ადამიანების, განსაკუთრებით, ბავშვებისა და მოზარდების ინტეგრაცია შემოქმედებით და შემეცნებით პროცესებში; „მე ვხედავ თითებით“ მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად იქცა, ერთგვარ ხიდად, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ასაკის, საზოგადოებრივი ფენისა და განსხვავებული უნარების ადამიანებს.

მხატვარი თამარ მალაზონია: „სულ ჩემი უსინათლო მეგობრის ნათქვამი მახსენდება: ხშირად, როცა ჩვენთვის გამოფენებს აწყობენ, მათ მხოლოდ ჰქვია გამოფენები უსინათლოებისთვის, სინამდვილეში კი ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, როგორ აღვიქვამთ ამ ყველაფერს, რამდენად საინტერესოა ეს ჩვენთვისო. წინამდებარე ექსპოზიცია სწორედ რომ მხედველობის პრობლემის მქონე ადამიანების უნარების

გათვალისწინებით შეიქმნა: მათთვის და მათივე ხელშეწყობით. ამ პროექტზე თეატრალური მიმართულების სტუდენტებთან ერთად ვმუშაობდი, რომელთაც ვასწავლი. ურთიერთობა გვქონდა უსინათლოებთან, რათა გვცოდნოდა, ისინი როგორ აღიქვამენ ჩვენ მიერ დამზადებულ ობიექტებს.“

თამარ მალაზონიას და მისი ჯგუფის მიერ შექმნილი დიდი ზომის „ობიექტები“, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ თემას ეხმიანება, პროექტის ნამდვილ



აღმოჩენად იქცა. ისინი ჩვეულებრივი შესაფუთი მასალისგან, მუყაოს ყუთების-განაა დამზადებული. ამ მასალას სრული-ად შემთხვევით მიაგნეს. სკულპტურების დასამზადებლად საჭიროა მუყაოს გაფექნა და დასველება, რათა შესაძლებელი გახდეს მისთვის საჭირო ფორმის მიცემა. აღმოჩენდა, რომ ის საკმაოდ დრეკა-დია, დაზიანებისას ადვილად შეიძლება აღადგინო, აღარაფერს ვამ-ბობ იმაზე, რომ მისი რა-ოდენობა შეუზღუდავია და თითქმის არაფერი ღირს... მისგან აწყობილი ნავი და აბჯარი, ასევე ვეფხვის, ზღაპრული ფრინველისა თუ დავარის ფიგურები ძალიან იმპოზანტურად და მასიუ-რად გამოიყურება, მაგრამ ცოტას იწონის. ზოგიერთი მათგანი შიგნიდანაა გა-ნათებული და შორიდან როცა უყურება, ლითონის ნაკეთობასავით ბრნებინავს. ქალბატონი თამარი ღიმილ-ით მიყვებოდა, რომ, როდე-საც გამოფენაზე წასაღებად ფიგურების მანქანაში ჩალ-აგება დაიწყეს, მძლოლს შეეშინდა, რადგან იფიქრა, რომ ისინი ფიჭისგან იყო დამზადებული... მათი პერ-ფორირებული ფაქტურა მართლაც ასე გამოიყურება – იმდენად მსუბუქია, სულ ადვილია, ადგილიდან დაძრა და თან, ზოგიერთ შემთხ-ვევაში, ხმასაც გამოსცემდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუსიკალური ეფექტები ექსპოზიციის ერთ-ერთ შემადგენელ კომ-პონენტს წარმოადგენდა.

არტკრიტიკოსი, ხელოვნების მეც-ნიერებათა დოქტორი, დავით ანდრიაძე: „მე ვხედავ თითებით“ საინტერესო პროექ-ტია, იმ გაგებით, რომ მოულოდნელია და

არ არის ნაძალადევი. კონცეპტუალურია, მაგრამ დღეს არავის უკვირს კონცეპტუ-ალიზმი. აქ მთავარი ისაა, რომ უსინათ-ლოს აყენებს თვალხილულის პოზიცი-აში და პირიქით. ამით კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს იმაზე, ჩვენ, თვალხილ-ულები, ხომ არა ვართ უსინათლოები და ისინი კი – თვალხილულები. ნამდვილად პოსტავანგარდისტული პროექტია, შორ-



საა იმ ყალბი თანაგრძნობისგან, რასაც იწვევს ხოლმე სიტყვები „უსინათლო“ და „უნარშეზღუდული“. ვერ ვიტან ამ სიტყვას! ხარისხიანი არტეფაქტებია, მაგ-ალითად, თამაზ ვარვარიძისა და სოფიო კინწურაშვილის (აგრეთვე მათი სტუდენ-ტების – ა. ქ.) მიერ შექმნილ ექსპოზი-ციაში „რასაცა გასცემ, შენია...“, სადაც

ქართული ასოებია გამოსახული. ყველა ობიექტი ხელშესახებია, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით და ეს ირონია, მეტაფორა, მეტონიმია, ნაწილი და მთელი, მონტაჟურობა, კოლაჟურობა... ბრიკოლაჟურობა, ემოცია და ქვეცნობიერი – ნამუშევრებში ერთად არის აკუ-მულირებული. თანაც ყველგან ჩანს, რომ ამის უკან ოსტატები დგანან. მაგალითად, თამუნა მაღაზონიას ობიექტებმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. მათში თავმოყრილია ადამიანის მხედველობითი, მოტორული და სინესთეზიური რეფლექსიები. ალბათ, მოგვიანებით ამაში ჩაერთვება ოლფაქტორული, ყნოსვითი რეფლექსიებიც, რადგან ადამიანი ამ რეფლექსიებში ცხოვრობს და საპოლოო ჯაშში, სამყაროს აღქმისას მათ ამთლიანებს. ამრიგად, თვალს ბოლომდე არ უნდა ვენდოთ, მხედველობის გარდა, ადამიანს აქვს სხვა ონტოლოგიური უნარები, რომლებიც ყოფიერების მოსახელთებლად უდიდეს დიაპაზონს აძლევს. ამ გაგებით არ არ-სებობენ უნარშეზღუდული ადამიანები – განა ერთი და ორია ისეთი თვალიოლული, რომელსაც მხედველობითი რეფლექსის უნარი, ხედვა საერთოდ არ გააჩინა?..“

ქეთევან მატაბელს საპატიო სტუმარი ჰყავდა – ხანში შესული მხედველობადაქვეითებული ქალბატონი, რომელიც მისი ინსტალაციით დაინტერესდა. მხატვარმა თავის პროექტს საფუძვლად დაუდო „ვეფხისტყაოსნის“ მამუკა თავაქარაშვილისეული ილუსტრაციები – ესაა წიგნი, სადაც არაფერი წერია, სამაგიეროდ, მის „ფურცლებზე“ ნახატებია ამოჭრილი, მე-17 საუკუნის ქართველი მხატვრის ნამუშევრების კონტურები. წიგნის გვერდები სხვადასხვაფრად არის განათებული. როგორც ქალბატონი ქეთევანი ამბობს, მისი უმთავრესი სურვილი იყო, მხედველობის პრობლემის მქონე ადამიანებისთვის გაეცნო თავაქარაშვილის მინიატურები, განსაკუთრებით პერსონაჟთა ჩაცმულობისა და აღჭურ-

ვილობის მოხაზულობა. ხანში შესულმა ქალბატონმა შენიშნა, რომ ზოგიერთ ნამუშევარს თვალით უკეთ აღიქვამს, ხოლო შეხებით აღქმა უჭირს, რადგან საამისოდ ისინი საკმაოდ რთულია.

დავით ანდრიაძე განმარტავს: „ბუნებრივია, რომ უსინათლოებს რეალისტური გამოსახულებები ნაკლებად აინტერესებთ და პირობითობისკენ, ნიშან-ინდექსებით აზროვნებისკენ არიან მიდრეკილნი. შეიძლება ითქვას, რომ ისინი არიან „ჰომოესტეტიკუსები“ – პარ ექსელანს (უპირატესად), როგორც ამბობენ ფრანგები. მათ ნაწილობრივ წართმეული აქვთ ესთეტიკური აღქმის უნარები, ამიტომ უფრო მეტად არიან მობილიზებულნი სუფთა სინათლის დასანახად.“ მათ, ვინც ყველაზე ხშირად იხედება საკუთარ თავში, განსაკუთრებით მიესადაგებათ ეს ლამაზი პოეტური სახე – „მზერა ჩაბრუნა“, რომელიც სულის განსაკუთრებული მდგომარეობაა და შინაგანი თვალის ახელას და თვალსაწირის უსასრულოდ გაფართოებას გვამცნობს.

მხატვარი გოგა ჯაფარიძის სიტყვებით, მისი ინსტალაცია „ქავეთის ციხე“ (ხე, ლითონი, ქსოვილი, თიხა და სხვ.) სიმბოლურად გამოსახავს სულისა და სხეულის დიქოტომიას, მამაკაცური და ქალური საწყისების თანაარსებობას – გარედან უხეშია, მკვრივი, ტლანქი, შიგნიდან კი ნაზი, რბილი, დახვეწილი. ციხის ძირში (ციხისძირი, შავი ზღვის სანაპირო!) დაყრილმა მარილმა, ერთი შეხედვით, რუსთაველის უკვდავ პოემაში დაღვრილი ცრემლის ზღვა გამახსენა. იქვე, კედელზე გაკრულ ფურცლებზე აღბეჭდილი ცხოველებისა და ადამიანის გამოსახულებები წარმართულ ნილებს ჰგავდნენ. პროექტის კონცეფციაში ვკითხულობთ, რომ ავტორი „ნებროთის წიგნს“, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ გაკვრით არის მოხსენიებული, „ვეფხისტყაოსნის“ უკავშირებს და ქართული კოლექტიური აზროვნების ერთ-ერთ განმსაზღვრელ

ფენომენად მიიჩნევს. „ბაბილონის მეფე ნებროთი „დიდ მონადირედ“ არის წოდებული ძველ აღთქმაში. ნადირობა კი მისტერიათა და ქურუმთა ენაზე ხშირ შემთხვევაში საკუთარ თავში ვნებათა და სურვილთა (ანუ მხეცის, ნადირის დამარცხებას – ა.ქ.) და შინაგანი წონას-წორობის მოპოვებას გულისხმობს.“ – გოგა ჯაფარიძე. სწორედ ესაა „რაც არა გნადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა.“

ექსპოზიციაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მხატვრებმა გია გუგუშვილმა, თინათინ კლდიაშვილმა, ლევან ჭოლოშვილმა, თეო ნუცუბიძემ, თამუნა ჩიქოვანმა, უშანგი ობოლაძემ, ლამა გორდელაძემ, გიორგი ბანძელაძემ, ლელა კაციაშვილმა, გიგა ლაპიაშვილმა; მოქანდაკე გია ჯაფარიძემ, დიზაინერებმა: მარიამ გუგუშვილმა და ზურა ჯაჯვიანმა, ტანსაცმლის დიზაინერებმა: ნინო მგალობლიშვილმა,

ლაშა დევდარიანმა, ანუკა ჩაკვეტაძემ, ელენე ლიჩელმა. პროექტის ფარგლებში გაიმართა: ხელოვნებათმცოდნე ქეთევან კინწურაშვილის ლექცია თემაზე „საგნობრივიდან უსაგნო ხელოვნებამდე“ (15 ივნისი, 16:00 სთ.) ; ქეთევან მატაბელის მასტერკლასი სახელწოდებით – „შოთა რუსთაველის „ვეტხისტყაოსანი“ თანამედროვე ხელოვნებაში“ (17 ივნისი, 16:00 სთ.) ; გიო და დავით ჯანიაშვილების „მსხველპრეზენტაცია – სტატიკური დრამა“ (3 ივლისი, 16:00 სთ.) და შემაჯვამებელი შეხვედრა მხედველობის პრობლემების მქონე მაყურებელთან.

„მე ვხედავ თითებით“ კარგად დადგმულ საოპერო წარმოდგენას მინდა შევადარო, სადაც ათეულობით მონაწილეთა შორის თითოეულს საკუთარი წვლილი შეაქვს საერთო კეთილხმოვნებაში.



Braille



ISSN 1987-5762



ଓৱে ৩ অক্টোবৰ